

825  
1990

ISSN : 0763 - 7247



# పుస్తకాలి

ప్రార్థనలి ఉద్ఘాటనలి వ్యాపారికించి ఇంగ్లీషులిస్తున్న నుండి

అధికారి

N° 21

PARIS


మార్చి

1990

MARS

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..  
ვიცინი, ალარ ვსტირი მე!  
ახალგაზრდებო, აშ კი თქვენ  
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..

აკაკი - 150



\*\*\*\*\*

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე ჩავთ -  
სასწაულს

\*\*\*\*\*

მარადიული ხსოვნა - დიდება:

1989 წლის 9 აპრილს თბილისში, ✓  
1956 წლის 9 მარტს იქვე,  
1924 წლის 19 აგვისტოს აჯანყების დროს,  
1921 თებერვალსა და მარტის სამამულო ომში  
და ყველა დროის სამშობლოს განთავისუფ-  
ლებისთვის ბრძოლაში, პატიმრობაში თუ  
დევნილობაში დაცუპულება!

\*\*\*\*\*

(138)

ავადმოსაგონარი თებერვლის დღეებია, ეს სტრიქონები რომ იწერება. (ნეტავი როგორი ტაროსია ჩევნს სამშობლოში? აქ, პარიზში კი უჩვეულოდ ნააღრევი გაზაფხულია, სამო მზით გაჩახჩახებულა გარემო. როგორ არ ჰგავს ეს **1921** წლის თოვლიან-სუსხიან თებერვლის დღეებს, როცა საქართველოს მოულონელად საბჭოთა ურდოები შემოესიენ.) **69** წელი გავიდა ჩევნი ქვეყნის ეგრედ წოდებულ „გასაბჭოებიდან“. **69** წელი ქართველი ხალხის უსასტიკესი გამოცდისა, მისი ფიზიკური გაჩანაგებისა, მატერიალური სიღარებისა, მორიალურ და სულიერ საუჯვეთა განძარცვა-დაკინებისა...

ახლა, **69** წლისთავის გადასახედავიდან, თითქოს მოჩანს ბოროტების მსხვერევის, სიკეთის ძლევამოსილების მაუწყებელი ნიშნები. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ერთიმეორეზე მიყოლებით იმსხვერევა, არა, უფრო სწორად, დაიმსხვრა ბოლშევიკურ-კომუნისტური ბარბაროსაბა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომ გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ძალით თავს მოახვია ამ ხალხებს. ჭუჭყიანი ქაფივით ჩევოლუციურ ღვარცოფთ თან გადაჟყვენ: უნგრეთის, აღმოსავლეთ გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და ბულგარეთის კომუნისტური „სახალხო დემოკრატიები.“ ამჟამად თავისუფლებისა და თვითგარდაქმნების საამო სიო უშუშებთ მათ გავლილ ტკივილებსა და ჭრილობებს, ემზადებიან დემოკრატიული არჩევნებისა და ეკონომიკური გარდაქმნებისათვის. ჩეხოსლოვაკიის ახალი პრეზიდენტის ვაკლავ ჰაველის უკანასკნელი განცხადების მიხედვით: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამჟამად მიმღინარეობს ტოტალიტარიზმისა და საბჭოების ნაშთების აღმოფხვრის პროცესი, ხოლო დემოკრატია აქ შეუქცევადი გახდა. ბ-ნი მიხეილ გორბაჩოვი უწყალო ფორტუნას ჯერჯერობით ფარისევლური ღიმილით ხვდება, ვითომც არ ერევა სუვერენ ხალხების შინაურ საკითხებში, ამ ქვეყნებიდან ჯარების გამოყვანის მოთხვენებსაც ჰპთი პასუხობს, თუმცა ფეხს ითრევს და რაც შეიძლება შორმომავლისთვის დებს.

ჩევნი ქვეყნის დაპყრობის **69** წლისთავზე „რუსი ხალხის მიერ სამუდამოდ შეკრული“ საბჭოთა კავშირიც განვითარებუ-

ლი ხრწნისა და რღვევის ფაზაშია. სხვადასხვა მეთოდებით მაგრამ ერთი და იგივე იდეალით იბრძვიან ბალტიკპერეგის, მოლდავეთის, კავკასიის თუ ცენტრალური აზიის ხუთების ეროვნული განთავისუფლებისა და დემოკრატიზაციის ქარიშხა-ლი მისწვდა თვით გარე მონღოლეთს და ქუჩებში გამოიყვანა ხალხი საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესტონეთის, ლატვიის და ლიტვის უსისხლო ეროვნული წინააღმდეგობები შეიძლება უფრო საშიშნი დარჩენ კრემლი-სათვის, ვიდრე მაგალითად აზერბაიჯანის ან ტაჯიკისტანის სისხლიანი აღეთქმებები. საბჭოთა კავშირის სახელგარებილ კომპარტიას ხალხის ნდობის ნატამალი აღარ გააჩნია და თუ მაინც ყველა დონეზე ძალაუფლების ბერკეტები კომუნისტების ხელშია, ეს, რასაკვირველია, შიშველი სამხედრო ძალადობის წყალობით, მაგრამ როდემდე? ამიტომაცაა, რომ მოაზროვნე კომუნისტები ცდილობენ შექმნან კრემლისაგან დამოუკიდებელი ეროვნული კომპარტიები. ამ მხრით ყველაზე მოწინავეა ლიტ-ვის კომპარტია, რომელმაც უკვე შარშან გამოაცხადა დამო-უკიდებლობა და მიუხედავად სკპა ცენტრალური კომიტეტის ანათემისა და მიხეილ გორბაჩოვის შუამავლობისა ამ წლის იანვარში მტკიცედ იცავს მის გადაწყვეტილებას. უდავო, რომ ლიტვის კომუნისტების გამარჯვება ნიშანი გახდება და-მოუკიდებელი კომპარტიების შექმნისა საბჭ. კავშირის ყველა რესპუბლიკებში. ახლო მომავალი მოგვცემს ამის პასუხს.

გასული წელი განსაკუთრებით მღელგარე იყო ჩეენ სამშო-ბლოში. ქართველი ხალხი, როგორც ყოველთვის, ეროვნული გა-ნთავისუფლების მოწინავე ხაზზე იბრძოდა და მპყრობელთა მკაფიო სუსხიც პირველმა იწვნია თბილისში ცხრა აპრილის ღამით. მის შემდეგაც მთელი წლის განმავლობაში სისხლიანი პროვინციები არ წყდებოდა. თქმულა: მოძმე და მეგობარი გაჭირვებაში უნდა გამოცადო. გამოცადამ მეტად მძიმე შთაბე-ჭდილება დაგვიტოვა. გაჭირვების დროს ქართველ პატრიოტებს გვერდში არ ამოუღვა ოდითვე მის მიწა-წყალზე, მის გვერდით მცხოვრები თითქმის არცერთი ხალხი და არ გამოექმაგა. გამოქმაგებას ვინ ჩივის, მოხდა უარესი: ვერაგმა მტერმა სულ ადვილად წამოშალა ქართველების წინააღმდეგ თათარ-აზერბაიჯანელები, ოსები და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფხაზები,

ის აფხაზები, რომლებიც ქართველ კაცს განუყოფელ ქართველ მიაჩნდა. წამოშალა და მათ უმანკუ ქართველ ებრუ საჭირო და-ალვრევინა. ქართველების საწინააღმდეგო პროეკტის გა-მოხდომები, ერთიმეორებული მიყოლებით, თითქმის მთელი წელი-წალი გრძელდებოდა. ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბ-ჭოთა კავშირის ნებისმიერი ხალხი, დემოკრატიის ათვისების პირველ სტადიაშია, ეროვნული განთავისუფლების პოლიტიკუ-რი ბრძოლის პირველ ნაბიჯებს დგამს. რა გასაკვირველია, რომ ის ჯერ მთლად ფეხაშეყობილად არ მიიწევდეს წინ და ზოგჯერ კიდევაც მოიკოჭებდეს, მაგრამ მთლიანად რომ ავი-ლოთ, მან დემოკრატიის გამოცდა წარმატებით დაიჭირა. რაც მთავარია, მან შეძლო თავიდან აეცილებია ხალხის განუკითხ-ავი რბევა, ხოცვა-ულეტა, რომლისკენაც მას ასე უბიძგებდენ შენილბული მტრული ძალები. ამ მხრით მომავალშიაც გვმარ-თებს გამოვიჩინოთ დიდი სიფხიზე. ბრძოლა ეროვნული თავი+სუფლებისათვის უკომაზრომისო, მაგრამ რაინდული უნდა იყოს. განსაკუთრებით არ უნდა დავუშვათ, რომ იგი გადაიზარდოს კავკასიელ ხალხთა ურთიერთანგარიშსწორების ამაზრზენ პო-გრომებში.

მართალი ბრძანდებიან ჩვენი ეროვნული მოძრაობის ის ლი-დერები, რომლებიც საბჭოთა იმპერიის გარდაუგალ ნგრევას წინასწარმეტყველებენ, მხოლოდ აქედან ის დასკვნა არ უნდა გაკეთდეს: თითქოს ქართველი ხალხის გარჯა საჭირო აღარ იყოს, თითქოს მას შეეძლოს არხენიად წამოწვეს მხართე-ძოზე და ისტორიული აუცილებლობა მას მოართმევს ნანატრ თავისუფლებას. ერთი წუთითაც არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ „ეროვნული თავისუფლება მხოლოდ მქლავმოულელ უხო-რცოსავით უშიშარ ხალხთა ხევედრია“. ბრძოლა ერთი წუთითაც კი არ უნდა შენელდეს, პირიქით, ის სულ აღმავალი უნდა ხდ-ებოდეს და მთელ ქართველ ერს უნდა მოიცავდეს. არავინ არ იცის წინასწარ თუ როდის ჩამოდგება თავისუფლების მატარე-ბელი საქართველოს ბაქანზე. ქართველი ხალხი სულ მუდამ მის მოლოდინში უნდა იყოს, რომ ეს იშვიათი შემთხვევა მისი დოყლაპიაობით ხელიდან არ გაუშვას, რამეთუ ასეთი საბედ-ნიერო შემთხვევები ხშირად არ მეორდებიან. შორიდან, გა-ზეთების კითხვით, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მტერი

საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის სამსახური  
ამ მიმართულებით მოქმედობს, ძალის ხმარებითაც, უშიშროების სამსახური  
ნდა-მოტყუებითაც სულ იმის ცდაშია: ეროვნული მოძრაობა  
შეაფერხოს, დრო დააკარგვინოს, თითქოსდა დრო მის სასახ-  
გებლოდ მუშაობდეს. გვინდა გვჯეროდეს, რომ ქართველი ხა-  
ლხი არ მოტყუებდა.

მოწინავე

\*\*\*      \*\*\*      \*\*\*

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ს გ ა ს ა ჭ ი რ ი

მძიმე დღეშია დღეს ჩვენი სამშობლო. უზარმაზარი მტაცე-  
ბლის ხელში მყოფ ქვეყანას ყოველი მხრიდან მიუსიეს საჯი-  
ჯგნავად მტრებიცა და საუკუნოვანი მოყვარეული. ეს მოუტანა  
ჩვენს ერს კრემლის 70 წლიანმა ანტიქართულმა პოლიტიკამ.  
მის ამ პროვოკაციებს აქა-იქ მისთვის სასურველი შედეგებიც  
კი მოჰყვა: სისხლისლგრა-, და თანაც სისხლისლგრა ძმათა შო-  
რის. ხარობს მტერი, მაგრამ ყველაფერი მიუნიშნებს, რომ ეს  
სიხარული ხანმოკლე იქნება და ქართველი ხალხი სულ მაღა-  
დაუსხლტება კლანულებიდან მას. მთელი ერთ მუშტად შეი-  
კრა კარს მომდგას საშიშროების წინაშე. მტრები ხედავენ,  
რომ მისი დაჩოქება ძნელია, შეუძლებელი საქმეა და ამიტო-  
მაც არიან ასე გაბოროტებულნი. ერთგული „გათიშე და იბა-  
ტონეს“ იმპერიალისტური პოლიტიკისა, რუსი დამპურობნი ათ-  
წლედების მანძილზე უსისიანებენ საქართველოს და თანაც  
თვით ზოგიერთ ვაი-ქართველის ხელშეწყობით.

უკანასკნელი 35 წლის მანძილზე მტერმა ჩვენი ეროვნული  
სიმტკიცის მოსინჯვას ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთიდან  
მიჰყო ხელი, განსაკუთრებით 1956 წლის მარტის მშვიდობი-  
ანი დემონსტრაციების სისხლში ჩახრიბის შემდეგ. გაგრაში,  
ბიჭვინთასა თუ რიწის ტბაზე უგუნურ აფხაზ ხელმძღვანე-  
ლებთან ღრეობებზე, საქართველოს მაშინდელ პარტიულ ლიდე-  
რთა თანდასწრებით, ხრუშჩივი აფხაზებს ამქვეყნიურ სამო-  
თხეს პირდებოდა, ოღონდაც კრასნოდარის მხარეს შეერთებო-  
დნენ. აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფი აიტაცა მთვრალ გუნება-  
ზე ნასროლმა ამ დაპირებებმა და დაიწყო გამთიშველი მოღ-

ვაწეობა, რის აღსაკვეთავად საქართველოს პარტ-ლიტერატურული არავითარ ზომებს არ მიმართავდნენ, ბოძებული სტრუქტურული სა და ჩინ-მედლების დაკარგვის შიშით. პირიქით: ისინი წლების მანძილზე ყოველმხრივ მფარველობდნენ და უდიდეს პრივილეგიებს ანიჭებდნენ გამთიშველ აფხაზებს, რომ ამით კრემლის ბატონებისთვის ეამებიათ. გაუხსნეს უნივერსიტეტი, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს, საბჭოთა კავშირის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზ აბიტურიენტებს მისცეს ლიმიტით შესვლის საშუალება, განუსრჩევლად იმისა თუ როგორი მაჩვენებელი აქვთ მათ საშუალო სკოლის დამთავრების დროს, ანდა როგორი ნიჭის პატრონნი არიან. აფხაზეთში თითქმის ყველა წამყვანი თანამდებობა აფხაზთა ხელშია, ერთი სიტყვით, აფხაზობა პრივილეგირებული კასტა გახდა. როგორც იტყვიან: მადა კამაში მოღის, გამთიშველნი ისე გათამამდენ მოსკოვის წაქეზებით და თბილისის წაყრუებით, რომ სოხუმში თბილისის უნივერსიტეტის ქართული სექტორის გახსნას თოფებითა და დანახანჯლებით უპასუხეს, ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა დახოცეს და დასკრეს. აი ნაყოფი საქართველოს მთავრობის პოლიტიკისა აფხაზების მიმართ. აფხაზეთში მიმდინარეობდა ახსებული ქართული ტოპონიმიკის უხეში შეცვლა, აფხაზური სკოლების მასიური გახსნა, სადაც სწავლება, უმთავრესად, რუსულად წარმოებდა, რაღაც ამ სკოლებში, ისევე როგორც უნივერსიტეტში აფხაზურად მხოლოდ აფხაზურ ენას ასწავლიან და ისიც პირველ ოთხ კლასში, დანარჩენს ყველაფერს კი რუსულად. არც აფხაზების ამ აშკარა გარუსებაზე არავითარი რეაქცია საქართველოს მთავრობის მხრიდან.

იწყეს აფხაზეთის ისტორიის აშკარა გაყალბება და თანაცისე, რომ თითქოს ქართველები აფხაზებს მუდამ ავიწროებდნენ, რომ ქართველები ვითომც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად წოდებულ მიწაზე მოსული ხალხი ყოფილიყოს. არც ამაზე არავითარი რეაქცია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველ მეცნიერთა ცალკეულ მასშილებელ მასალების გამოქვეყნებას და ისიც ქართულ ენაზე; ანტიქართული ლიტერატურა კი აფხაზებმა რუსულად არა მარტო საბჭოთა კავშირს, არამედ მოსკოვის დახმარებით მთელს მსოფლიოს მოსდგეს,

\*\*\*\*\*

არც ამაზე ჩეკვით საქართველოს ხელმძღვანელების, მხრივან; აფხაზები აწყობენ ანტიქართულ თავყრილობებსა და მიმდევად ებს, მაშინ, როცა ამგვარი რამ საბჭოთა კავშირში დაუშვებელი იყო, მათ ამისთვის პასუხი არ აგებინეს. სამაგიეროდ, როცა ქართველებმა დაიწყეს საპარტესტო მიტინგების გამართვა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის აშკარა დისკრიმინაციის გამო, უმაღ იქნა მიღებული საგანგებო ზომები. გავიხსენოთ ამისათვის წამებული ქართველი აქტივისტი ბორის კაკუბავა, რომელმაც შეთითხნილი ყალბი ბრალდების საფუძველზე ათი წელი გაატარა ციმბირის საშინელ კატორდაში, ანდა მარქოზიას დევნა-შევიწროება. და ეს ყოვლად გაუმართლებელი რეპრესიები წარმოებდა თბილისიდან იმ ადამიანის თანხმობით, რომელიც დღეს საბჭოთა იმპერიის საგარეო საქმეო მინისტრის საგარელშია მოკალათებული. აფხაზ სეპარატისტთა თარეშს არავინ პასუხობდა, რადგან ეს მოსკოვის მდუმარე თანხმობითა და წაქეზებით წარმოებდა.

აფხაზეთში ხშირად სისხლის სამართლის დამნაშავე აფხაზებსაც კი აფარებდნენ ხელს, რამაც უზომოდ გაათამამა აფხაზთა ნაწილი და საქმე სისხლისღრამდე მიიყვანა. სწორედ ეს სწადდა მტერს: სისხლისღრა და საგანგებო ჩეკიმის შემოღება. აი, ეს მოუტანა საქართველოს მისი ე.წ. მთავრობის ანტიეროვნულმა პოლიტიკამ, ქართველი ერის ინტერესების თბილ საგარედელში გაცემამ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ პოლიტიკამ არც აფხაზებს გაუშია კარგი სამსახური. მათი უნივერსიტეტი აფხაზ ახალგაზრდობის შემდგომი გარუსების ნამდვილ ბასტიონად იქცა; თავიანთი ისტორიის გაყალბებით, აფხაზი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობის მტრობად გასაღებითა და სხვადასხვა ვაი-მეცნიერული მონაჭორების გავრცელებით, ზიანი მიაყენეს რუსების საამებლად მოძმე ქართველებთან ურთიერთობას, რის გამოსწორებასაც ცოტა დრო როდი დასჭირდება.

და ეს მომავალში უსათუოდ მოგვიწევს—ჩვენცა და აფხაზებსაც—იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენი საერთო დამპყრობი მტერი კავკასიონს მიღმა გადაიკარგება, ჩვენ კი განგებამ გვარგუნა და მოგვიწევს წარსულში შეუბლალავი ძმობის აღდგენა. დიახ, შეუბლალავი, რადგან ზოგიერთ აფხაზთა აპ-

ელაცია სტალინ-ბერიას დროინდელ რეპრესიებზე მცდარი და საზიანოა. არ დაგვაციშ ყდეს, რომ ამ რეპრესიებმა უკრთხეს ხალხს აფხაზებზე ნაკლები ზიანი როდი მიაყენა. უკრთხები უარი ფაქტობრივი მასალა უამრავია. ამაზე ბეგრი იწერება დღეს ქართულ მეცნიერულ პუბლიკაციებში და მსურველებს შეუძლიათ ამაში დარწმუნება. სასურველია, რომ აფხაზ მოსახლეობაშიც დაიწყოს საქართველოს მთავრობამ ამ ლიტერატურის გავრცელება რუსულ ენაზე, რადგან, სამწუხაროდ, აფხაზმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით მისმა ახალგაზრდა თაობამ, უკვე არ იცის ქართული და ძალიან ცუდად იცის აფხაზური. აფხაზებს ფაზილ ისკანდერად ჭცევა ემუქრებათ, თუ კარგად არ ჩაუფიქრდებიან დღევანდელ ვითარებას, იმ ფაზილ ისკანდერებად, რომლებმაც აფხაზური არ იციან. სწორედ მათ აწყობთ აფხაზ სეპარატისტთა პრორუსული ორიენტაცია. ასეთები აქეზებენ აფხაზებს ძმათა სისხლის სივრცისათვის. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აფხაზებს შორის საკმაოდ გამოჩნდებიან ის ჯანსაღი ელემენტები, რომლებიც დაეხმარებიან თანამემამულეთ შავისაგან თეთრის გარჩევაში.

ეს მომავლის საქმეა, ხოლ დღეს ვითარებას ის გარემოებაც ართულებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ათეულ ათასობით არა მკვიდრი მოსახლეობა (უმთავრესად რუსები და სომხები) დაინტერესებულია აფხაზეთის რუსეთთან შეერთებით, რომ ამით მოიხსნას ყოველგარი დაბრკოლება რუსეთის ვრცელ ბაზარზე სუბტროპიკული კულტურების გატანისათვის. ამ შეზღუდვის ავტორიც შევარდნადეთ.

საქართველოს რომ მხოლოდ აფხაზების პრობლემა აწუხებდეს, არაფერი იქნებოდა, ამას თავი დაედგმებოდა, მაგრამ ვაი რომ მტერმა ოსებიც წაგვისისიანა. ოსებმაც იწყეს საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნილებებით გამოსვლა, მათაც სურთ საქართველოს წაგლიჯონ მისი ღვიძლი მიწა, ჩრდილოეთი ურჩეულის სასარგებლოდ. სამხრეთით ჩვენში მრავლად მცხოვრები აზერბაიჯანელებიც აგვიმხედრეს. ეს ის აზერბაიჯანელებია, რომელთაც სხვადასხვა მაქინაციებითა და უკანონო ოპერაციებით ხელში ჩაიგდეს დიდძალი ქართული მიწები, ისევ საქართველოს საბჭოთა კორუპტირებულ ხელმძღვანელთა წაყრუებითა და დანაშაულებრივი ხელისშეწყობით, და ამრი-

გად, დედა-ქართლის მიწაწყალზე, ჩვენი სატახტო თბილის-ქალაქის მისაღომებთან ჩამოყალიბდა მხოლოდ აზერბაიჯანის მიმდევრი დასახლებული ვრცელი ტერიტორია, რომელიც ჯერ ავტონომიას მოითხოვს, მაგრამ თუ ამას მიაღწია, მერე მეზობელ აზერბაიჯანთან შეერთების მოთხოვნასაც არ დააგვიანებს.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ: **1944** წელს სტალინის მიერ სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულ მესხებს უპირებებ უკან დაბრუნებას, რაც შეიძლება დიდ პრობლემად იქცეს საქართველოში. ეს რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მაღე მომხდარიყო, არ იყო საშიში, რადგან მაშინ გადასახლებულ მესხთა დიდი ნაწილი თავს ქართველად მიიჩნევდა. ამჯერად კი, როგორც ირკვევა, პირიქით, დიდი უმრავლესობა თურმე თავს თურქად მიიჩნევს. იქნება ამიტომაც უწოდებენ მათ „თურქ-მესხებს“. ჩვენში მცხოვრებ ოთხას ათასიან პრო-თურქულ აზერბაიჯანულ მოსახლეობას რომ **300 - 350** ათასი პრო-თურქი მესხი დაემატოს, მაშინ, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი ხალხი აღმოჩნდება მეტად სერიოზულ პრობლემების წინაშე. არადა მრავალ ტანკულ მესხებისათვის საქართველოში დაბრუნებაზე უარის თქმა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს სუფთა პუმანური, ადამიანური თვალსაზრისით.

დიახ, მძიმე დღეში ვართ. ყოველი მხრიდან გვლრღნიან და სწორედ ამან შეუწყო ხელი ქართველი ხალხის დარაზმვას დამოუკიდებლობის იღების ირგვლივ, რადგანაც ამ პრობლემებს მხოლოდ მაშინ გაერთმევა თავი, როცა საქართველო დამოუკიდებელი იქნება. მაშინ არც აფხაზეთის, არც სამხრეთ ოსეთის და არც სხვა პრობლემები საშიში აღარ იქნება, ქართველი ხალხი თავად მოუვლის თავის თავსაცა და მეზობლებთან ურთიერთობის საქმესაც. ეს დღეც დადგება! ამის იმედს იძლევა ქართველი ხალხის დარაზმულობა დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ, მისი ერთ მუშტად შეკვრა.

ზურაბ ნარსია

\*\*\*

## როგორი და ვტოვე საქართველო



საქართველოდან ამ 1990 წლის მეორე თუ მესამე დღეს გა მოვემზაგრე. დღეს, როცა უკვე თითქმის ორმა თვემ განვლო, საშუალება მაქვს წყნარად გადავხედო და გავაანალიზო საქართველოს მდგომარეობა. ცხადია, დეტალური ანალიზი უფრო მეტ დროსა და კომპეტენტურობას მოითხოვს (რისი პრეტენზიაც მე არავითარ შემთხვევაში არ მაქვს), მაგრამ შევეცდები, ყურადღება ძირითად საკითხებზე გავაამახვილო. მართალია, წერილი დაწერილია აწყვეტილი დროში, მაგრამ ეს ყველაფერი არ ის თვის წინანდელ საქართველოს ეხება.

საქართველოში, რომ იტყვიან: „პოლიტიკური ცხოვრება „დუღს და გადმოდუღს“. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება, ალბათ, მრავალრიცხოვანი პარტიების არსებობაში (რაც საზოგადოების კრიზისის უდავო მაჩვენებელიცაა). ეს პარტიები განსხვავდებიან მათი სტრუქტურით, მოქმედების სფეროთი და საქმიანობით, ინტელექტუალური დონით და ა. შ.

მართალია, ყველა პარტია მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობას ისახავს, ბევრ საკითხში ისინი მკვეთრად ეწინააღმდეგებიან საკმაოდ ერთმანეთს. ცხადია, ეს ბუნებრივიცაა დღევანდელ საქართველოსთვის, რომელიც ეს-ეს არის იწყებს პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგრამ არის მეორე მხარეც: ტოტალიტალური სახელმწიფოს ჩრდილში გაზრდილმა თაობამ ბევრი რამ მემკვიდრეობით მიიღო მისგან. ეს, ალბათ, პირველ რიგში შემდეგი ძირითადი მომენტებია: მტკიცების კატეგორიულობა, სხვისი აზრის უპატივებელობა, პოლიტიკური აზროვნების დაბალი დონე, საკუთარი აზრის უქონლობა და აქედან გამომდინარე სხვისი გავლენის ქვეშ (განსაკუთრებით „ავტორიტეტის“) სწრაფი მოქცევა.

ხშირად წინააღმდეგობები სხვადასხვა პარტიებს (ან პიროვნებებს) შორის ხალხმრავალ მიტინგების ძირითადი თემა ხდება. ორატორს ავიწყდება ხოლმე მიტინგის თავდაპირველი მიზანი და ძირითადად სხვა პარტიების (უფრო პიროვნებების) წინააღმდეგ ილაშქრებს. ასეთ შემთხვევებში იშვიათი არ არის ერთმანეთის ერთ მოღალატედ შერაცხვა.

დღეს საქართველოში ძირითადად სამი მიმღინარეობა შეიძლება აღინიშნოს: პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობის ის ფრთა, რომელიც არა უკარგული ზეიად გამსახურდიას ირგვლივ არის დარაზმული და მიმდინარებული ურ გავლენის ქვეშაა. ეს მიმღინარეობა ძირითად აქცენტს აქტიურ მოქმედებაზე აკეთებს (ხშირი მიტინგები, ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ მოწოდება, შიმშილობის აქციები და ასე შემდეგ). ეს მიმღინარეობა გამოიჩინება თავისი უკომპრო-მისობით და მკვეთრი რადიკალიზმით, რის გამოც მათ ნაწილს ნეობოლშეგიყებს უწოდებენ ხოლმე. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის დამფუძნებელ კრებაზე (ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერია ბ-ნი ირაკლი წერე-თელი) მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც კრძალავს ყოვე-ლგვარ ფრაქციულობას პარტიაში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ფრთა უფ-რო მეტი ყურადღებით ეკიდება მიმღინარე პროცესების ანა-ლიზს და სერიოზულად მუშაობს მომავალი საქართველოს ეკო-ნომიკურ-პოლიტიკური სტრუქტურის საკითხებზე (ალბათ, ამ მიმღინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ბ-ნი ირაკლი შენგელაძი).

და ბოლოს, მესამე მიმღინარეობა ეს არის ჯგუფი ძირითა-დად ინტელიგენციისა, რომელიც პრიორიტეტს ბრძოლის საპარ-ლამენტო\*) გზას აძლევს (ბ-ნები ელდარ შენგელაძი, აკაკი ბა-ქრიძე, ნოდარ ნათაძე, ქ-ნი ლანა ლოლობერიძე და სხ. )\*\*) აქვე მინდა გამოვყო ორგანიზაცია და ს-დემოკრატიული არ-ჩევნების საზოგადოება, რომელშიც ძირითადად გაერთიანებუ-ლია შემოქმედებითი-სამეცნიერო ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლები და რომელთა მიზანი, როგორც სახელწოდე-ბიდანაც ჩანს, საბჭოთა არჩევნების მაქსიმალური დემოკრატი-ზაციაა, მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

\*\*\*\*\*

\*) იგულისხმება ის საპარლამენტო გზა, რომელსაც დღევა-ნდელი საბჭ. ხელისუფლება უშვებს. რედ.

\*\*) აქ დაბეჭდვის დროს გამოგრჩა: აქვე მინდა ალენიშვილი, რომ ბეგრი გუშინდელი რენეგატი და ოფიციალური ინტელი-გენციის წარმომადგენელი ცდილობს სწორედ ბრძოლის ეს გზა აირჩიოს. რედ.

რა ძირითადი პრობლემები დგას ამ პარტიების დაუწყეტებული გადოდ, მთელი მოძრაობის წინაშე? ჩემი აზრით – უცნობეს ზე მტკიცნეული და მწვავე – ეს ნაციონალური საკითხია. მართლაც გავიხსენოთ, ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენ სერიოზულ ეთნიკურ კონფლიქტს და მღელვარებას ჰქონდა ადგილი საქართველოში. რით არის ეს განპირობებული? დღეს ბევრი ამ კითხვაზე პასუხს მარტივად მოგცემთ: სუკის (კ.გ.ბ.) გაკეთებულია, ან „მოსკოვის მიერ არის პროვოცირებული“ და ა. შ. კი, ბატონო, რაც შეეხება ამ კონფლი- ქტების საბაზს ან ორგანიზებას, აღბათ ეს ასეც არის, მაგრა ამ ცარიელ ადგილზე, იქ, საღაც პრობლემები არ არსებობენ, შეუძლებელია ასეთი დრამატული და ხანგრძლივი კონფლიქტების შექმნა ხელოვნურად.

ჩემის აზრით, საქართველოში, საღაც მოსახლეობის თითქმის 30% არაქართველია, საკმარისად დიდი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო ნაციონალურ საკითხებისადმი. მით უფრო, რომ არაძირითადი მოსახლეობა ყოველთვის მზადაა მეხუთე კოლონის როლი შეასრულოს კრემლის სასაჩვებლოდ (თუ რითაა ეს გამოწვეული, ეს საუბრის სხვა თემაა). ვგონებ, არც ერთ პარტიას საქართველოში არა აქვს შესწავლილი და გაანალიზებული ეს პრობლემა და აქედან გამომდინარე მათ პროგრამებში ნაციონალური საკითხი ან საერთოდ არ არსებობს, ან მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები.

უდავოა, რომ არაქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დღესდღეობით გარკვეული სიფრთხილით და შიშითაც უყურებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. ცხადია, რომ ლოზუნგმა: საქართველო ქართველებისთვის (რომელიც ახლა, მაღლობა ღმერთს, მოიხსნა), არა მარტო და აფრთხო არაქართველი მოსახლეობა, არამედ გარკვეულწილად დაუპირისპირა კიდეც ამ მოძრაობას. სწორედ ეს ამოცანა დგას დღესდღეობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე: დაარწმუნოს არაქართული მოსახლეობა, რომ დემოკრატიული საქართველო ისევ დაიცავს მათ ინტერესებს და უზრუნველყოფს მათ უშიშროებას, როგორც ქართველ მოსახლეობისას.

ძირითად პრობლემებიდან შეიძლება გამოიყოს ენისა და რე-

ლიგიის საკითხები, რომლებიც უშუალოდ არიან დაფიქტურულებული ნაციონალურ საკითხთან საქართველოში და რომელიც მომდევნობს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოთ ნაციონალური საკითხის დამუშავებისას. ჩაც შეეხება ეკონომიკურ სიტუაციას საქართველოში, ის მეტად რთული და მძიმეა. დავიწყოთ იქიდან, რომ მოსახლეობის ძირითად ნაწილს უკვე კარგა ხანია არ შეუძლია ნორმალური არსებობა ხელფასით. ამას დაუმატეთ ცარიელი სასურსათო მაღაზიები, საშინელი სიძვირე ბაზარში და კოოპერატივებში, პოლიტიკური დაძაბულობა, სულიერ და მორალურ ფასეულობათა დაკარგვა ან გაუფასურება. ყველაფერი ეს გარკვეულ დაღს ასევმს მოსახლეობის ფსიქოლოგიას და სწორედ ამის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოში ლოთობა და ნარკომანია უკვე სერიოზულ სოციალურ პრობლემად იქცა.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ისეთი საერთო საბჭოთა მოვლენა, როგორიცაა მექრთამეობა. მექრთამეობამ მოიცვა საზოგადოების თითქმის ყველა ფენა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ მან შეაღწია: საავადმყოფოებსა და სასამართლოებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ამის შედეგია სასწავლო პროცესების დონის დაჭვეოთება და მაღალკვალიფიკაციური კაციური კადრების ნაკლებობა, კადრებისა, რომლებიც დღეს ასე სკირდება საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს.

ჩაც შეეხება საქართველოს ეკონომიკას, დღესდღეობით იგი ჩაშლილია და შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქტიურად აღარც არსებობს. მოსკოვის მიერ წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკის შედეგად საქართველო დღეს მონაცემურების ქვეყნად იქცა (ჩაი, ციტრუსები და ყურძენი). სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ დღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება.

აი, ასეთი იყო, ჩემის აზრით, ძირითადი მდგომარეობა საქართველოში ამ ახალი წლის დასაწყისში, ღმერთმა ქნას, რომ ეს წელი ყოფილიყოს კიდევ ერთი ნაბიჯი წინ ახალი ცხოვრებისაკენ. ჩემს აღწერაში, რომელიც საკმაო მუქი ფერებით გადმოვეცი, კრიტიკა სჭარბობს ქებას, მაგრამ სჯობს,

დღესვე დავინახოთ კრიტიკული თვალით და და ვერაფრთხოები მოვასწოროთ ის, რისი გამოსწორებაც შეიძლება ჰუსკარმანის ხვალ შეიძლება დიდი უბედურება მოუტანოს საქართველოს.

თ ე მ ო კ ა ხ ე ლ ი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ე რ ო ვ ნ უ ლ - გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი  
მ ო ძ რ ა მ ბ ა ნ ი და მათი ლიდერები

ს ა ქ - ს ს ა ხ ა ლ ხ ო ფ რ ი ნ ტ ი ( ს ს ფ )  
პ რ ი გ რ ა მ ა

საქართველოს სახალხო ფრონტი ( ს ს ფ ) არის საერთო - სახალ-ხო საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მოწო-დებულია საქართველოს წინაშე მდგომი მწვავე ეროვნული და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად და რომლის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენს თავისუფალი და დემოკრატიული საზო-გადოების შექმნა, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ს ს ფ - ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

### 1. პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროში

**1.1.** ს ს ფ - ს სადღეისო ამოცანად მიაჩნია საქართველოს კანონმდებლობის დაფუძნება ადამიანის უფლებათა განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებზე: ადამიანის უფლებათა საყოველ-თაო დეკლარაციაზე ( გაერო, 1948 ), გაეროს პაქტებზე ეკონ-ომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, ჰელ-სინკისა და ვენის შეხვედრების შემაჯამებელ დოკუმენტებზე, ზოგადსაკაცობრივ ლირებულებებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებზე.

**1.2.** ს ს ფ - ს აუცილებლად მიაჩნია, რომ სახელმწიფო ინს-ტიტუტები დაექვემდებარონ საზოგადოებრივ ინტერესებს, და არა პირიქით.

**1.3.** ს ს ფ იბრძვის პიროვნებისა და მისი საცხოვრებლის ხელ-შეუხებლობის, უდანაშაულობის პრეზუმებისა და კეთილსინ-

დისიერების პრინციპის განხორციელებისათვის, მიგრაციების სამშობლოში დაბრუნების თავისუფლების, სინდისის შემცირების ფესიული თავისუფლების უზრუნველსაყოფად ცველა მოქალაქისათვის.

**1.4.** სსფ მიიჩნევს რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია განხორციელდეს:

ა) საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების რეალური გამიჯვნა;

ბ) პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, აზრთა და პოზიციათა პლურალიზმის რეალური უზრუნველყოფა, აღმინისტრაციის სრული დაქვემდებარება არჩევითი ხელისუფლებისადმი; მრავალპარტიულობის განხორციელება.

გ) პოლიტიკური მართვის სისტემის დეცენტრალიზაცია, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

დ) როგორც უშუალო სადღეისო ამოცანა, მთელი ძალაუფლების გადაცემა წარმომადგენლობითი ხელისუფლებისათვის.

ე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, ბრალდების და დაცვის უფლებრივი გათანაბრება, ადვოკატის დაშვება გამოძიებაზე დაკავების თუ საჭმის აღძვრის მომენტიდან.

ვ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების საყოველთაო რეფორმების წესით გადაწყვეტის შემოღება, რეფერენდუმის შესახებ კანონის მიღება.

**1.5.** სსფ გადაუდებელ ამოცანად თვლის საქართველოს ქავასა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

**1.6.** ამ ეტაპზე საქართველოს კრისტიულის შემუშავება და მიღება, რომელიც სრულიად გამოხატავს ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის ინტერესებს.

**1.7.** რესპუბლიკის ღონებზე სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, რომლის ძალითაც საქართველოში ვერ ამოქმედდება ის საკავშირო საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგაბიან ქართველი ერის ინტერესებს.

**1.8.** კონკრეტულად უნდა დაკანონდეს, რომ საქართველოს სრულ საკუთრებაშია მთელი მისი მიწა, წყალი, საპარაზო სივ-

რცე, ტერიტორიული შეყვარები და შიაღისეული, საჭირო ველუკები იურისდიქტია უნდა ვრცელდებოდეს მის ტერიტორიაზე და მათგან ბულ ყველა ბუნებრივ რესურსებზე, საწარმო ობიექტებზე, ყველა ტიპის ნაგებობაზე.

**1.9.** საქ. ტერიტორიაზე უნდა გაუქმდეს ყველა საკავშირო უწყების უფლებამოსილება.

**1.10.** უნდა დაკანონდეს, რომ საქ. დღევანდველ ეტაპზე დამოუკიდებლად და უშუალოდ ახორციელებდეს ურთიერთობას ნებისმიერ ქვეყანასთან, საბაჟო, საპასპორტო და საგიზო პოლიტიკას. საქ. –ს რესპუბლიკა უნდა გახდეს სრულუფლებიანი წევრი გაერო –სი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა.

**1.11.** საზოგადოებრივი და სამოქალაქო ცხოვრების დემოკრატიზაციის მიზნით სსფ –ს აუცილებლად მიაჩნია ამ ეტაპზე შემდეგი საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება:

ა) საკანონმდებლო წესით განისაზღვროს საქ. –ს მოქალაქეობის სტატუსი და ამ სტატუსის მიღების წესი; საქ. –ს პირობად ჩაითვალოს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, კოდნა, აგრეთვე საქ. –ს ეროვნული ინტერესების პატივისცემა.

ბ) უზრუნველყოფილ იქნას ნებაყოფლობითი თვითმოქმედი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლება;

გ) დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად გაუქმდეს კანონი კრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის შესახებ მისი დღეს არსებული სახით. აღიარებული იქნას გაფიცვების თავისუფლება;

დ) შემუშავდეს დემოკრატიული კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ. მიეცეთ მათ საშუალება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული სრული (განსაკუთრებით სტატისტიკური) ინფორმაციის გამოქვეყნებისა.

ე) ჩატარდეს არსებული პროფესიული კავშირების რეფორმა მათი დემოკრატიზაციის მიზნით, შეიქმნას თავისუფალი პროფესიული კავშირები. ამ ეტაპზე დაწესდეს, რომ საქ. –ს მოქალაქეებმა სამხედრო სამსახური გაიარონ საქართველოს ტერიტორიაზე. მომავალში გაუქმდეს სამხედრო ბეგარა. იმ ახალ-გაზრდებისათვის, რომლებსაც მსოფლმხედველობრივი ან რელი-

გიური მოტივით არ შეუძლიათ სავალდებულო სამსახურის მონაცემები მოხდა, სამხედრო ბეგარა გაუქმდეს ამ ეტაპზევე. უკრაინული ჯელის საქ. —ში ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებული კონკრეტული ჯელის მოხდა საქ. —ს მოქალაქეებისათვის განხორციელდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. დაუშვებლად ჩაითვალოს საქ. —ს მოქალაქის საქ. —ს ტერიტორიის გარეთ გაყვანა მისი ნების წინააღმდეგ. დაშვებულ იქნეს ქრისტიანული ქველმოქმედება პატიმრების მიმართ. დაწესდეს საზოგადოების კონტროლი პატიმართა მდგომარეობაზე.

## 2. ეკონომიკის სფეროში

**2.1.** ს ს ფ უნიშვნელოვანეს ამოუნად მიიჩნევს საქ. —ს ეკონომიკური დამოუკიდებლობის რეალურ განხორციელებას, რაც ერთ-ერთი პირობაა რეალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისათვის.

**2.2.** ეკონომიკური ურთიერთობანი საკავშირო ორგანიზაციებთან, მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან უნდა ხორციელდაბოდეს უშუალოდ და თანასწორუფლებიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

**2.3.** საქ. თავად უნდა განიხილავდეს და წყვეტილეს ყველა ეკონომიკურ ამოცანას. მის გამგებლობაში უნდა იყოს საბიუჯეტო, საფინანსო, საკრედიტო, ფასმარმაქნის, ადამიანთა დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის, საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის პოლიტიკის განსაზღვრა, უცილებლად დამოუკიდებელი ეროვნული ბანკი. საქართველოს ეროვნული ბანკი ბრუნვაში უშვებს ეროვნულ ვალუტას, არეგულირებს ფულის მიმოქცევას.

**2.4.** სახსრების საკავშირო ბიუჯეტში გადარიცხვა ერთიანი თავდაცვითი და საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საერთო მიზნებისთვის, რაც ახლა ხდება, უნდა წარმოებდეს რესპუბლიკის ინტერესების გათვალისწინებით და მისი თანხმობით სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

**2.5-** ს ს ფ აღიარებს საკუთრების სხვადასხვა ფორმებს იმ სახით, რომელიც შეესაბამება ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამ ეტაპზევე უნდა გამოიყოს

სტრატეგიული პრიორიტეტები რესპუბლიკის ბუნებრივი და კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით.

**2.6.** საქ.-ს ეკონომიკური მართვის პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს აღმინისტრაციული მეთოდების მაქსიმალურ შეზღუდვას. სსფ მხარს უჭერს თავისუფალი მეწარმოებისა და უპირატესად საბაზრო მექანიზმების არსებობას.

### 3. მართვის სფეროზე

**3.1.** სსფ-ს აუცილებლად მიაჩნია საქ.-ში ბუნებისაღმიოფიციალური ინსტრანციების დამყიდებულების შეცვლა, ბუნების უმოწყალოდ ექსპლოატაციიდან მისი მოვლა-პატრიონბაზე გადასვლა. უნდა ვალიაროთ და განუხრელად გავატაროთ ეკოლოგიური კრიტერიუმების პრიორიტეტი ნებისმიერი

ტექნიკური და სამეურნეო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას. სსფ-ს მიაჩნია, რომ საქ.-ს სახალხო მეურნეობის განვითარება უნდა წარიმართოს იმ გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო კონვენციებსა და ნორმებს.

**3.2.** საქ.-ს მთიანი რეგიონის და ზღვისპირეთის ბუნების დაცვის ონისძიებებთან ერთად სსფ-ს მუდმივ საზრუნავად უნდა იქცეს ქალაქების, კერძოდ, თბილისის ეკოლოგია. აუცილებელია თბილისის განვითარება ზედმეტი საწარმოების, უწყებრივი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ვარბი მოსახლეობისაგან, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქ.-ს რეგიონების საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალიზაციას.

**3.3.** აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა და რესურსდამზოგველი თანამედროვე ტექნოლოგიის შექმნა და საქართველოში ფართოდ დაწერვა.

**3.4.** სსფ თანმიმდევრულად იბრძვის საქ.-ს ტერიტორიაზე მისი ბუნებისა და ეკონომიკისათვის შეუფერებელ გიგანტურ მშენებლობათა, განსაკუთრებით წყალსაცავთა წინააღმდეგ. იგი მომხრეა მხოლოდ ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური საქმიანობის, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის საქ.-ს ბუნებას და

\*\*\*\*\*  
მოსახლეობას და ხელს შეუწყობს ჩესპუბლიკის ეკონომიკური უნდა  
ცხოვრების პარმონიზაციას.



**3.5.** სსფ იბრძვის ამიერკავკასიის გამოცხადებისათვის უბი-  
რთვო და დემილიტარიზებულ ზონად.

**3.6.** უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის პასუხის-  
მგებლობა ბუნების მოსპობისათვის, გაძლიერდეს პასუხისმგებ-  
ლობა ბუნების დაცვაზე კანონთა დარღვევისათვის.

**3.7.** საქ.-ს სახალხო ფრონტის მუდმივ საზრუნავად უნდა  
გახდეს სატრანსპორტო ქსელის (საავტომობილო, სარკინიგზო,  
საბაგირო და სხვა სახის გზებისა და მაგისტრალების) განვი-  
თარება და სრულ ქმნა, საქართველოს ეკოლოგიური, ეკონომიკ-  
ური და ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

#### 4. დ ე მ თ გ რ ა ფ ი უ ლ ს ფ ე რ ი შ ი:

**4.1.** სსფ გადაუდებელ ამოცანად თვლის მეცნიერულად დასა-  
ბუთებული დემოგრაფიული კონცეფციის დამუშავებას, რომლის  
მიზანი იქნება საქ.-ს ინტერესების შესაბამისად მისი დემო-  
გრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.  
ამგვარი პოლიტიკის ყველა მხარის განსაზღვრა მხოლოდ და  
მხოლოდ საქ.-ს საზოგადოებისა და ხელისუფლების კომპეტენ-  
ციაში უნდა შედიოდეს.

**4.2.** სსფ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურბანიზაციისა და  
მიგრაციის პროცესების ჩაგულირებას და მართვას, დაუშვებლ-  
ად მიაჩნია თბილისის შემდგომი პიპერტროფიული ზრდა და  
თვლის, რომ მთავარი ყურადღება მცირე და საშუალო ქალა-  
ქების განვითარებას უნდა მიექცეს. უნდა გატარდეს ქმედიოთი  
ზომები სოფლის მოსახლეობის ადგილზე დაკავების და დაცა-  
რიელებული სოფლების აღდგენის მიზნით. სოფლის მოსახლეობ-  
ას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებე-  
ბის მაქსიმალური დაკავყოფილების პირობები უნდა ჰქონდეს.

**4.3.** სსფ თვლის, რომ სხვა ჩესპუბლიკის მცხოვრებთა სა-  
ქართველოში მიგრაციის ასევე ჩესპუბლიკის რეგულირება  
მთლიანად საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში უნდა



შედიოდეს.

**4.4.** სსფ უნდა ზრუნავდეს საქართველოდან განთესილი ქართველი მოსახლეობის რეპატრიაციაზე.

**4.5.** სსფ -ს გადაუდებელ იმოცანად მიაჩნია საქართველოსგან მოწყვეტილ ქართულ ტერიტორიაზე (აღმ. კახეთი და სხვა) მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ინტერესების დაცვა და მათზე ზრუნვა.

**4.6.** უნდა შემუშავდეს მიწათსარჯებლობის და მიწათმფლობელობის ისეთი პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ხელს შეუწყობს საქართველოს ეთნოდემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას.

## 5. კულტურის, განათლების, მეცნიერების და რელიგიის სფეროში

**5.1.** სსფ თავის მოვალეობად თვლის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ხელშეწყობას, საზოგადოებრივი ცხოვრების გველა სფეროში თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევა-თა დანერგვას. ამავე დროს სსფ აღიარებს მეცნიერების, განათლების და კულტურის სფეროში სოციალურ-ტექნიკური პროგრესის ჰუმანიტარული კრიტერიუმებისადმი დამორჩილების აუცილებლობას.

**5.2.** სსფ ზრუნავს სრულიად საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი უფლებების სრული აღდგენისათვის, ახალი რელიგიური კანონმდებლობის შექმნისათვის, საეკლესიო იურისდიქციისა და საკათალიკოსო საბჭოს აღდგენისათვის.

**5.3.** სსფ სასურველად მიიჩნევს საქართველოს მოქალაქეთა რელიგიური უფლებების დაცვას, საშუალო სკოლაში საღვთო სჯულის სწავლებას (ნებაყოფლობით), საკვირაო სკოლების ორგანიზებას, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში საკიროდ თვლის ათეიზმის ნაცვლად რელიგიის ისტორიის და ღვთისმეტყველობის კურსების შემოღებას – საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ ფაკულტეტებზე ფაკულტატურად, ჰუმანიტარულზე კი სავალდებულოდ.

- 5.4.** საქართველომ რეალურად უნდა განახორციელოს კულტურული სუვერენიტეტი კულტურის, განათლების და მეცნიერებების კვლევის წარმართვაში. იგი უნდა თვითონ აყალიბებდეს სას-წავლო პროგრამებს, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების სტრუქტურას. ყველა სახის სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭება რესპუბლიკის ფარგლებში უნდა ხდებოდეს. საქართველო დამოუკიდებლად უნდა წყვეტდეს საერთაშორისო კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის საკითხს.
- 5.5.** სსფ მიუღებლად მიიჩნევს სახელმწიფოებრივ და უფლებრივ მონაბოლიას კულტურის სფეროში, მხარს უჭერს თავის-უფალ შემოქმედებას და შემოქმედებითი განვითარების პლიურალიზმს.
- 5.6.** სსფ მხარს უჭერს საქართველოში დამოუკიდებელი ეროვნულ-სპორტული ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ოლიმპიური მოძრაობის ჩამოყალიბებას. საქ.-ს სპორტული ორგანიზაციები უშუალოდ საქართველოს სახელით უნდა იღებლნენ მონაწილეობას საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაში.
- 5.7.** სსფ მიიჩნევს, რომ ქართული კულტურის ნორმალური ფუნქციონირებისათვის და განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ქართული ენა სავალდებულო ენა იყოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში.
- 5.8.** სსფ იბრძვის საქ.-ს ახალგაზრდობისათვის დასავლეთის კულტურული და სამეცნიერო ცენტრებისაკენ გზის გასახ-ნელად.
- 5.9.** სსფ თვლის, რომ ყოველი ხალხი ან ეთნიკური ჯგუფი და კულტურული ერთობა უნიკალური ღირებულების მქონე ფენომენს წარმოადგენს.
- 5.10.** სსფ აუცილებლად მიიჩნევს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურების კავშირების შემდგომ განვითარებას და მათი ინტერესების დაცვას, იღწვის ქართული კულტურის პროპაგანდისათვის, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ.
- 5.11.** სსფ ზრუნავს ქართული კულტურის ძეგლებზე, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გაჩეთ.

## ს. ს. ფრონტის გამგეობა



საქ.-ს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1989 წლის 21 - 25 ივნისს, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ყრილობამ ცხარე კამათის შემდეგ მიიღო სახალხო ფრონტის წესდება და პროგრამა, აირჩია მმართველი ორგანო გამგეობა და სარევიზიო კომისია. ყრილობამ აირჩია სსფ -ის გამგეობაში 32 კაცი. მოგვიანებით ბ-ნი ალექსანდრე ჯავახიშვილი საქუთარი განცხადებით გამოვიდა გამგეობის შემადგენლობიდან და ამრიგად სსფ -ს პერიოდულ ორგანო „საქართველო“ -ს № 1 -ის (21. X. 1989 ) მიხედვით გამგეობის წევრები იყვენ: ნაირა გელაშვილი, შალვა წიწუაშვილი, ელდარ შენგალაია, სოლომონ ხუციშვილი, თამაზ გამყრელიძე, შოთა ნადირაშვილი, დათო ტურაშვილი, ადა მარშანია, კობა იმედაშვილი, ლანა ლოლობერიძე, ავთანდილ იმნაძე, მერაბ მამარდაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, რეზო ჩხეიძე, როინ თაქთაძე, დავით ბერძენიშვილი, ნიკო ჭავჭავაძე, გიორგი მარჯანიშვილი, ზურაბ კიკნაძე, გურამ ყორანანაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ გეგეშიძე, გია ბუღლაძე, აბესალომ ტუღუში, გოჩა გაგაშელი, თემურ გოქსაძე, თამაზ შავგულიძე, ციალა სვანიძე, ნოდარ წულეისკირი, მამა როსტომი (ლორთქიფანიძე), გურამ პეტრიაშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრები: ჯამბაკურ ბაქრაძე, (თავმჯდომარე), რობერტ პეტრიაშვილი, იზოლდა ჭილაძე, დათო ადეგიშვილი, რომან გოცირიძე, რეზო ესაძე, კობა არაბული, თენგიზ კიკაჩიევშვილი.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ – ნოდარ ნათაძე.

\*\*\*

სსფ -ს გამგეობის დეპარატი  
(შემოკლებით)

ქვემო ქართლის რაიონებში( მარნეული, ბოლნისი, ღმანისი) გრძელდება დაძაბულობა. აზერბაიჯანელები, რომლებიც რუსეთის ანტიქართული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად (1800-იან წლებიდან 1917 წლამდე), საბჭოთა პერიოდში სოფლიად შექმნილი ხელოვნური სოციალური-ეკონომიკური სტრუქტურის

მოქმედების შედეგად, ამ რაიონთა სათავეში ჯერ უკრძალებული რებული ქართველი აღმინისტრაციის დაყენების შედეგზე, მცხოვრილი გრძელების შედეგად, მუსლიმანი მოსახლეობის გამრავლების მაღალი ტემპის შედეგ-ად და, განსაკუთრებით, მოსაზღვრე აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან მოსახლეობის უკანონოდ შემოსვლისა და დამკვიდრების შედეგად, აქ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენ (მათ შორის მარნეულის რაონბში 70%),

აღჭურვილნი არიან საბრძოლო იარაღით და თავს ესხმიან ქართულ სოფლებს, მოსახლეობის დახოცვის ან აყრის მიზნით. რამდენადაც ვიცით, გრძელდება აზერბაიჯანიდან იარაღის შემოტანა და შეიარაღებული რაზმელების ფარული შემოღწევა. განსაკუთრებით აქტიურნი არიან ანტიქართულ აქციებში ის აზერბაიჯანელი ლოოლვილები, რომლებიც სომხეთიდან შემოვიდენ რამდენიმე თვის წინ სომხურ-აზებაიჯანული კონფლიქტის პირობებში, მაგრამ დღემდე საქართველოდან არ გასულან (მათი რაოდენობა 7 - 8 ათასია, ჩვენი ცნობებით). ქართველი მოსახლეობა დაუცველია მათ პირისპირ, რადგანაც მას ჩამორთმეული აქვს ერთადერთი შესაძლო იარაღი - გლუვლულიანი სანადირო თოფები საქ.-ს სსრ მინისტრთა საბჭოს ა. წ. 4 აპრილის გადაწყვეტილებით. ამჟამად ხსენებულ რაიონებში იმყოფება მილიციის დიდი ძალები, რისთვისაც საჭირო გახდა ამ ძალების გამოყვანა თბილისიდან და საქ.-ს სხვა რაიონებიდან. დღეს მილიცია აკონტროლებს მდგომარეობას იმ მხრივ, რომ ძალმომრეობას უკვე რამდენიმე დღეა ადგილი არ ჰქონია, მაგრამ იგი ვერ ფლობს მდგომარეობას იმდენად, ან არ ცდილობს დაეუფლოს მას იმდენად, რომ აზერბაიჯანულ მოსახლეობაში საბრძოლო იარაღის ამოღება შეძლოს ან აზებაიჯანელი მოსახლეობის მიერ ღამ-ღამობით საავტომობილო გზების ჩახერგვა აღვეთოს. სამწუხაროდ, განცვიფრებას იწვევს ხელისუფალთა მოქმედება, რომლებიც კვლავ უშვებენ სამუშაოდ აზერბაიჯანული ეროვნების მდლოლებს დიდ თვითმცლელებზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მოსახლეობაზე თავდასხმისას, კრიტიკულ ღამეებში ეს თვითმცლელები გამოყენებული იყო როგორც იარაღი. უფრო მეტიც, ქ. ბოლნისში სამუშაოზე აღადგინეს ამგვარი მანქანების აზერბაიჯანელი მდლოლე-

ბი, რომლებმაც რამდენიმე დღის შინად მიატოვეს საქართველოს და მაშასადამე, კანონის მიხედვით მოხსნას იმსახურებლნენ.

ქართველი მოსახლეობა ჯერჯერობით სრულ შესიერებას იცავს. სსფ-ის გამგეობას მიაჩნია, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის შეიარაღებული გამოსვლა აგრესიული ანტიქართული მოთხოვნით (ავტონომიის შექმნა იმ რაიონთაგან, სადაც აზერბაიჯანელები უმრავლესობას შეადგენენ, ქართველების გასახლება ამ რაიონებიდან და სხვა) ერთი მხრივ, ისლამის ორგანიზებული აღორძინების და მათან საბჭოთა კავშირის დამეგობრების პოლიტიკის გამოვლინებაა (რაზეც მეტყველებს მიმდინარე დაახლოება ირანთან), მეორე მხრივ, პანთურქიზმისა (რასაც მოწმობს მარნეულში საჩქევად გამოსული ბრძოს მიერთურქული დროშების აღმართვა). ამ მოძრაობის დღეს საქართველოში ამოქმედების ერთ-ერთი ძირითადი შარმშართველი ფაქტორია იმ ძალების გავლენაც, რომლებიც დღეს საბჭ. კავშირში ეროვნებათშორისი კონფლიქტების შექმნას ესწრაფვიან, კოლონიური ბატონობის განმტკიცების მიზნით. კერძოდ, საქართველოში ამ ვითარების შექმნა ერთ-ერთი რგოლია ანტიქართულ ქმედებათა იმ ჯაჭვისა, რომელიც აფხაზეთის ასრული აფხაზების ანტიქართული გამოსვლებში, ცხინვალის ოლქში ისების ანტიქართულ გამოსვლებსა და ფერგანაში ორგანიზებულ ჟღერტვი ვლინდება. მარნეულის, ბოლნისისა და ლანისის რაიონებში ორგანიზებული გენოციდის მცდელობის ერთ-ერთი ფაქტორი, სავარაუდოა, არის სამხედრო უწყების ნებაც, რომელსაც განზრახული აქვს ქართველ ერში ახალი მსხვერპლის გამოწვევა და თითქოსდა ეროვნებათშორისი კონფლიქტით ანტიქართული რეპრესიების გამართლება.

განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს პრესაში ზემოხსენებული მოვლენები შუქდება, როგორც ორმხრივი კონფლიქტი, როგორც ეროვნებათშორისი ინტერესების შეჯახბა, მაშინ, როცა სინამდვილეში ეს არის საცხებით ცალმხრივი აქცია – ქართველ მოსახლეობაზე აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინასწარგანზრახული შეიარაღებული თავდასხმის აქცია.

(...)

ს. ს. ფ რ თ ნ ტ ი ს უ შ უ ა ლ ა ა მ თ ც ა ნ ე ბ ი გ ვ ე ლ ი ს პ ა ნ დ ე ბ ი გ ვ ე ლ ი

საქ.—ს სახალხო ფრონტმა მძიმე ვითარებაში დაიწყო თავისი საქმიანობა. ჯერ დამფუძნებელი ყრილობა დამთავრებული არ იყო, ქვემო ქართლში რომ გარედან ინსპირირებული ანტი-ქართული გამოსვლები მოაწყვეს, რომლებსაც ორიოდე დღეში მოჰყვა საბრძოლო იარაღით აღჭურვილი არაქართული ბანდების თავდასხმები მძინარე ქართველ მოსახლეობაზე. ორიოდე კვირის შემდეგ ამგვარივე აქციები დაიწყო აფხაზეთში, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. მოსალოდნელია ამგვარივე აქციების განმეორება სხვაგანაც. 9 აპრილიდან გახშირდა და გრძელდება ქართველი ჯარისკაცების ეროვნული შეურაცხყოფა და მკვლელობაც კი სამხედრო ნაწილებში, რასაც ერთ-ერთ მიზეზად აქვს ამ უკანასკნელ თვეებში ფართოდ გაშლილი ცილისმწამებლური ანტიქართული კამპანია რუსეთის პრესაში. ვაჟა ფშაველას თქმისა არ იყოს, საქართველო მტრიანია და, შესაბამისად, საშიშროებაც მრავალი მოელის. ყველა ეს საშიშროება მოითხოვს სათანადო გაზომილ-აწონილ პასუხს ჩვენი სამშობლოს ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალის, მათ შორის სახალხო ფრონტის მხრიდან – პასუხს არა მხოლოდ წამიერს, არამედ ისეთს, რომელსაც წლების შრომა და ბრძოლა სჭირდება.

მიუხედავად ამისა, სახალხო ფრონტი ვერ მოაკლებს ყურადღებას თავისი პოზიტიური საპროგრამო ამოცანების გადაჭრასაც, მაგალითად შემდეგს:

საჭიროა დაუყოვნებელი ზომების მიღება ქართული სოფლის გაჯანსაღებისათვის. „ჩავი წახდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა“, – თქვა პოეტმა ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნეში; დღეს საქართველოს დაძაბუნება პირველ ჩიგში ქართული სოფლის დაძაბუნებაა. სოფლად საქ.—ს სახ. ფრონტის პროგრამა ორმხრივია: ჯერ ერთი, რეალურად უნდა აღიკვეთოს მიწის დატაცება, უფრო ზუსტად – დამნაშავე ელემენტების მიერ მიწის გაყიდვა, რისი შემთხვევებიც მრავალი ათასი გვაქვს. მეორეც, იმ სოფლებში, რომლებსაც დაცლის საშიშროება ელის (ასეთი კი, მოგეხსენებათ, ჩვენ სოფელთა უმეტესობა), მიწის კუთვნილი ნაკვეთი უნდა მიეცეს ყველას, ვისაც

\*\*\*\*\*

კი საამისოდ ოდნავი უფლება აქვს. უნდა მიეცეს უშუალო გერმანიული ად და უკონომიოდ, თუნდაც ამისათვის კოლმეურჩეობის ად მეურნეობის მთელი სავარგულის დარიგება გაზდეს საჭირო, რადგანაც ქართულ მიწას იმაზე უფრო საპატიო და მნიშვნელოვანი დანიშნულება არა აქვს რა, ვიდრე ქართველი გლეხის ოჯახის გამოკვება. სახალხო ფრონტის დამოკიდებულება მფიციალური ინსტანციებისადმი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ეს უკანასკნელი ამ ამოცანის გადაჭრას.

გარდა ამისა, საჭიროა ფორმის გამონახვა საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისათვის სამართალდამცველი ორგანოების მუშაობაზე, რათა აღიკვეთოს კანონის სახელით განუკითხავი ძალადობა მოქალაქეზე; საჭიროა ქმედითი საზოგადოებრივი კონტროლი თბილისა და სხვა ქალაქებში ბინების განაწილებაზე, რადგანაც ჩვენი ხალხისთვის, რომელიც, სამწუხაოდ, სასურველ ნორმაზე მეტადაა ურბანიზებული, უბინაობა ნორმალური დემოგრაფიული წინსვლის ხელშემშლელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ყველამ ვიცით, რა უწყალოდ ისპობა, იძარცვება, ითრგუნება საქართველოს ბუნება. საჭიროა ქმედითი მექანიზმების პოვნა და გამოყენება, რათა აღიკვეთოს ის მშენებლობები და სხვა ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც ჩვენს ბუნებას ვნებს, არააღდგენადი ნედლეულის გატანის ჩათვლით, და განხორციელდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ბუნებას რეგებს; საჭიროა ძირეული გარდატეხის მიღწევა განათლების სისტემაში, რაც ამ სისტემის მთელი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლასთან ერთად სოფლის მას-წავლებლის მდგომარეობის კარდინალურ შეცვლასაც მოითხოვს;

საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნა, რათა განხორციელდეს ადამიანის ერთ-ერთი ძირეული უფლება – სამხედრო ვალდებულების მოხდა თავის სამშობლოში და თავისი სამშობლოს წინაშე – და რათა საქართველოს შეეძლოს თავის დაცვა, როდესაც ყველა, ვისაც არ ეზარება, ავტომატს სტაციებს ხელს და ქართველ მოსახლეობას ცეცხლს უხსნის, ქართველები რატომ ხართო.

დიახ, ყოველივე ეს საჭიროა და კიდევ ბევრი სხვაც რამ. ჩვენი დღევანდელი ცხოვრება იმგვარია, რომ სადაც არ უნდა

მოჩიჩქნოთ, უფრო და უფრო ღრმა სოციალურსა და ურთიერთულ წყლულებს აღმოაჩენ; ამ წყლულთა გამრთელება ჰქონდა მარტის ზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო ფრონტის ამოცანაა. მაგრამ ბუნებრივია კითხვა: ზველი წყლული გამოელდება არსებულ პირობებში? უკავშირო ეკურნება ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს უქონლობაში? რა თქმა უნდა, ყველას ვერ ეკურნება. იმ ფასეულობათა არც თუ გრძელ ჩამონათვალში, რომლებიც პიროვნებასაც და ერსაც სხვა ყოველივეზე უფრო მეტად უღირს – თავისულება, პური და სამართალი – თავისუფლება, ალბათ, არა მხოლოდ ზნეობრივადაა პირველი, არამედ პრაქტიკულადაც. თუ ეროვნული თავისუფლება არა გაქვთ, ვერც სამართალი იქნება სრულფასოვანი და ვერც მატერიალური ცხოვრება – გამართული. მოვიყვანთ მარტივ მაგალითს: საქართველო იმიტომ კი არ არის თავისუფლებას მოკლებული, რომ ღარიბია და თავს ვერ იჩენს (ამას ხშირად გვეცნებიან ხოლმე საქ.-ს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი), არამედ პირუკუ: საქართველო იმიტომაა ღარიბი თავისი მოსახლეობითურთ და მისი ეკონომიკა იმიტომაა თითქმის ნოლზე დასული, რომ სახელმწიფოებრივ თავისუფლებას მოკლებულნი ვართ, ვერ გვიწარმოებია ის, რაც გვინდა, ვერ ჩაგრთულვართ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ისე, როგორც გვინდა და როგორც ჩვენს ბუნებრივ მონაცემებს შეესაბამება, ვერ მოვგონარებია ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ისე, როგორც გვინდა. გიდვე ერთ მაგალითს მოვიყვან. ეროვნული საჯარისო ფორმირებები საჭიროა თავისუფლებისათვის. მაგრამ ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა ყოლასაც ესაჭიროება თავისუფლება. განაის, ვისაც საქ.-ს თავისუფლება არ სურს, არ შეეცდება, რომ საქ.-ს არ მოეპოებოდეს ეროვნული თავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი – ეროვნული საჯარისო ფორმირებები?

ვითარებას სხვა, უფრო ღრმა განზომილებებიც აქვს. ეროვნულ თავისუფლებასაც საერთოდ და ეროვნულ სიჯანსაღესაც ნულ თავისუფლებისათვის არსებობას (ჯანსაღი საზოგადოების არსებობას) კერძოდ ერის შეიღთა სიჯანსაღე სჭირდება. მეორეს მხრივ, საზოგადოების ზნეობრივ სიჯანსაღესაც სჭირდება ეროვნული თავისუფლება. არათავისუფალ საზოგადოებაში საერთოდ და არათავისუფალ ერში კა-

\*\*\*\*\*

ჩძოდ (მით უმეტეს—ისეთ ერში, რომელიც არც ერთგვარ გადას არა და არც სოციალურად) ითრგუნება შერვალი იწევთი უნარი, რომელიც თავისუფალი საზოგადოების შექმნას, სჭირდება. ამგვარად, ჩვენს ზნეობრივ დაცემაში დიდი წილი უძევს ჩვენს ეროვნულ არათავისუფლებას, მაგრამ თავისუფლების დაბრუნებაშიც გვიშლის ის, რომ ზნეობრივად ის არ ვართ, რაც უნდა ვიყოთ, თუმცა ჩვენს მდგომარეობაში ჩავარდნილი სხვა, შესაძლოა, ჩვენზე უფრო მეტად იქნებოდა დაცემული.

ამიტომ აზრი არა აქვს საკითხის ასე დასმას: „ჯერ გავჯანსაღდეთ, გავმაგრდეთ და მერე ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის, თუ, პირიქით, ჯერ გავნთავისუფლდეთ და ყველა დაღარჩენ პრობლემის მოგვარებაზე მერე ვითიქროთ“. ორივე პრობლემა - თავისუფლებაც და გაძლიერებაც – ჩვენთვის აქტუალურია და ორივეზე დღესვე უნდა ვიზრუნოთ. თავისუფლების მეტი და მეტი ზომაც უნდა მოვიპოვოთ დღითიდღე და ჩვენი თავიც დღითიდღე უნდა გავშვროთნათ სულიერად, ფიზიკურად და მატერიალურად თავისუფლების მოსაპოვებლად. ცხადია, თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ევოლუციური პროცესი არაა. მაგრამ თავისუფლებისათვის ერის გამოლვიძება – მით უმეტეს თავისუფლებისათვის ერის მიერ თავისი თავის გაწვრთნა – ევოლუციური პროცესია, რომელსაც ეროვნული ნების არა ერთხელობრივი, არამედ სტაბილური და ხანიერი დაძაბვა სჭირდება.

მოვიყვან კვლავ მაგალითს. „ცენტრის“ ხელიდან ჩვენი ეპონომიკის გამოხსნა დღეს ერთხელობრივი აქტით არ მოხდება. საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი ჩვენს მიწა-წყალზე მდებარე საწარმოები თითო-თითოდ უნდა დაგუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას და თითოეული მათგანის დაბრუნებით ჩვენი თავი გამარჯვების განცდას უნდა შევაჩიოთ, ეს განცდა ჩვენი ყოველდღიურობის ელემენტად უნდა ვაქციოთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი წიაღისეულისა და ბუნების ჩვენსავე საკუთრებად გამოცხადება (ეს საკუთრება ჩვენ წარმოეული კი არ გვაქვს, არა-მედ ჩუმად მოპარული გვაქვს კონსტიტუციაში ბრეუნევის მიერ განხორციელებულ ცვლილებათა შედეგად) ნაწილ-ნაწილ ვერ



მოხდება. ეს ერთხელობრივი პოლიტიკური აქტი გახდაფრთხოებული მისი განხორციელებისათვის პოლიტიკური ბრძოლა დაგრძელდა ბა.

ყველამ ვიცით, რომ კაცობრიობის მომავალი არ არის იმპერიუმის უზოვრება, როგორც ზოგს ჯერ კიდევ წარმოუდგენია. იმპერია კაცთა უზოვრების ორგანიზაციის დრომოვმული ფორმაა და იგი დიდხანს ვერ იარსებებს. ეს ისტორიული გარდაუვალობაა და ძალიან მცირედ თუ დამოკიდებული ქართველებისთანა მცირერიცხოვანი ერის ნებაზე. მაგრამ ვის რა დარჩება იმპერიათა ნაგრევებზე, ეს კი ჩვენთვის უმშვავესი და ურთულესი პრობლემაა, რომლის გადაჭრაშიც ჩვენი თავის გარდა სხვა ვერავინ მოვალეობა. ამ პრობლემის სასიკეთო გადაჭრისათვის დიახაც მრავალმხრივი ბრძოლა დაგვიძირდება. ბრძოლას, მოგეხსენებათ, მომზადება სკირდება, მრავალმხრივ ბრძოლას – მრავალმხრივი მომზადება. მაშ ვემზადოთ ჩვენი ამ პრობლემის გადაჭრისათვის საბრძოლველად თეორიულადაც (არგუმენტაციის მოპოვება და შექმნა), პრაქტიკულადაც, ეკონომიკურადაც, დემოგრაფიულადაც, პროფესიულადაც და მორალურადაც!

როგორც მკითხველს, აღბათ, მოეხსენება, სახალხო ფრონტი პაირებს ენერგიულ ბრძოლას საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებზე, რადგანაც მორჩილი და უპრინციპო უმრავლესობის ყოლა საქართველოს უმაღლეს საბჭოში აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საქართველო კვლავ ჩააბან უვალო კაბალურ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში და ჩვენს ქვეყანაში მიწისა და სამართლის გამყიდველი თანამდებობების პირები დანიშნონ. რა თქმა უნდა, საქართველოს სახალხო ფრონტმა კარგად იცის, რომ ის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება, სახელდობრ, საქ-ს ყოფნა სსრკ შემადგენლობაში ქართველი ხალხის ნების გამოხატველი კი არ არის, არამედ ძალადობის შედეგია და, ამდენად, უკანონოა ამ სტრუქტურის მიერ განსაზღვრული ყველა მოვლენაც არსებული ოფიციალური არჩევნების ჩათვლით. ცხადია, რომ ერში უნდა იყოს ვიღაცა (რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი ან ინდივიდი), ვინც ოფიციალურ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს, როგორც უკანონოს.

მაგრამ მოწოდება ქართველი მოსახლეობისადმი მთლიანად, რომ „ბოიკოტი გაეწიოს მთლიანად არჩევნებს“, სახალხო, რომებიც და ახლოებით ისეთსავი უაზრობად მიაჩინია, როგორც მოწოდება: „არ იხმაროთ საბჭოთა ტყვიები“ იმ შემთხვევაში, თუ საქ-ში სამოქალაქო ომი ატყდა და ჩვენი თავის დაცვა დაგვჭირდა...

ნ თ დ ა რ ნ ა თ ა ძ ე,

სსფ -ს გამგეობის თავმჯდომარე

\*) ბოლო ნაწილის შეკვეცით, გადმობეჭდილია: სსფ -ს ორგანო „საქართველო №1“ -დან.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### რ ა ს ვ ა პ ი რ ე ბ თ

რასაც ქვემოდ მოგახსენებთ ჩემი კერძო შეხედულებაა. თუ იგი გაზიარებული იქნება რუსთაველის საზოგადოების მიერ, მაშინ მიიღებს პროგრამის სახეს და ჩვენს საქმიანობას საფუძვლად დაედება.

ა კ ა კ ი ბ ა ქ რ ა ძ ე

წლეულს, 18 მარტს (იგულისხმება 1989. გუშაგი), როცა რუსთაველის საზოგადოების თავმჯ - ედ ამირჩიეს, ყრილობის დელეგატებმა მომთხოვეს – რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩემს პროგრამაზე: როგორ და რანაირად წარმომიდგენია მომავალი მუშაობა-საქმიანობა. მაშინ ოპერის თეატრში თავშეყრილ ხალხს შეეპირდი, წერილობით გამოვაჭვეყნებ-მეთქვი ჩემს შეხედულებას რუსთაველის საზოგადოების პროგრამაზე. ახლა ამ დაპირებას ვასრულებ.

მართალია, რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, მაგრამ ხალხმა მას გაცილებით ფართო მოთხოვნილება წაუყენა. ვრცელი შინაარსი მიანიჭა. ვინ არ მოდის ახლა რუსთაველის საზოგადოებაში და რისთვის არ მოდიან. მოდიან უმიწაწყლონი და მიწაწყალს ითხოვენ, მოდიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელთა ალაგმვას ითხოვენ, მოდიან შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი და ლირსების აღდგენა-დაცვას ითხოვენ, მოდიან უსამართლოდ გაწამებულნი და სამართალს ითხოვენ, მოდიან საქართველოს ბედ-

იღბლით აღელვებულნი და ჩვენი მამულის მოვლა-პატრიოტულის ითხოვენ. ერთი სიტყვით, არ არის პრობლემა, რომ საზოგადოების რუსთაველის საზოგადოებას არ მიმართავს ხალხი.

რუსთაველის საზოგადოებას არა თუ ამ უთვალავი პრობლემის მოვგარება არ ძალუდს, არამედ არ შეუძლია მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემაც კი. დღესდღობით რუსთაველის საზოგადოებას ამის არც იურიდიული უფლება აქვს და არც მატერიალური ძალონე შესწევს. ეს ასეა, მაგრამ ხალხს ეს არ სჯერა. ხალხს უნდა, რომ რუსთაველის საზოგადოებამ საქართველოსა და ქართველი ერის პატრიონბა ითავოს. თუ რუსთაველის საზოგადოებამ ეს ვერ მოახერხა, მას დაეკარგება ყოველგვარი ავტორიტეტი ხალხის თვალში. დაემსგავსება იმ უფერულ და ულიმლაშო საზოგადოებებს, რომელნიც ყოველთვის უხვად აჩსებობდნენ როგორც საქართველოში, ისე მთელ სსრკ-ში და არაფრის მაქნისნი იყვნენ.

ამიტომ, ხალხის მოთხოვნილებისამებრ, რუსთაველის საზოგადოება ყოველ ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში უნდა მონაწილეობდეს სრულიად ნათლად და მკაფიოდ გამოხატული პოზიციით. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეს პოზიცია? კარგად მოგეხსენებათ, რუსთაველის საზოგადოებას ეწოდება: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება. ჩემი აზრით, უნდა განვმარტოთ, რა იგულისხმება სიტყვაში – სრულიად. 1903 წელს, როცა არჩილ ჯორჯაძე განსაზღვრავდა – რა არის საქართველო, – ამბობდა: ... მომავალი საქ.-ს ტერიტორია უნდა იყოს აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი (რაჭა-ლეჩხუმითურთ), ლაზისტანის ნაწილი, ძველი სამცხე-საათაბაგო (აჭარა აქ შედის) და ჯავახეთი, ქართლი, მთიულეთი, ხევი, სომხეთი (ანუ დღევანდელი ბოლნის-დმანისის რაიონები), კახეთი, თუშ-უშავ-ხევსურეთი, საინგილო. ამ განმარტების შასაბამისად, სრულიად საქართველოში იგულისხმება აწინდელი საქ.-ს სსრ და ის ტერიტორიაც, რომელიც ამჟამად არ ეკუთვნის ჩვენს ქვეყანას – საინგილო (აზერბაიჯანის სსრ-ში) და ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი (თურქეთში). რუსთაველის საზოგადოების საქმიანობამ ზემორე მოხსენებული ტერიტორია უნდა მოიცეს. ამასთან ერთად ყურადღება არ უნდა მოაკლოს იმ ქართველობასაც, რომელიც სხვადასხვა მი-

ზეზთა გამო საქართველოს გარეთ ცხოვრობს, სპარსულურკულებინიდანი) იქნება ეს, ევროპა თუ სსრკ -ის რაგინდარებულებულების სხვაგვარად რუსთაველის საზოგადოება ვერ გაამართლებს სახ- ელშოდებას – სრულიად საქართველოს...

როგორც სრულიად საქართველოში, ისე მთელ კავკასიაში რუ- სთაველის საზოგადოება საქმიანობს ხალხთა ძმობის იდეით, რო- მელიც ჯერ კიდევ **XI** საუკუნეში ჩამოაყალიბა რუსის ეპის- კოპოსმა ლეონტი მროველმა: კავკასიის ხალხებს ერთი წინა- პარი ჰყავთ. ისინი ძმები არიან. მაგრამ ძმობა მაშინ მოხერ- ხდება, როცა ძმებმა იციან – ვის ეკუთვნის და როგორი დამ- კიდებულება უნდა იყოს მათ შორის, ძალუბთ ურთიერთპატი- ვისცემა მაშინაც, როცა ერთმანეთს ედავებიან ( დევიზი: პატი- ვს ვცემთ იმას, ვინც ჩვენც ვცემს პატივს!). ხელეწიფებათ საერთო აზრის გამოტანა განსხვავებულ აზრთაგან.

ქართველი ხალხი ყველა დროში და ყოველგვარ პირობებში იბ- როდა ეროვნული თავისუფლებისა და ლირსებისათვის. მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ სამი პრინციპი წამოაყენა – ენა, მამული, სარწმუნოება. მე-20 ასწლეულის დასაწყისში არჩილ ჯორჯაძემ კიდევ სამი დაამატა – სახელმწიფოებრიობა, დემო- კრატიზმი, ტერიტორია. რუსთაველის საზოგადოება იზიარებს ექვსივეს და უმატებს მეშვიდეს – დამოუკიდებლობა.

როგორც ცნობილია, **1900** წლის 7 მაისს საქ.-სა და რუსეთს შორის დაიღო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც რუსეთმა სც- ნო საქ.-ს სრული დამოუკიდებლობა. რუსეთმა უარი თქვა ყო- ველივე პრეტენზიაზე საქართველოს მიმართ. ხელშეკრულებაში წერია: „ემყარება რა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ აღიარებულ ყველა ხალხის თავისუ- ფალი თვითგამორვევის უფლებას, დამთავრებული სრული გამო- ყოფით იმ სახელმწიფოსაგან, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, რუ- სეთი ცნობს ურეზერვოდ საქ.-ს სახელმწიფოს დამოუკიდებლო- ბას და სუვერენიბას და სრული ნებით უარს ამბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნილა რუსეთს ქარ- თველი ხალხისა და მისი ტერიტორიის მიმართ“.

**1921** წლის თებერვალ-მარტში ეს ხელშეკრულება ვერაგულად დაირღვა, საქართველოში შემოიჭრა წითელი არმია და დაიპ- ყრო ჩვენი ქვეყანა. **1921** წლის თებერვალში საბჭოთა რუსე-

თს დემოკრატიული საქართველოსათვის ომი არ გამოუცხადებია. ამის საფუძველი მას არ ჰქონია. ომის გამოცხადების დროს კუმენტი არ არსებობს. დემოკრატიული საქ.-ს მთავრობას საბჭოთა მთავრობისათვის დახმარება არ უთხოვია. არც მისი საფუძველი არ არსებობდა. არც ღოკუმენტი იპოვება საღმე. არც საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ხალხს უთხოვნია ვინმესთვის დახმარება, არც ამის ფაქტი და ღოკუმენტი არსებობს.

დამოუკიდებელ ქვეყანაში უცხო ჯარის შემოყვანა ნიშნავს, ერთი მხრივ, ხელშეკრულების გერაგულად დარღვევას, ხოლო მეორე მხრივ, აშკარა ანექსიას. ვინ ჩაიდინა ეს?

თუ ეს ჩაიდინა ავანტიურისტთა ჯგუფმა, საბჭოთა მთავრობის უკითხავად, მაშინ დღევანდები რუსეთის ზნეობრივი ვალია, ამხილოს ავანტიურისტები, დაგმოს მათი საქციელი, პატივი სცეს ლენინის მთავრობის მიერ დადებულ ხელშეკრულებას, ხელი შეუწყოს მის აღდგენას. თუ დღევანდები რუსეთი იბრძვის სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად, თუ მიმდინარეობს უსამართლოდ და უსაფუძვლოდ რეპრესირებულ ადამიანთა რეაბილიტაცია, მაშინ მით უფრო უნდა მოხდეს უსაფუძვლოდ და უსამართლოდ დასჯილი ერის რეაბილიტაცია. ეს იქნება, აგრეთვე, მომავალი სამართლებრივი სახელმწიფოს სამართლიანი აქტი. მით უმეტეს, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება იურიდიულად დღესაც „ცოცხალია“, იგი არ გაუუქმებია და ბათილად არ გამოუცხადებია არც საქ-ს პარლამენტს და არც რუსეთისას. იურიდიულად „ცოცხალი“ ღოკუმენტი ფაქტიურად უნდა „გაცოცხლდეს“.

თუ ავანტიურისტთა ჯგუფი არაფერ შუაშია და საქ.-ს დაპყრობა 1921 წლის თებერვალ-მარტში მოხდა საბჭოთა რუსეთის მთავრობის საიდუმლო ნებართვითა და განკარგულებით, მაშინ აღიარებული უნდა იქნეს, თვით მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით გაუგონარი ბოროტება: ერთმა, დიდმა, სოციალისტურმა სახელმწიფომ დაიპყრო მეორე, პატარა სოციალისტური სახელმწიფო. 1918 - 21 წლებში საქ.-ო იყო სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც სოციალისტური მთავრობა ედგა სათავეში (დემოკრატიული საქართველოს ბურჟუაზიულობა დაქირავებული ცრუ პროპაგანდისტებისა და ისტორიკოსების

\*\*\*\*\*

მოგონილია). თუ 1921 წლის თებერვალ-მარტის აქციისათვის პასუხისმგებელია საბჭოთა რუსეთის მთავრობა, მაშინ მზრდებული უნდა იქნეს ლენინიც, როგორც დამპყრობელი, და „შევიღობის დეკრეტიც“, როგორც თვალობა და ტყუილი.

ეს საკითხები ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს. ეს უნდა გააკეთოს თავად რუსეთმა, თუ მას სურს სამართლებრივ და ზნეობრივ სახელმწიფოდ გამოიყენებოდეს არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის თვალში.

ჩაით 1920 წლის ხელშეკრულება, დადებული დემოკრატიულ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის, ქართველ ხალხს ანიჭებს ყველა იმ უფლებას, რაც აქვს ყველა თავისუფალ და დამოუკიდებელ ერს, რუსთაველის საზოგადოება თავის უპირველეს მოვალეობად თვლის იშრომოს და იბრძოლოს ამ ხელშეძრულების აღდგენა-ჩეაბილიტაციისათვის, ცხოვრებაში მისი რეალური განხორციელებისათვის.

ყოველი სახელმწიფოსათვის გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მმართველობის ფორმასა და ეკონომიკურ სისტემას.

კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ პოლიტიკური მმართველობის ყველა ფორმის შორის ყველაზე სრულყოფილი მაინც დემოკრატიული არის. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატია ოლხოკრატიაში არ უნდა ავურიოთ. ამგვარი აღრევა უაღრესად საშიშია. ჩა დასამარია და, არც საქართველოს და არც რუსეთს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოცდილება არა აქვთ. საქ.-მ თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებით ისე იცხოვრა, რომ მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის 25 თებერვლი მდე ეზიარა დემოკრატიას. რუსეთში კიდევ უფრო მცირე ხანს იყო დემოკრატია: 1917 წლის თებერვლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. ცხადია, დროის ამ პარაზინა მონაკვეთში დემოკრატიის სწავლა შეუძლებელი იყო. ამიტომ აუცილებელია თავგამეტებული მუშაობა და სწავლა, რომ დემოკრატიის გადგეთილები ავითვისოთ, ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება გამოვიყენოთ. ის ვისწავლოთ, რისი სწავლის საშუალება ჩვენმა ავგედითმა ისტორიამ არ მოგვცა. ამ საქმეში რუსთაველის საზოგადოებამ უპირველესი როლი უნდა შეასრულოს. აქ მე ვგულისხმობ არა მარტო

თეორიულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, რამედ პრაქტიკულ მოღვაწეობასაც. კერძოდ რას?

მმართველობის დემოკრატიული სისტემა წარმოუდგენელია ოპოზიციური პარტიის თვინიერ. მმართველობის ერთპარტიული სისტემა მხოლოდ დიქტატურაა. ამის გვერდით არსებობს მეორე საშიშროებაც: თუ მმართველობის ერთპარტიულმა სისტემამ დაკარგა ძალაუფლება და დასუსტდა, იგი მექანიკურად გადადის ოლხოკრატიაში, რაც ბევრად უფრო სახითათოა დიქტატურაზე. თუ დიქტატურის დროს გამორიცხული არ არის გონიერება, ოლხოკრატიის უამს იგი სრულებით არ არსებობს.

დიქტატორთა შორის ყოფილან გონიერნი, ჭორსმჭვრეტელი ადამიანები (ამის საუკეთესო ნიმუშია იულიუს კაისარი). ოლხოკრატიის ბატონობისას კი მხოლოდ უგუნურება მდგინგარებს, რადგან ლიანგს (მასას) ჭკუა არა აქვს. გონი, ჭკუა მხოლოდ ინდივიდს აქვს. თუ ოლხოკრატიის დროს უფორმო და უსახო მასა ბატონობს, დემოკრატიის უამს ინდივიდთა კრებული მართავს ქვეყანას. დემოკრატია ანთავისუფლებს ინდივიდს ჩიროვნების ავტოკრატიული, ისე ლიანგის კოლექტიური ძალადობისა და თვითნებობისაგან. მხოლოდ თავისუფალ პიროვნებებს, ურთიერთშეთანხმების გზით, შეუძლიათ ატარონ ქვეყანა გამარჯვებისაკენ.

ყოველგვარი შემოქმედება (და სახელმწიფოს მართვაც შემოქმედებაა) გულისხმობს ორგანიზებას. ღმერთმა სამყარო მაშინ შექმნა, როცა ქაოსისაგან ორგანიზებული სისტემა ჩამოაყალიბა. მწერალი სიტყვების ქაოსისაგან ქმნის ორგანიზებულ სისტემას მხატვრული ნაწარმოების სახით და ასე შემდეგ. პოლიტიკოსიც მაშინდა შემოქმედი, როცა ერის დაშლილ-დაფანტულ ფენებს ჩამოაყალიბებს მთლიან, პარმონიულ, ორგანიზებულ საზოგადოებად. ამასთან, საზოგადოების არც ერთ წევრს არ დაუკარგავს ინდივიდუალობას, დამოუკიდებელ სახეს. სწორედ ინდივიდუალობის, დამოუკიდებელი სახის შესანარჩუნებლად არის აუცილებელი ოპოზიციური პარტია, საერთოდ, მრავალპარტიულობა (როცა მრავალპარტიულობაზე ვლაპარაკობ, ისიც უნდა ვთქვა, რომ ისეთ მცირერიცხოვან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა,

\*\*\*\*\*



ორ-სამ პარტიაზე მეტი არ უნდა იყოს).

მრავალპარტიული სისტემა აძლევს უფლებას ღა საშუალებებს ყოველ პიროვნებას ღიად და თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, მმართველობის დემოკრატიულ სისტემას კი ამ მრავალგვარი და მრავალფეროვანი აზრისაგან გამოაქვს საერთო დასკვნა, რაც ერის პოლიტიკურ ცხოვრებას ედება საფუძვლად.

რაკი დღევანდველი საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრებაში არ ასებობს ოპოზიციური პარტია, ეს ფუნქცია რუსთაველის საზოგადოებამ უნდა შეასრულოს. რუსთაველის საზოგადოებას უნდა ჰყავდეს თავისი დეპუტატები საქ.-ს სსრ უმაღლეს საბჭოში. ამ მიზნით საქ.-ს სსრ უმაღლეს საბჭოს მომავალ არჩევნებში რუსთაველის საზოგადოება მიიღებს, რაც შეიძლება, აქტიურ მონაწილეობას. ამ დეპუტატებმა უნდა შექმნან უმაღლეს საბჭოში ოპოზიციური ფრთა, რომელიც კონტროლს გაუწევს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას, თორემ ახლა კომპარტია თავად ნიშნავს თავისთავის კონტროლს, რაც, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ უხერხულ ვითარებას ქმნის. კონტროლმა უნდა გააკონტროლოს ის, ვინც ეს კონტროლი დანიშნა. ბუნებრივია, დანიშნული დამნიშვნელს ვერაფერს გაუბედავს, რის გამოც კონტროლი ფუნქციას კარგავს და უშედეგოა.

ყოველივე ზემორეთქმული ლიტონ სიტყვებად დარჩება, თუ არ შეიქმნა მყარი ეკონომიკური საძირკველი. მაგრამ, სანამ ვიტყოდე, როგორ წარმომიდგენია საქ.-ს მომავალი ეკონომიკური სისტემა, ერთი ამბავი უნდა გაგახსენოთ. როგორც იცით 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში ანტისოციალისტური აჯანყება მოხდა. ამ ამბოხების აქტიური მონაწილე იყო მწერალი იან პროხაზკა. ამის გამო მას საბჭოთა პრესა ლანდღავდა და დასცინოდა. იან პროხაზკამ უპასუხა რუს მწერლებს. ნუ გაგიკვირდებათ და ეს პასუხი „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაბეჭდა 1968 წლის 26 ივნისის ნომერში. ჩეხი მწერლის მაშინდელი ნათქვამი დღესაც ფრიად საყურადღებოა. მან თქვა, არც ერთი დოქტრინა არ არის წმიდათა წმიდა და იგი თავისუფლად შეიძლება ძირფესვიანად შეიცვალოს ახალი სისტემით.

მან თქვა, სოფლის მეურნეობის ამოცანაა ხალხის გამოკვება და არა დოქტრინის გამართლება.

დღეს ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სოციალზმინისტები გადაწყვიტა (ვერც გადაწყვეტს) სასურსათო პრობლემაზე 70 წლის მანძილზე სოციალზმის ჩატარების არსებობამ ცხადჰყო, რომ მან ეკონომიკური ბრძოლა კაპიტალიზმთან პირზმინდად წააგო. ეს კი გვაგალდებულებს ღრმად დავუფიქროთ და სერი-

ოზულად ვეძებოთ ხსნის გზა.

მან (იან პროხაზკამ, იგულისხმება აღბათ. გუშაგი.) თქვა, ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობა უფრო პოლანდიურსა და დანიურს უნდა ჰგავდეს, ვიდრე რუსულს.

მართლაც, ჩეხოსლოვაკია იქნება თუ საქართველო, ისე უნდა ცხოვრობდეს, ისე უნდა იყოს მდიდარი, როგორც არიან ფინეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, პოლანდია. მაგრამ ასე რომ მოხდეს, საქართველოს (როგორც ყველა სხვა ქვეყანას) ის ეკონომიკური სისტემა უნდა ჰქონდეს, რაც მას შეეფერება. მან თქვა, სოციალისტური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების უნიფიკაცია ეწინააღმდეგება ბუნებას, რომელიც მრავალფეროვანია და არა ერთფეროვანი.

ის, რაც ბუნებას ეწინააღმდეგება, ბოლოს და ბოლოს, მაინც განწირულია, მაშინ რატომლა გვინდა ანტიბუნებრივის ნაძალადევად შენარჩუნება? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, გაუმართლებელი დოქტრინა გავამართლოთ? არ მოხერხდება ეს და მსხვერპლიც ამაო იქნება! საქართველოს ეყოფა ის მსხვერპლი, რაც გაიღო, მეტი საჭირო აღარ არის. ამიტომ საქართველოც ეკონომიკაში იმ გზას უნდა დაადგეს, რასაც მისებრ პატარა ქვეყნები— პოლანდია, დანია, ნორვეგია, ფინეთი, შვეიცარია — აღვანან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვალიაროთ კერძო საკუთრების აუცილებლობა. მათ კერძო საკუთრების წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას ეკონომიკაში.

რუსთაველის საზოგადოებას გადაუდებელ და აუცილებელ საქმედ უნდა მიაჩნდეს კერძო საკუთრების აღდგენა.

კარგად მესმის, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს როგორ შეე-შინდება იმის, რაც ახლა ვთქვი. სოციალისტები, ქართველები იქნებიან თუ სხვა ერისანი, ყოველგვარ ბოროტების კერძო საკუთრებას აბრალებენ. ეს ისე გაუჯდა ხალხს ძვალსა და რბილში, რომ სხვაგვარად ვერც კი წარმოუდგენია. თუმცა, ყოველგვარი ბოროტება, რომელიც კერძო საკუთრების ღრმა არსე-



შობდა, სახელმწიფო საკუთრების პირობებშიც დარჩა, ფრენული გაზრდილი მასშტაბით. ამ მხრით არაფერი შეცვლილაშემოტკრუშება მარტო ის, რომ ღოვლათი და ბარაქა გაქრა. ამის დღნახვას და გა გებას ღრმა ეკონომიკური ცოდნა არ სჭირდება. შეიარეთ ბაზარში (ბაზარი კაპიტალისტური სექტორია) და ნახავთ, რა სიუხვეა. მერე საბჭოურ მაღაზიებშიც (ეს სოციალისტური სექტორია) შეიხედეთ და დაინახავთ რა სიცალიერეა. რატომ მოხდა ასე? ამას ახსნა-განმარტება სჭირდება. ეს საქმეც რუსთაველის საზოგადოებამ უნდა იკისროს.

შეიძლება კერძო საკუთრების აღდგენის აზრმა ქართველობა სხვა მხრივაც შეაშინოს: რა ეშველება იმ მიწაზეყალს, რაც საქართველო-ში არაქართველ მოსახლეობას უჭირავს? პასუხი ერთია: ჩვენ არავის არსაც არ მივერცებთ. არავის მშვიდობიან არსებობას არ ვემუშ რებით, მაგრამ ყველას მყაფიოდ და ცხადად ვეუბნებით: საქ.-ს სსრ ტერიტორია, მისი მიწისქვეშა და მიწისზედა სიმდიდრით, ეკუ-ვნის მხოლოდ ქართველ ხალხს და მასზე სხვას არავითარი უფლება არა აქვს. ქართველი ხალხი პატივს სცემს საქ.-ში მოსახლე ყოველი არაქართველის ლირსებას, პატიოსნებას, ქონებას, უხიფათობას, თა-ვისუფლებას, ეროვნებას, გამოხატულს ენითა და კულტურით. სამა-გიეროდ ასევე მტკიცედ მოითხოვს ყოველი არაქართველისაგან ქართ-ველი ხალხის სრული უფლებისა და საქ.-ს ტერიტორიის ხელუხლებლ-ობის აღიარებას, საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ზე-ჩვეულებების, ცხოვრების წესის, ქართული ენის პატივისცემას, გა-მოვლენილს მისი ცოდნით. კონსტიტუციის თანახმად, საქ.-ს სსრ სახ-ელმწიფო ენა ქართულია. მისი ცოდნა ყველას ევალება, ვინც საქა-რთველოში ცხოვრობს და თავს მის მოქადაცედ თვლის. ეს ასეა ყვე-ლა ქვეყანაში და ამ მხრივ გამონაკლისი საქ.-ო ვერ იქნება.

რუსთაველის საზ - ის ერთ-ერთი უპირველესი ვალი ქართული ენის სახელმწიფოებრიობის დაცვაა.

ახლა კი ისევ კერძო საკუთრებას მივუბრუნდეთ. კერძო საკუთრე-ბამ საუკუნეების მანძილზე აღამიანს შრომა ასწავლა. სახელმწიფო საკუთრებამ კი იგი შრომას გადააჩინა. მიმთვისებელი, გამფლანგვე-ლი, კომბინატორი, მაქინატორი და უსაქმური გახადა. კერძო საკუ-თრების მას ახლა ამის გამოც ეშინია. არ არის დარწმუნებული შე-ძლებს თუ ვერა ისევ შრომას.

კერძო საკუთრებამ აღამიანი თავისუფალი გახადა. ვისაც არა აქვს

\*\*\*\*\*

საკუთრება, იგი ვერ იქნება თავისუფალი. თუ ადამიანი თავის მიზანი ნის დაქირავებული შრომით, იგი დამონებულია. ჩა მნიშვნელოვთ უფრო გს-ვინ დაგიქირავა, კერძო პირმა თუ სახელმწიფომ. თუმცა, პატია განსხვავება არის. კერძო პირი შეიძლება იყოს კეთილშობილი და დაქირავებულს შეიძლება ღირსეულად მოექცეს, სახელმწიფო კი არა-სოდეს ყოფილა კეთილშობილი დაქირავებულის მიმართ. სახელმწიფოს დაქირავებული საზოგადოებრივი მანქანის ჭანჭიკად მიაჩინა.

მართალია, კერძო საკუთრება არის საფუძველი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისა, მაგრამ ეს ურთიერთობა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის წყალობით, წარსულს ბარება. ამასთან დღე-ვანდელი იურიდიული კანონები ყველა ქვეყანაში მაქსიმალურად ზღუდავენ ექსპლოატატორთა უფლებებს. მქონებელისა და უქონელის ურთიერთდამკიდებულება მკაცრი კანონის ჩარჩოშია მოქცეული. სამწუხაოდ იურიდიულმა კანონებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს უსაკუთრებო, დაქირავებული ადამიანის უფლებათა დაცვა. ამის საბუთად კმარა ის შემზარევი უსამართლობანი, რასაც ღლეს საბჭო-რი პრესა ამხელს, და გაუთავებელი ლაპარაკი სამართლებრივი სახ-ელმწიფოს შექმნაზე. თავისთვავად რა მრავლისმეტყველი ფაქტია: იმ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრებაა, არსებობს სამართლებრივი სახელმწიფო, ხოლო იმ ქვეყანაში, სადაც კერძო საკუთრება არ არ სებობს, არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფო. ეს ბუნებრივია, სახელმწიფოს სამართლებრიობა გულისხმობს კერძო საკუთრებას, რო-გორც პიროვნების თავისუფლების საფუძველს.

რუსთაველის საზოგადოება იცავს კერძო საკუთრების აუცილებლობ-ის პრინციპს, რაც მიაჩნია, რომ უამისოდ არც პიროვნების თავი-სუფლება არსებობს და არც სამართლებრივი სახელმწიფო.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ცივილიზაცია და კულტურა ნაყოფია კერძო საკუთრების, შრომისა და რელიგიის. ეს უდავოა და, ამდენად, რუსთაველის საზოგადოების დავიზი ესეც არის: კერძო საკუთრება, შრომა, რელიგიურობა, სამართლებრივი სახელმწიფო. ვერც ერთი სახელმწიფო ვერც ერთ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, თუ იგი ეკონომიკურად ღატავია. ჩვენ გვინდა ჩვენი ისტორიული ძეგლები მოვლილი და ნაპატრონები იყოს, მაგრამ ამისთვის ღული და სიმდიდრეა საჭირო. ჩვენ გვინდა თავიდან ავიცინოთ ეკოლო-გიური საფრთხე, მაგრამ ამისთვის ფული და სიმდიდრეა საჭირო. ჩვენ გვინდა დემოგრაფიული პრობლემა მოგვარებული გვქონდეს, მა-

გრამ ამისთვის ფული და სიმდიდრეა საჭირო. ჩვენ გვიჩვევთ წევრი კულტურა აყვავებული იყოს, მაგრამ ამისთვის ფული ჭრა-სიმძლობელი საჭირო. ჩვენ გვინდა სამხედრო ბეგარა არ არსებობდეს და ჩვენი ახალგაზრდები საქ.-ში ეწეოდნენ მხედრულ სამსახურს, მაგრამ ამისთვის ფული და სიმდიდრეა საჭირო.

სავალდებულო სამსახურის შეცვალა მხოლოდ დაქირავებული ჯარით შეიძლება. დაქირავებული ჯარის შენახვას ბეგრი ფული სჭირდება. დღეს ყველა მდიდარ ქვეყანაში დაქირავებული სამხედრო სამსახურია. ვისაც სურს, თავისი ნებით მიღის ჯარში და საქმაოდ მაიალ ხელფასს იღებს. იქიდან შინ წელგამართული ბრუნდება. სავალდებულო სამხედრო ბეგარა მხოლოდ ღატაკ ქვეყნებში არსებობს. სახელმწიფოს სიღარიბეს დაუდგეს თვალი, თორემ, მართლაც, შეუფერებელი და სამარცხინოა დღევანდელი ცივილიზაციისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახური.

სიტყვამ მოიტანა და იმასაც ვიტყვი, რომ სსრკ-ში დაქირავებული ჯარი უნდა არსებობდეს, თორემ საქვეყნოდ, მთელი კაცობრიობის თვალში, თავის მოჭრაა სავალდებულო სამხედრო სამსახურის არსებობა. რუსთაველის საზოგადოებას მიაჩინა, რომ ყოველი ლონის ხმარებით უნდა მოხერხდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება და დაქირავებული არმიის შექმნა.

ყველაზე კეთილშობილი და დიალი იღეაც ფუჭედ დაიკარგება, თუ მას გვერდით არ უდგას ფული, რასაც აზრის სინამდვილედ ქცევა შეუძლია. ეს ნათლად დაგვანახა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებამ და საქმიანობამ. ილია მაშინაც ილია იყო, როცა „საქართველოს მომბე“ დააარსა, მაგრამ ამ უზრნალმა მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება. იმიტომ, რომ ილია მაშინ ლარიბი კაცი იყო. როცა საადგილ-მამულო ბანკის მმართველი გახდა, მის ნიჭიერებას არაფერი მომატებია, მაგრამ „ივერიის“ გამოცემა აღარ შეწყვეტილა. იმიტომ, რომ ილია ფულიანი კაცი გახდა. რამდენიც უნდა ვეძახოთ ფულს „ფი-თელი ეშმაკი“, ამით არაფერი შეიცვლება. მაინც ფული იქნება როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების კეთილდღეობის წყარო.

ვერც რუსთაველის საზოგადოება მოახერხებს ვერაფერს, თუ მას ფული არ ექნება. უფლოდ იგი მოლაპარაკე საზოგადოებად დარჩება. თუ დღეს ჩვენ რაიმე არ გვირდება, ეს სწორედ ცარიელი ლაპარაკია. ჩვენ გვინდა საქმე, რადგან ოდენ მას შეუძლია ჩვენი გადარჩენა. უსაქმოდ და უფლოდ როგორ ვუშველოთ ნაირნაირი

სტიქიური უბედულებით დაზარალებულ საქართველოს? უცნებეს რდებული ულოდ როგორ დავასახლებთ დაცარიელებულ ჩაჭას, ფშავებული კავალერია? უსაქმოდ და უფულოდ როგორ აღვადგენ სამხრეთ საქართველოს ნასახლარებს, ნასოფლარებს, ნადაბარებს? უსაქმოდ და უფულოდ როგორ დავეხმარებით ჩვენ თანამემამულებს საინგილში, ფერეი-დანში, თურქეთის საქართველოში? რუსთაველის საზოგადოების მიზანი ამ პრობლემების მოვარებაც არის. ამიტომ მის დევიზებს ემატება — საქმე და ფული. ოლონდ ფული ნაშოვნი ნიჭიერებითა და შრომით.

შეიძლება ვინმემ იყითხოს — მეტისმეტი ხომ არ უკისრია რუსთაველის საზოგადოებას? ხომ არ არის ამ პრობლემების შეჭიდება მეტიჩრობა? ამის პასუხად უნდა გითხრათ, რომ, თუ რუსთაველის საზოგადოებას არ შეეძლება ამგვარი მასშტაბის მუშაობა, მაშინ მის არსებობას აზრი არა აქვს. უსუსურობითა და უმოქმედობით იგი ჩვენს ხალხს გულს გაუტეხს. დღეს ჩვენი ერი იმედით იმსჭვალება. იგი, ვინც მას გულს აუცრუებს, პიროვნება იქნება თუ საზოგადოება, დანაშაულს ჩაიდენს, რასაც არც ხალხი აპატიებს და არც ისტორია. დღეს ჩვენ იმ ვინცის გამტკიცება გვჭირდება, რაც ჩაგვესახა. ჩვენ გული უნდა მივცეთ გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად, აღთქმულ მიზანს ჩორმი მივაღწიოთ. ასე გვასწავლა რუსთაველმა გამარჯვება.

ა კ ა კ ი ბ ა კ რ ა ძ ე,

რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე

(გადმობეჭდილი: „მამული“ №1, ივნისი 1989 წელი)

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

გ ა ვ ა გ ე ბ ი ნ თ ს ი მ ა რ თ ლ ე მსოფლიოს

ბოლო დროს ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდება წერილები მიძღვნილი საქართველოს გასაბჭოებისადმი.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პირობებში ჩვენს ისტორიკოსებს მიეცათ საშუალება სინათლეზე გამოიტანონ ის ისტორიული ფაქტები და საბუთები, რომლებიც ასახავენ საქ. — ს მდგომარეობას 1801 — 1921 წლებში.

თითქოს სულ ახლახან იყო, როცა ჩვენი თაობის ბავშვებს სკოლაში გვასწავლილენ ისეთ ლექსებს, როგორიცაა თუნდაც ვ. გორგა-ნელის „25 თებერვალი“:

„ „ჩემო ტკბილო საქართველოვ, მოგილოცავ დღეის დღესაც უდიდესი მონობიდან თავდახსნილო, აღარ ისმის შენი კვნეც და ასე შემდეგ.“

დიახ, ასე გვეგონა ჩვენ პატარებს. ასეთი რწმენით გვზრდიდენ, ასე გვიმალავდენ კეშმარიტებას.

სულ ახლახან იყო, 25 თებერვალისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოებზე, ჩვენს საკონცერტო დარბაზებში, პათეტიკურად რომ გაისმოდა ორჯონიქიძის მიერ ლენინისადმი გაგზავნილი დეპეშის ტექსტი: „თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“. ამ სიტყვებს მოჰყვებოდა ოვაციები და ყველანი ფეხზე დგებოდნენ.

ახლა, როცა კეშმარიტების აღდგენა მოხერხდა, ორჯონიქიძის ძეგლი ქართველმა ხალხმა სამარტინოდ ჩამოაგდო და გააცილა იგივე მოედნის გავლით, სადაც მან 1921 წლს 25 თებერვალს წითელი დროშა ააფრიალა. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

**24 - 25 აგვისტოს (აღბათ 1989. გუშა ) გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდი იურილიულ მეცნიერებათა კანდიდატის იაკობ ფუტკარაძის წერილი: „არ უნდა დაგვრჩეს თეთრი ლაქები“. ეს არის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის მოლოდნე პროფესიონალი იურისტის მიერ 1921 წელს საქართველოს „გასაბჭოების“ სამართლებრივი შეფასება. მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ასეთი წერილები მხოლოდ ქართულ პრესაში იძებებდა:**

ათეული წლების განმავლობაში საქ.-ში დამკვიდრდა ასეთი ტრადიცია: ჩვენი გალანძღის უფლება ყველას ჰქონდა, ხოლო პასუხის გაცემის უფლებას არ გვაძლევდნენ არა თუ საკავშირო, რესპუბლიკურ პრესაშიც კი. იშვიათ შემთხვევაში პასუხს თუ გავცემდით ხელნაწერის სახით, ან კიდევ იმ ქართულ გაზეთებში, რომელსაც არა თუ მოკავშირე რესპუბლიკების, არამედ თბილისის მრავალეროვანი მცხოვრებლებიც ვერ კითხულობენ.

თუ კი ისტორიული ფაქტების დამახინჯებით ჩვენი გალანძღვისა და შეურაცხოფის უფლება ყველას აქვს, მოლით, ისეთი ისტორიული კეშმარიტება, როგორიც ბ-ნმა ი. ფუტკარაძემ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა, საკავშირო პრესაში თუ არა, რესპუბლიკურ რუსულ გაზეთებში მაინც გამოვაჭვებოთ, თორემ მრავალმილიონიანმა საბჭოთა ხალხებმა სიმართლე არ იცის.

თუ კი ბალტიისპირეთმა ამოსწია და გააშიშვლა რიბენტროპისა

და მოლოტოვის ხელმოწერილი სამარცხვინო საბუთი 1940 წლის ულავაშებები  
**29** აგვისტოს შედეგენილი, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია საბჭოთა კუთხის  
ხალხს ფაქტებით გავაცნოთ საქ.- ს გასაბჭოების ისტორიული სინა-  
მდვილე და ჩვენს მიმართ კეთილგანშეყობილ ხალხებს საშუალება  
მივცეთ ორიგინალში წაიკითხონ სიმართლე საქ.- ს შესახებ.

ხშირად ჩვენთან მომხდარ ფაქტებზე ხალხი ინფორმაციას იღებს  
ისეთ რეაქციულ გაზეთიდან (აბა სხვანაირად როგორ ვუწოდო),  
როგორიცაა „კრასნაია ზვეზდა“, ხოლო ქართული გაზეთებიდან ფაქ-  
ტები დამახინჯებული მიღის „სადაც ჯერ არს“. ამიტომაც ამ ბო-  
ლო დროს „ნაციონალისტისა“ და „აგრესორის“ სახელიც კი დავიმ-  
სახურეთ.

და კიდევ ერთი, მე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მომიელია და ჩვენ-  
და სამწუხაროდ, მათმა უმრავლესობაში ცოტა რამ იცის საქ.- ოზე.  
საჭიროა: მსოფლიოს ხალხთა რამდენიმე ენაზე სასწრაფოდ გამოიც-  
ეს ილუსტრირებული ბუკლეტი, სადაც მოკლედ იქნება აღწერილი სა-  
ქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორია, კულტურა და სხვ.  
ასეთი ბუკლეტები ყოველგვარი საშუალებებით უნდა იქნას გატანილი  
მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რათა საქ-ო გავაცნოთ ყველას. ახ-  
ლა ეს განსაკუთრებით საჭირო და გადაუდებელია. ჩვენ ნუ დაველო-  
დებით წყალობას სწვებისაგან, ჩვენი ვალია ჩვენს თავს თვითონ  
მივხედოთ.

ა ნ ზ ო რ ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი,  
 გოკალურ ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი  
 \*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

### ო ქ ტ ი მ ბ ე რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ი

„ლრმად და ყოველმხრივ უნდა ვიცოდეთ სამშობლოს ისტორია,  
 მეტადრე იქტომბრის შემდეგი ხანისა. თუ არ გვეცოდინება იგი,  
 როგორც ულიდეს მიღწევების, ისე შეცლომების მიზეზები, ვერ  
 გამოვიტანთ გაკვეთილებს აწმყოსა და მომავლისათვის“ (გაზ.  
**„პრავდა“, 1988 წლის 28 იანვრის მოწინავე)**

ვიცით, რომ ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ახალი ხანა, ინგრე-  
 ძოდა ძველი და შენდებოდა ახალი. ვიცით, რომ ამ პროცესს სათა-  
 ვეში უდგა ვ. ი. ლენინი და იგი მტკიცედ იცავდა რევოლუციის მო-  
 ნაპოვარს. ისიც ვიცით, რომ ვ. ი. ლენინი დაუნდობელი იყო ყველა  
 მათ მიმართ, ვინც წინ აღუდგებოდა რევოლუციურ გარდაქმნებს.

განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებოდა იდეურ მტრებს, კულტურულ ვოლუციონერებს, ყველა არაპროლეტარული წოდების წარმოშობის ლებს ...

საილუსტრაციოდ გამოგვადგება **1918 - 1922** წლების ზოგიერთი დოკუმენტი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. ისინი შესული არიან ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულში. ეს დოკუმენტები იმაზეც მიუთითებენ, რომ ის სამარცხვინო ტერორისტული და გაუგონარი დესპოტური აქციები, ის დათრგვნების ფორმები, რომებსაც იყენებდა ი. ბ. სტალინი სხვადასხვა პიროვნებათა და ხალხთა, მათ შორის ქართველების, მიმართ, როდი იყო მხოლოდ მისი გამოგონილი...

ოქტომბერი შემოვიდა საქართველოშიც ამავე რეჟიმის წყალობით, როცა მოხდა ქართველი ხალხის დაპყრობა, „გასაბჭოება“...

წინასწარი შენიშვნის სახით: სიმართლის თქმა არავის უნდა აშინებდეს, მით უმეტეს ისტორიკოსს. ისტორია ხომ ყველა მეცნიერებათა შორის ყველაზე უპირველესია?! მარქსი და ენგელსი მიუთითებენ: „ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთ, ერთადერთ მეცნიერებას, ისტორიის მეცნიერებას“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხ. ტ. 3, გვ. 16., რუსული გამოცემა). ისტორია საჭიროა კეშმარიტების აღსაღენად და დასაღენად, მით უმეტეს მაშინ, როცა დაშვებულია შეცდომები ეროვნებათშორისო საკითხში. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის გაფრთხილება-მოწოდებაც, რომ ეროვნული საკითხი „მსოფლიო საკითხია, გაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მსოფლიო საკითხი, აქ არქიტინდახედული უნდა ვიყოთ... აქ ხუმრობა არ შეიძლება, აქ ათასმაგად ფრთხილი უნდა ვიყოთ“ (თხ. ტ. 45, მეოთხე ქართული გამოცემა, თბ., 1974 წ., გვ. 333).

სამწუხაროა, რომ საბჭოთა რუსეთმა **1921** წლის თებერვალში ვერ გამოიჩინა „არქიტინდახედულება“ საქ.-ს „გასაბჭოების“ დროს...

როცა მივმართავთ საქ.-ს მაგალითზე ოქტომბრის შემდგომი პერიოდის ისტორიას, მიზნად უნდა დავისახოთ, რათა ვიყოთ „ათასმაგად ფრთხილი“ და ისე ნათელვყოთ ისტორიული სინამდვილე. ვიფიქროთ იმაზეც, თუ როგორ გამოვასწოროთ, ამ შემთხვევაში, საბჭ. რუსეთის მიერ ქართ. ხალხის, საქ.-ს მიმართ დაშვებული საბედისწერო შეცდომები; რა ვიღონოთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეს ქართ. ხალხს, რათა თვითონ მართოს თავისი ქვეყნის საერთო თუ სასულიერო ცხოვრება, თავისი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ეს ხომ უპირველესი, ღვთით მონიჭებული უფლებაა

მსოფლიოს ყველა ერისათვის, ყველა ადამიანისათვის?! უკრაცხული  
მაშ ასე, ამონაშერები უკომინტაროდ ვ. ი. ლენინის შემოსილებულის  
და დეპეშებიდან (ლოკუმენტები ამოკრებილია აწ განსვენებულის,  
საქართველოს თავისუფლებისათვის წამებული მერაბ კოსტავას მიერ  
და გამოქვეყნებულია მის მიერვე უზრნალ „საქართველოს“ მიმდინა-  
რე წლის მე-2 ნომერში):

- გ. ე. ზინოვიევისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:

**26.06.18.** „ჩვენ სახელს ვიტეხთ: მასობრივი ტერორებით დეპუ-  
ტატთა საბჭოების რეზოლუციებშიც კი ვიმუქრებით, მაგრამ საქმის  
დროს – მასების რევოლუციურ ინიციატივას ვამუხრუჭებთ. ეს შე-  
უძ-ლე-ბე-ლია! უნდა წავახალისოთ ენერგია და მასობრივ-სანახაო-  
ბითი ტერორი“ (ნაშრომთა სრული კრებული. მე-5 რუსული გამოცემა,  
50-ე ტომი, გვ. 106 ).

- ცარიცინში სახ. კომისარ ი. ბ. სტალინთან გაგზავნილი დეპეშიდან:  
**„07. 07.18.** აუცილებელია ყოველმხრივ და შეუწყნარებლივ დაითრ-  
გუნონ კონტრრევოლუციონერების ხელში იარაღად ქცეული ეს საცო-  
დავი და ისტერიული ავანტიურისტები ( მემარცხენ ესერები) / ტ.50,  
გვ. 4 / .“

- გ. ფ. ფედოროვისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:

**„09.08.18.** ნიუნიში ცხადია, თეთრგვარდიელთა აჯანყება მზად-  
დება, საჭიროა მთელი ძალების დაბავა, სამთა დიქტატურის შექმ-  
ნა (თქვენ, მარკინი და სხვა), სასწავლო მასიური ტერორის ჩატარე-  
ბა, ჯარისკაცების, ყოფილი ოფიციების და სხვათა გამლოთებელი-  
ასობით მეძავის დახვრეტა და გაყვანა. არც ერთი წუთი არ დაიკა-  
რგოს. უნდა ვიმოქმედოთ მთელი ძალით: მასიური ჩხრეცები, დახვრე-  
ტები იარაღის შენახვისათვის, მენშეიკების და არასაიმედო პირთა  
მასიური გამოძახებები. (ტომი 50, გვ. 142 )

- პერზის გუბალმასკომისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:

**„09.08.18.** ჩატარდეს უმოწყალო მასიური ტერორი კულაკების,  
მღვდლების, თეთრგვარდიელების წინააღმდეგ; საეჭვონი ჩაიკეტონ  
საკონცენტრაციო ბანაკებში ქალაქებრეთ (ტ.50, გვ. 143 - 144 ).

- ა. კ. პაიკესისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:

**„22.08.18.** გირჩევ დანიშნო შენი მეთაურები, დახვრიტონ შეთ-  
ქმულები და მერყევნი ყველასაგან დაუკითხავად, ზედმეტი, იდიოტუ-  
რი გაჭიანურებების დაუშვებლად (ტ.50, გვ. 165 ).

- ა. გ. შლიაპნიკოვისადმი გაგზავნილი დეპეშიდან:

12.12. 18. მთელი დალა იხმარეთ, რომ დაიჭიროთ და დაკარგი და ასტრახანელი სპეცულიანტები და მექრთამეები. ამ წარადგენებულ ისე უნდა გავუსწორდეთ, რომ წლების შემდეგაც ახსოვდეთ “/ტ. 50, გვ. 1219 /.

ი. ბ. სტალინისადმი ხარკოვში გაგზავნილი დეპეშიდან:

„16.02.20. დახვრეტით დაემუქრეთ იმ დაუღევარს, ვისაც, განაგებს რა კავშირგაბმულობას, არ შეუძლია მოგვცეს კარგი გამაძლიერებელი და უზრუნველყოს თქვენი სატელეფონო კავშირი ჩემთან“

ლ. ა. ფოტიერვასადმი განკარგულება: „22. 07.19. ჩამოხტევა 1. სახეობისაბჭოსა და თავდაცვის საბჭოს სამდიგოები;

2. სურსათის კომისარიატი; 3. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი უაზრო გაჭიანურებისა და დაგვიანებისათვის“/ტ.51, გვ. 20/ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოს თბოგანყოფილებას:

16.06.20. „თუ არ იქნება მიღუბულ საგანგებო ზომები, მე პირადა მოვახდენ თავდაცვის საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ პირთა არა მხოლოდ დაპატიმრებას, არამედ დახვრეტასაც. აუტანელია უმოქმედობა და გულგრილობა“/ტ. 51, გვ. 216 /.

ი. ა. ბოგდანოვს: 23.12.21. „ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია საჯაროდ გავასამართლოთ ბინძური უაზრო ფორმიაქისათვის, ამისათვის ჩვენ ყველას და იუსტიციის სახალხო კომისარიატს უნდა გვკიდებდნენ მყრალ თოკებზე. მე კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ ჩვენ ოდესმე ამისთვის ჩამოგვიდებენ (ჩამოგვახრიბენ)“/ტ. 54, გვ. 87 /

— ი. ს. უნშლიხტისადმი გაგზავნილი წერილიდან:

„31.01.22. რევტრიბუნალების საჯაროობა უკვე საჭირო არ არის; მათი შემთხვევაში გაძლიერდეს „თქვენი“ ხალხით. გაძლიერდეს მათი ყოველგვარი კავშირი რუსეთის საგანგებო კომისარიატთან. გაძლიერდეს რეპრესიების სისწრაფე და ძალა.“ /ტ.54, გვ.144/

— ი. ს. უნშლიხტისადმი:

„31.01.22. ახლა საქმე მხოლოდ ტექნიკურ ზომებშია, რომებიც დააჩქარებინებს ჩვენს სასამართლოებს, მენშევიკების წინააღმდეგ რეპრესიებს“ / ტ.54, გვ. 149 /

— გ. ია. სოკოლინიკოვისადმი: 11.02.22. „ხომ არ სძინავს ჩვენთან „ნკიუსტს“ (იუსტიციის სახალხო კომისარიატს)? აյ საჭიროა რიგი საჩვენებელი პროცესებისა, მხეცურ წამებათა გამოყენებით. „ნკიუსტს“ აღბათ არ ესმის, რომ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითხოვს



ახალ მძვინვარე დასჯათა ახალ ხერხებს" /ტ.54 გვ. 160 საქართველო  
\*\*\*

მოგვაჭვს კუპირებით ერთი დოკუმენტიც საიღუსტრაციოდ იმისა, თუ როგორ ეპყრობოდნენ ბოლშევიკები ჩელიგიას, წინაპართაგან შექმნილ საეკლესიო მატერიალურ და სულიერ მემკვიდრეობას. ესაა ვ. ი. ლენინის მიერ მოლოტოვისალმი გაზაგნილი „საიღუმლო“ წერილი. აქვეა ნ. სტრუვეს კომენტარები. (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 10 ნოემბერი):

„ამხანაგ მოლოტოვს, პოლიტბიუროს წევრებისათვის, 10.11.22 წ.  
(მეცაცრად საიღუმლოდ. გთხოვთ, არავითარ შე-  
მოხვევაში არ გადაიღოთ პირი, ხოლო თითო-  
ეულმა პოლიტბიუროს წევრმა, მათ შორის ამხ.  
კალინინმაც, შენიშვნები ზედ დოკუმენტზე  
გააკეთოს. ლ ე ნ ი ნ ი .

ქ. შუიაში მომხდარი ამბის გამო, რომელიც უკვე დასმულია პო-  
ლიტბიუროს განსახილველად, ვგონებ, აუცილებელია ახლავე მივიღოთ  
მტკიცე გადაწყვეტილება ამ მიმართულებით ბრძოლის საერთო გეგ-  
მასთან დაკავშირებით ... პიტერში შავრაზმელები ემზადებიან  
წინააღმდეგობა გაუწიონ დეკრეტს საეკლესიო ძეირფასეულობის ამ-  
ოლების შესახებ... შავრაზმელი სამღვდელოება თავისი ბელადის მე-  
თაურობით საესებით მოფიქრებულად ახორციელებს გეგმას – სწორედ  
მოცემულ მომენტში გაგვიმართოს გადამწყვეტი ბრძოლა ... შუიაში  
მომხდარი ამბავი ამ საერთო გეგმის მხოლოდ ერთი გამოვლინება და  
გამოყენებაა... ჩვენთვის სწორედ მოცემული მომენტია, არა მარტო  
განსაკუთრებით ხელსაყრელი, არამედ საზოგადოდ ერთადერთიც, რო-  
ცა შეგვიძლია ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში სრული წა-  
რმატება მოვიპოვოთ და სასტრიკად დავამარცხოთ მოწინააღმდეგე,  
განვახორციელოთ საეკლესიო განძეულობათა ამოღება ყველაზე გააფ-  
თებული და დაუნდობელი ენერგიით, უკან არ დავიხიოთ ნებიმიერ  
წინააღმდეგობის ჩახრჩობაზე ... რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ჩვენ  
უნდა დავისაკუთროთ ეს ფონდი რამდენიმე ასეულ მილიონობით  
ოქროს მანეთის ღირებულებისა (შესაძლოა რამდენიმე მილიარდისაც).  
ხოლო ამის წარმატებით განხორციელება მხოლოდ ახლა შესაძლე-  
ბელი. ყველა მოსაზრება იმაზე მიგვითოთებს, რომ მოგვიანებით ამ-  
ის გაკეთებას ვერ შევძლებთ, ვინაიდან ვერავითარი სხვა მომენტი,

გარდა უიმედო შიმშილისა, ვერ შეგვიჭნის ფართო გლობუსზე მიკუთხა ბის ისეთ განწყობას, რომელიც არ გაგვიპირობებდა არ მასების ჩვენდამი თანაგრძნობას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უზრუნველყოფდა მათ ნეიტრალიზაციას ჩვენს მიმართ იმ გაგებით, რომ განძეულობის ამოღებასთან ბრძოლაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა უკვეგლად და სრულად ... გარდა ამისა, ჩვენს საზღვარგარეთის მოწინააღმდეგებს რცს ემიგრატნთა შორის, ე. ი. ესერებსა და მილიუკოველებს, გაუჭირდებათ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა, თუკი ჩვენ სწორედ მოცემულ მომენტში, სწორედ შიმშილთან დაკავშირებით მაქსიმალური სისწრაფით და დაუნდობლად წარგმართავთ რეაქციული სამღვდელოების განადგურებას.

ამიტომ მივდივარ აუცილებელ დასკვნამდე, რომ ჩვენ სწორედ ახლა უნდა გავუმართოთ შავრაზმელ სამღვდელოებას გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლა და ჩავახშოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი ისისასტიკით, რათა მათ არ დაივიწყონ ეს ამბავი რამდენიმე თეული წლის მანძილზე...

პოლიტბიუროს სახელით უკვე გაგზავნილი დეპეშა: ამოღებათა დროებით შეჩერების შესახებ, არ უნდა გაუქმდეს, ის ხელსაყრელია ჩვენთვის, ვინაიდან მოწინააღმდეგებს შეუქმნის წარმოდგნას, თითქოს ჩვენ ვმერყეობდეთ, თითქოს მტერმა შესძლო ჩვენი დაშინება... პოლიტბიურო დეტალურ დირექტივას აძლევს სასამართლო ხელისუფლებს, ასევე ზეპირს, რათა მოშიმშილეთა დაპმარების მოწინააღმდეგებ შეიის ამბოხებულთა დათრგუნვის პროცესი ჩატარდეს მაქსიმალურად სწრაფად და დამთავრდეს მხოლოდ ისე, რომ დაიხვრიოს ქ. შეიის ყველაზე გავლენიანი და საშიში შავრაზმელების ძალიან დიდი რაოდენობა; ასევე, შესაძლებლობისამებრ, არა მარტო ამ ქალაქის, არამედ მოსკოვისაც და რამდენიმე სხვა სასულიერო ცენტრის სამღვდელოებაც.

დაევალოთ ძერენისკის, უნშლიხტს პირადად მოახსენონ ამის შესახებ პოლიტბიუროს ყოველ კვირას.

პარტიის ყრილობაზე მოეწყოს ყველა ან თითქმის ყველა დელეგატის საიდუმლო თათბირი ამ საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და რევტრიბულობის მთავარ მუშაკებთან ერთად. ამ თათბირზე მივაღებინოთ ყრილობის საიდუმლო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განძეულობის ამოღება, განსაკუთრებით ყველაზე მდიდარი ლავრებიდან, მონა-

სტრებილან და ეკლესიებილან ჩატარდეს დაუნდობელი მოქმედებების ისე, რომ არაფერს მოვერიდოთ და ავასრულოთ კიდევაც პარაზიტების ვადაში. ამ საბაბით რაც უფრო მეტ ბურუუაზისია და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელთ დავხვრეტთ, მით უკეთესი. სწორედ ახლა უნდა ვასწავლოთ ჭიქუა ამ ხალხს ისე, რომ რამდენიმე ათეულ წელიწადს ფიქრადაც არ მოუვიდეთ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ... ყველაზე მდიდარ ლაგრებში, მონასტრებსა და ეკლესი ეგში ამ ღონისძიების გასატარებლად დაინიშნონ საგანგებოდ პასუხისმგებელი საუკეთესო მუშაკები“. ლენინი.

„ამბ. მოლოტოვს ვთხოვ ეცალოს, რათა ამ საღამოსვე გაუგზავნოს ეს წერილი პოლიტბიუროს წევრებს რიგრიგობით გასაცნობად (პირის გადაუღებლად) და სოხოვოს მათ დაუბრუნონ წერილი მდივანს წაკითხვისთანავე მოკლე შენიშვნებით იმის თაობაზე, ძირითადად თანახმად თუ არა პოლიტბიუროს ყოველი წევრი, თუ წერილი იწვევს რაიმე უთანხმოებას.“ ლენინი.

### კომენტარები

ეს სულისშემძვრელი დოკუმენტი საჭიროებს კომენტარს რამდენიმე სიტყვით. მისი ორიგინალობა ეჭვს გარეშეა: იგი პირდაპირ არის მითითებული „ლენინის თხზულებათათა სრულ კრებულში“, ტ.45, მოსკოვი, 1964 წ., გვ. 566 - 667 ... /არქივში დაშილრულია: მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი, ფ.2, შ.ე.

**22954 /**

რუსული ეკლესიის არაწინასწარშეგონებული ისტორიკოსებისათვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ საკლესიო განძეულობათა ამოღება იყო ტაქტიკური ნაბიჯი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ, რათა გაენადგურებია ეკლესია. მოშინებილეთა არაგითარ დახმარებაზე ლენინი არ ზრუნავდა. რაც უნდა საზარელი იყოს, შიმშილი – „ათასობით გვამი გზებზე“ – მხოლოდ საბაბი, შირმა იყო, რათა გაეძარცვათ ვდებ სია და, გაძარცვისას, დაეხვრიტათ რაც შეიძლება მეტი სამღვდელოება და მორწმუნე ... ეკლესიების გაძარცვამ მთელი რიგი სისხლიანი შეტაკებანი გამოიწვია ხალხთან-რამდენიმე კვირის განმაფლობაში. ოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი 1414-მდე გაიზარდა... ლენინური დირექტივები, რომლებიც აღმართ მოიწონეს პოლიტბიუროს დანარჩენმა წევრებმა, ზუსტად შესრულდა ... პროცესებისა და რეპრესიების ვაკხანალია დასრულდა პეტროგრადის მიტროპოლი-



ტის ვენიამინის (1922 წ. 13 აგვისტო ) სიკვდილით დასჭირდა, მაგრამ არც ტიხონის დაპატიმრებით ... პოლიტიბიუროსადმი მიწურილი ზემო ლი ლენინს გვიხატავს ისეთად, როგორიც ის იყო – სასტიკი თავის უღმერთობაში, დაუნდობელი მოწინააღმდეგებისადმი, ცინიკოს ხალხის მიმართ, ხელისუფლების უინით შეპყრობილი, ნგრევის გენიალურად ცხიერი სტრატეგოსი; ყველაფერი ეს აბათილებს დღევანდელობის მოდურ წარმოდგენას: „ლენინური კანონიერების“ თაობაზე“.

### ნ. ს ტრუვენი

ვ. ი. ლენინის სიმკაცრეზე მიუთითებდა მოლოტოვიც: „ლენინი იყო უსასტიკესი პიროვნება მათ შორის, ვისაც მე ვიცნობდი, საოცრად მომთხვევი, დავალების შეუსრულებლობას აჩვის აპატიებდა. მოწინააღმდეგებს სასტიკად სჯიდა, იდეური მტრების მიმართ დაუნდობელი იყო“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 27 ოქტ.)

ასე, რომ მართალი იყო ცნობილი რუსი პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი ვლადიმირ სოლოუხინი, როცა სწერდა: რეპრესიების პირველ პერიოდში (ვ. ი. ლენინის დროს) დაიღუპა 15 - 17 მილიონი ადამიანი. აქედან „რუსეთში რევოლუციამდე არსებულ 360.000 ექლესის მსახურიდან უკვე 1919 წელში განადგურებული იქნა 320 ათასი“. (ვ. სოლოუხინი: „ჩატუ არ მოვაწერ ხელ იმ წერილს?“, უწყისალო „ლრობა“ №4, 89 წელი ).

იგივე ტრაგედია დატრიალდა „გასაბჭოებულ“ საქართველოშიც ... „საქ.-ს საკითხთან“ დაკაგუშირებით, საილიუსტრაციოდ მოვიტანოთ ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი დოკუმენტიც, – დაღენილების პროექტი „გათავხედებულ“ საქართველოს დასჯის შესახებ. (დაღენილება მიღებული იქნა ჩეკ(ზ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1921 წ.

### 26 იანვრის პლენურმზე):

1. დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან. ამასთან, სისტემატურად შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ და უფრო დაუინებით მოითხოვოს სომხეთში სურსათ-სანკვაგის გატარება.

2. შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი არსებული სამხედრო ძალები საქ.-სთან დაუყოვნებელი ან მოახლოებული ომისათვის. ამ საკითხის ჩამოყალიბება, ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქ.-ო საშინალად გათავხედდა, დაევალოს კომისიას ამხ. ტროცკის, ჩიჩერინის, სტალინის შემადგენლობით.



3. მივცეთ დირექტივა რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურზესაც ჭრის და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნება მოემზადება თვეელოსთან ომისათვის. დაევალოს სარკინიგზო გადაზიდვის უმაღლეს საბჭოს, უახლოეს ვადაში მოახსენოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, რა შესაძლებლობანი გააჩნია იმისათვის, რომ გაადიღოს ჯარების გადაყვანა კავკასიაში და კავკასიის ფარგლებში“.

ვ. ი. ლენინის მიერ 1921 წლის 26 იანვარს დაწერილი ეს მითითებები კარგა ხანია, შეტანილია მის თხზულებათა ტომებში (იხ. ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 42, გვ. 289 - 290).

... და კავკასიის ფრონტმა მთელი სისატიკით პირნათლად განახორციელა ეს დადგენილება. 1921 წლის თებერვალში, მიუხედავად ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ხელშეკრულებისა, რუსეთის ჯარების მიერ დაპყრობილი იქნა დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული საქართველო ...

იყო თუ არა ეს ანექსია? პასუხისათვის მივმართოთ ისევ ლენინს: „ყოველი ხალხი, რომელიც მეორე ხალხთან არის შეერთებული არა თავისი უმრავლესობის ნებაყოფლობითი სურვილით, არამედ მეფის ან მთავრობის გადაწყვეტილებით, ანექსირებული, დაპყრობილი ხალხია“ (თხ. ტ. 24, გვ. 490, მეოთხე გამოცემა).

როგორ გამოვიყენოთ ეს დებულება საქართველოს სინამდვილეში? აქ ხომ არ მომხდარა შეერთება მთავრობის ან მეფის გადაწყვეტილებით? აქ ხომ დაპყრო რუსეთის ჯარმა საქართველო? მაშ რატომ გქმნით სხვადასხვა კომისიებს საქართველოშიც და საკავშირო მასშტაბითაც ყველასათვის ცნობილი ისტორიული ფაქტის „ლოკუმენტურად დასაბუთებისათვის?“ განა ცინიზმი არაა ამ დაპყრობას ვუწოდოთ „ნებაყოფლობითი გასაბჭოება ქართველ მშრომელთა“ ან „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში?“, ანდა ვის სჭირდება ზემოთქმულის შემდეგ ზოგიერთ ისტორიკოსის „მტკიცებანი“ იმის შესახებ, რომ „საქართველოს საკითხი“ მოსვენებას არ აძლევდა რეპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს და მის ბეჭადს ვ. ი. ლენინს?

— როგორ შევაფასოთ საქ-ს დაპყრობამდე და მის შემდეგ, ისტორიკოსთა ატალავებული ურთიერთ საწინააღმდეგო „ქონცეპციები“, „დასკვნები“, „თვალსაზრისები“ ამ საკითხზე?

— როგორ აცხსნათ, როგორ გავიგოთ ვ. ი. ლენინის მითითებანი

იმის შესახებ, რომ „ინტერნაციონალიზმი მჩავრელი ანუ ე. წ.

დიდი ერისა (თუნდაც დიდისა მხოლოდ თავისი ძალადობით, დიდისა

მხოლოდ ისე, როგორც დიდია დერეკამორდა) უნდა მდგრადი მდგრადი მდგრადი არა მარტო ერების ფორმალური თანასწორობის დაცვით, არამედ ისეთ უთანასწორობაშიც, რომელიც მჩაგვრელი ერის მხრით, დიდი ერის მხრივ აანაზღაურებდა იმ უთანასწორობას, რაც ცხოვრებაში ფაქტიურად იქმნება“;

— რომ ამისათვის საჭიროა ასე თუ ისე აანაზღაურო სხვატომელი-საღმი შენი მოპყრობით ან შენი დათმობებით ის უნდობლობა, ის ეჭვიანობა, ის წყენა, რაც ისტორიულ წარსულში მიუყენებია მისთვის „დიდმცყრობელური ერის მთავრობას“;

— რომ ამ შემთხვევაში, ქართველი ერის მიმართ ჩვენ გვაძვს იმ-ის ტიპიური მაგალითი, სადაც საქ.-საღმი კეშმარიტარ პროლეტარ-ული დამოკიდებულება მოითხოვს ჩვენგან უაღრეს სიფრთხილეს, თავაზიანობას და დამთმობელობას“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 36, გვ. 692 - 695).

— როგორ გავიგოთ, როგორ აღვიქვათ საქ.-ს მიმართ ზემოთ მოყვანილი „ინტერნაციონალური“ პრინციპების დაცვის, „სიფრთხილის“, „თავაზიანი დამოკიდებულების ფონზე რუსეთის მე-11 არმიის მეთაურის, გენ. ჰეკერის საიდუმლო მოხსენება, რომელიც რკპ(ბ) პლენუმის დადგენილებითა და ლენინის მითითებით, გადაეგზავნა კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს ორჯონიკიძეს „საქართველოში შექრის“ თაობაზე?

1920 წლის 18 დეკემბერს გენ. ჰეკერი (სხვათა შორის, იგი კარგად იცნობდა საქართველოს, მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის პირველი გიმნაზია, —ვ. გ.) სერგო ორჯონიკიძეს სწერდა: საქ.-ზე თავდასხმა, მასზე შეტევა, საქართველოს დაპყრობა მოითხოვს, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, ყოველ-მხრივ მომზადებას ... „ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებულად ოკუპაცია მოვახდინოთ მთელი საქ.-ს ტერიტორიის სურამის ქედამდე მოთავდეს ეჭვის კვირის განმავლობაში (იხ. გაზ. „სამშობლო“, , 1989 წ. ივლის, № 18). გაანგარიშება ზუსტი აღმოჩნდა, 1921 წლის ოებერვალში დაიწყო და დამთავრდა კიდეც ანგეჭით, მიუხედავად 1920 წ. 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებისა, 11 ოებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარმა შემოუტია სომხეთის მხრიდან (ამიტომ მოითხოვდა ლენინი დაუინებით დადგენილების პროექტში საქართველოზე გავლით „სომხეთში სურათ-სანოვაგის გატარებას“—ვ. გ.), 15 ოებერვალს გადმოლახეს საქ.-ს საზღვარი აზერბაიჯანიდან, ომი დაიწყო გლადიკავკაზიდან—სამხედრო გზით, მამისონის უღელტეხილიდან ქუ-

თაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჩის მიმართულებული საომარ ოპერაციაში გარდა მე-11 არმიისა ჩაბმული იყო მე-11 არმიისა ჩაბმული იყო მე-9, მე-13 არმიები, ბულიონის კავალერია და სხვა ნაწილები...

ყოველივე ამის შემდეგ განა უაზრობა არაა, დღევანდელ ეტაპზე, ამ ფაქტის დასადგენად შექმნილი მთავრობათა კომისიები?

ისტორიული სინამდვილეა: 1921 წლის 25 თებერვალი იყო ერთი მხრივ რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ხელშეკრულების უხეში დარღვევა, ხოლო მეორე მხრივ საქ.- დამოუკიდებელი სახელმწიფოს ანექსია, დაპყრობა!

რა გამოსავალი არსებობს, რა ვიღონოთ „ოქტომბრის შემდგომი ხანის“ ამ შეცდომების გამოსწორებისათვის? ამ კითხვაზეც დაგვა-ხმარება ვ. ი. ლენინი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც ჩატარდა „საქართველოს „დასჯაა“. მოვუსმინოთ მას: „ანექსიაზე ხელის აღება არის ყოველი ხალხისათვის უფლების მინიჭება – შექმნას ცალკე სახელმწიფო, ან იცხოვროს იმათან კავშირში, ვისოანაც მას სურს“ (თხზ., ტ. 24, გვ. 490). გენიალური მითითებაა! (კონსტიტუციური უფლებაც გვაქვს გამოყოფისა).

შწორედ ამისთვის, ამ უფლების განხორციელებისათვის იბრძვის დღევანდელი საქართველო! რას მოვითხოვთ? – თავისუფლებას! ვუკიქრობთ, ჩვენთვისაც დადგა, აღმათ, ის სანატრელი დრო, რომელ-ზედაც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ხვალინდელი დღე მსოფლიოს ისტორიაში შწორედ ისეთი დღე იქნება, როდესაც საბოლოოდ გაიღვი-ძებენ გამოფხიზებული, იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული, ხალხები და როდესაც დაიწყება გადამწყვეტი, ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის“ (თხზ., ტ. 36, გვ. 696).

ეს „ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა“ ქართველმა ხალხმაც გადაიტანა, არ გაგონილი მსხვერპლით, რუსეთის 1801 წლის ანექსიიდან დაწყებული ოქტომბრის რევოლუციამდე და საქართველოში „ოქტომბრის შემოსვლიდან“ დღევანდლამდე. თავის ისტორიაში არ ახსოვს ქართველ ხალხს იმდენი უდანაშაულო მსხვერპლი, რაც მე-20 საუკუნემ, – სოციალიზმის ეპოქამ მოუტანა. ორ მსოფლიო ომში დალუპლი ადამიანების ვერაგულ ბოროტებათა კულმინაცია იყო 1989 წლის 9 აპრილის ტარგედია – ქრისტიანობისათვის ჯვარმული ქართველი ხალხის „ახალი გოლგოთა“.

დიახ, დღეს, ისტორიის გარდაუვალობისა და შეუქცევალობის როულ ხანაში, ქართველი ხალხი, სოციალური და ეროვნული თავისუფლები-

სათვის, მოითხოვს სამართლიანობის აღდგენის, — დამოუკიდებლუბრის დაბრუნებას; რომ საქართველომ უპატრონოს თავის თავის საქართველოში შემავალ, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ანექსირებულ, დაბყრობილ ხალხებთან“, — რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც რუსეთისგან ოჯჯერ იქნა ანექსირებული. ამდენად, ეროვნული სახელმწიფოებრივი წყობილების აღდგენისათვის ქართველ ხალხს გააჩნია ყველაზე მეტი მორალური, იურიდიული და თეოკრატიული უფლებები; ამ მიზნისათვის იგი აღჭურვილია შესაფერი ეროვნული პოტენციალით, სათანადო პოლიტიკური ძალით. ეს ძალისხმევა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით და არავითარ შემთხვევაში შეიარაღებული შეტაკებებით. ანექსირებული საქ.— ს დამოუკიდებლობის და თვითმმართველობის აღდგენისათვის „მშვიდობიანი ბრძოლა“ უნდა დაემყაროს, ასევე, მხოლოდ და მხოლოდ, ისტორიული ობიექტური კანონებიდან გამომდინარე, საკუთარ ძალებს, კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივი უფლებებისა და ნორმების გამოყენებით. ხმამაღლა უნდა ვაუწყოთ ყველას, რომ ჩვენ სხვა/გარეგან/ ძალების არავითარი იმედი არა გვაქვს; რომ მხოლოდ „ჩვენ ხელშია ჩვენი ბედი“. ამ თვალსაზრისით, უნდა განვთავისუფლდეთ ყოველგვარ ვისიმე, ზემოდან /საკავშირო ხელისუფლებისგან, ცენტრისაგან/ მომლოდინე ილუზირებული ცდომილებისაგანაც. თავისუფლება ჩვენთვის არასდროს არავის უბოძებია, მით უმეტეს დაპკყრობელს, და ამჟამადაც არავინ გვიძოძებს, იგი ჩვენ უნდა მოვიპოვოთ.

კეშმარიტად! გვმართებს დიდზე დიდი გონიერება და სიფხიზლე. როგორც ცენტრში, ისე საქართველოში წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციები /ზემოდან წინააშშარ შემუშავებული სცენარითა და გვგმით,— „დაუპირისპირე და იბატონე“/ არ გამორიცხავს წამქეზებლის მოიმედე საქართველოში მაცხოვრებელი არაქართველი მოსახლეობისაგან, ახალ პროგრაციებს. დღევანდელობას თვალებში უნდა შევხედოთ. ყველაფერი უნდა ვთქვათ როგორც არის. ახალი სისხლის ღვრა რომ არ მოხდეს, საკიროა რუსეთმა ჯარი გაიყვანოს კავკასიიდან. აქვე, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ნოვოსიბირსკელი მეცნიერის სერგეი ნოვაკის წერილში გამოთქმულ აზრს, გაზ. „ლიტ. საქართველოს“ 1989 წლის 16 ნოემბრის ნომერში იგი წერს:

„მე ეროვნებით რუსი ვარ და ვთვლი, რომ სწორედ რუსებმა უნდა დააყენონ საკითხი, რათა საბჭოთა ხალხებმა აღადგინონ თავისი სა-

ხელმწიფო ბრიობა. სხვა ეროვნების ადამიანი თუ დააყვერებს, ამ საკითხს, სამწუხაროდ, ბრალად დასდებენ ნაციონალიზმს. უკრაინის რესპუბლიკა ხელმა ხალხმა უნდა დაუბრუნოს თავის მევობრებსა და მეზობლებს დაკარგული სახელმწიფო ბრიობა; დაუბრუნოს თავის მოღრევით და ბოლიში მოიხადოს მისი სახელით მიყენებული ყველა შევიწროებისა და ტანჯვისათვის“.

გვჯერა საკუთარი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით აღსავს ისტორიული, სისხლითა და ცეცხლით გავლილი სამართლიანი გზის, ქართველი ხალხის ურყავი და დაუთრგვნავი ძალის; გვჯერა მისი უკვდავი და მარადიული ეროვნული სულის, და ასევე გვჯერა, რომ სამშობლოსათვის ღვთიური სიყვარულის ძალითა და თავდადებით მი-ვაღწევთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, თავისუფ-ლებას.

ჩევნს, უდანაშაულო და გაწამებული ხალხის მხარეზეა სიმართლე და მისი ღამცველი ყოვლისშემძლე ლმერთი. „განვცხსნეთ თავნი ჩოენი შეკრულებისაგან ბოროტთაისა, რამეთუ ხელმწიფედ თავისუ-ფლებაი გუაქუს თავთა ჩოენთა ზედა“ /მამათა ცხოვრება, 150, 31/.

ହିନ୍ଦୁ ପାତ୍ର ମହାନ୍ତିକାଳୀନ ଶର୍ମିଷ୍ଠାନ !

კახტანგ გურგენიძე

\* \* \*

六

六六六

„საბჭო. საქართველო 1989 წელს“

**13** დეკემბერს ქ. ვაშინგტონში გაიხსნა ორდინარი კონფერენცია, ჯორჯ მეისონის სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტისა და უდრიოუ უილსონის სახელობის ცენტრის, კენანის ინსტიტუტის მეურვეობით, რათა განეხილათ ის ვითარებანი, რომლებითაც შემოფარგლური იყო თბილისის 1989 წლის 9 აპრილი და წარმოეჩინათ მომავლის პერსპექტივა. კონფერენცია ჩატარდა რობრიკით: „საბჭოთა საქართველო 1989 წელს“.

პირველი სხდომა გაიმართა ვაშინგტონში არსებული სმიტსონის სახელობის ინსტიტუტის-დილოს ლიპლოს სახელობის ცენტრის საკონფერენციო დარბაზში. „გუშაგის“ მკითხველებს აღბათ დააინტერესებთ, თუ ვინ იყო თუ იყვნენ მისი ინიციატორი თუ ინიციატორები. კონფერენცია ჩატიქტული იქნა შ. შტ - ის არა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის, მთავრობის სამართველოს, საქველმო-

ქმედო ორგანიზაციის ან ამერიკაში მცხოვრები ქართველების უნივერსიტეტის მიერ, არამედ ერთი ამერიკელი მანდილოსნის უნივერსიტეტის სონის უნივერსიტეტის პროფესორ და—ან პოლინსკის მიერ.

ქნი პოლინსკი წარმოშობით ბოჭემელი-ნორვეგიელია. იგი ქართული ენის შესწავლით დაინტერესდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში ყოფნისას, მას შემდეგ, რაც ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე სავალდებულო იყო რომელიმე უცხო ენის კურსები. ერთი წელი გაატარა შვეიცარიაში, იქ მცხოვრებ ქართველოლოგ მანდილოსნებთან და გაიცნო პროფესორი ვიქტორ ნოზაძე. ამის შემდეგ კი, პირველად 1974 წელს და უკანასკნელად კი 1989 წელში, ხუთჯერ რამდენიმე თვე გაატარა საქართველოში, ქართული ენის გასაუმჯობესებლად. რა თქმა უნდა, ამ ხშირი სტუმრობებისას გაეცნ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, გაიჩინა მრავალი ქართ. მეგობარი და გახდა საქ.—ს გულშემატკიციარი. იგი 1989 წლის ცხრა აპრილს თბილისში იმყოფებოდა და გახდა მოწმე იმ ტრაგედიისა, რომელიც იქ მოხდა.

ინდიანას უნივერსიტეტის დოცენტ დოდონა კიზირიასთან ერთად, მან შეაღინა კონფერენციის დღის წესრიგი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ: „ქართული ფილმის“ სტუდიიდან რეჟისორ ელდარ შენგელაიას, თბილისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორ ირაკლი სილაგაძეს და საქ. ჯანმრთელობის მინისტრს მენაღარიშვილს. მაგრამ ისინი ვერ დაესწრენ კონფერენციას სხვადასხვა „ტექნიკური“ მიზეზისა გამო. სამაგიეროდ საქ.—დან ჩამოვილენენ: ექიმი არჩილ კობალაძე, საქ. ჯან. მინისტრის მჩქეველი?! და მინისტრის მოადგილე ექიმი ირაკლი ფალავა.

კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ ადგილობრივი პირები: დოქტორ ბარონი, რომელიც ემსახურება ადამიანის უფლებების ორგანიზაციას როგორც ექიმი. აკადემიკოს ანდრეე სახაროვის მიპატიურებით მან მხოლოდ სამი კვირის შემდეგ მიიღო საქ.—ში მოგზაურობის ვიზა; ლონგ აილანდის უნივერსიტეტიდან, პროფესორი რეჯებ უორდანია და მიშიგანის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი რონალდ სუხი, რომელიცაა ავტორი ორი თუ სამი წლის წინ გამოცემული „საქართველოს ისტორიისა“.

დოქტორი რუთ ბარონი შეეხო ტრაგედიისას დაშავებულთა მდგრადებას, რაც არ იყო ამომწურავი, რადგანაც, როგორც ვთქვით, იგი საქ.—ში ჩავიდა ტრაგედიიდან სამი კვირის მერე და მისთვის



შეუძლებელი იყო მოეცა უფრო მეტი განმარტება, ვიდრე მარტის ცნობელია უცხეთში მცხოვრებ ქართველების ან სხვებისათვის უკავშირობის წყაროებს, თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით. მან განაცხადა: თბილისში იყო პირველად, საღაც გამოყენებული იქნა მომწმალავი გაზები თანამოქალაქეების მიმართ. მაგრამ მე მინდა დავსვა ასე-თი კითხვა: ვინც გაზი გამოიყენა, იყვნენ ისინი სინამდვილეში თანამოქალაქეები?, არიან ქართველები თანაბარნი? იყვნენ თუ არა ჯარისკაცები საბჭოთა ჯარის ნაწილი? იყვნენ ისინი რუსები? მე გავგედავ იმის თქმას, რომ იმ ჯარის ნაწილში არ ყოფილა არც ერთი ქართველი ჯარისკაცი. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ჩვენ დავინახეთ მდგომარეობა, როგორსაც ადგილი ჰქონდა ერაყში, საღაც ერაყელებმა ქურთები მოწამელეს, რომლებიც არ არიან ერაყელები და რომ ადგილად შესაძლებელია, იგივე მდგომარეობა იყო თბილისში. ეს არ არის რუსების ზოგადად დადანაშაულება, ღმერთმა დაიფაროს! მაგრამ ეს არის დადანაშაულება იმ რეიმისა, რომელ-საც, იმედია, ბოლო ეღება.

პროფ. რ. უორდანიამ დაადანაშაულა შ. შ.-ის ცნობათა გავრცელების წყაროები და მთავრობის ოფიციალური სამმართველოები თბილისის ტრაგედიისადმი არასაკმაო გამოხმაურებაში, რასაც პროტესტით უპასუხა კონფერენციაზე დამსწრე სახელმწიფო სამდივნოს ერთმა წარმომადგენერლმა. რ. უორდანიას სიტყვა, ზოგი უმართებულო შედარების გარდა, კარგი იქნებოდა სულ სხვა ხასიათის ფორუმისა-თვის, მაგრამ არა ამ კონფერენციისათვის.

კონფერენციას ესწრებოდა მრავალი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქ.-ს სხვადასხვა ასპექტებით, როგორც მაგალითად ქართველების ინგლისელი სიძე, პოლი-იოგის კოლეჯიდან, ისტორიის პროფესორი სტივენ ჯონსი, რომელმაც ინფორმაცია გააკეთა საქართველოს შიგნით ეთნიკურ კონფლიქტებზე და აგრეთვე ხოუშჩივის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოსა და ეპლესიის შორის ურთიერთობაზე.

ედუარდ გუდავამ - საბჭ. კაგშირში დემოკრატიისათვის წარმომადგენერლმა - შეეხმ ფორმალურ და არაფორმალურ დაჯგუფებების მოქმედებას საქართველოში, მაგრამ, ჩემი გაგებით, მისი სიტყვა უფრო ეხებოდა საბჭოთა კავშირს საერთოდ, ვიდრე საქართველოს კურძოდ, რომლის წარმომადგენლადაც ის თავს აცხადებს.

სამწუხაროდ, შ. შტ. — ში არ არის ვინმე ქართველი, ჟომელუაცია შეუძლია ამომწურავად გააცნოს ამერიკელებს საქართველოში მისამართ ისტორია და აწმყო, ანდა — მიუმხსოვბელი უცხოელი ისტორიკოსის, რომელიც სათანადო პასუხს გასცემდა იმ ისტორიკოსებს, რომელებიც განზრახ თუ გულუბრყვილოდ ეყრდნობიან **1917**-იდან, ან უფრო ადრეც, უსაშველო სიყალბით შედგენილ ისტორიულ ფაქტებს. თუკი არიან, უმთავრესად ამერიკელები ან სხვა ეროვნების, ისინიც თავს არიდებენ მართალი აზრის გამოთქმას, რათა ამან ხელი არ შეუშალოთ მომავალში საბჭოთა კავშირში სტუმრობისათვის ვიზის მიღებას.

ერთადერთი მონაწილე კონფერენციისა, რომელმაც სათანადოდ გამოეხმაურა სხვა მომხსენებლებს და რომელიც თავის სიტყვაში შეეხო მხოლოდ **9** აპრილს თბილისში მომხდარ ტრაგედიას, ეს იყო პროფესიონალ დოდონა კიზირია. ქ-ნბა დოდონამ შემდეგი პასუხი გასცა ზოგიერთ ორატორის მიერ დასმულ შემდეგ კითხვაზე:

„თუ ლაპარაკია იმაზე, რომ იმპერიები უნდა დაიშალონ, რატომ არ უნა დაიშალოს საქართველოს იმპერია? რატომ არ უნდა მიეცეს იქ მცხოვრებ ხალხებს გამოყოფის უფლება?“

— „ეს უაღრესად პროვოკაციული და საკამათო კითხვაა, ვინაიდან საქართველოს იმპერიასთან შედარება ფორთოხლისა და ვაშლის შედარებას უდრის. აქ საქმე გვაქვს ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და სხვა მრავალ თვისობრივ სხვაობასთან. უპირველეს ყოვლისა, რამდენადც ვიცი, საჭ.-ს არავის მიწა-აწყალზე არ შეუგზავნია მე-**11** არმია იქ მცხოვრები ხალხის დასაპყრობად.“

საერთოდ, ეს ტერმინი — „იმპერია“ ამ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელია. საჭ.-ში ბევრი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ისინი დაპყრობილი კი არ არიან, არამედ იქ ჩამოსული და დასახლებულია, თანაც ძალზე კარგად გრძნობს თავს. მაგალითად, იმ მაპმადიან ოჯახებს — აზერბაიჯანელებს, ლეკებს და სხვას — თხუთმეტი შეიღი ჰყავთ, მაშინ როდესაც ორ ქართულ ოჯაზე სამი ბავშვი ძლიერს მოდის. ეს ფაქტი დემოგრაფიულ დაყოვნებული მოქმედების ყუმბარას ქმნის (რომელიც, ვშიშობ, უკვე ამოქმედდა კიდეც).

მაშინ ამ მხრივ ამერიკაც „იმპერიაა“. მე არ ვიცი, როგორ გამოეხმაურებოდნენ ამერიკელები კუბელთა მიერ ფლორიდის შტატის თავიანთ საკუთრებად გამოცხადებას, ან მექსიკელთა მოთხოვნას,

რომ ტეხასისა და კალიფორნიის შტატები გერთიანებულიყო უწევული ქსიკის რეპარატურისაში, ან კიდევ, რას მოიმოქმედებდა ჭრის მიზანების ან ეთი თუკი უელსი გამოაცხადებდა დამოუკიდებლობის სურვილს. საქართველოში ჩვენ სხვადასხვა ერის ხალხთა ურთიერთობის ათას წლოვან ისტორიასთან გვაქვს საქმე.

მინდა აგრეთვე მოკლედ შევეხო ბ-ნ გუდავას სრულიად სამართლიან შენიშვნას, რომ აფხაზური მოძრაობა გარკვეული მხრით მეტად „საბჭოთა მოძრაობაა“, ამ სიტყვის კონსერვატიული გაგებით. აქ ერთგვარ საბჭოთა თავისებურებას აქვს აღილი. აფხაზებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თვით აფხაზებთი მოსახლეობის ჩივილები პროცენტს შეადგენენ, აქვთ გარკვეული სტატუსი, რომელიც მათ საგრძნობ უპირატესობას ანიჭებს, სამსახურში დანიშვნა იქნება ეს, სასწავლებელში შესვლა, ბინის მიღება თუ მრავალი სხვა. უამრავი ადგილობრივი სამმართველო პოსტებიც მათ უკავიათ. ამის გამოა, რომ ბევრი აფხაზებთი მცხოვრები ქართველი აფხაზად იწერება, ვინაიდან როგორც ქართველს, მას არავითარი პრივილეგია არ ექნება. პროცენტული შემადგენლობით აფხაზებთის მრავალნაციონალური მოსახლეობის (ქართველების ჩათვლით) მმართველ სექტას აფხაზები შეადგენენ და სწორედ ისინი არიან, ასე გააფირებით რომ მოითხოვენ საქართველოსგან გამოყოფას. სწორედ ისინი არიან, ვინც უველავე მეტად წააგებს დემოკრატიული ცვლილებების შედეგად. ბევრი დაკარგავს აგარაკებს, მანქანებს მძლლითურთ და სხვა ჯილდოს. ისინი, ჩემი აზრით, გორბაჩივის წინააღმდეგაც არიან და გარდა ქმნის წინააღმდეგაც. ამ მხრით მიმაჩნია მათი მოქმედება „საბჭოთა მოძრაობად“. სავალალოა, რომ ბევრი ის აფხაზიც, რომელიც ამ პრივილეგირებულ სექტას არ ეკუთვნის, აყოლილია მათ ხმას და ქართველი მიაჩნია მტრად. ასეთ დროს ძალიან ადვილია ნაციონალურ გრძნობებზე დემაგოგიური სპეციულაცია. ამგარი განწყობა ბევრი სამარცხინო საქციელის მიზეზი გახდა და ბევრი უბედურება მოუტანა როგორც ქართველ, ისე აფხაზ ხალხს.

ნაციონალური პრობლემები საქართველოში მეტად თავისებური და რთულია, მათი მოკლედ ამოწურება კი სრულიად შეუძლებელი. ამ პრობლემებს შესწავლა სკირდება და არა გარე ანალოგიებით შეფასება, როგორც ამას ზოგიერთი დასავლეთის სპეციალისტი, ან კიდევ უარესი, დასავლეთის გაზეთები აკვთებენ ხოლმე. იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეს მდგომარეობა ნელ-ნელა შეიცვლება და საქართვე-

ଲୋଶି ଶ୍ରେଷ୍ଠନିଲୀ ସିର୍ତ୍ତାପିଳା ମେଟ୍ରୀ ସିର୍ବଳକଣ୍ଠିଲିଙ୍ଗା ଏବଂ ଯୁଗମୁଦ୍ରାଜ୍ଞାନୀୟ-  
ନେବା ହାରନାଲିଖେବୁଲୀ”, ଲାବାଲାରୁଲା ଫିନ୍ ଲୋଲନା ପିଲିରାମି, ପାଇସିଲାରୁଲା

მიუხედავად იმისა, რომ მომხსნებელთა უმრავლესობა შეეხმ მხო-  
ლოდ იმ საკითხებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ ინტერესს და არა  
ცხრა აპრილის ირგვლივ, კონფერენციაზე დამსწრე მრავალი ამერი-  
კელი გაეცნო, ზოგიერთი ხარვეზების მიუხედავად, საჭართველოს პო-  
ლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, რელიგიურ ას-  
ოცენტებს, საჭართველოს ამჟამინდელ მდგრადიობას.

შეიძლება ითქვას, რომ, თუმცა ის არ შეხებია სპეციფიურად ცხ-  
რა აპრილის ტრაგედიას, ობიექტიურად იღაბარაკა თელ-ავივის უნი-  
ვერსიტეტიდან აკადემიკოსმა იაკობ რო'იმ. კონფერენციაში აგრეთ-  
ვე მონაწილეობა მიიღეს ქართველობის გამარჯვებულება: კიმ ბრაიანტურმა ჯო-  
რჯ მეისონის უნივერსიტეტიდან და მიხაილ ალექსეევმა და დერილ  
სოლიდორმა დაკის უნივერსიტეტიდან.

კონფერენციის დამთავრებილან რამდენიმე დღის შემდეგ გესაუბრე ქ-ნ დი - ანს. მისი აზრი კონფერენციის შესახებ სრულიად ემთხვევა ჩემსას და აი იგი:

გარდა იმისა, რომ მომხსენებლებმა არ ისურვეს ცხრა პრილზე ლაპარაკი, მე ვფიქრობ, რომ ზოგ ამერიკულ და ოვით ქართველებს არ სურდათ, მომეწვია ეს კონფერენცია, რისთვისაც არსებობს რა მდგრადი მიზეზი. ერთია ის, რომ მრავალმა ადრევე დასაკვრა ამ

კონფერენციის კონტროვერსიული ასპექტი და გადაწყვიტებული მიუღია საღმი ხელის არ ხელბა“, არ განეხილათ ანალიტიკურად აუზრუნველყოს მიურად ეს საკითხი. სხვები კი არ იყვნენ ამ საკითხით დაინტერესებული. ჩემთვის განსაკუთრებით გულის გამტეხი სწორედ ეს იყო.

მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოდან კონფერენციას დასწრებოდა წარმომადგენელი ჯანმრთელობის სამინისტროდან ან თვით მინისტრი ირაკლი მენალარიშვილი, რომელიც სხვებზე უკეთესად იყო გაცნობიერებული ამ ვითარებასთან და თითქმის ყოველდღიურად აცნობდა ტელეგადაცემის მეშვეობით მოსახლეობას დაღუპულთა და დაშავებულთა, უმთავრესად მოწამლულთა მდგრადირების სტატისტიკას. ასევე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელი, გაზ. „სახალხო განათლების“ რედაქტორი ა. სილაგაძე, რომლებიც შეძლებდნენ ამომწურავი პასუხი გაეცათ მრავალ კითხვაზე. მაგრამ, როგორც თქვენც ბრძანეთ, საქ. ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენლებმა, ისინი რომლებიც კონფერენციას დაესწრენ, — არ ვიცი რა მიზეზით, ან რა იყო მათი აშერიკაში ჩამოსვლის მიზანი, — ვერ წარმოადგინეს ის, რისი იმედიც მე მქონდა — განემარტოთ მსმენელებისათვის, რა სახის გაზით მოიწამლა ხალხი, რამდენი დაიღუპა რა მიზეზით, რამდენი დაიკარგა უგზოუკვალოდ და იძოვნეს ისინი შორს თბილისიდან და სხვა.

ამერიკელი ექიმებისთვის, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ ტრაგედიიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ძნელი იყო დასკვნა გამოეტანათ მომწამლავი გაზის ფიზიკურ ეფექტზე, რაღაც ვერ მიიღეს ცნობები თუ რა სახის გაზი იქნა გამოყენებული და ასე შემდეგ ტრაგედიის შემდეგ მრავალი მითქმამოთქმა გავრცელდა, რომელთა შორის ცნობილი არაა, თუ რა არის სიმართლე და რა შეთხული ჭირი, ამიტომ მეც ვფიქრობ, რომ აუცილებელია, საქართველოს მოსახლეობისათვის იქნეს განმარტებული სიმართლე და, რომ ბოლო მოედოს ამ მითქმამოთქმებს, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებას.

როგორც ამბობენ, მრავალი მოწამლული ადამიანი დღემდე იმყოფება საავადმყოფოში და როდესაც განმარტებული იქნება ვითარების ფინანსური ეფექტის შესაძლებელი გავლენა, ჩვენ შეგვეძლება მისი დაფილად დავიწყება“.

— გამოდის, რომ: ამ საკითხებში არაგითარი დახმარება არ გაუწევიათ საქართველოდან ჩამოსულ ექიმებს: კობალაძესა და ფალავას. — „დიახ, დიდი არაფერი. ძნელია თქმა იმისა, გააჩნდათ მათ თუ

არა საკმარისი ინფორმაციები, შეეძლოთ ამ ინფორმაციით გატარდნა ცემა თუ არა, ან მათ არ ისურვეს ამ ინფორმაციების გაღმინცება, ან იქნებ მათ ვერ გაიგეს რა იყო ჩვენი მიზანი? ვინ იცის?! “

— გარდა იმისა, რომ ოქვენ ხართ ქართველების მეგობარი, ამ კონფერენციის მოწვევისაკენ თქვენ გიბიძგათ თუ არა იმან, რომ აქ ხშირად ტარდება კრებები, სადაც განხილულია ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის და უკრაინის ვითარებები და თითქმის არაფერია თქმული საქართველოზე?

— „ერთი მხრივ თქვენ სწორი ხართ, მაგრამ ამერიკის აკადემიურ წრეში მრავალია დაინტერესებული საქ.-ს სხვადასხვა ასპექტით. ჩემი მიზანი იყო და ასეც მოხდა, რომ ამ სწავლულებს ურთიერთ-შორის განხილათ ეს საკითხები. გარდა საქ.-ს საკითხებით დაინტერესებული სწავლულებისა, როგორც თქვენ ნახეთ, ამ ხალხმრავალ მსმენელთა შორის იყვნენ მრავალი, რომლებისათვის სულ ცოტა რამ არის ცნობილი საქ.-ზე. მათ შორის იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, მთავრობის სამმართველოებიდან და ორგანიზაციებიდან. ამჟამად ჩემი მიზანია მომავლისათვის მოწვევა კონფერენციის,

სადაც მეტი საკითხები იქნება განხილული და რომელზეც მოწვეული იქნებიან სხვა უნივერსიტეტებიდან სლავიანური ენების ფაკულტეტთა წარმომადგენლები, რათა უკეთესად გაეცნონ საქართველოს.“ — ბრძანა ქალბატონმა დი-ან პოლინსკიმ.

### ლადო ბაბიშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

საქ.-ს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო

„მ ა ც ნ ე“

ჩვენამდე მოაღწია, 1989 წლის 26 ოქტომბრით დათარიღებული, „მაცნეს ქრონიკა“ №1 -შა, რომლიდანაც ვეკებულობთ:

1989 წლის შემოდგომაზე, თბილისში, დაარსებულა საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“, რომელიც დაპირებას იძლევა, რომ ის არის არასახელმწიფო ბრივი, არაპარტიული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თავისი შესდება და პროგრამა.

„სააგენტოს მთავარი ამოცანაა, შექმნას ხელსაყრელი პირობები საქართველოში დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის სამსახურის შექმნა-განვითარებისათვის, ახალი საერთაშორისო ურთიერთო-

ბებისა და „საინფორმაციო პრობლემატიკის“, ასევე ახალ შემუშავება გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების შემუშავებაზე 1992 წელს) დამკვიდრებისათვის ... „მაცნეს“ წესდებაში მოცემულია ძირითადი პრინციპები: ა) მართალი და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება; ბ) ინფორმაციის ოპერატორულობა; გ) სრული საჯაროობა; დ) შეხედულებათა პლიტრალიზმი; ე) ინფორმაციის მოპოვების თავისუფლება; ვ) უფრნალისტთა პროფესიული ეთიკის საერთაშორისო პრინციპების დაცვა... სააგენტო მხარს უჭერს ჰუმანიზმის საყოველთაო კულტურული რიებულებებს, დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ადამიანის და ერის უფლებებს. მოდერნიზებული სამხედრო მანქანის იმპერატივები საბჭოთა იმპერიის პარტიული პრესის მეშვეობით ეწევიან რეალური ფაქტების შესახებ მოწოდებული ინფორმაციის სრულ ბლოკირებას და შემდგომ გაყალბებული ინფორნაციის მახინჯად მიწოდებას, რაც კვლავ ჩემი რჩება „დესპოტური რეჟიმების“ შენარჩუნების გარანტიად...“ ასეთია „მაცნეს“ მიმართვის ზოგიერთი პასუე, რომელსაც ხელს აწერს, როგორც სააგენტო „მაცნეს“ დირექტორი, უფრნალისტი ვახტანგ ბახტაძე.

საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“ არსებობს ნებაყოფლობით შემოწირულებებით. მისი ბანკის ანგარიშის ნომერია: 000700656, ქ. თბილისი კალინინის რაიონის ბინსოუბანების განყოფილება.

საინფორმაციო სააგენტო „მაცნეს“ დაარსება დალოცა უწმინდეს-მა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოს –პატრიარქმა იღია II -B შემდეგი სიტყვებით:

„მხოლოდ სიმართლით, კუშმარიტების ძიებით ვუახლოვდებით სულიერ სიმაღლეებს ... აუცილებელია თავისუფალი უფრნალისტური პზრიც. იქნედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩინია საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნეს“ დაარსების ფაქტი. ობიექტიურად უნდა აისახოს თანამდევი მოვლენები, მაგრამ დღევანდელ დღეში უპირველესად ხვალინდელი პრობლემები უნდა დავინახოთ და ამის მიხედვით ვწეროთ და ვიმოქმედოთ.“

საინფორმაციო სააგენტო „მაცნე“ -ს დაარსებას მხარდაჭერა და თანაგრძნობა გამოუტავს: ბ-6 აკად ბაქრაძემ (სრულიად საქ.-ს რესთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, მწერალი, კრიტიკოსი);

ბ-5 ზვიად გამსახურდიამ (საქ. ჰელსიკის კავშირის ფაზის წელი 1990-ის სანის მთავარი კომიტეტის წევრი, წმ. ილია გრიგორიაშვილის საზოგადოების გამგეობის წევრი, ფილოლოგის მეც. კანდიდატი, დოკორი; ) ; ბ-6 ირაკლი კაკაბაძემ (სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფილოლოგის ფაკ. სტუდენტი);

აწ განსვენებულმა მურაბ კოსტავამ; ბ-6 გიორგი ლაპიაშვილმა ( „დას“ -ის / დემოკრატიული არჩევნები საქართველოში / გამგეობის თავ - რის მოადგილე ); ბ-6 ვაჟა მთავრიშვილმა (საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის / დემოკრატებისა / მთავარი კომიტეტის წევრი); ბ-6 გურამ მუჩაძემ (საქ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამუშავებელი ყრილობის მომზადების საორგანიზაციის კომიტეტის წევრი, ისტორიის მეც. დოქტორი, პროფესორი. / სოც. დემოკრატიული პარტიის ყრილობა ჩატარდა ამ თებერვალში, რომელმაც ბ-ნი გურამ მუჩაძე აირჩია პარტიის თავმჯდომარედ. გუშაგი/ ); ბ-6 ნოდარ ნათაძემ (საქ. სახალხო ფრონტის გამგეობის თავ - რე, ფილოლოგიის ღოქტორი, პროფესორი); ბ-6 ზურაბ უვანიამ (საქართველოს „მწვანეთა“ მოძრაობის ვიცე-პრეზიდენტი, თბ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგი.); ბ-6 ირაკლი შენგელაია (საქ. სამართლ-რადიკალური პარტიის და საქ. ეროვნული სამართლიანობის კავშირის უნიატური გაერთიანების თავ - რე, ფილოსოფოსი); ბ-6 ირაკლი წერეთელმა (საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავ - რე); აწ განსვენებულმა ზურაბ ჭავჭავაძემ; ბ-6 გიორგი ჭანტურიამ (საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, ისტორიკოსი ).

\*\*\*

„მაცნე“ გიმოდის ქართულ ენაზე. ითარგმნება ინგლისურ და რუსულ ენებზე. „მაცნეს მისამართი: 380012, თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი, 166.

\*\*\*

მაცნეს ქრონიკა № 1 - დან ზოგიერთი ცნობა

თბილისი. 24 სექტემბერი. ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის პრეზიდენტი, ბ.ნი ირაკლი კაკაბაძე გვაუწყებს, რომ 23 სექტემბერს ჩატარდა მიტინგი. რეზოლუციაში წამოყენებუ-

ლია შემდეგი მოთხოვნები:

- ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა;
- სპეციალური საავადმყოფოების გადაცემა რესპუბლიკის ჯანდაცვის გამგებლობაში;
- სიკვდილით დასჯის გაუქმება;
- საქ.-ს კომკავშირი არ უნდა გამოიღოდეს რესპუბლიკის ყველა ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელით;
- არჩევნების შესახებ კანონის დემოკრატიზაცია.

ჭრისტიანულ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის ასოციაციას შემოაჭეს წინადაღება, საკავშირო ალკუ -ს აღტერნატიულ ორგანიზაციად შეიქმნას ახალგაზრდული პარლამენტი.

\*\*\*

**თბილისი 28 სექტემბერი.** შედგა საქ.-ს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა 50-ზე მეტი კაცი უმაღლესი სასწავლებლებიდან, სამეცნიერო დაწესებულებებიდან, ფასტრიკა-ქარხნებიდან, სკოლებიდან, რედაქციებიდან და სხ.

კრებამ აირჩია საქ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტი და სარედაქციო კოლეგია. მომზადდა მიმართვა მოქალაქეებისადმი და წესდების პროექტი.

პარტიის მიზანია დემოკრატიული სოციალიზმის იღებები დაფუძნებული, სუვერენული, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა.

დამფუძნებელი ყრილობა გაზაფხულზე ჩატარდება.

\*\*\*

**თბილისი. 10 ოქტომბერიდან 19 ოქტომბრამდე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის მიმღინარეობდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი VI საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 14 ქვეყნისა და სსრკ რესპუბლიკების წარმომადგენლები. მუშაობა მიმღინარეობდა ოთხ სესვიად : ა) ძველი და შუა საუკუნეების ქანდაკება და გამოყენებითი ხელოვნება; ბ) შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება; გ) შუა საუკუნეების ფერწერა და ხელნაწერთა მორთულობა; დ) ახალი და საბჭოთა ქართული ხელოვნება.**

\*\*\*

**13 ოქტომბერს, დღის 11 საათზე, სოფელ ბორითთან (ხარაგოულის რაიონი) ავტოგარისის შედეგად ტრაგიულად დაიღუპა მერაბ კოსტავა, მძიმედ დაშავდა ბ-ნი ზორაბ კავკავაძე, შედარებით მსუბუქი**

\*\*\*\*\*  
\*\*\*\*\*  
\*\*\*\*\*

დაზიანება მიიღო ქ-ნმა თამარ ჩხეიძემ. ორივე დაშავებული დაშემცირებული ქადაგი მოთავსებულია თბილისის აყალემიკოს პ. მ. სარაჯოშვილის სახლში. ელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნეცროლოგიის ინსტიტუტში. ქ-ნ თამარ ჩხეიძეს აქვს ტვინის შერყევა და სხეულის ზოგადი დაუცულობა, ბ-ნ ზურაბ ჭავჭავაძეს – ქალა-ტვინის მრავლობითი დაუცულობა, ნახევარსფეროებს შორის სიგრუეში და მოგრძო ტვინში და თავის ტვინის ორივე ნახევარსფეროში მრავლობითი წერტილოვანი სისხლაქცევები, კისრის მაღების მოტეხილობა და ზურგის ტვინის კისრის დონის ნაწილობრივი დაზიანება.

მკურნალობას წარმართავენ პროფესორი ბ-ნი ოთარ სიგუა, პროფესორი ბ-ნი რომან შაქარაშვილი და მოსკოვის ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიული ინსტიტუტიდან აცეციალურად მოწვეული პროფესორი ბ-ნი ედუარდ სიროვსკი.

\*\*\*

**თბილისი. 21 კქტომბერი.** სიონის კათედრალურ ტაძარში უწმიდეს და უნეტარესება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II გადაიხადა პანაშვიდი მამულისათვის წამებული გმირის შერაბ კოსტაგას სულის მოსახსენებლად. საეკლესიო პანაშვიდის შემდეგ დაიწყო სამგლოვიარო ცერემონიალი. სამ საათზე დაახლოებით 300.000 კაციანი პროცესია დაიძრა სიონის ტაძრიდან და რუსთაველის გამზირის გავლით გაემართა მამადავითისაკენ. მთაწმინდის პანთეონში მცირე წირვის აღვლენის შემდეგ გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს: ბბ-მა ზვიად გამსახურდიამ, აკაკი ბაქრაძემ, ნოდარ ნათაძემ, თემურ ქორიძემ, ავთანდილ იმნაძემ, დათო ტურაშვილმა, ვაჟა ადამიამ, რუსლან მიქაბერიძემ, ირაკლი ბათიაშვილმა, ირაკლი წერტოელმა და სხ. ქართველ ერს თავიანთი ერის სახელით სამძიმარი გამოუცხადეს ლიტვის „თავისუფლების ლიგის“, ლატვიის „სახალხო ფრონტის“, ესტონეთის „ეროვნული დამოუკიდებლობის“ პარტიის, უკრაინის „პელინკის ჯგუფის“, ინგუშეთის „სახალხო ფრონტის“ წარმომადგენლებმა. დაკრძალვის ცერემონიალის დამთავრების შემდეგ გაისმა სვანური „ზარი“, „შავლეგო“ და „ქართველო ხელი ხმალს იყარ“. ( „მაცნეს ქრონიკა“ №1, 26 ოქტომბერი 1989.)

ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის ლიდერთა ჯგუფი



აკაკი ბაქრაძე



ზვიად გამსახურდია



ნოდარ ნათაძე



ირაკლი კაკაბაძე



გიორგი ჭანტურია



ირაკლი შერეთელი



ვაჟა მთავრიშვილი



გიორგი ლაპიაშვილი



გურამ მუჩიაძე



1989 წლის დამამთავრებელ კვირეში კრემლში მიმღინარეობდა ს. კ. სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა, რომელზედაც ირჩეოდა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ გორბაचივის მიერ ხელოვნურად შეკო-წიფებულ „პარლამენტისგან“ სიმართლის ზემის არც გელოდით, ის ჩვენთვის მაინც ორმაგად საინტერესო გამოდგა: ა) იქ აშკარად გამოიკვეთა ორი ბანაკი: იმპერიალიზმისა და თავისუფლებისა; ბ) პერველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში საქართველოს კომპარ-ტიის ხელმძღვანელმა გივი გუმბარიძემ ილაპარაკა როგორც ქართვე-ლი ხალხის წარმომადგენერლმა.

სიტყვა მიეცა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს ა. ა. სობ-ჩიაქს, რომელმაც არ დამალა, რომ სამხედრო პროკურატურა აშკა-რად ხელს უშლიდა სიმართლის გამოვლენას, და რომ სამხედრო პრ-ოკურორ კატუსევის გამოსვლა ტენდეციური იქნებოდა. როცა გენ-რალი ალექსანდრე კატუსევი ტრიბუნაზე გამოვიდა, გივი გუმბარი-ძემ დატოვა პრეზიდიუმი და მის შემდეგ დარბაზში აღარ დაბრუნე-ბულა. რა თქმა უნდა, დარბაზი დატოვა ყველა ქართველმა დეპუტა-ტმა, სომხეთის, ბალტიისპირეთის და არამცირე მოსკოვისა და ლე-ნინგრადის დეპუტატებმა. აი არასრული სია იმ დეპუტატებისა, რომლებმაც პროტესტის ნიშნად ქართველ დეპუტატებთან ერთად და-ტოვეს დარბაზი:

სსრკ მეც. აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის სექციის გამგე სერგი ავერინცევი, მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ-საარქი-ვო ინსტიტუტის რექტორი იური აფანასიევი, აკადემიკოსი, მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ოლ-ეგ ბოგომოლოვი, ესტონეთის მეც. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი ველლო კარე, სსრკ გენერალურ პროკურატურასთან არსებული განსაკუთრებული მნიშვნელობის საქ-მეთა უფროსი გამომძიებელი ტელმან გლდიანი, სსრკ სამშენის თავ-მჯდომარის მოადგილე (პირველი), სსრკ მინისტრი ბორის ელცინი, ლენინური კომიკაშირის სახელობის მოსკოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, სსრკ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის მდივანი მარკ ზახაროვი, სსრკ მეც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრკ მეც. აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის



დირექტორი ვლადიმერ კოტლიაკოვი, ყაზანის უნივერსიტეტის დოკორი ალექსანდრე კონოვალოვი, უკარაინის კომპოზიტორი კავშირის გამგეობის მდივანი ევგენი სტანკოვიჩი, უურნალ „გობროსი ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი გაბრიელ პაპოვი, აკადემიკოსი როალდ საგდევი, ლიტვის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე რეგიმანტა ალექსანდრე იაბლოკოვი, სსრკ მეც. აკადემიკის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე იაბლოკოვი, სსრკ მეც. აკადემიკის ამერიკის და კანადის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი არბატოვი, სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი იური პლატონოვი, სსრკ სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ბორის უგაროვი, სსრკ მეც. აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ევგენი ველიხოვი, გაზეთ „მოსკოვსიე ნოვოსტის“ მთავარი რედაქტორი იაკორ იაკოვლევი, მწერლები: როსტისლავ ბრატუნი, იური ვლასოვი, რუსტამ იბრაგიმბეკოვი, ვიტალი კოროტიჩი, ალექსანდრე ვლადიმირ იავორივსკი, იური შჩერბაკი, ალექსანდრე გელმანი, ევგენი ევტუშენკო. და სხ.

### გივი გუმბარიძის გამოსვლა ყრილობაზე

**შეგობრებო!** ჩემს თანამემამულეთათვის, რომლებიც ღელვით ადევნებენ თვალს ამ განხილვას, 9 აპრილის მოგლენებში განუყოფლად დაუკავშირდა ერთმანეთს პოლიტიკა და სინდისი, მორალი და სამართლალი, უპირველეს ყოვლისა კი ეროვნული და მოქალაქეობრივი ლირსების უფლება. მძიმე გამოცდის შემდეგ ქართველმა ხალხმა სიმართლე 9 აპრილის შესახებ სახალხო დეპუტატების 1 ყრილობის ტრიბუნაზე გამოიტანა, გამოიტანა გულწრფელი, ადამიანური თანაგრძნობისა და ამ ანტიკუმანური, სამარცხვინო და გარდაქმნისთვის ულირი აქციის მკაცრი პოლიტიკური შეფასების იმედით.

ძნელი როდია ფარული, ხშირად კი აშერია ზამბარების მუშაობის შემჩნევა, რომელთაც ძალუბო სიმართლის მაძიებელი დამნაშავედ აქციონ. ხატოვნად რომ ვთქვათ, მთელ ხალხს ამსგავსებენ გოგოლი-სეულ უნტეროფიცრის ქვრივს, რომელმაც თავი გაირჩება. ოლონდ მაშინ საქმეში ფიგურირებდა როზგები, ახლა კი ნელ-ნელა იფრქვევა აირები, მოქმედებენ სასანგრე ბარები. თანამდებობრივ მართლმსაჯულებას ამ გმირული სახის შექმნიდან გასული 150 წლი იმდენად არ გვაშორებს ჩვენ, რამდენადაც ბოლო თხხი წლის მანძილზე

გაღვიძებული იმედი, რომ ამჯერად ჩვეული უწყებრივი ქუმულის შეტენა  
ძლეობა კი არა, პიროვნებისა და საზოგადოების, დემოკრატიის  
და გულმოწყვლების იდეალები გაიმარჯვებენ. სიცრუითა და ცილი-  
სწამებით ვერ დაშრობთ დედების ცრემლს, ვერ აღადგენთ დაკარ-  
გულ სულიერ წონასწორობას. აუცილებელია პატივი ვცეთ პოლიტიკ-  
ური ტრაგედიის ნამდვილ მსხვერპლადეცეულ ხალხს, რომელიც სულგ-  
რძელად იძლევა მონანიების საშუალებას, მაგრამ არასდროს გვაპა-  
ტიებს შეფასებათა დამახინჯებასა და თავისი სულიერი ტკივილის  
შეურაცხოფას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ქვეყნის ხელმძღვანელის პოლიტიკურ მოთ-  
მინებას, მაგრამ არა და არ ცხრებიან ძალები, რომლებიც დღენი-  
ადაგ ცდილობენ გაამწყვონ სიტუაცია და დამტკიცონ, თითქოს  
თბილისში მომხდარი ტრაგედია კანონზომიერი და დემოკრატიის მომ-  
ხრეთათვის კეცისსასწავლებელი ყოფილიყოს. ააგინდ კეთილ მიზნებ-  
საც უნდა ისახავდეს ხელისუფლება, თუ ხალხის ნების დასათრებუნ-  
ად ძალას გამოიყენებს, იგი ადრე თუ გვიან აღმოჩნდება ჩიხში,  
საიდანაც გამოსავალს ვეღარ მონახავს. ამას გვისწავლის წარსული-  
სა და თანამედროვების მწარე გამოცდილება.

9 აპრილის ტრაგედიამ, ისევე როგორც ზოგიერთმა შემდგომმა  
ღრამატულმა მოვლენამ საქართველოში, დაადასტურა ჩვენი ხალხისა-  
დმი მ. ს. გორგაბაჩვის მიმართვაში გამოთქმული აზრი, რომ ეს გარ-  
დაქმნისადმი მახვილის ჩაცემას უდრიდა. ძალა ყოველთვის წარმო-  
შობს ძალმომრების ჯაჭვურ რეაქციას, ანგარიშსწორების პოლიტი-  
კას კი ძალუძს, ყოველი დავა აშკარა კონფრონტაციად აქციის და  
ისედაც დაირისადირებულ ეროვნებათ შორის ახალი შულლი ჩამოა-  
გდოს. ყოველი ამის შემდეგ ძნელი არ არის მოითხოვო საგანგებო  
მდგომარეობა და კომენდანტის საათის შემოღება. არადა, საზოგა-  
დოებას ჯავშანტრანსპორტიორებზე ამხედრებული ჯარისკაცები კი  
არ უნდა შართავდენ, ისინი კი არ უნდა აგვარებდნენ ამგვარ კონ-  
ფლიკტებს, არამედ ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტები.

რესპუბლიკაში, აპრილის შემდგომი პერიოდის მრავალი კონფლიქ-  
ტის მიუხედავად, თითქმის ერთი სუნარით რომ გათამაშდა, ჩვენ  
ყველაზე კრიზისულ ვითარებაშიც კი აზრად არ მოგვსვლია ძალის  
გამოყენება. რა თქმა უნდა, ძნელია ასეთ პირობებში, საზოგადოე-  
ბის კონსოლიდაციის მისაღწევად მწვავე პოლიტიკური დიალოგისა  
და დისკუსიების გამართვა, მაგრამ ადრეც ასე ვთვლიდი და დღეს-



აც ასე მიმაჩნია, რომ ადამიანს უფლება აქვს საფრთხეში ჩეცვადას მხოლოდ საკუთარი თავი და არა იმათი სიცოცხლე, ვინც უკუნდებები ნელის როლი მიანდო და დააკისრა.

გულწრფელობა და ვაჟკაცობა სჭირდება იმის აღიარებას, რომ თბილისის ტრაგედიის თავიდან აცილება აუცილებელი და საცხებით შესაძლებელიც იყო. ცდადაც კი არ ლის მომხდარი საშინელების გამართება, რასაც ვერასოდეს ამოშლი მრავალი ათასი ადამიანის მეხსიერებიდან, რომლებიც რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდნენ და, თურმე ნუ იტყვით, ვერ „მოთავსდნენ“ დაგეგმილი ოპერაციის სასტიკ ჩარჩოებში. ფაქტების ვერანარი გაყალბება ვერ გააქარწყლებს იმ აზრს, რომ, საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, პასუხისმგებლობა ეკისრება არა ხალხს, არამედ ამ აქციის მომწყობ და განმხორციელებელ, ყველა უფლებით აღჭურვილ ჩინოსნებს, რომელნიც მოვალე იყვნენ უკანასკნელ დეტალამდე განეჭირობათ მოსალოდნელი შედეგები. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 9 პპრილის მოვლენების შესახებ ერთიანი აზრია დამკვიდრებული.

მიტინგის ხასიათისა და მიტინგის აღკვეთის აშკარა შეუსაბამობა გასცდა ყველა დასაშვებ ფარგლებს და ხალხთან შეტაკებაში გადაიზარდა. საზოგადოება, რომელიც დემოკრატიის გზას დაადგა, აღარავის მისცემს უფლებას იგი კვლავ იმპერიული მუშტის მეშვეობით მართოს.

ჩვენი დემოკრატიის ხარვეზები, უკიდურესი ლოზუნგები და მოწოდებები, ემოციური აღზნებულობა გარდაუვალი საზღაურია იმ უზნეობასიურობისა, ჩვენში რომ მრავალი წლის განმავლობაში ინერგებოდა. გაიხსენოთ, წინათ რა შესაშური გულგრილობით ვითმენდით სხვადასხვავარ „უკიდურეს“ ლოზუნგებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა ჩიხში შეჰქანდათ, ხალხს კი სულში ეროვნული და მოქალაქეობრივი დაუცველობის გრძნობას უმკვიდრებდა, ჩვენ არ ვიყავით, დროშად რომ ვაფრიალებდით ერთა შერწყმისა თუ გაქრობის, სხვადასხვა კულტურებისა თუ ენების შერწყმა-შერევის ყბადაღებულ თეორიებს? ჩვენ არ ვურიგდებოდით იმ „ბელადების“ დაურკებელ განდიდებას, საზოგადოება კრიზისულ მდგომარეობამდე რომ მიიყვანეს!?

ადამიანებს სურთ დაგვიჯერონ, მაგრამ ხშირად კირს მათი დარწმუნება იმაში, რომ პოლიტიკური კონიუნქტურა ან ჩვენი თანამდებობრივი მდგომარეობა ხელს არ შეგვიშლის ბოლომდე გულწრფელი



ვიყოთ. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ხალხს, რომ მათ მიერა ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილება გამართლებული და ხორციელდებული ნება.

სულაც არ ვარ სანტიმენტალური, მაგრამ ზნეობრივი თვალსაზრისით პირადად ჩემთვის სრულიად გაუგებარია: როგორ შეიძლება გულმოწყალე იყო არა მსხვერპლის, არამედ მოძალადის მიმართ! თუ ჩვენ მართლაც ვუფროთხილდებით ფედერაციას, თუ მართლაც ვაპირებთ ერთად ცხოვრებას, რაღატომ ვთრგუნავთ ბუნებრივ გრძნობებს და მქუხარე ტაშით ვაჯილდოებთ მოძალადეს მაშინ, როცა მგლოვიარე ხალხი ძაძებითაა შემოსილი?!

ასევე უზნეობაა მთელ ქართველ ხალხს მიაწერო ანტირუსული განწყობილება და რუსთმოძლეობა. რუსეთის თვითმყრობელობის იმპერიული პოლიტიკაც კი საქართველოში არასოდეს გაიგივებულა რუს ხალხთან, პოლიტიკა, რომელმაც ორი საუკუნის წინად ფეხვევშ გათელა საქართველოსა და რუსეთის შორის დადგებული გეორგიესკის ხელშეკრულება, პოლიტიკა, რომელმაც **1801** წელს საუკუნეზე მეტი ხნით მოუსპონ ქართველ ერს სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი!

ჩვენში ღრმად აქვს გადგმული ფეხვი სტერეოტიკებს. განა **1920** წლის ხელშეკრულების დარღვევის აღიარება ბრალდებას ნიშნავს რუსი ხალხის მიმართ? ასეთი აღიარება ბრალს სდებს და პასუხისმგებლობას აკისრებს არა რუს ხალხს, არამედ მაშინდელი ქვეყნის ზოგიერთ ხელმძღვანელს, რომლებმაც შელახს არა მარტო ქართველი, არამედ რუსი ხალხისა და სხვა ხალხების ეროვნული ღირსებაც. და თუ გვინდა სრული ნდობა მოვიპოვოთ, ისტორიის ფაქტები კი არ უნდა მიგჩქმალოთ, არამედ ბოლომდე წარმოვაჩინოთ.

ასევე არ შეიძლება ქარველი ხალხი გავაიგიოთ ჩვენი საერთო ისტორიის ზოგიერთ ოდიოზურ სახელთან, როგორც ეს გუშინწინ გაისმა ამ ტრიბუნიდან. არ ვიცი, აღინუსხა თუ არა ეს **9** პარიზის საქმის მასალებში, მაგრამ თბილისში ყველამ იცის, რომ მიტინგის დარბევის დროს ზოგიერთ გახელებულ სამხედრო მოსამსახურეს პირზე ეკერა სტალინისა და ბერიას სახელები.

თავს ნებას მივცემ შევნიშნო: სამხედრო უწყება ჩვენში კვლავ განსაკუთრებული უფლებებითაა აღჭურვილი. მე მხედველობაში არა მყავს ჩვენი არმია, რომელსაც განსაკუთრებულად, პატივისცემითა და სათუთად უნდა ვეკიდებოდეთ. მაგრამ სამხედრო უწყება არმია როდია, და მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, იგი უნდა მოქ-



მედებდეს სამართლებრივი სახელმწიფოს საყოველთაოდ აღსრულებული ფარგლებში. ერთი გენერალი უხეშად არღვეს გენერალური მუსიკის დირექტორას და ჯარისკაცებს უსევს დემონსტრაციებს, შეორე - თვითნებურად იყენებს ქიმიურ საშუალებებს, მესამე ნაჩქარევად აწვდის გაზეთს დაუმთავრებელი გამოძიების მასალებს და თავს უფლებას აძლევს სახელი გაუტეხოს ყრილობის კომისიას. ყრილობაზე ავრცელებენ ცილისმწამებლური, შავრაზმული შინაარსის ანონიმურ ფურცლებს, რომლებიც უკალმართულად წარმოგვიდგენენ რეპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რეპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიციას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს ზოგ-ზოგების ვნებათაღელვას, რეპრესიების ნოსტალგიით რომ არიან შეპყრობილნი. და ამიტომ, სამწუხაროდ, მეტად ჭირს ყოველივე ზემოთქმულისთვის ობიექტური პარლამენტური შეფასების მიცემა.

სამხედრო პროკურატურას, რომელიც სრულიად დაუფარავად ასრულებს თავისი უფროსი კოლეგების მმართვებლურ შეკვეთას, ჩვენში, ყოვლად გაუმართლებლად, არათუ ათანაბრებენ საპარლამენტო კომისიასთან, ლამის მასზე უფრო მაღლაც კი აყენებენ. თუმცა კარგად არის ცნობილი, სადამდე მივედით მაშინ, როცა პოლიტიკური გამოძიება კრიმინალურით შეიცვალა და პოლიტიკური სამსახურები - დამსჯელი ორგანოებით. მთელი ამ ტენდენციურობის, არაობიექტურობის ერთადერთი მიზანია როგორმე გადაარჩინონ მუნდირის ლირსება. მაგრამ იქნებ მუნდირი კი არა, უწინაარესად თავდადება, სიმამაცე, გულწრფელობა და პრინციპულობა იყოს ჩვენი არმიის ნამდვილი ლირსება!?

არავის არა აქვს უფლება ბრალი დასდოს ერს! მხოლოდ თვით ხალხი შეიძლება იყოს საკუთარი თავის მისამართი და სამართლიანი მსაჯული! სწორედ ამიტომაც არის, რომ საქართველოს დელეგაცია სრულ უნდობლობას უცხადებს სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლებს და კატეგორიულად მოითხოვს, შეიქმნას ახალი საგამომძიებო აგული, რომელიც დაექვემდებარება სამოქალაქო იურისტებს. ამ ჯგუფში აუცილებლად უნდა შევიდნენ საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებიც!

სულ უფრო მეტად გვეუფლება ასეთი გრძნობა: ხომ არავინ ცდილობს კალავ მკვეთრად გაამწვავოს ვითარება საქართველოში? ამიტომ ამ მძიმე უამს მინდა ვთხოვთ ჩემს ხალხს და მოვუწოდოთ: - ნუ აპყვება პროვოკაციას, გამოიჩინოს თავშეკავება, სიბრძნე და შეინარ-

ჩეუნოს ის ღირსება, რომლითაც ყოველთვის იყო გამორჩეული  
 (გადმობეჭდილი: „ლიტერატურული საქართველო“ № 52  
 29 დეკემბერი 1989.)

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ლიგა ჩევზევარდნაძის უცნაური  
 შეკამათება

სკაპ ცენტრალური კომიტეტის ამ წლის თებერვლის პლენუმის  
 წინა დღეებში, დიდად გავრცელებულმა ყოველკვირეულმა უზრნალმა,  
 „ოგონიოქმა“ თბილისის ცხრა აპრილის ტრაგედიას მიუძღვნა სტატია,  
 რომელშიც გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა აშკარად ეყისრება  
 „ჯუფს“, რომელში შედიოდენ: ჩებრიკოვი, სლიუნკოვი, მედვედევი,  
 ლუკიანოვი, რაზუმოვსკი, გენერლები: იაზოვი და კრისტიკოვი და  
 მას („ჯუფს“) თავმჯდომარეობდა პოლიტბიუროს წევრი, ც. კ.-ს  
 მდგვარი ი. კ. ლიგაჩინოვი. ამ ვერსიის მიხედვით, როცა „ჯუფმა“  
 ლიგაჩინოვის თავმჯდომარეობით მიიღო ლონისძიება პატიაშვილის ტრა-  
 გიკული ტელეგრამის დასაცამყოლებლად, გორბაჩინოვი მის თანმხედებ  
 შევარდნაძესთან ერთად კიდევ არ არის დაბრუნებული საზღვარგა-  
 რეთ მოგზაურობიდან მოსკოვში, პასუხისმგებელ „ჯუფის შემაღენ-  
 ლობაში მოხსენებული არ არის აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯ-  
 დომარე ბ-ნი რიუკოვი.

ასეთ განწყობილებაში, პლენუმის დარბაზის ტრიბუნაზე ადის ბ-ნი  
 ლიგაჩინოვი და აცხადებს: სრულიად ცხადია, რომ ასეთი მნიშვნელობ-  
 ის საკითხი შეუძლებელია ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტოს, ბევრმა ამ-  
 ხანაგმა იცის, რომ იმ დღესვე, მე ხას ვუსვამ, იმ დღესვე, 7  
 აპრილს, თბილისის ამბების შესახებ მიღებული პოლიტიკური განკარ-  
 გულება ერთხმად იქნა დადასტურებული, და მე ვიმეორებ, ე რ თ-  
 ხ მ ა დ პოლიტბიუროს მიერ უკლებლად, მათ შორის: მიხეილ გორბა-  
 ჩინის, ნიკოლაი რიუკოვის, იაკოვლევის და ე. შევარდნაძის მონა-  
 წილეობით“.

მეორე დღეს იგივე ტრიბუნიდან ელუარდ შევარდნაძე აცხადებს:  
 „რამდენიმე სიტყვას ვიტყვი იაგორ კუზმას ძის გამოსვლასთან და  
 კავშირებით ახსნა-განმარტებისათვის.“

არ ვიცი, მას შემდეგ, რაც მოეწყო საპარლამენტო, ოფიციალური,  
 დეტექტიური გამოძიებანი თბილისში მომხდარი ამბების გამო, განსა-

კუთხებით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შემდეგ, რისთვის გახდა საჭირო ამ ქადაგში მიმდინარეობდა.

იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ როგორმე შევეცადო აღვადგინო კეშმარიტება, მინდა ვთქვა, რომ პოლიტბიუროს არაეთარი სხდომა არ ყოფილია, გამართა ჩვეულებრივი შეხვედრა აეროპორტში. სხვა საკითხებთან ერთად, მოგვახსენეს, რომ შემაშფოთებელი დეპეშებია მიღებული თბილისიდან. ითქვა, რომ დააკმაყოფილეს ქართველი ამხანაგების თხოვნა წესრიგის უზრუნველყოფისათვის საჭირო დაბრუნების გაწევის, მათ შორის შინაგანი ჯარების იმ ქვეგანაყოფების დაბრუნების შესახებ, რომლებიც დისლოცირებული იყვნენ საქ.-ს ტერიტორიაზე და რომლებიც თავის დროზე სომხეთში გადაიყვანეს.

კატეგორიულად ითქვა, რომ გაცემულია გენერალური შდივინის, პოლიტბიუროს კატეგორიული მითითება საკითხი გადაწყვიტონ პოლიტიკური გზით. ასეთი მითითებანი, ასეთი რეკომენდაციები იყო მიუწმული. აი, ყველაფერი, რაც აეროპორტში ხდებოდა.

**მ. ს. გორბაჩივი.** არა, ყველაფერი არა. ჩვენ კიდევ დავავალეთ ამხანაგ შევარდნაძეს, მთელი მოგზაურობისა და სხვათა მიუხედავდ, და ვიღაცას კიდევ... ხმები. რაზუმოვსკის...

**მ. ს. გორბაჩივი.** რაზუმოვსკის – გაფრენილიყვნენ თბილისში.

**ე. ა. შევარდნაძე.** ესეც იყო, ასეთი საუბარი გაიმართა, ქართველმა ამხანაგებმა თქვეს, რომ საჭირო არ არის ასეთი გამგზავრება. აი მთელი კეშმარიტება.

**ი. კ. ლიგაჩივი.** ედურდ ამბროსის ძევ, ჩვენს შორის არც არის რაიმე წინააღმდეგობა... (ეს გაზ. „კომუნისტის“ მიხედვით, რომელიც ოდნავი განსხვავებითაა გადმოცემული ფრანგულ პრესში: „ედუარდ ამბროსიევიჩ, ჩვენს შორის არ არის წინააღმდეგობა, არა?!“)

**ე. ა. შევარდნაძე.** არა, სულაც არ ვამბობ, რომ არის წინააღმდეგობა. (ფრანგული პრესის მიხედვით: „არა, მე არ ვიტყვი, რომ არის წინააღმდეგობა“.)

**ლიგაჩივი:** მომისმინეთ, რა უნდა მექნა, თუ ოთხმილიონიანი კურნალი ამანინჯებს საკითხების არსე? ბოლოს და ბოლოს მეც ხომ მაქვს შესაძლებლობა გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი. ამასთან თქვენ ყველანი დუმხართ, ძვირფასო ამხანაგებო. (აქაც ფრანგული პრესის ცნობა განსხვავებულია: „მაგრამ, მისმინეთ, რა უნდა მექნა, როცა ერთი უურნალი (ეს ეხება „ოგონიოკს“) ამანინჯებს ფაქტებს? ბოლოს

და ბოლოს მეც ხომ მაქვს უფლება ჩემი თვალსაზრისის გამოჲჭმის! რად გაჩუმებულხართ, ამხანაგებო?“

**მ. ს. გორბაჩივი.** ვფიქრობ, ამით პირველი ნაწილი უნდა დავამთავროთ და წინ წავიწიოთ (ფრანგული პრესა: „მე მგონია, ჩვენ აქ უნდა გავჩერდეთ და გავაგრძელოთ კამათი /სხვა საგანზე/“)

**შევარდნაძე.** მგონია, ტყუილად არის აქ ასეთი მტკიცნეული რეაქცია. ჯერ ერთი, მე არ ვდემდი: ახსნა-განმარტებებს ვაძლევდი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიას, და ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ვთქვი. მეორე, მე თქვენთან დისკუსიას კი არ ვმართავ, არა-მედ ვსვამ კითხვას, რა საჭირო იყო ამ დისკუსიის დაწყება სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემდეგ.

**ლიგაჩივი.** იგი მე არ დამიწყია.

**შევარდნაძე.** თქვენ არ გაბრალებთ.

**გორბაჩივი.** ეს მხოლოდ იმას მოწმობს, თუ რა ვითარებაში ვიბრძით ჩვენი პოლიტიკის რეალიზაციისათვის და რომ ფრიად საჭიროა შევინარჩუნოთ სიღინჯე“.

( 1990 წლის 9 თებერვლის „კომუნისტი“ -დან )

\*\*\*

**ჩვენი კომენტარი.** უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ლიგაჩივ - შევარდნაძის „გაპაექრება“, თუ ასე შეიძლება ეწოდოს მათ სანახევროდ შენიღბულ ბრძოლას, მეორე დღესვე, თავიდან ბოლომდე გამოაქვეყნა „პრავდამ“, ხოლო ქართულმა „კომუნისტმა“ კი – მხოლოდ შევარდნაძის გამოსვლიდან. ასე, რომ ლიგაჩივის განცხადება, რომელიც ჩვენი წერილის თავშივე მოვიყვანეთ და რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველისათვის განსაკუთრებით და ყველა სიმართლის მოყვარულთათვის ზოგადად, – უგულებელყოფილია, რაც დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის საჯაროობაზე. მეტი რომ არ ვთქვათ, მაღალ შთაბეჭდილებას ვერ გვიქნის.

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი შეხედულება გქონდეთ ლიგაჩივის პირვენებაზე და მის პოლიტიკაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი სიტყვები უფრო დამაჯერებელია, ვიდრე შევარდნაძისა და, თუ გნებავთ, გორბაჩივისა. ამის გარდა, გორბაჩივ-შევარდნაძე ერთხელ უკვე მხილებული არიან ტყუილში ისევ ცხრა აპრილთან დაკავშირებით. მართლაც, 1989 წლის 25 მაისს, სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, როცა ცხრა აპრილის ტრალედია ირჩეოდა, გორბაჩივმა



განაცხადა: „ჩევენ თბილისის ამბები გავიგეთ მეორე ღია დღეს 10 ასაკი ათზე. წინა დღით, შაბათს 8 აპრილს, როცა მოსკოვში დაგენერირდა ჩემი ვაზიტის შემდეგ, აეროლრომზე მომახსენეს თბილისის მდგომარეობის შესახებ, მაშინ ჩევენ იქ შევთანხმდით, რომ ამხ. შევარდნაძე და რაზუმოვსკი დაუყოვნებლივ გაემგზავრებიან აღგილზე. თვით-მფრინავი მზად იყო გასაფრენად, მაგრამ თბილისიდან დარღვეს, რომ მათი მოგზაურობა საჭირო აღარ იყო, რადგან მდგომარეობა იქ ნორ-მალური ხდებოდა...“

ახლა უდავოა, რომ გორბაჩივმა მაშინ სიმართლე არ თქვა ერთ საკითხში (და მეტად მნიშვნელოვან საკითხში) მაინც, კერძოთ, ვიზიტიდან მოსკოვში ის დაბრუნდა 7 აპრილს და არა 8-ში და, ამ-რიგად, საბედისწერო განკარგულების გამოსასწორებლად მას რჩებოდა 24 საათზე შეტი. სასამართლოში მიღებულია, რომ თუ მოწმე ერთ-ერთ კითხვაში ტყუილში დაიჭირეს, მაშინ მთელ მის მოწმობას ფასი აღარა აქვს.

ლიგაზროვის ამ უკანასკნელი განცხადების შემდეგ შეიძლება შეუმცდარად ითქვას, რომ: თბილისის მიტინგის დარბევის განკარგულება მიღებული იქნა 7 აპრილს, კრემლში, პოლიტბიუროს სხდომაზე და მასში სხვათა შორის მონაწილეობდენ: ლიგაზროვი, ჩებრიკოვი, რიუკოვი, სლიუნკოვი, მედვედევი, ლუკიანოვი, რაზუმოვსკი, გენერალი იაზოვი, გენერალი კრიუჩკოვი. გორბაზროვი და მისი საერთაშორისო საქმეთა მინისტრი ჯერ კიდევ არ არიან ვიზიტიდან დაბრუნებული, ისინი დაბრუნდებიან მხოლოდ გვიან სალამოს. მათ მოსკოვის აეროლრომზე ხვდება პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა და იქვე, აეროლრომზე, იმართება სხდომა. გენ. მდივანს მოხსენდება ქვეყნის მთავარი პრობლემები და, ალბათ პირველ რიგში, თბილისში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული ღონისძიებები. შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ გორბაზროვმა მოიწონა პოლიტბიუროს „ჯგუფის“ მიერ უკვე გაცემული განკარგულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მას საკმარისზე შეტი დრო ჰქონდა კრიმინალური განკარგულების აღსაკვეთად.

ამ კონსტატაციის შემდეგ, თავის მოტყუილებაა ბ-ნ გ. გუმბარიძის კატეგორიული მოთხოვნა ყრილობისადმი, რომ: „შეიქმნას ახალი საგამომძიებლო ჯგუფი, რომელიც დაექვემდებარება სამოქალაქო იურისტებს. ამ ჯგუფში აუცილებლად უნდა შევიდნენ საქართველო პროკურატურების წარმომადგენლებიც!“ -ო. აჩავითარ ოფიციალურ კომისიას არ ძალუქს ბრალი დასდოს მა გორბაზროვს მანამ, სანამ

მას უკავია ქვეყნის უზენაესი მაგისტრის პოსტი. ამიტომაა, რომ  
სამხედრო პროკურორი არა მარტო „მუნდირის ლირსების უფლებების“  
როგორც ამას გუმბარიძე ამხელს, არამედ – უმაღლეს ხელისუფლების  
საც, რაც მისი იმპერატიული მოვალეობაა.

ეს მცდარი ნაბიჯი ბ-ნ გუმბარიძეს შეიძლება ეპატიოს, რადგანაც  
მისი სიტყვა წარმოთქმულია გასული წლის დეკემბერში და შეიძლება,  
მაშინ იმანაც არ იცოდა ის, რაც დღეს, ლიგაჩოვის განცხადე-  
ბის შემდეგ, ყველასთვის ცხადია.

### გუშაგი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ჩ ვ ე ნ ი ქ რ ო ნ ი კ ა – 1989.

1989 წლის 4 და 5 ივნისს ბ-ნი მიხეილ გორგაშვილი ოფიციალური  
ვიზიტით ესტუმრა საფრანგეთს. პირველ დღეს ჩვენი სათვისტომოს  
დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საბჭოთა საელჩოს წინ, სომხების  
მრავალრიცხოვან დიასტორის მიერ მოწყობილ საპროტესტო მიტინგში.  
მიუხედავად ქართველების რიცხობრივი სიმცირისა მათ მიერ გამოტა-  
ნილმა პლაკატებმა საფრანგეთის პრესისა და ტელეს ცნობისმოყვარე-  
ობა გამოიწვია, რომლებზედაც იყიდებოდა:

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, ფრანგულად და ქართუ-  
ლად,

— თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს!, ფრანგულად,  
— გორგაშვილი: და, თბილისის მხეცური ხოცა-ულეტა?, ფრანგულად.

ჩვენი მეზობლების მანიფესტაციის ზოგიერთ ორგანიზატორს ესენი  
არ მოეწონა და მიტინგიდან მოხსნა მოვთხოვა, მაგრამ ჩვენები  
მაგრად დაუხვდენ და ბოლომდე წინა ხაზზე დავრჩით.

მეორე დღეს დღის 10 საათსა და 30 წუთზე, საბჭოთა სახელმწიფ-  
ოს მეთაური, წესის თანახმად, ესტუმრა პარიზის ქილაქის თავს  
ბ-ნ უაკ შირაკს. ვინაიდან ჩვენს სათვისტომოში არავითარი აქცია  
არ იყო გათვალისწინებული, მცირე ჯგუფმა გადავწყვიტეთ ხელი  
შეეგეშალა ბ-ნ გორგაშვილის ტრიუმფალური მიღებისათვის. იგივე  
ტრანსპარანტებით გავეშურეთ საფრანგეთის დედაქალაქის მერიისაკ-  
ენ, საღაც ზღვა ხალხი ელოდა სანახაობას. სანამ სხვებიც შემო-  
გვიერთდებოდენ ბ-ნმა ვანო ციციშვილმა და მე პირველებმა გავშა-  
ლეთ პლაკატები. მაშინვე ვარს შემოგვერტყენ სამოქალაქოში გადა-  
ცმული უშიშროების მუშაქები, დაგვაპატიმრეს, ჯერ მახლობელ კო-

მისარიატში მიგვაბრძანეს, ხოლო შემდეგ, როცა გორბაჩიევის დროი ხნის წასული იყო მერიიდან, საგამომძიებლოში გადაგიყვანა-ეს, საიდანაც მხოლოდ **13** ს. და **30** წუთზე გაგვანთავისუფლეს,

პრეფექტურაში ჩვენი ვინაობის გამოძიების შემდეგ. ტელევიზიისაგან ქებული ჩვენი მოწოდებები ჩამოგვართვეს, როგორც საშიში იარა-ლი, მაგრამ ამას როდილა ვჩინდით, ჩვენ უფრო საფრანგეთის ქე-ბული დემოკრატია გვენანებოდა.

\*

- ო, აა შავ-ბნელი დღე იყო **13** ოქტომბერი! გვიან საღამოს მუ-ხივით გავარდა ჩვენს სათვისტომოში თბილისიდან მოსული უბედუ-რების მაუწყებელი ამბავი – მერაბ კოსტავას დალუპვის, ზურაბ ჭა-ვეგაძის მძიმე დაშავების და თამრიკო ჩხეიძის, რომელიც ავტომა-ნქანას მართავდა, სერიოზული „შოკი“.

„გუშაგმა“ დაუყოვნებლივ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ძვირფას მერაბის უნუგეშებელ დედას.

კვირეს **15 / X** -ში, წირვის შემდეგ გადახდილი იქნა მერაბ კოსტავას პანაშვილი, რომელშიაც ღრმა მწუხარებით მონაწილეობ-და როგორც აღვილობრივი, ისე საქართველოდან სტუმრად მყოფი მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

- **16 / X** -ში და მომდევნო დღეებში მერაბ კოსტავას დედასა და დამკრძალავ კომისიას დეპეშები და აეროგრამი გაუგზავნეს ფრან-გულად თუ ქართულად: მწერალთა და უზრუნავისტთა კავშირმა, სოლი-დარობა საქართველომ (ინგლისურად), ქართული სათვისტომოს გამგე-ობამ.

\*

- მე მინდა აგრეთვე ალნიშვნ დავით (დათო) ფაილობის და მი-სი მეულლის მათ შინა და სამშობლოში დაბრუნება, რომელსაც ად-გოლი ჰქონდა სამ სეტემბერს. ჩვენმა მყითხველმა იცის, რომ და-თო ფაილოდე-**9** აპრილის ტრალედიის მსხვერპლი, **13** ივნისის შემ-დეგ პარიზის ერთ-ერთ ჰოსტელში იწვა, სადაც მან სამი მძიმე ოპერაცია პირისახის აჩვი წარმატებით გადაიტანა ისე, რომ სახე უნადლოდ აღუდგინეს ქირურგებმა, მხოლოდ თვალთა ჩინს აღარაფე-რი ეშველა. სამედიცინო შემოწმება ასეთი იყო: შუბლის ძვალის გატეხვა, რაღაც მძიმე და ბლაგვი საგნისაგან, აღბათ ჯარისკაცის ხელკერისაგან, რამაც გამოიწვია გონების დაკარგვა. მას აგრეთვე აღმოაჩნდა ტყვით მიყენებული ჭრილობა, რომელიც გავლილია თავ-ის ტვინის გასწვრივ. ტყვიის შეხება: მარჯვენა თვალის ღრუს წი-

ნიდან და გამოვიდა მარცხენა თვალის ღრუს უქნიდან, გუბენიშვილი ამ გახვრიტა ცხვირის ხრტილი, გადაკვეთა ორივე თვალის ჩინი, ოდნავ გაკაწრა თავის ტვინის ქსოვილი და გამოიწვია ნერვული ტრომატიზმი. ტყვიის შეხების კრილობის შესწავლა ადასტურებს, რომ ტყვია სულ ახლოდან იყო ნასროლი.

დათოს ორგანიზმა შესანიშნავი გამძლეობა გამოამედავნა. მან დიდ ფიზიკურ ტკივილებსა და ფსიქიურ ტრავმას გაუძლო და სძლია, მე მჯერა, რომ ის ახლა მორალურადაც განკურნებულია მთლიანად. მასაც და ლალისაც სიყვარულით მოიკითხავს ყველა პარიზელი ნაცნობ-მეგობარი თუ ექიმ-მკურნალები.

\*

- 22 და 23 ნოემბერს, პოლიტიკის საერთაშორისო ფორუმშია საფრანგეთის სოც. დემოკრატიული პარტიის კელევის ინსტიტუტთან ერთად, პარიზში, ლიუქსემბურგის ბაღში, სენატში გამართა საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე: საბჭოთა კავშირი: სისტემის კრიზისი, რეალობათა გამოჩენა. საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდენ ბევრი. მათში სამი ქართველი იყო: ბორის ყურაშვილი - იურისტი მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტიდან; მერაბ მამარდაშვილი - ფილოსოფიის პროფესორი თბილისიდან და გია უორულიანი - ისტორიკოსი თბილისიდან. მე, ჩემდა სამწუხაორი, მხოლოდ უკანასკნელის საუბარს მოვუსმინე. სხვათა შორის მან თქვა: 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირმა დაამჟარა ერთიანი იმპერია, რომელიც უგულებელყოფდა ერებს, სურდა მათი გაერთიანეროვნება... საქართველოში ახლა პოლიტიკური დამოუკიდებლობა ძალიან აქტუალურია და ეს სრულებითაც ხელს არ უშლის მის ეკონომიკურ განვითარებასო... რეაბუბლიკების სუვერენიტეტი შეუძლებელია, რომ ყველასთვის ერთგარად გადაწყდეს, თითოეულ არესპუბლიკას უნდა მიეცეს ინიციატივის უფლება, მისი პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკური სისტემის ასარჩევად და რომ პოლიტიკური განვითარების პროცესში პრიორიტეტი უნდა მიეცეს ნაციონალურ კულტურის. საჭიროა აღდგენა სახელმწიფოებრიობისა და მისი ისტორიისა. საქართველო, რომელიც დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო 1918 - 1921 წლებში, მისთვის ეროვნული ვინაობის აღდგენა ძალიან აქტუალურია, დასძინა.

\*

— კვირას 26 ნოემბერს ჩეგნამა წმინდა ნინოს ეკლესიაში ფლოთი ხადა მერაბ კოსტავას ორმოცი. მრავალრიცხვოვან დამსწრეთა შორის აღსანიშნავით ბატონ მერაბ მამარდაშვილის და ბატონ გია უორუოლიანის დასწრება. ღვთისადმი მერაბის სულის ვედრების ცერემონიალს ვიდეოფირზე იღებდა ბატონი გომრგი ხინჯრავა.

- მეორე დღეს, ორშაბათს, 27 ნოემბრის ღამით, საფრანგეთის ტრენერებიმ მეორე არხით წარმოადგინა დიდად პოპულიარული სპექტაკლი „გრანდ - ეშიკიე“, რომელიც ამ დღეს ეძღვნებოდა ფრანგულ ენას. საპატიო სტუმრებს თავმჯდომარეობდა სწორედ ფრანგონის მინისტრი, ისტორიკოსი, ტელევიზიის საყვარელი ვედეტი ალენ დეკო. პრეზიდენტატორს ბ-ნ უკ შანსელს მოწვეული ჰყავდა სხვადასხვა ეროვნების ბრწყინვალე მეფისანგულე და, აი, ჩვენდა გასახარად, მათ შორის იყო ჩვენი თანამემამულე მერაბ მამარდაშვილი. კიდევ მეტი სიუბრიზი: სცენის სიღრმეში გაკრული იყო წარწერა: „რისთვის წერს ქართველი ფრანგულად?“ ეს ქართველი ბ-ნმა უკ შანსელმა მაყურებლებს ასე წარუდგინა: – ეს გახლავთ მერაბ მამარდაშვილი, რომელსაც შევხვდი მოსკოვში და გამაოცა ფრანგული ენის სიყვარულით. უ. შანსელი: როგორ მოახერხეთ ამ ენის შესწავლა? მამარდაშვილი: თქვენ თვითონ ბრძანეთ–მისი სიყვარულით. ეს ოცნებად იყო ჩემში, როგორც უმაღლესი ამბიცია. მე ვიზიარებ აქ მყოფ ერთი პოეტის აზრს: „ენით იწყება ადამიანის არსებობა.“ ჩემთვის ეს ენა ფრანგული იყო. ბავშვობიდან ერთგვარ გვირაბში ვიმყოფებოდი და არავითარი იმედი სინათლეზე გამოსვლის არ არსებობდა. ჩემი სულის ყოველი კუნჭული ილტვოდა ჯოჯონებითან, მუდმივი ინკვიზიციიდან გამოსასვლელად...ამას მივაღწიე ფრანგული ენის წყალობით. ფრანგული მე წიგნებიდან ვისწავლე: მონტენი, ლაბოესი, როშეფუკო, მონტესკიო და სხვა. ფრანგულა ენამ გამაცნო ყოფიერების ცნება და მანამდე არ ვიცოდი, რომ ეს გახლავთ ფილოსოფია.

კავ შანსერმა შემდეგ თქვა, რომ მერაბ მამარდაშვილი ამჟამად წერდა წიგნს ფრანგულად, ხოლო მის ნარკვევს დეკარტზე სცემს ერთი ფრანგული გამომცემლობათ.

**მერაბ მამარდაშვილი:** 1981 წელში (თქვენ იცით, თუ რა დრო  
იყო მაშინ) მე ვსწავლობდი დეკარტს შუაგულ მოსკოვში და ეს  
ჩემთვის ნიშნავდა პატივის მიგებას ენაში გაკრისტალებული ანკარა

და სიცოცხლით სავსე ფრანგული ჭირუა-გონებისაღმი ... ფრანგების ყოფნა იმ დროს შუაგულ მოსკოვში იზიდავდა დიდალ ტრუმის მოწყვეტილების გარე საზოგადოებას... უაკ შანსელი აშშ ვეტინებს: და ფრანგების ყოფნა საქართველოში? ამას იმიტომ გეკთხებით, რომ თქვენ, თუ შეიძლება ითქვას, უპირველესად ქართველი ხართ. თანხმობის ნიშნად მამარდაშვილი სიცოცხლით ამზობს: ოჯ, დიახ დიახ მართალი ბრძანდებით. მერაბ მამარდაშვილმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ფრანგ ტელ-მაყურებლებზე. მან შეასრულა თანამედროვე საქართველოს კულტურული ელჩობა.

\*\*\*

17.XII.1989.

პარიზის შმიდა ნინოს ქართული ექლესიის სამწყსოს  
საანგარიშო კრება

ასეთი კრება პირველი იყო მას შემდეგ, რაც ნეტარხსენებული მამა ილია მელია გარდაიცვალა. საანგარიშო მოხსენებები გააკეთეს: მოლარე-ბნ ტარიელ ზურაბიშვილმა და მნათე-ბნ თამაზ ნასყიდაშვილმა. მათ ორივეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრათ დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალების შემდეგ, რაღვანაც ახლანდელი ჩემი ეკლესიის მოძღვარი, ჭარმოშობით ბერძენი, ბერი მეთოდით ალექსიუ მხოლოდ ღვთისმსახურებას ასრულებს. სამრევლო საბჭოს დროებით თავმჯდომარე არ ჰყავს და მის მაგივრობას დროებით სწორედ ეს ორი პირი ასრულებს.

მოლარის მოხსენებამ სრულიად მშვიდად ჩაიარა და კრებამ შარმოდგენილი ანგარიშები ურეზერვოდ დაადასტურა. სამაგიეროდ ბნ თ. ნასყიდაშვილის მოხსენება ზომაზე მეტად გრძელი აღმოჩნდა და შიგადაშიგ აშკარად მიუღებელი აზრებიც იყო გამოთქმული, რამაც საზოგადოების ერთი ნაწილის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცელა-გამოცვლა. კრებამ დიდი უმრავლესობით დააღინა, რომ ჯერჯერობით მანც ეკლესია დარჩეს იმ იურიდიულ დაქვემდებარებაში, რომელშიაც ის დაარსებიდან დღემდე იმყოფება და რომ გაგრძელდეს ზრუნვა ქართველი მღვდლის გამოსანახვად. კრებამ აღნიშნა ბ-ნ თ. ნასყიდაშვილის დიდი და უანგარო დამსახურება და დააკმაყოფილა მისი თხოვნა მნათეს მოვალეობიდან განთავისუფლების შესახებ. მის მაგივრად, მნათედ აჩეული იქნა ბ-ნი მიხეილ ვოდე (გოგიტიძე). მოლარედ ხელახლა დამტკიცებული იქნა ბ-ნი ტ. ზურაბიშვილი და ძველ საბჭოს გამოეცხ ადა ნდობა.

24.XII.1989.

## ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალება

გლოვით დაწყებული გლოვით დამთავრდა 1989 წელი. უსწორებული დგომის დღესასწაულის წინ შევიტვეთ, რომ მკურნალთა თავდადების მიუხედავად, ორ თვეზე მეტი უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი, გარდაიცვალა ახალგაზრდა სახელოვანი მამულიშვილი ზურაბ ჭავჭავაძე, რომლის პანაშვილი დღეს იქნა გადახდილი ჩვენს ეკლესიაში.

ეთერი წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

უ შ ა მ თ - უ ა მ ი

ეს რუსთაველის გამოთქმა „ვ. ტ.“-ში არის ჩვენი დღევანდველი წერილის საგანი, რაც მიგვაჩინია, როგორც ყველაზე ღრმა მგოსნური გამოთქმა, რომელიც შეიძლებოდა დაწერილიყო.

ჯერ კიდევ ძველმა ბრძენმა ბერძნებმა და განსაკუთრებით ჰერაკლიტმა თქვა, რომ: ყველაფერი მიმდინარეობს დროში, რომ უცვლესია მხოლოდ ცვალებადობა.

ამდაგვარად, განისაზღვრა დროის შემცნება, როგორც ურყევი მიმდინარე სიღიდე. ასე, განისაზღვრა დროის: უცნობი მოვლენის, ახნა-განმარტება.

ქართულ იგავ-არაკებშიც გვაქვს ზოგიერთი გამოთქმები, რომებიც ხელმძღვანელობენ ამ განსაზღვრით, მაგალითად: „დრონი მეფონბერ და არა მეფენი, ან „ყველაფერი დროს ელის, დრო კი არაფერს“

თუ კი, ერთი მხრით, დროის ურყეობის შემცნება „მიგნებული“ იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ადამიანის თავმოყვარეობას შეურაცხყობას აყენებდა, რადგან მრავლად არის გავრცელებული მისი საწინააღმდეგო აზრები. მაგალითად სხვადასხვა სარწმუნოებებში გავრცელებულია „მეორეთ მოსვლის“ აზრი, ანკიდევ, „აღდგომა“ მკვდრეთით და აგრეთვე მგოსნურ-შემოქმედებით ნაწარმოებებში: ზღაპრებში და იგავ-არაკებში მოიხსენება ადამიანის დროში მოგზაურობა წინ და უკან, ან საიქიოს წასკლა-მოსკლა და სხ.

როგორც ვხედავთ, ამ გამოთქმებში ადამიანი არ ემორჩილება დროის ურყეობის ბატონობას და ქმნის მის საწინააღმდეგო პირობებს და მდგომარეობებს.

მრავალმა ქართველმა მაცნიერმა უურადღება მიაქცია რუსთაველის ამ გამოთქმას: „უკამო – უამი“ და გამოითქვა მრავალი სხვადასხვა

აზრი მის შესახებ. ჩვენი სურვილია, ჩვენც თავმდაბლა და განვითაროთ მოვთქვათ ამ საკითხის შესახებ.

ბ-ნი შ. ხიდაშელი „ქართული ფილოსოფიის ისტორიაში“ (1988) ამ საკითხს „უჟამო ჟამი“, მთელ თავს უთმობს და განიხილავს მას. მას მოჰყავს აგრეთვე სხვადასხვა მკვლევართა აზრი ამ საკითხზე, რომელთა ყველას ჩამოთვლა ამ მოკლე წერილში შორს წაგვიყვნდა. მოვიხსენიებთ მხოლოდ ზოგიერთს. იგი ამბობს: „რომ „უჟამო ჟამის“ გაგების მხრივ ყველა მათგანი (თეიმურაზ ბაგრატიონიდან დაწყებული ბოლო დრომდე) ერთსა და იმავე, ჩვენი აზრით არასწორ თვალსაზრისშე დგას“ -ო.

თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, „უჟამო ჟამი“ აღნიშნავს ღმერთს, როგორც „დაუსაბამოს და დაუსრულებელს“, ღმერთს, რომელიც „ჟამთა შინა არა შემოვალს, უჟამო ჟამი მისთვის იგივეა, რაც „მისი სამარადისობა საუკუნო“.

კორნელი კმპელიძის გაგებით, „უჟამო ჟამი“ ნიშნავს „დაუსაბამო და უსასრულო რამეს“, როგორც ღმერთი დაუსაბამო და უსასრულო, „უჟამო ჟამი“ იგივეა, რაც მარადიულობა.

გიორგი მერჩულეს მარადიული ნათელი ესმის როგორც უჟამო ნათელი, მისთვის „უცვალებელის“, „დაუსაბამოს“ და „დაუსრულებელის“.

არეოპატიკის მთავარ თხზულებაში (საღმრთოთა სახელთოთვის): „ჟამი არს ამიერითგან სიტყუასა მიერ მრავალსახელისა ღმერთისა, ვითარცა ყველასა მპყრობლად და ვითარცა ძუელად დღეთად გალიბად“. როგორც გხედავთ „უჟამო“ თითქმის ყველგან ახსნილია როგორც მარადიულობა. თვით ბ-ნი ხიდაშელი ათავებს ამ თავს და ამბობს: „გამართლებულია და დასაბუთებული ღმერთის წარმოდგენა, როგორც „უჟამოსი“ და როგორც „ჟამისა“.

ჩვენ პირადად უფრო სხვაგვარად წარმოგვიდეგნია ეს გამოთქმა. „უჟამო ჟამი“ ანუ „უდროო -დრო, ჩვენი დროით რომ ვთქვათ, აქვს უფრო ხასიათი არა იმ შეურყევლობისა, რომელიც ბრძენება ბერძენმა მას მიაწერა, არამედ ის მგოსნურ რელიგიური, ზღაპრული იგავური გაგებაა, სადაც დრო შერყეულია, მასში აღამიანები წინ და უკან მოგზაურობენ, ხდება „ალლომა“ და „მეორეთ მოსვლა“.

საინტერესოა, რომ დღევანდელი მეცნიერება და განსაკუთრებით შემდეგ აინტერენისა, დროს არ აძლევენ შეურყევლობის, თავისთავალობის და შეუსავლობის ხასიათს, პირიქით, იგი დამოკიდებულია

სისწრაფულები. უკიდურეს სისწრაფესთან დრო ანუ უამი უადგენერაცია  
ად მცირდება — უამი ხდება უკავი მო.

(სანორმირებლის აგრეთვე, რომ ქართულ ენაში „უამი“ ეწოდება  
„შავ ჭირს“. არის ეს შემთხვევითი მოვლენა, თუ მძიმე ისტორიულ  
„უამთა“ = დროთა გადატანის გამოძახილი? )

### ირაკლი ოთხმეზური

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

პოეზია საკვებია სულისა

პრეზიდენტი და პოეზია

1989 წლის 21 ოქტომბერს „პოეზიის ღამის“ ორგანიზატორებმა  
სათანადო სამართლის პრეზიდენტის, ბ-ნ ფრანსუა მიტერანის მიმართვა მი-  
იღეს. იქედან ამოკრებილ ზოგიერთ ადგილებს წარვუმძღვარებთ ამ  
ჩვენს პოეზიის განყოფილებას.

„მე, ისევე როგორც თქვენ, ვერ წარმომიდგენია ეს ქვეყანა პო-  
ზის გარეშე. რაღაც პოეზიის უპირველესი დამამტკიცებელი პო-  
ტები არიან, ნება მომეცით, გითხრათ: ჩვენ ისინი გვეყანან დიდ-  
ნი, კარგნი, დაფასებულნი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმადაც.  
ჩვენ გვიყვარან აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმიდან მო-  
სულებიც...“

„ჩვენ დროში პოეტებს ბევრი მკითხველი არ ჰყავს, ეს ცხადია,  
თუმცა მათი ამჟამინდელი ტირაჟები შურით აღავსებდათ ბოლერსა  
და რემბოს. ამიტომ, და მე ვიცი, ეს ასეც არის, უნდა ვეხმარებო-  
დეთ არა მხოლოდ შემოქმედებას, არამედ პოეტური შემოქმედების  
გამოცემასაც და გავრცელებასაც“.

„პოეზია ყველასთვის ლაპარაკობს, იმისთვისაც კი, ვინც მას არ  
კითხულობს“. (...)

„მართალია, რომ პოეზია, როცა ის ჭეშმარიტია, აღწევს არსები-  
თს. სულ რამდენიმე სიტყვით ის პირდაპირ შუაგულში სცემს და,  
ალბათ ამიტომაც, პოეზია მაცნეა იმედის, თავისუფლების და მას  
ძალებს დაუბრკოლებლად იმოძრაოს, იქნეს მოსმენილი მაშინ, როცა  
სხვა სიტყვა ადვილად არის პირაკრული“.

„მე ვერ წარმომიდგენია, რომ უმისოდ ვიარსებებთ ერთ დღეს  
და ვერ შევეგუები იმ მღვმარეობას, რომ ყველას არ ჰქონდეს  
შეძლება მას დაეწაფოს.“



„მე მიყვარს პოეზია, როცა ის ეწინააღმდეგება ზერტლური ფრთხისას, ეფემერულ შეფასებებს, ორკესტრის ბულო აქა და იქ. უმცირესია მას, როცა ის გაიძულებს, რომ მას მიჰყევ გზადაგზა, ჩაულრმავდე მას, იფიქრო მასთან ერთად. მე მიყვარს, როცა პოეტის ეთიკასა და მკითხველის პრაქტიკას შორის მყარდება ურთიერთობა“.

„მე თვით მიგემნია იგი ახალგაზრდობაში, ჩემი ჭაბუკობის ხანაში, როცა ილვიძებს ცნობისმოყვარება და იჭრებიან კითხვები. და, მე მინდა, თუ კი პოეტი, როგორც ამბობენ, მისი ბავშვობის უკანასკნელი მცხოვრებია,— რომ ის იყოს აგრეთვე ჩვენი ბავშვების ძალიან აღრეული თანამგზავრი.“

### ფრანსუა მიტერანი

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

### პარიზით შთაგონებული პოეზია

#### პარიზი

მონმარტრის მთიდან დავსცემერი პარიზს:  
აქ ეიფელი, იქ მონპარნასი,  
ფერად-ფერადი საფირებივით,  
მზეზე კიაფობს ჩუქურთმა ასი.

\*

ზურმუხტის ფერად მოსჩანს ბულონი,  
და ელისეის მინდვრებს როს ვხედავ,  
უცებ გმუნჯდები მისი მშვენებით,  
კმაყოფილების თქმასაც ვერ ვბედავ.

\*

ვერცხლის მოლივით მიჰყება ქალაქს  
მდინარე სენა მდორე და ავი,  
რამდენი ვინმე ჩაიკრა გულში,  
კიდევ რამდენს სურს დაიხრის თავი.

•

ვინ გამოკვეთა ქვაში მაქმანი,  
რა ხელმა შექმნა ნოტრდამის კოშკი?!  
ანკი, რად მიკვირს, ამას არა სჯობს  
სვეტიცხოველი, ზარზმა ან ოშკი.

\*



ხომ ლამაზია კონტრა პარიზი,  
სიამის თასსაც ბეგრჯერ დავცლიდი.  
ასი პარიზი რომ შემთავაზონ  
მე, ჩემს თბილისში არ გადავცლიდი.

პარიზი, 1984 წ. სექტემბერი

\*\*\*

### ს ა თ ც ა რ ი ქ ა ლ ა ქ ი

ფრანგთა დედაქალაქი საოცრება რამ არი—  
სენა გარს შემორტყმია, როგორც ვერცხლის ქამარი.  
ეიფელი, ბულონი, აქ ნოტრდამის ტაძარი,  
და თვალების მომჭრელი რეკლამების ხანძარი.  
ნერონს ეს რომ ენახა, იღონებდა რამეს,  
ქალაქს არ გადასწვავდა იმ საშინელ ღამეს.  
ვნახე ტურფა პარიზი, მსოფლიოს პატარძალი,  
ის არასდროს ისვენებს, თუნდ იყოს კვირაძალი.  
ყველას გულლიად ხვდება, ეს მასპინძლის წესია,  
ესოდენი სტუმარი მიტომ შემოსევია.

\*

მსურს გირჩიო მეგობარო, არ გეწყინოს, იცოდე,  
შეიყვარე შენი მხარე, მისი ცეცხლით იწვოდე,  
შენ პარიზი გიყვარდეს, მე კი ჩემი თბილისი,  
დაე, ყველას თვალს სჭრიდეს სიკეპლუცე იმისი.

თ ი ნ ა ჩ ი ქ მ ვ ა ნ ი — 1984

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### დ მ ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი !

ვუძღვნი მერაბ კოსტავას

ძმანო ქართველნო,  
ავტირდეთ ერთად ...  
ჩვენი წუხილი ავიდეს ღმერთთან,  
ის აიტანეს დავითის მთაზე  
ერთი ტანჯული. ვილოცოთ მასზე!  
დროით ნაწიმი და დღე ნაკლული,



ერზე მწუხარი, მსხვერპლად დაყლული:-  
სულ ერთი არის მოყვდა თუ მოჰკელეს,  
მებრძოლთა რიგებს ხომ გამოაკლეს!?  
როცა დაათოვს ჩვენს მთაწმინდაზე,  
მე მის ჭალარად მომეჩვენება ...  
როგორც წმინდანი ქართულ მიწაზე  
ჯვარზე გაკრული ჩვენ გზას შერჩება.  
ძმანო ქართველნო,  
ავტირდეთ ერთად ...  
არ დავიგიშვილთ მერაბ კოსტავი!  
ჩვენი ვედრება ავიდეს ღმერთთან,  
ის ერთს ლოცვით ზეცაში ავა ...

1989 - ბერლინი.

\*\*\*

### შავი დრო შები

კვნესენ დედები...  
კვნესენ ბავშვები...  
მთელს საქართველოს შავი აცვია,  
თბილისს ახურავს შავი ღროშები.  
ვწყველი სისხლიან, ბოროტ აქციას!  
ეხლაც შიშას მგვრის გზათ ძალლის ყეფა,  
რუსთაველის გზა ავსილა მკვდრებით,  
ხალხს დაუმსხვრიეს სახე და კეფა  
ალესილ ნიჩბოთ და ხელკერებით.  
სოჭვით, რატომ მუხთლად იყარეთ ჯავრი?  
ო, თქვენ დედის ჩერებროთ არმად!  
ვწუხეარ, როდესაც გხოცავდთ ჯარი,  
თქვენ ვერ დაგიცვათ დავითის ფარმა.  
რატო გაგწირეს, რათ იყო ჯვარცმა?  
თქვენ ვერ დაგიცვათ ბაგრატიონმა,  
ვსტირი და მოვთქვამ... თქვენ ვერ დაგიცვათ  
ვერც სააკაძის ხმალის ტრიალმა ...  
ქართველთ ვუსურვებ ახალ გაზაფხულს,  
კეთილ მომავალს, ნატრულს, არნახულს,



ძმურ გარემოში შრომას და ტრუიალს,  
აღარ ატირდენ ჩვენი ბავშვები,  
მოთქმა იქმარონ ქართველთ დედებმა.  
თბილის მოხსენით შავი დროშები,  
ღმერთო, ისმინდ ჩემი ვედრება!  
შენ მიღლეგრძელე კვლავ საქართველო,  
ყველა ჭრილობა მას გაუმრაველო,  
ცოცხლად ჩამოხსნა ჯვარზე გებული!

ბერლინი, აპრილი 1989.

\*\*\*

### ნ ო ს ტ ა ლ გ ი ა

სცვივა... სცვივა ხეს ფოთლები,  
ყვითლად გზებზე ალაგია,  
უშენობით ვიფერფლები,  
მწვავს და მდაგავს ნოსტალგია.  
ნუ ჩაქრები დღის სანთელო  
მწუხრი გულში ალაგია...  
უშენობით, საქართველო,  
მდუღრავს, მხარშავს ნოსტალგია.  
ვნახო, სადაც, ცის მმართველო,  
მშობელთ ძვლები ალაგია.  
უშენობით, საქართველო,  
მახმობს ცოცხლად ნოსტალგია.  
ნატეხები შენს გრანიტის  
მკერდზე მძივად მილაგია,  
სადღაც ვკვდები ემიგრანტი  
მწვავს და მფერფლავს ნოსტალგია!..

ისაკ მეგრელიშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ს ი ნ ა ნ უ ლ ი

[ჭალადიდელის სულის საოხად]

ვინაც იწვალა,  
რაღაც ისწავლა,

სახლში არ დარჩა,  
მართლა გადარჩა?



ჩამოიშორა  
თავიდან ჭირი?  
მაშ, მე რად ვტირი ...  
მეც ხომ ვისწავლე,  
მისთვის ვიწვალე,  
სახლში არ დავრჩი.  
ვითომ გადავრჩი?..  
რაღაც ვაკეთე,  
ვძენ მეც სიკეთე,

ვითომ ამიტომ  
მომშორდა ჭირი?!  
მაშ, რაღად ვტირი?  
და ეს იმიტომ,  
რომ მე ის ჭირი  
და გასაჭირი  
სინამდვილეში ვერ მოვაშორე,  
ის თან დამყვება, ახლო თუ შორე!

\*\*\*

დედილო, რად არ დამტოვე სახლში,  
რატომ დამტოვე მტერიან ქალაქში.  
ანბანს სოფელშიც ხომ ვისწავლიდ  
და შორსა გზასა აღარ გავვლიდი.  
რად დავეთხოვე ნაცნობ მთა-ველებს,  
შეჩვეულ ყანებს, პურის თაველებს,  
რატომ მოვშორდი ჩემს ტკბილ ტოლ-სწორებს ...  
ახლა ამას ვინ გამოასწორებს!

\*\*\*

გლეხმა დატოვა სოფლის არენი,  
დაღგა განკითხვის ღლენი მწარენი,  
ყველამ იწვალა, ყველამ ისწავლა  
და სოფლად ყოფნა აღარ იკადრა,  
საკუთარ ხელით ოვისივე ყელი  
გამოიჭრა და გამოიღოდრა!  
კვდება სოფელი, გლეხის სახლ-კარი,  
ბაღ-ვენახები ჩანს გადამხმარი.  
იყო სოფელი მტკიცე, ძლიერი,  
კომლით პირსავსე, გულისხმიერი,  
და მით მავრობდა ქართველი ერი,  
მას ვერას ვნებდა ვერაგი მტერი!

\*\*\*

ერს ვერ დაარჩენს, ვერ გადაარჩენს  
მარტო ქალაქი, ცუდი ლაქლაქი!  
რა გლეხი გაჰქრეს „ერიც დაეცეს“,  
„წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“ ...



მცხეთას, გელათსა და ნიკორწმიდას!..  
 პირი სოფლისკენ!  
 შრომის ოფლისკენ!  
 ესაა ფუძე ერის დარჩენის,  
 მისი ყოფნისა და გადარჩენის!  
 თორემ ვერ იხსნის მას ვერაფერი,  
 ფუჭად ჩაივლის აქ ყველაფერი.  
 მიხედვთ სოფელს,  
 კეთილ-სამყოფელს!  
 აცოცხლეთ ერი მრავალუამიერ,  
 გაღმა — გამოღმა, იმერ— ამიერ!

გ ი ვ ი შ ა თ რ ე ლ ი

ვაშინგტონი-ტაკომაპარკი, 5 / VIII./ 89

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

## შ ა გ რ ა ტ ი ს     ტ ა ძ ა რ ი

ზარი არა ჩანს სამრეკლოზე,  
 გაუძარცვითა.  
 უამთა მრიკველი გასუდრულა,  
 ძაბა აცვია.

დიდი ლოდები მისტირიან  
 წარსულს გოდებით.  
 გულდათუთქული საუკუნე  
 გლოცაგს ოდებით.

ახლა სევდიან, ლონედაცლილ  
 სიმღერას მღერის,  
 უმანკოებით თვალდათხრილი  
 ბალახის ლერი.

მაღალ გუმბათზე ამოგსვლია  
 ლეღვის ხე კრძალვით —  
 ისე მოსწყურდა ლვთაებრივი  
 ბაგრატის ძალი.

ახლა დალლილი მდუმარება  
 დაგუფლებია,  
 ცქერით ერთობი — გარეშემო  
 მხოლოდ ქვებია.

რამდენთ გაგძარცვეს, დაგაკაწრეს  
 ურცხვი სიტყვები.  
 შენი კედლებით და ეკლებით  
 ტკითილს მიყვებია.

შენც მოგწვდებიან, შენც მო-  
 გწამლეს,

გაუბედიათ —  
 ესეც მარადი საქართველოს  
 მწარე ბედია.

უცხო ენათა და ბერათა  
 კეთილხმოვნება  
 დღესაც კეთილად, დღესაც მოძ-  
 გვეთანხმოვნება.



ყველას ვუსმენთ და ყველას მივდევთ  
თავგამეტებით,  
ოღონდ საკუთარს აწ ვივიწყებთ –  
თავს ვემეტებით.  
ო, საქართველო, უწმინდესო,  
ნუთუ ბერდები?!  
არა იღონოს მტერმა შენზე;  
თეთრი გედები

აამღერე და ისუ მოჰკერებული  
არა იოლად,  
არა მთლულად, არა კრძალვით,  
წარსულ ი...ო...ლ...ლაპს  
სამარადუამოდ ახლის ხსოვნა  
გადაუჭერი;  
წმინდა შემოგვრჩეს ერთი ციდა  
მიწის ნაჭერი.

\* \* \*

მე სიყვარული დავკარგე თითქოს –  
დასაკარგავი თურმე რა მჭონდა?!  
აღმოსავლეთის ცას დავეწაფე, –  
მზეს ტრფობის თასი მაღლა აპჭონდა.

საღლეგრძელოა! ჩემი თავნება,  
თავისუფალი სული იცლება;  
მე ქარმა თრთოლვა არ დამიანება  
და ჩემი კედომა ვნებით იცვლება.

მზე მომდევს ანცად, შეყვარებული;  
ხან წინ, ხან უკენ გადამიხტება,  
უჩჩ ვარსკვლავს წამით რომ მივეწიო,  
ცისარტყელები დგანან ხიდებად.

ჰე, მზეო! ტუჩთა სხარტი ლაციცი  
წამით კვდება და წამით ინთება.  
მე, შენი მონა, შენით თამამი  
ვქრები და ვრჩები ისევ მითებად.

მარინე ხუციშვილი  
1986 წლის აგვისტო.



## გიორგი ჭანტურია

„ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ი“

=ტრილოგია=

*I რომანი – ოჩოპინტრე**II რომანი – მოსე**III რომანი – განთავისუფლებული იერუსალემი*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ო ჩ ი პ ი ნ ტ რ ე

-----+-----+-----+-----+

## შესავალი

იჩქაროს ყველა ჭლეჭიანმა, სიყვარულით დამწვარმა, უსამართლობით დაჩაგრულმა, სამშობლოს მოზარემ, ლოთმა, მაცხოვრის ხატოან დაჩიქილმა მონაბე ღვთისამ და ძალადობით ჩაკლულმა ტალანტმა – მე წერას ვიწყებ!

შორს, ცხრა მთას იქით, იმის იქითაც გადაიკარგოს ყველა უის სისხლიანი ურწმუნო, ცხოვრებისაგან განებივრებული და გაქსუებული არამზადა, კაცი, რომელიც თავისთვის ცხოვრობს, შორს ჩემ-გან – მე წერას ვიწყებ!

ვიწყებ წერას უდიადესის უმცირესი ნაწილი უდიადესისგანვე ბოძებული ძალით და უპატრონო ავადმყოფივით ვნატრულობ ჟურა-დღებას... და შენ მკითხველო, მიმიხვდები მე და გამიგებ.

ჩემს მეგობარს როდესაც ასაფლავებდნენ, წევიმამ მოუსწროთ და კუბო უკანვე შეაბრუნეს. შემდეგ გამოიდარა, გამოიტანეს კუბო და ისევ გაწვიმდა – ასე განმეორდა მრავალგზის. წვიმაში კარგი კაცის დასაფლავების ნებას კი სინდისი არ აძლევდათ, ამიტომაც კუბო სახლში დადგეს და უკვე წელიწადზე მეტია, რაც შეეჩივნენ მიცვალებულის იქ ყოფნას. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ გვა-მი არ გაიხრუნა და არც სუნი დატრიალებულა. ბალები ახლაც კი მიღიან კუბოსთან, ხდიან თავს, ეფერებიან მამიკოს და შემ-ეგ თამაშს აგრძელებენ – ოჯახის ცოცხალი წევრივითა ჰყავთ.

მთვარეულის ყველაზე უშფოთველი დამე

დილით სახლში კივილი ატყდა, ოჯახის თავი გამოღვიძებას არ

აპირებდა. ცოლს თმები ჩამოეშალა და ქმრის საწოლთან უაჩვენდებოდა იყო. ქარის მული იქვე, კარებთან იდგა და მკაცრი და მარტო მარტო სახით შეჰყურებდა მწოლარეს. ორი მცირეშოვანი ბავშვი დედას გვერდით მოსდგომდა და გაფართოებული თვალებით დაჰყურებდა უძრავად მყოფს.

ყველა ძალიან უბედური იყო, ყველა, გარდა თავად მიცვალებულისა, მას ხომ უკვე აღარაფერი ესმოდა და თან პირველად ეძინა ასე ტკბილად, წყნარად, მშვიდად...სამუდამოდ?

ეს მოვარეულის ყველაზე უშფოთველი ღამე იყო!

### ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### მ ა რ ტ რ ი კ ა ც ი

თავი პირველი – „მ ე“

კვლავ ლუდი, უფრო სწორად წყალი. ნახევარლიტრიან კათხაში ნახევარი მაინც იქნება წყალი ლუდთან ერთად გარეული.

ვსვამ. არ მსიამოვნებას. ბოლოს მაინც მახსენდება, რომ მე ლუდი მიყვარს და ასეა თუ ისე, ესეც ლუდია. უკვე მეამა. ვწყნარ-ლები. ინგლისელი პოეტის ლექსიც მახსენდება, ლუდზე დაწერილი და უკვე საბოლოოდ მომწონს ეს ლუდი (ჩაც მთავარია, ცივია). როგორც იქნა ხინკალიც გვაღირსეს, მეგობარს ვეხმარები – თეფშ-ებს მაგიდაზე ვდებთ (სხვათა შორის, ინგლისელი პოეტის ლექსი მშვენიერად იყო ქართულად ნათარგმნი, არადა კარგი თარგმანი დღეს იშვიათობაა).

მეგობარმა პილპილიც წარტაცა ვიღაცას მაგიდიდან და ხარბად აყრის ხინკალს. არ მიყვარს ხინკალი! მაინც ხელის კანკალით ვიღებ დალოცვილს და სულს ვუბერავ (ქაბაბი მირჩევნია).

– კარგია! ვაწკლაპუნებ ტუჩებს, პირგამოტენილი თანამეზინკლავეც თავს მიქნევს.

– სამს კიდევ შევჭამ! – საზეიმოდ ვაცხადებ.

– თუ გინდა ათი შეჭამე!

– ვერ მოვერევი!

– დამჩჩენილხარ აბა მშიერი! თანაგრძნობით მიცემს მეგობარი. სამსაც ვერ ვჭამ. მეგობარი ხვდება ჩაღაცას და ქაბაბი მოაჭვს



ჩემთვის. — რათ გინდოდა? ცოტა ხნის შემდეგ კი გულიფრთული ქეცევი ქაბაბის (კარგია ქაბაბი). შემდეგ წყლიან ლუდს ჭარბი გადასახლება ჩემს მეგობარსაც აგონდება ინგლისელი პოეტის ლექსი ლუდზე, სხვათა შორის, ძალიან კარგად გადმოთარგმნილი დალოცვილს ქართულ ენაზედ, და სიამოცნებისაგან თვალებს ნაბავს.

გარეთ ცხელა, უსწორმასწოროდ დაგებულ ასფალტს ჯოჯონეთის ოშხივარი ასდის. მე კი ხინკალს გავსცქერი — ვერც მეგობარი მოერია მას. ხუთიოდე ცალი მოწყენილი დევს თეღშზე. დაპრანჭულან ბებრებივით და ის ცხელი და ახალი სიმშვენიერეც დაუკარგავთ, მაშინ რომ ჰქონდათ, მოტანის უამს.

— ესეც თქვენ! — მიხარია რაღაც. მე გამაძლარი და შემთვრალი გახლავართ. ერთი ბოთლი არაყი ორ კაცზე არც ისე ცოტაა, თან თოხ—ოთხი კათხა ლუდი?

კაცის მოკვლა მსურს მე! თუ მოვისურვე, რა, ვერ მოვკლავ? გვერდით მაგიდასთანაც ორნი სხედან, ჩვენ ვამთავრებთ, ისინი კი ახლა იწყებენ — საოცრად მშერს მათი.

ერთი მეცნობა, ახალგაზრდა ბიჭია, მაგრამ თმა აღარ დარჩენია თავზედ (არ მეცოდება). ვუყურებ: მზერით თაგის ქალას ვუპობ, არადა თავი სინათლეს აირევლავს (უნდა მოვკლა) და თვალსა მჭრის. მარჯვენა ხელს კოსტუმის ჯიბეში ვიყოფ (ამასობაში ის — თავსლიპინა, ლუდსა სვამს) და რევოლვერის ცივ ტარს ვეფერები. ჩემი ამხანაგი ყურადღებას არ მაქცევს, ფიქრობს!

იარაღს მშვიდად ვიღებ ჯიბილან, საოცრად მომწონს ჩემი საქციელი და საოცრადვე ვტკბები ჩემით (ის კი კვლავ ლუდსა სვამს). ვუმიზნებ, ძალიან დიღხანს ვუმიზნებ. ხელს არავინ მიშლის და მიტომ ვუმიზნებ, თორებ უკვე მიზანში მყავს ამოღებული.

მე დამიზნება მსიამოცნებს!

... სროლის ხმა არ ისმის, თავსლიპინაც ვერ ასწრებს შეყვირებას, თავი სამოდ, ზოლ-ზოლად ელებება წითლად — მე ვნერარებ! თვალებს ვხუჭავ და ველოდები წესრიგის დამცველს. უკვე ჩემთვის ყველაფერი სულერთია; წითლად შელებილი თავი — გაულცევნელი ბოლოკი, განა სჯობია ამას რამე? ფიქრს ვიღაც მაწყვეტიებს (ააპ, უკვე?) და მხარზე ხელს მაღებს. თვალებს ვახელ, თავს ნელა ვატრიალებ და ... — თუ შეიძლება პილპილი მათხოვეთ!

თავსლიპინა დგას და ილიმება. ვუყურებ, ჯერ ვერ გამოვრკვეულ-გარ, ბოლოს ვახერებ და პილპილიან ბოთლს ვაწვდი. თავაზიანად

მიხდის მაღლობას. უკან წასულს ჩემი ბოროტი მზერა ეჭიშვილუშია  
შემდეგ კი დარდს ლუდში ვიკლავ.

ყველაფერი მომბეჭრდა! ხელს კოსტუმის ჯიბეში ვიყოფ, ცხვირ-  
სახოცი ამომაქეს და ხენეშახენეშით ზაფხულის ცხელი თბილისის  
ნაწყალობებ ოფლს ვიმშრალებ სახეზე. შემდეგ დალავ ლუდს ვეხ-  
ბი ოდნავ, ტუჩებით და ჩემს მევობას (მოსულელო ტიპია) ვულიმი:  
— კარგი ხაჩ!

\*

ეს დღე უკვე რიგით მერვე მგზავრი იყო, ვიღაც ხანშიშესული  
ლიპიანი კაცი. აი, ისეთი, თამადებად რომ ირჩევენ სუფრაზე და  
მთელ თავიანთ ერუდიციას სუფრაზევე რომ გადმოაფრქვევენ ბახუ-  
სის საზოგადოებაში: — ეს მამულს გაუმარჯოს, ესეც მშვიდობასო,  
ეს კი დედმამისშვილებსო და ათასგვარი ასეთი რამ. თანაც საღლე-  
გრძელოებს დილეტანტების მიერ შექმნილი წიგნებიდან მოყვანილი  
ციტატებით რომ ამაგრებენ, აქაოდა ნახეთ, რა ცოდნა მაქვსო.  
სუფრაც გაოცებული შეპყურებს მას და უკვირს მისი მჟერმეტყვე-  
ლური ნიჭი (ჰმ, ფარტაძი!) და განათლება.

ამ პოტენციური თამადისათვის ტაქსის გაჩერება ჯერ არ მინდო-  
და, შემდეგ დავინახე, როგორ საცოდავად მისდევდა ოდნავ დამუ-  
ხრუჭებულ მანქანას და შემეცოდა. აქოშინებული „ლიპი“ რის ვაი-  
ვაგლაბით მანქანაში შემოგორდა და მისამართი თქვა. „ლიპი“  
ჩავიდა თუ არა, ვიღაც ახალგაზრდა კაცი ჩამიჯდა მანქანაში და  
უკანვე, ვერაზე გაყვანა მოხოვა. საშინად მეზარებოდა უკან და-  
ბრუნება, მაგრამ სხვა რა გზა იყო? ხუთიოდე წუთში ისიც მივი-  
ყვანე აღვილზე და სახლში წავედი. სახლში მისულმა ვისაუზმე და  
სამუშაოზე გამოვბრუნდი — ამ ღამით მორიგე ვიყავი.

\*

შოთა რუსთაველმა შორეულ პალესტინაში დალია სული. გურამიშ-  
ვილის ნეშტიც უცხო მიწას მიბარდა. კონსტინტინე გამსახურდიამ  
ენგურში დაახრჩო თარაშ — ეგებ აღორძინდესო ხალხს მონატრებუ-  
ლი მარტოსული!

წიწამურში გავარდა ტყვია და ილიას თეორი თმა წითლად შეი-  
ღება. ულმობელი იყო სიკვდილი!

ჩვენ? ჩვენ სად ჩაგვყლაბავს ლევიათანი? იქნებ საქართველოში  
ან მის საზღვრებს გარეთ, იქნებ აქ — თბილისში ან წიწამურთან ან  
გიუმაუ ენგურთან? იქნებ აქაც და იქაც და ყველგან, საცა კი საჭ-



მიანობს ძე ქართველი კაცის.

— წა, ოფელია მუზეუმში! — და ქართველი ოფელიაც უკანასკნელი ჩამოივლის შემდეგ გიდი მიღის, რათა ენახვოს შემდეგ მნახველთა ჩამოივლის შემდეგ გიდი და ტურისტებს აუხსნის: — ეს უკანასკნელი ცოცხალი რომაელია, ხოლო ეს კი უკანასკნელი ცოცხალი ქართველი! (სამწუხაროდ, ცოცხალი შუმერი არა ჰყავთ). ტურისტებიც მოიმარჯვებენ უბის წიგნა-კებს და დიდის ასოებით ჩაიწერენ: ლამაზი ხალხი ყოფილაონ ქართველები!

\*

იმ ღამეს არ მიძინია. როგორ არ ვეცადე, როგორ არ ვეწვალე, მაგრამ დაძინება მაინც ვერ შევძელი. შემდეგ უჯრიდან რვეული გამოვიდე და წერა დავიწყე. გათენებამდე ვწერდი, ბოლოს გათენდა.

\*

ცარიელი ადამიანები მიღი-მოდიოდნენ ქუჩაში. ვიღაცას ეცინებოდა, ვიღაცას ეტირებოდა, მაგრამ მაინც ყველანი ერთნაირნი იყვნენ, მათ ყველას ნიღბები ჰქონდათ აფარებული და საქმიანი ნაბიჯებით ჰქონდნენ მეტრებს და კილომეტრებს. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ მათ ეგონათ საქმეს აკეთებდნენ.

ლაპარაკი მინდა, ვერ ვლაპარაკობ, ანდა ვის უნდა ველაპარაკო, გავიფიქრე და უკან მოკალათებულ ორ მგზავრს გაგხედე. ერთი სამოციოდე წლის დაპრანკული ქალი იყო, გულის არევამდე მახინჯი, მეორე კი ახლგაზრდა, ბავშვური გამომეტყველების ლამაზი ქალიშვილი, დიდრონი თვალებით. რატომდაც ძალიან შემეცოდა გოგო, რატომ თვითონაც არ ვიცი, შეიძლება მახინჯი ქალის გვერდით რომ იჯდა მისთვის. როგორც იქნა მივიყვანე მახინჯი ადგილზე და ქალიშვილს მივუტრიალდი: თქვენ მგონი დიდუბეში გინდოდათ, არა? — გოგოს კაბა ზევით ჰქონდა აწეული და მეც დიდის ინტერესით შევათვალიერე მისი წვრილი, მაგრამ გრძელი და სწორი ფეხები, შოკოლადის ფერი რომ დაპერავდათ ოდნავ.

ქალიშვილმა ჩემი გამოხედვა დაიჭირა, კაბა მუხლისთავებზე ხელების ნელი, ინერტული მოძრაობით ჩამოიფარა და მომიგო:

— დიახ, დიდუბეში მინდოდა!

ორიოდე წუთი ხმა არ ამომილია, არადა არასოდეს არ მდომებია ისე ლაპარაკი, როგორც ახლა, ამ წუთას.

მანქანაში შემოვარდნილი ჰაერის ჭიათუ საამოდ ეძგერა პირსახეს. რატომდაც გამეცინა. სარკეში ჩავიხედე და დავინახე გოგონას გაკ-

ვირვებულ-გაფართოებული თვალები. ხელმეორედ გავიცინება ქალაქ აკაკი ქალიშვილის გამომეტყველებაზე. ღამის 11 საათი იქნებოდა, მაგრა ანა ჯერ კიდევ არ იყო შესული დიდუბეში, რომ გაუგებრად ჩავი-ბურტყუნე, ისე ჩემთვის: — ფეხმძიმე მთვარე!

— მეც ასე ვფიქრობ! — დამეტანხმა ისიც.

— რას ფიქრობ, გოგონი, ჩემნაირად? ქალიშვილი ჯერ დაიბნა, შემ-დეგ მომიგდო საცოდავად: — რომ მთვარე ფეხმძიმესავითაა გაბერილი!

შემრცხვა. ამ თითისტოლა გოგომ როგორ დამიკირა ფიქრებში, ვბ-რაზობდი ისე, ჩემთვის, ჩუმად. აბა, ქალიშვილი რა შუაში იყო, რომ მისოვის მეთქვა არამე? მანქანას კი უკვე დიდუბეში მიგაქროლებდი და შორს ვიტოვებდი უშნო და სტანდარტულ შენობებს.

\*

თვალები მოვიფშვნიტე, საწოლიდან წამოვდექი და დედის პორტრეტს შეეხედე, კადელზე გაკიდულს. დღის სამი საათი იყო. სახლში გამოხინისას დავბრუნდი (ასეთი თვალები არასდროს არ მენახა, ცოტა მკერდი ჰქონდა პატარა ...) და აი, ამდენ ხანს მეტინა ... ჩემთვის უცნობ დედის პორტრეტს თვალი ძლივს მოვაშორე.

\*

დაბალების დღე — ვიღაცის. მე ნაცნობმა წამიყვანა. იმ ვიღაცას მეც ვიცნობდი შორიდან (ბოლოს გამოიჩვა, რომ იმ ვიღაცის ქალ-იშვილის დაბალების დღე ყოფილა და არა თავად იმ ვიღაცის).

კარები გაიღო, აღტაცება: ეს ვინ მოსულა?! ლოყას ვადებ და ტუჩებით ცრუ ბგერებს გამოვსცემ. ოთახში შესვ-ლა, დათვლა: რვა ბროლის ლარნაკი, პორცელანის მრავალსახეობა, ფერადი ტელევიზორი, თეთრი რიიალი ...

სუფრა ოც კაციანი იქნება. სუფრაზე: გოჭის ხორცი, ქათამი, გაურკვეველი ჯიშის თევზი, საცივში მგონი ინდაური ( ფუქ! ) დევს, ბაჟის წვენი, შამპანური (მხოლოდ ქალებისათვის) და კახური ღვინო. ( ეს კი მგონი ჩვენთვის არის გამიზნული).

— ბატონი შალვა იყოს თამაღათ! — ყვირის მასპინძელი და სუფრა ბანს აძლევს. შალვა მორცხვობს, უარზეა, დირექტორის მოაღილის პუნტულა ლოყებიც წითლად ელებება ... ბოლოს მაინც ითანხმებენ.

— ეს ჩვენს იუბილარს, პატარა ქეთინოს გაუმარჯოს — წარმოთქვა-მს თამაღა და უცებ ყოჩაღლება, ლაპარაკის ტონიც ეცვლება და მანერაც. — ქეთინო! — ყვირის მასპინძელი და თან თამაღას ბოლი-ში უხდის, ღიასახლისს ქეთინო შემოჰყავს და კუთხებში აყუდებს. პა-



ტარა გოგონაც გაკვირვებით შეჰქორებს ბიძიებს, რომლებიც უკავშირდები გან რაღაცა უნდათ. — ქეთევან წამებული, — აგრძელებს პრეზიდენტის  
ჩერება ექლესიამ წმინდანად შერაცხა (თამადის დედას უუფლენა ერ-  
ქება) და შენ იცი, ლირსეულად გეტარების ეს სახელი, აბა, ჰე...  
აბა, ჰე-ზე თამადა წერტილს სვამს (ლვინოსთან ერთად).

მე ამდენ საზიზლრობას უკვე ვეღარ ვუძლებ და სუფრიდან მოვი-  
პარები. კიდევ კარგი, მგონი ვერავინ შემამჩნია.

\* \* \*

ახალგაზრდა ქალმა აკვანთან ჩაიჩოქა და ბავშვს დაურწევნანავა.  
ჩვილმაც თითქოს იგრძნო ყმაწვილი დედის გადამეტებული ალერსი  
და ნამეტნავი სიამოვნებისაგან თვალები მინაბა. ვინ იცის ამ ბავშ-  
ვისგან ვინ დადგება, დედა კი როგორ მოტყედება და გახმება უწუ-  
ლო ხესავით. სად არის მამა? ის ალბათ ნადირობს და რომელიმე  
ტყეში ლომს ატყავებს (რა ვუყოთ მერე საქართველოს ტყეებში ლო-  
მი რომ არ მინადრობს), ლომის ტყავს ბავშვს აჩუქებს და თუ უკ-  
ვე გაზრდილი ყმაწვილი კაცი მამის ალაგს მხოლოდ შავი არშიებით  
გაწყობილ სურათს ნახავს მისას, დახედავს ტყავს, მოისხამს მხრებ-  
ზე და გადავა სული ლომებაცის მასში, იქნებ ერთი მაიც წილ მა-  
მის, ბევრ წილ მისსაში (ვინ იცის? იქნებ კიდევ ნახავს მამას?).

\* \* \*

დღესაც ლამის ცვლაში ვიყავი. საჭესთან მყოფს მეძინებოდა, რად-  
გან წინა ლამით თვალიც არ მომეტება — ვთიქრობდი!

ცაზე ვარსკვლავები იწრიტებოლნენ სისხლისაგან და შავდებოლნენ.  
მალე ცაზე ნახევარმთვარის მეტი აღარა დარჩა რა და მასაც მოწი-  
თალო-მოშავო ნისლი ჩანთქმით ემუქრებოდა. მანქანა ნერა მიდიოდა  
გზაზე და მიაპობდა ხელოვნურად განათებულ წყვდიადყოფილს. ჭად-  
რაკის დაფასავით შეღებილ-გაფორმებული თითქოსდა მემორჩილებო-  
და და ხელს არ მიშლიდა ცისკენ ყურებაში.

— სამსახურს მივატოვებ, — გავითიქრე და მივატოვე კიდეც. დიახ,  
ასე, უბრალოდ, ავიღე და მივატოვე. წერილიც გამახსენდა ერთი,  
ცინიქოსი მწერდა: ვიცი მაგ ტაქსისტის ტოგის ქვეშ, რა გმირული  
სული იმალებაო.

\* \* \*

იმ ღამეს ჯვარცმა სამაღ გაიპო ... მპობელს რა უნდოდა თავად  
არ იცოდა. დაინახა ჯვარცმა რაღაცის სიმბოლო იყო და დაარღვია.  
რისი იყო არც მაგი იცოდა, მთავარია, სიმბოლო იყო!

\*\*\*\*\*

მას ფესვები მშობელ მიწაში არ ჰქონდა გადგმული, უცხოური უფესვო იყო. მუხა გახლდათ და თავს ძლივს იკავებდა უფრუნავის. ის მიწაც იყო მისგან მოწყვეტილი, მიწასაც რაღაც უცნაური ფერი ჰქონდა მიღებული და მუხა განახლებულს უარესობისაკენ, თავისებურებას დაკარგულ მიწას, მშობელყოფილს, გაურბოდა. ის მიწა უკვე მისი აღარ იყო.

...და იყო ყოველივე ესე ცალკ-ცალკე: მუხა არ ალაგას მისას, უფესვო, ჰაერში აჭრილი და მიწა დაფშხვნილი და ნირსახე შეცვლილი.

\*\*\*

ამ საღამოს სიტყვაც ვერ დავწერე და გაბრაზებულმა გაზეთების ხევა დავიწყე. რაზე ვხევდი თვითონაც არ ვიცოდი. ბოლოს, როცა ყველა დასახევი დავხიე, ერთად მოვაგროვე და ფანჯრილან შუა ქუჩაში გადავისროლე. ამან მეზობლებისა და მეეზოვის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. საყვედური, რა თქმა უნდა, არავის გაუტედავს.

საქმე, როგორც ყოველთვის, არაფერი მქონდა გასაკეთებელი და დალეგა გადავწყვიტე. მაცივარი გამოვაღე, ბოთლით კონიაკი გადმოვდგი, შემდეგ კარადიდან ჭიქაც გამოვაყოლე და „ქეიფიც“ დაიწყო.

ასე მარტოს ბევრჯერ მისვია — ახლაც ასე გსვამდი. თავისუფლების ტკბილი იდეა, საქართველოს სადღეგრძელოდ აწეული ჭიქის გაწითლება სირცებილისაგან, მუნჯობა, ყრუობა, კარგი წიგნები, ცხოვრებისეული მაგალითები, წინაპრების საქმენი საგმირონი ... მე კი მარტოდმარტო, ჭიქა კონიაკით ხელში. — გაუმარჯოს ...

### სიკვდილის მელოდია

ის იჯდა და პიანინზე უკრავდა. უკრავდა ისე, თავდავიწყებით. მის წინ უკვე ინსტრუმენტსაც ვეღარ ამჩნევდა — იყო მხოლოდ მოძრაობა, ხელების გიუურად სწრაფი მოძრაობა. დამკვრელს გრძელი თმები შუაზე გადახლებოდა და ორივე ნაწილი სწორად ეშვებოდა მხრებისაკენ. სახე? — სახე კი მას არ ჰქონდა. იყო მხოლოდ ცხელი ოფლი ჯოჯოხეთისა ...

... მელოდია აუცილებლად უნდა დასრულებულიყო!

\*\*\*

დიდად გაჭირვებული და მილეული სანთელივით ოდნავ მბეუტავი მთვარე ძალზე ნაღვილიანად იცქირებოდა ციდან. კაცი, მისი შემხედვარე, ვეღარ იტყოდა ნახევარმთვარეაო, ის ახლა უფრო მეოთხედს



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

მაგ? სად იყო მზე? თქმულ იყო, ლამე გახლდათ და მუსიკის  
ნდა. ლამე კი იყო ხანგრძლივი და ბენელი, რადგან მეოთხედი სინათ-  
ლისა განათებას არასღროს არ ჰყოფნის. საჭირო იყო იმღამინდელი-  
კით ფეხშიმე მოვარე, მაგრამ ეს ხომ ძველად იყო, ახლა კი მოვა-  
რე სულს ღაფავდა. ჩემნაირები მოვარეს ვერ დააფეხმიმებდნენ!

ვა, თუ ეს მეოთხედიც ჩაქვრეს და მიემალოს ღრუბლებს, მაშინ უგვევ არასღროს გათენდება და არ იშობა დიდი ნათელი მზე, შვილი მიწისა და პატრონი ერისა.

— არ ჩააქრობინოთ მთვარე! — ჰყვიროდა გიური და სივრცეში ხელ-ებს იქნევდა. ის ყველას გიური ეგონა, რაღაც უმრავლესობა სხვანაი-რად ფიქრობდა... და ნატრობდა გიური, რომ დამდგარიყო ისეთი დრო, როცა გიყად არ ჩათვლიდნენ. მიაბიჯებდა მარტოხელა გიური ცარიელ ჭურაში, კაცის სიცალიერეს ჭურა აგსებდა, ჭურის სიმარტოვეს კი კაცი არღვევდა, მიაბიჯებდა და ჭურიდან გასვლა არ უნდოდა.

(რა არის ყველაზე ღიღი საშინელება ამ ქვეყნად? – ვიკიოთხე მე ამ პასუხის მეშვეობაში – უაზრობა! )

ტელევიზორი ჩაგროთ – რაღაცას აჩვენებდნენ, ცოტა ხანში გამოვ-  
რთე. რადიო ავახმიანე, ვიღაც მღეროდა, ესეც მომბეჭრდა და ხმა  
ჩაგაწყვეტინე. ბოლოს ფანჯარასთან მივედი და ორგაპიკიანების  
სროლა დავიწყე. ხუთი ცალი გადავაგდე – მეტი ვეღარ ვიპოვნე ჯი-  
ბეში. საათს ავხედე – ათი იყო. გამიხარდა, დაღამებულა-თქო და  
ლოგინში შევწეო... მალე ჩამეძინა კიდეც.

მიყრუებული ადგილი იყო ის: უდაბური და უკაცური. ოდესალაც თურმე ვინმენი ცხოვრებულან იქ, შემდეგ მიუტოვებიათ და წასულ-ან. მთელი სოფელი დალარიელებული გახლდათ, ჩემი სახლიც – მე კი ახლა ვძრონდებოდი.



## მარტოკაცი სოფელში

ნაცნობი იყო ჩემთვის თითოეული სახლი (აწ უკაცური). სოფლის უკველი კუნცული, ტალახის სუნიც კი მეცნობოდა. სახლს შევხედე, ისევ ისეთი იყო — შავი, პირქუში, თვალებდახრილი და წარბშეკრული. გარშემო პატარა ნაკვეთი ერტყა — ამ ნაკვეთზე ბოსტანი ყოფილიყო ოდესლაც. კალავ სახლს მივაჩირდი: კარტანჯრები ჯოხებით იყო აკრული და ეს პატარა, თლილი ჯოხები კიდევ უფრო პირქუშს ხდიდნენ ქოხს უბადრუს.

ჯოხები ავაძვრე კარტანჯრებს და სახლში შევეღი. ნახევარი საათი ქოხში წავიმუშავე და სულ მივალაგ-მოვალაგე იქაურობა. შემდეგ ძველ, დანჯლრეულ საწოლზე წამოვწერი და ხვრინვა ამოვუშვი. (მე ხვრინვა არ ვიცოდი).

\* \* \*

საწერად დიდი მინდორი ამოვარჩიე. მინდორი სულ გამწვანებული იყო ბალახების გადამკიდე. ყოველ დილას რეველით, ფანქრითა და პატარა დასაკეცი სკამით მივლიოდი იქ და ორი-სამი საათი ვმუშაობდი.

ერთ დილას, ცივ დილას, ნამიანი ბალახები როს ეგვრიან ფეხსაცმელს და სინესტისაგან ხშირი სუნთქვა და ქოშინით, როგორც ყოველთვის, ფანქრით, რეველითა და დასაკეცი სკამით მინდორისაკენ გავწიე. მზე ამოვიდა. ცოტათი თბება მიღამო. წერას ვიწყებ. დილხანს არ მყოფნის „საწვავი“ და უკვე მზით გამობარ ბალახებს ეწაფება ჩემი სხეული. ვისვენებ. ცოტა ხანი ვწევარ. ჩამეძინა კიდეც... გამოლგიძებულს ჰაერი აღარ მყოფნის (ახლადშობილი ბავშვივით, ჭიბი რომ შემოხვევია ყალზე და იხრჩობა) და ფეხზე ვდგები. ბალახებს ტანისამოსიდან ვიცილებ.

განციფრებისაგან კინაღამ შევყვირე! ჭალი აგდია მოშორებით — კლასიკურ პოზაში: მარჯვენა ხელი გულზე, მარცხენა გადაგდებული შორს. ფეხები მორცხვი ჭალწულივით მიბჯენილი ერთმანეთს ... მგრნი მკვდარია, — ვფიქრობ და ჭალს ვუახლოვდები. გაქცევა მინდა, მაგრამ ფეხებს ძალაუნებურად მივყავარ „მიცვალებულისაკენ“. ძალლი ახლა შევნიშნე, ჭალს ხელს ულოკავდა. მეორე ხელი ავიღე, მეთბილა. აღბათ ძალლმა ალკა — და ზიზლით ხელი მოვისროლე. შემდეგ ასღაც მომაგონდასავით და კვლავ ავიღე, მაჯა უცემს, ცოცხალია. აღბათ სტინაც და ხელს ფრთხილად ვდებ ბალახებზე.



შემდეგ ბალახი მოვწყვიტე და მწოლარეს ყურში დავუტრიან მინისტრის მიერ გამოცემას (მიყვარა!) ქალი შეიშმუშნა და თვალები დაახამხადა. წარმოდგომაც ვერ მოვასწარი, რომ ქალი დამაცხრა და ყელ-ტუჩი დამიკოცნა. შემდეგ მოიბოდიშა – სხვა მეგონეთო და ადგა.

– საბოლოო არაფერია, გოგონი! – განაწყენება: რატომ მიწოდა „გოგონი?“ – მე წაგალ, – თქვა „გოგონიმ“. – წადი! – ეგონა კალთას დავახევდი. გოგონა მართლა წავიდა. რაღაც ცარიელი ადგილი დამრჩა გულში და თავი შემეცოდა.

\* \* \*

ერთი კვირა სახლიდან არ გამოვსულვარ – ავად ვიყავი. წამომდგარი მინდორზე გავედი და კვლავ ის ვიხილე – „გოგონი“. ზმანებაა თუ რა, ვერ გამიგია! (ველიქრობდი და თან თვალს არ ვაშორებდი) ქალიშვილი ბალახებში იწვა და წიგნს კითხულობდა.

წამოდგომა. ცივი და ოფიციალური მისალმება. ჩემი ირონია შერჩენილი სახეზედ და გოგოს მოჩენებითი დარცხვენა. მე ვაქტიურობ:

– მე მე ვარ, თქვენ ვინა ხართ?

– მეც მე ვარ! – იცინის „გოგონი“.

– მაინც? – არ შეგეშინდებათ? – რისი? – მიკვირს.

– გინამბა რომ გითხრათ ...

– თქვით!

– ეშმაკის ასული ვარ ... – სად ასული? – სად კი არა, ეშმაკის ასული ვარ, შვილი, გაიგეთ?

– აა, ეშმაკის შვილზე ხართ ასული და ...

ქალიშვილი მიხედა, მასხრად რომ ვიგდებდი და გაქრა.

– მართლა ეშმაკის ასული ყოფილა, გავითიქრე და შეშინებულმა პირჯვარი გადავიწერე.

\* \* \*

ეშმაკის ქალიშვილი ორ დღეს არ გამოჩენილა. მე შევწყვიტე მინდორში სიარული და მარტოდმარტომ საკუთარ ბოლმაში ვიწყე ჩახრჩობა. მოსეზე ვწერდი რომანს და მთელი დღეები ვმუშაობდი, რა თქმა უნდა, სახლში. „გოგონი“ გამახსენდა.

– თურმე ეშმაკების შეყვარებაც შეიძლება, – წამომცდა ხმამალია, გამორკვეულს შემრცხვა (ეს რა ვთქვი?). კარებმა დაიჭრაჭუნა. გადგირვება: ეშმაკის ასული მოსული!

– შენი სული ჩემს ხელშია, თურმე შეგვარებივარ!

– არა, მე ეს ისე ვთქვი – ვლულლულებ.

ქალიშვილი ტანისამოსს იხდის და შიშველი ფეხების ეჭყარებულები-ტრი-ტყვევებს თვალებს. — მოღი ჩემთან! — ამბობს და მკერძოდ მცირება. ჩემი თვალიც, რა თქმა უნდა, მყისვე იქ ჩნდება — პატარა, მკვრი-ვი უნდა იყოს, თეთრი, ქათქათა ... ოჯ, ღმერთო!

— მოღი, მოღი, რაღას უყურებ? მეც ძალაუნებურად მივდივარ. ტუჩებზე მაფრინდება და იმავ წამს გხდებით ერთარსს და ერთხორც. მე ეს უკვე მომწონს.

— ო, მომიტევეთ! — მახსენდება რაღაც და როგორც კინოფილმებშია: სინათლე ქვრება.

\* \* \*

ორივენი ლოგინში ვწევართ: გაოფლილნი, ჩახუტებულნი და სიყვა-რულით გამძლარნი. მე უკვე შევეგუე ჩემს მდგომარეობას.

— მალე დაგულდები — ამბობს ის, — მაგრამ იგულისხმება, მალევე მოგიხმობ! — მალე დამცილდები, მალე მომიხმობ, ორივე ცულია — ვბუზლუნებ ბებერივით.

— ეს რა კარგი სული ჩავიგდე ხელში!... შენ იცი, პირველი ჩემი მამაკაციც ხარ და პირველი სულიც, რომელიც ხელში ჩავიგდე! — მეტიკტიკება (პირველი მამაკაცი რომ ვარ მისთვის, ეს უკვე შევა-ტყვე და ნასიამოვნებიც დავტჩი, მაგრამ თუ პირველი სულიც ვიყა-ვი, ეს კი აღარ ვიცოდი!). მალე ის მიდის. მე კვლავ მარტო ვრჩები.

\* \* \*

სოფელიც დავტოვე. ისეგ ქალაქში ვარ. სოფლად მყუდროებას ვე-ძებდი და ი, რას წავაწყდი — „გოგონი“. მალე მაინც მოვახერხე დამშვიდება — ქალიშვილი, ალბათ, მომელანდა!

### რაღაც

ამ ერის ყველა ხორციელს ავადმყოფობა შეეყარა. ავადმყოფობა სხეულთ აბრმავებდა და დადიოლნენ ბრმები ამ ქვეწად ხელების ცა-ცებით. სხეული სნეულების გამო იხტენებოდა და გახრწნა მამაკაცებს ასოდან ეწყებოდათ, ქალებს კი საშოლან. ეს იმიტომ, რომ ერი არ გამრავლებულიყო და მალე აღგვილიყო პირისაგან მიწისა. როცა ხრწნადობა გულამდე მიაღწევდა, ბეჩავი იღობებოდა.

... და დადიოლნენ ესე ბრმები ამ დაბრმავებულ დედამიწაზედ და იძახდნენ: ახლა არა ვართ ბრმანი, ბრმანი მაშინ ვიყავით, რადგან მაშინდელი სიბრმავის გამო ახლა დავბრმავდითო.

იყო პატარა რაღაც და ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ავადმყოფობაც

იყო რაღაც, უთუოდ რაღაც!  
\* \* \*



ჩვენ მაშინ ერთმანეთი არ გვიყვარდა!

\* \* \*

— განვედ, სატანისეულო ჩემგან,- მივმართე ერთხელ საკუთარ გამო-  
სახულებას სარკეში. სატანისეული მანც არ განვიდა და მე სიცი-  
ლი დავიწყე.

\* \* \*

კარების გაღება ოდნავ დავაყოვნე, ბოლოს გავაღე: არავინ იყო,  
ზარის ხმა მომჩერებია.

\* \* \*

### კ ე რ პ ი

მცხეთისაკენ მიმავალმა ქვის კერპი ვიპოვნე. მომეწონა და სახლში  
წავიღე უხეშად დამუშავებული დროებს გლაციალისაგან გაშავებული.  
იგივე მიზეზით ცხვირწატეხილი და მაინც კერპი, უსულო რამ.

ყურებმალლა აწეული, ბაჭიისავით დაცმვეტილი. თითო ყურში ორ-  
ორი ზოლი. ყურები თხელი და გრძელი, ტანწვრილი. თვალები დიდი,  
გაღმოკარელული, „გვიშველეთ, ბუდიდან ვვარდებითს“ მყვირალი.  
ტანდაბალი კერპი. მსხვილი, ღიპი შუაში ჩაჭყლეტილი და ნამცხვარ  
„ნაპოლეონივით“ ფენა-ფენა დადებული ქონი ქვისა.

ხელები პატარა, მოკლე, თითებკოტიტა. ფეხები მსხვილი, ასევე მო-  
კლები. ერთი სიტყვით, კერპი უშნო, შესაზარი.

... საღამოობით ვებაასებოდი ხოლმე მას !

\* \* \*

შვილი აღმომაჩნდა! შვილი აღმომაჩნდა! შვილი აღმომაჩნდა!  
დიდი ხნის წინათ ერთ ქალან ბლლარძუნს ეს შედეგი მოჰყოლია!  
ძალიან გამიხარდა მისი ნახვა და ქვის კერპი ვაჩუქე. კიბეებზე  
რომ ჩადიოდა, მივაძახე: რომ მოვკვდები, ჩემს სახელზე სანორეს  
ხომ დაანთებ? შვილმა თავი (ნაღვლიანად დამძიმებული) დამიქნია  
და წავიდა. თვალზე ცრემლი მომადგა — მარტოკაცები მარტოკაცებად  
რჩებიან მარად!

\* \* \*

მაცხოვარი ცენტრში იდგა და ხალხს შეჰყურებდა. — ვინ მესროლა?  
— უგვე მერამდენედ გაიმეორა შეკითხეა, მაგრამ ხალხი ღუმდა.  
ოდნავ წელში მოხრილს ხელები გულთან მიეტანა, ხოლო სისხლი



წვეთში ვეთობით მოუმნავდა თეორ პერანგზედ.

— ვინ მესროლა? — თქვით—კვლავ გაიმეორა. რისი გაშემდეგია მუს დაამატა, მაგრამ ხმას მაინც არავინ არ იღებდა.

მაცხოვრის თვალშინ მოგონებების ზოლმა გაიარა: გენესარეთი, ამაყი ქოლაქი კაპერნაუმი, ერშალიმი, მშვენიერი მაგდალინელიც, პეტრე მართლა ქვა-კლდე ურყავები... და ბოლოს დედა!

— რა არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არამ მოწევნულ არს ეა მი ჩემი?... ფიქრებიდან იესო მალე გამოერკვა და კვლავ მიმართა ბრძოს: ვინ არს მკვლელი ჩემი? ბოლოჯერ გეკითხებით, ვინ? — ხმას კვლავ არავინ იღებდა. იესომ კარგად იცოდა, თუ ვინ იყო მისი მკვლელი, მაგრამ მას აღიარება სჭირდებოდა, არა, მას კი არა, არ-ამედ მკვლელს.

— მე ახლაც იუდამ გამყიდა ... ქრისტე შეჩერდა, შემდეგ დაბალის ხმით გააგრძელა: აი, გული ჩემი, აი, სისხლი ჩემი... მაცხოვარმა მკერდიდან ხელები ნელა ჩამოილო, მარჯვენაში რაღაც ეჭირა, ბრძო შემდეგ მიხედა, გული იყო.

თეორ, ნატიფ თითებში კეთილშობილი გული სისხლში ქოშინებს და სხმარტალებს, სისხლის საამო სუნი, ბრძო კი შეშინებული — დაშლას აპირებს...

მომიტევებია!

მეორეჯერ არ აღმდგარა უფალი ჩვენი მკვდრეთით. ამიერიდან სა-ალდგომოდ ბავშვები ვერ მიუჭახუნებენ ერთმანეთს კვერცხებს სისხლისფერს და ვერც ვინმედა იტყვის: ქრისტე აღსდგა! და ვერც ვა-რავინ უპასუხებს: ჟეშმარიტად!

\* \* \*

ეშმაკის ქალიშვილმა მომაკითხა და სული მომთხოვა. ერთი დღე როგორც იქნა ვაჩუქებინე. „გოგონი“ წავიდა.

**მარტოკაცის მემატიანის დღიურიდან**

აი, ქუჩას მიუყვება ჩვენი გმირი. პალტოს საყელო აწეული აქვს, სახე ნაადრევი ნაოჭებით აქვს დალარული. ქუჩაში ხეს შეამჩნევს, რატომლაც აღრე არ ახსოვდა, ახლა კი ნაცნობივით მიესალმა ფოთლებდა ცვენილს. — გაზაფხულზე ფოთლებს მოისხამს, გაიფიქრა და გზა განაგრძო (რა ყველას გაზაფხულის იმედი აქვს).

რაღაც სიცივე იგრძნო ტანში. გააერეოლო. სიგარეტი ამოილო და მოუკიდა. (დროის გაყვანის ნაცალი ტაქტიკა) გაუარა. მოვტყუვდიო,

ჩიალაპარაკა საცოდავად.

უცემ, ვიღიაცამ სახელი დაუძახა, სმენას ეხამუშა, რადგან ჯერ მარტის გადასაცემის დროს სახელი აღარც კი ახსოვდა მარტისულს, ერთი პირობა კიდეც აირებდა მოტრიალებას, მაგრამ გადაიფიქრა – უკვე ძალიან გვიან იყო!

მარტოკაცი კვლავ გზას გაუყვა. ნაზი ქარი სანაპიროს გრძელ, გიშრო და ბინძურ ქუჩაში განლაგებულ ხეებს უხიცინებდა.

... ქუჩის ბოლოში სიცოცხლეც მთავრდებოდა!

[ გაგრძელება შემდეგ ნომრებში ]

გიორგი ჭანტურია

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

V

ეტიუდები

-----

ქართული ხუროთმოძღვრება  
[დასაწყისი იხ. „გუშაგი“ №18]

სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო X საუკუნის ბოლოდან იწყებს გაერთიანებას და XI - XII საუკუნეებში უკვე ერთიანი, მძლავრი ფეოდალური სახელმწიფოა. პოლიტიკურად ძლიერ და ეკონომიკურად ღონიერ ქვეყანაში კულტურის ცველა სფეროში ხდება შესამჩნევი აღმაფლობა. ესაა ხანა უდიდესი ეროვნული აღმაფლობისა, შემოქმედებითი წინასკლისა. ლიტერატურაში ხდება საერო პროზისა და პოეზის ჩასახვა. შეიძლება ითქვას გარკვევით, რომ ჰერმანიშვილი, მისი იდეები, რომლებიც ღრმა ფესვებს იკიდებენ, მეტად შესამჩნევი შედეგებით მთავრდება. ეს ის ხანაა, როდესაც იქმნება მოსე ხონელის ეპოსი „ამირან-დარეჯანიანი“, მოღვაწეობენ შავთველი და ჩახრუხაძე. ეპოქის შემოქმედებითი ზენიტი შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანია“. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა სცილდება ერთი ერის კულტურის ფარგლებს, ამიტომაცაა იგი აღიარებული მსოფლიო შედეგრად.

იმავე ხანებში ვხედავთ ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების მაღალ დონეს. ქვეყნის შიგნით არსდება ორი აკადემია: – გელათში და იყალთოში. საზღვარგარეთ დაარსდა პეტრიწონის მონასტერი, სადაც სხვათა შორის მოღვაწეობდა დიდი ქართველი ფილოსოფიის იოანე პეტრიწი. (პეტრიწონის მონასტერი დააარსა ბიზანტიის ქართველმა მხედარომთავარმა გრიგოლ ბაკურიანიძემ ქვემოთ მოყვარებული მდებარეობს და

მას ჰქვია „ბოჩკოვო“.)

ასეთ ძლიერ ქვეყანაში ჩნდება მრავალი სავაჭრო დოკუმენტურული წერტილი განვითარება მიეღინება ვაჭართა ქარავნები ახლო თუ შორეული ქვეყნებიდან. ცნობილია იმ დროს ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა თბილისი, ღმანისი, რუსთავი, სამშვილდე და მრავალი სხ.

იმ ეპოქის კულტურის სხვა დარგებთან განსხვავებით, განვითარების ყველაზე სრულ სურათს საკულტო არქიტექტურა წარმოგვიდგენს.

**XI - XII** საუკუნეები, როგორც აღრევეც აღვნიშნეთ, მეორე აყვავების ხანაა. აღრეულ პერიოდებთან შედარებით, საკულტო არქიტექტურა ძირითადად გუმბათოვანია. ტაძარი გარედან ჩვეულებრივ სწორკუთხედშია მოქცეული, ხოლო შიგნით ცენტრალურ სივრცეს ჯვრის ფორმა განსაზღვრავს. ჯვრის მქლავების გადაკვეთის აღგილას კი გუმბათია აღმართული. იგი ერთ შემთხვევაში ეყრდნობა ცალკე გამოყოფილ ოთხ სვეტს, ხოლო მეორე შემთხვევაში – საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სვეტს. ჯვრის მქლავებიდან მხოლოდ აღმოსავლეთისა აფსიდალური, დანარჩენი კი სწორკუთხაა.

ამ ხანაში შესამჩნევად გაიზარდა ტაძრების მასშტაბი და შეიცვალა პროპორციები. ნაგებობები აზიდული ხდება, მასათა დამაგვირგვინებელი გუმბათი მაღლდება. თვით მასები პირამიდულადაა დალაგებული. პირველ საფეხურს კარიბჭეები ჰქმნის, მეორეს – ტაძრის ქვედა კორპუსი, ხოლო მესამეს – გუმბათი. საერთოდ შიდა და გარე კომპოზიციებისა და ფასადების მორთულობაში ღინამიურობა და ცხოველხატულობა იქცევს ყურადღებას. თუ **VI -VII** საუკუნეების ძეგლებში მკაცრი და ლაკონური ფორმებისა და დეტალების ზუსტ განლაგებებს ვხვდებით, აქ მოელი ყურადღება დეკორატიულობისაკენაა მიმართული. ფასადები მორთულია თაღებით, კარ-სარკმელებსა და კარნიზებს შემოუყვება ორნამენტოვანი არშიები. ფასადების მორთულობის განმსაზღვრელად ხშირად დიდი ზომის აქოჩრილი ჯვრებია. დეკორატიულობა ჩანს შიდა სივრცის გადაწყვეტაშიც. იქ ფორმათა თამაშით არაჩვეულებრივი ღინამიურობა იგრძნობა. ამას ემატება კედლების ფრესკული მხატვრობის ფერადოვანი გამა. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული დეკორაციულობა და ცხოველხატულობა არასდროს არ არღვევს ნაგებობის ტექონიკურობას, ერთიანობას. ასეთი სიცხადე ახლა და მომდევნო პერიოდებშიაც და მახასიათებელია ქართული არქიტექტურისათვის.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში **XI** საუკუნე დიდი აღმავლობის პერი-



ოდია. საუკუნის დასაწყისშივე გარკვეულად ჩანს ახალი სტრუქტურული მელიც პრინციპულად განსხვავდება წინა ეპოქებისაგან. პირველი ეტაპური ძეგლი ამ მიმართულებით შექმნილი ესაა ე. წ. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში. მისი ძირითადი ნაწილი აგებულია **1003** წელს. იგი თათრებმა **1691** წელს დააზიანეს და იმის შემდეგ უგუმბათოდ დგას. ამ დიდი ზომის ტაძრის შიდა ხალვათი სივრცე შექმნილია ტეტრაკონქის გეგმაზე. გუმბათის საყრდენი სვეტის მდიდრულად მოჩუქრობებული კაპიტელები ახლა შიგნით ყრია. ტაძრის გარე მასები მრავალფეროვანი და ღინამიურია. ფასადები უწყვეტი თაღედითაა დამუშავებული. სარკმლებს უშრეტი ფანტაზიის მქონე ოსტატების მიერ ამოკვეთილი ჩუქრობები ამშვენებს. ცოტათ მოგვიანოდ აგებული სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები ამდიდრებდა ნაგებობას.

ბაგრატის ტაძრის თითქმის თანადროულია იმერეთისაგან შორს, აღმოსავლეთით, კახეთის ტერიტორიაზე მდგარი აღავერდის ტაძარი. იგი აგებულია **XI** ს. პირველ მეოთხედში. თუ ბაგრატის ტაძარი მთაზე იდგა, ეს ვაკეზე დგას. იგი აღაზის ველზე, კავკასიონის თოვლიანი მთების ფონზე, იშვიათად მოხდენილად გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი მასშტაბის უზარმაზარი ნაგებობაა / ტაძარი სიმაღლით **50** მეტრს აღემატება და საქართველოში ყველაზე მაღალია /. აღავერდის ტაძარი გვეგმით ისევ ტეტრაკონქია, მხოლოდ ბაგრატისაგან განსხვავებით გვერდები შვერილი არ არის, არამედ ერთიან სწორკუთხედშია მოქცეული. შინა სივრცე დიდია, ვრცელია, ხალვათია, იგრძნობა ზესწრაფვა. გარედ მას აკლია სამი მხრიდან გალერეა. ახლა მხოლოდ დასავლეთის ფრაგმენტი ვერ სტოკებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომრიც იქნებოდა თავდაპირველად. დასადები შემოსილია თლილი ქვით, მაგრამ მორთულობას ფაქტიურად მხოლოდ თაღები წარმოადგენს. ასეთი სიძუნწე, სიმარტივე, განსხვავებით ქართლის ძეგლებისაგან, ახასიათებს კახეთის ძეგლებს. ტაძარს საკმაო ცვლილებები გაიწყოდა. მათში ყველაზე შესამჩნევია დანგრეული გუმბათის მაგიერ **XV** ს. მოლოს დადგმული გუმბათი, მისი ფასადების გადაწყვეტა განსხვავდება თავდაპირველისაგან, მაგრამ სიმაღლით კი შეიძლება ძველს იმეორებდეს.

იმავე ტიპის მესამე ტაძარი მცხეთის სვეტიცხოველია. აქაა მოთავსებული ქრისტიანობის მიღების პირველივე ხანებიდან საქართველოს კათალიკოსის კათედრა. ამ აღგილას **IV** საუკუნეში პირველი მკლე

ია იყო აგებული. შემდეგ მის ადგილზე მეფე ვახტანგ გორგასალმა **V** საუკუნის ბოლოს აავი დიდი ზომის ბაზილიკა, რომელიც წარმოადგინება ჩართულია ახლამდგარ გრანდიოზულ ნაგებობაში. იგი აგებულია **1010 - 1029** წლებში მელქიშედვე კათალიკოსის განკარგულებით არქიტექტორ არსაკიდის მიერ.

სვეტიცხოველს, როგორც ქვეყნის საეკლესიო ცენტრს, მტრის პირ-ველი ხელი ხდებოდა, ამიტომ მას მრავალი შეკეთება-გადაკეთება განუცდია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია **XIII** საუკ. ბოლოს თემურ-ლენგის შემოსევის დროს გუმბათის დანგრევა. იგი აღა-დგინდეს **XV** საუკუნის პირველ ნახევარში. **XIX** ს. პირველ ნახევარში კი მას შემოაცალეს დაზიანებული გარშემოსავლელი და შიგნით კუ-დღები შეათვარეს.


შიგნით ტაძარი შესამჩნევადაა წაგრძელებული. ცენტრი ისევ ჯა-რის მკლავებზე აღმართულ გუმბათს უკავია. ბრწყინვალედ თლილი ქვით შემოსილ ფასადებს თაღები ტალღისებურად უგლის გარს. ჩუქურთმა და რელიეფები ყოველ დეტალს ამშვერებს.

საკულტო ნაგებობათა შექმნის გზაზე ახალი სიტყვა თქვა **1030** წელს აგებულ სამთავისის ავტორმა. ტაძარი დგას ქართლის ცენტრ-ში, თბილისი-გორის გზასთან ახლოს. ტაძრის გენიალურმა არქიტექტორმა შექმნა ისეთი სრულყოფილი ტიპი, რომელმაც დაიკარი შემ-დეგი საუკუნეები. ეს ტიპი ეპოქათა სათანადო ცვლილებებით გვხვდება თითქმის მთელი რვაასი წლის განმავლობაში. ასეთი გავლენა არ მოუხდებია შუასუკუნეების საეკლესიო ნაგებობათა არცერთ ავტორს.

ტაძრის გეგმა გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი, შიგნით კი ჯვა-რია, რომელგზედაც აღმართული კედლები ჰქმნიან მთავარ სივრცეს. აღრე განხილულ ძეგლებისაგან განსხვავებით, აქ გუმბათი ეყრდნობა არა ოთხ ცალკე მდგარ სვეტს, არამედ საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სვეტს. ასეთმა გადაწყვეტამ გუმბათი მიუახლო-ვა საკურთხევლს და გრძლივი ლერძი დამოკლა, რითაც გეგმა შედა-რებით გამარტივდა და გახდა ლაკონური.

ფასადები მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი სახით არ არის მოღწეული, მაინც მნახველზე ჭარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ მხრით განსაკუთრებით გამოიჩინება აღმოსავლეთის ფასადი, საღაც სტილის ცხოველხარულება, ღინამიურობა, ჩრდილ-სინათლის თამაში მეტად ცოცხლადაა გამოსახული. ამ ფასადის დეკორაციული გადაწყ-ვეტის გავლენაც მიღია იყო. მის გამოძახილს **XVII** ს.-შიც კი ვხვდებით.

**XII** საუკ. ტაძრებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გვალათის მონასტერი, რომელიც დგას ქუთაისთან ახლოს. იგი დაზიანებულია სახელგანთქმული მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. მან აქ ამა ლია სახელგანთქმული მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. მან აქ ამა მარტო ეპლესია ააგო, არამედ იქვე შექმნა მეცნიერებისა და განათლების ცენტრი. მან იქ გახსნა აკადემია, სადაც მოღვაწეობდა ფილოსოფოსი იოანე პეტრიშვილი და სხვები. ანსამბლში გარდა თავის მიერ **1106** წელს საფუძველჩაყრილი ტაძრისა შედის აკადემიის შენობა, რამდენიმე ეპლესია, სამრეკლო და დამხმარე ნაგებობები.



მონასტერ გელათის საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

მთავარი ტაძარი შიდა სიერცხობრივი გადაწყვეტით საერთოს სამთავისთან პოულობს, მაგრამ აღმოსავლეთის შვერილი აფსიდებით უფრო ძირეულ ძეგლებთან აქვს კავშირი. ფასადები თაღედით მდიდრულადაა მორთული, მაგრამ, განსხვავებით სხვებისგან, ჩუქურთმით მეტად ღარიბია.

იმავე საუკუნის მეორე ნახევრის საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს

იკორთის გუმბათოვანი ტაძარი. იგი დგას გორთან ახლოს წარმოდგენით, კავკასიის მთებისკენ. ტაძარი წარწერის მიხედვით – აღებული 1172 წელს. **XI - XII** საუკუნის ძეგლებიდან იგი უკანასკნელია, სადაც ფასადების მორთვის ძირითად დეკორატულ ელემენტს თაღედი წარმოადგენს. თაღედი აქაც თხივე ფასადს მთლიანად უვლის, მაგრამ მათში უკვე ჩანს ახალი გადაწყვეტა. ესაა თაღედში ტეხილი ხაზების, კუთხეების შეტანა. ფასადების კარსარკმელები მორთულია მრავალფეროვანი ჩუქურთმით. ჩუქურთმის სიმდიდრით გამოიჩინება აგრძელებული გუმბათის ყელი.

**XII** საუკუნის მიწურულსა და **XIII**-ს პირველ მეოთხედში, სულ რაღაც სამი ათეული წლის განმავლობაში შენდება ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა – ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღურაშენი, კოჯირის კაბენი და ახტალა. ამ ძეგლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ის ტიპი, რომელიც **XI** ს. პირველ ნახევარში შექმნეს სამთავისისა და სამთავროს ავტორებმა. სტილისტიკური თვალსაზრისით ეს ორი ეტაპი ერთი საფეხურია, მაგრამ მათ შორის მაინც შესამჩნევი განსხვავებაა. ტაძრის ზომები მცირდება, ხოლო გეგმა კვადრატს უახლოვდება. ინტერიერში გრძელდება აღრევე შემუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტა – გუმბათი ეყრდნობა აღმოსავლეთით საკურთხევლის კუთხეებს, ხოლო დასავლეთით – ორ პილონს. კედლები მთლიანად იფარება ფერადი მხატვრობით.

თუ ფასადებზე **XI - XII** საუკუნეებში მორთულობის მთავარ ელემენტს თაღედი წარმოადგენდა, ახლა მასზე უასს ამბობენ და მხატვრული ეფექტი ემყარება გლუვ ზედაპირზე კარსარკმლების ირგვლივ თავმოყრილ ჩუქურთმას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იზრდება თვით მოჩუქურთმებული აღგილების ფართი და ცალკეულ ელემენტთა რაოდენობა. ცვლილება გუმბათმაც განიცადა. ადრე თუ წახნავოვანი გუმბათის ყელი სჭარბობდა, ახლა მხოლოდ ცილინდრული ფორმისა გვხვდება. წინა პერიოდთან შედარებით კიდევ ერთი თავისებურება ახლავთ ამ ძეგლებს, ესაა მათი განლაგება ღრმა ხეობებში, სადაც სიწყნარე, სიმყუდროვე და სილამაზეა. შორს დარჩა აღრეული ქრისტიანობის ხანის ასკეტიზმი, როდესაც მონასტრებს აგებდნენ მწირ, ხრიოკ აღგილებში, სადაც აღამიანურ, ხორციელ ცხოვრებას მაქსიმალურად იყვნენ მოკლებულნი.

ჩვენ აღრევე შევნიშნეთ, რომ ქართული არქიტექტურა ძირითადად ქვის არქიტექტურაა. იგი ასევე რჩება ამ ხანაშიაც, მაგრამ გვხვდა

ბა გამონაკლისიც. ასეთს ჭარმოადგენს ზემოაღნიშნული ტიპის არა ძეგლი – ყინწვისი და ტიმოთესუბანი, რომლებიც აგურითაა მარტვილი უნდა აღნიშნოს, რომ აგურით ნაგები და მოკიშული კრამიტის დახურული შენობები, მწვანით დაფარული ხეობების ფონზე, იშვიათი სილამაზით ხასიათდებიან.

განხილული ეპოქის მონასტრებიდან ერთი განსხვავებული ხასიათის ანსამბლიც გვაქვს. ესაა კლდეში ნაკვეთი გარძია. იგი მდებარეობს ძველი მესხეთის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის ზედა ნაწილში, მაღალი მთის კლდოვან ფერდობში გამოჭრილია ასეულობით გამოქვაბული, საღაც მდებარეობს რამდენიმე ეკლესია, სატრაპეზო, სამრეკლო, ბერების საცხოვრებელი სენაკები და სხვადასხვა დანიშნულების დამტმარე სადგომები. საჭ. ტერიტორიაზე მრავლადაა კლდეში ნაკვეთი მონასტრი, ეკლესია, ციხე და სახიზრები, მაგრამ ასეთი დიდი

და შთამბეჭდავი ანსამბლი სხვა არ არის. გარძია შექმნილია **XII** საუკუნის ბოლოს და **XIII** საუკუნის დასაწყისში.



ვარდია. მონასტრის დასავლეთი ნაწილი.

X სართული

სამრეკლო. XII საუკუნე.

საერო ხასიათის ნაგებობები ძალიან ცოტა შემოგვრჩა, ისტორიკოსთა ცნობებით ფეოდალური მონარქიის ამაღლების პერიოდში მდგრადა არაერთი სასახლე დიდი და ლამაზი, მაგრამ ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ. დაგვრჩა მხოლოდ სასახლის ნანგრევები გეგუთში, ქუთაის-თან ახლოს, რომელიც მეცე გიორგი **III** აგებულია **XII** საუკუნის 60 - 70 -იან წლებში. სასახლე დიდი ზომის, გუმბათოვანი ნაგებობაა. გუმბათს ყელი არ ჰქონია და სინათლე ზემოდან ჩამოდიოდა. შიგნით გუმბათვები დიდ დარბაზს ოთხი სწორკუთხა მკლავი უერთდება. ყველაზე ღრმა მკლავში მეღის ტახტი იღმებოდა. დარბაზის ირგვლივ საცხოვრებელი და სხვადასხვა დანიშნულების ოთახები იყო განლაგებული.

აქვე უნდა აღვნიშნო ციხე-სიმაგრეებიდან ერთი ნიმუში. ესაა ხელვისის ციხე, რომელიც მდებარეობს ისტორიულ მესხეთში, მტკვრის ორი ტოტის შესართავთან. მატიანეთა მიხედვით აქ ანტიკურ ხანაში ქალაქი ყოფილა, მაგრამ ღრმოთა ვითარებაში მისგან აღარაფერი შერჩენილა. ის, რაც დღემდე შემორჩა სხვადასხვა დროისა და ძირითადად **XI - XIV** საუკუნეებისაა. ციხე დგას მაღალ მთის წვერზე და იშვიათი მოხდენილობით ამთავრებს სალ კლდეებს. იგი საკმაოდ მტკიცე და მიუდგომელ სიმაგრედ ითვლებოდა. ამავე დროს, მის მშენებლებს კომპოზიციის კარგი გრძნობა ჰქონიათ.

საკულტო არქიტექტურაში გრძელდება აღრევე აღებული ხაზი. ამ ნაგებობებიდან ყველაზე საინტერესოა თბილისის მეტეხის ტაძარი, რომელიც აგებულია **1278 - 1289** წლებში. იგი აგებულია ძველი ეპლესის ადგილზე, მტკვრის მარცხნა ნაპირზე და ქალაქში მეტად დამახასიათებელ სიტუაციას ქმნის. სამი შვერილი აფსიდით ეს ტაძარი ძველი ტაძრების ფორმებს იმუშავებს, ფასადების მორთულობით კი თავისი ეპოქის ტიპიური წარმომადგენელია.

მეცამეტე ს. ოციანი წლებიდან იწყება სასტიკი და უთანასწორო ბრძოლა მონგოლ დამპყრობლებთან. თანდათანობით ქვეყანა სუსტდება პოლიტიკურად და ეკონომიკურად. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაემჩინია კულტურის სხვადასხვა სფეროსათვის. თანდათანობით ქვეითდება ხელოვნების სხვადასხვა დარგებიც, კერძოდ, ასეთი სურათი ჩანს არქიტექტურაშიც. **XII** ს. ბოლოს და **XIV** ს. დასაწყისში ჯერ კიდევ ვერდავთ არქიტექტურის ძველ სიღიადეს, მაგრამ შემდეგში თანდათანობით ჰქონდა, ვიღრე **XVI** საუკუნემდე.

**XIII - XIV** საუკუნეების ორ კარგ არქიტექტურულ ნაგებობას წარ-

მოადგენს საფარი და ზარზმა, რომლებიც სამხრეთ საქართველოში მდებარეობენ. ერთიც და მეორეც ტიპით ისეთივეა, რომელიც აღმოჩენილია დავთ **XI** საუკუნედან, მაგრამ დეტალებში და განსაკუთრებით მორთულებაში იგრძნობა განსხვავება, საკუთარი ეპოქის დალი.

საფარის ძეგლი მდებარეობს მყუდრო ხეობაში, ირგვლივ იშვიათი ლამაზი ლანდშაფტია. ტაძარი ხევის ნაპირას, ისეთ რელიეფშია ჩადგმული, რომ ირგვლივ მას ხან ქვემოდან ვხედავთ და ხან კიდევ ზემოდან დაგვჰყურებთ. კარგად თლილი ფერადი ქვით შემოსილი ფასადები მდიდრულადაა მორთული.

მისაგან განსხვავებული მდებარეობა აქვს ზარზმის ტაძარს. იგი მაღალი მთიდან გადაჰყურებს გარემოს, დაბლა დაცუმულ ხეობებს. მისი გეგმის გადაწყვეტაში და გარე მასათა კომპოზიციაში საერთოდ, სამხრეთის სტოას განსაკუთრებული ნიუანსი შეაქვს, მაგრამ პრინციპი ტიპი ძეგლი რჩება. ადრე განხილულ ნაგებობებისგან განსხვავებით, ამ ძეგლის დეკორში ჩანს ის სიმშრალე და სქემატურობა, რომელიც სტილის დალმავალი ხაზის მაჩვენებელია. თითქოს ამ ცხოველ-ხატულმა სტილმა თავისთავი ამოწურია **XIV** საუკუნეში, მის პირველ ნახევარში. ასეთ მაგალითს ვხედავთ გერგეტის სამებაში. ამ გუმბათოვანი ნაგებობის ინტერიერში გაოცებთ ქვედა და ზედა მასების არაპროპორციულობა, ფასადების მორთულობაში ჩანს არამკვეთრი ხაზები, დაბალი რელიეფი და დუნე კვეთა.

მონველთა ულლიდან გამოსვლის შემდეგ მტრულად განწყობილი ორი მეზობელი გაგვიჩნდა, ესენი იყვნენ ისმალეთი და სეფიანთა ირანი. ისინი სამასი წლის განმავლობაში ცდილობდნენ საქართველოს დაცურობას, მაგრამ ვერა და ვერ შეძლეს. ამ ხანგრძლივი ბრძოლის პერიოდში ქართ. კაცი, როგორც კი ცოტა თავისუფლებას იგრძნობდა, მაშინვე კულტურის ფრინველი იღვწიოდა.

არქიტექტურაში ამის კარგი მაგალითია გრემი და ანაური. გრემი მდებარეობს კახეთის ტერიტორიაზე. აქ იყო დაჭუცუალებული საქართველოდან კახეთის სამეფოს დედაქალაქი. მისი ციტადელის ტერიტორიაზე აგებული ტაძარი აშენებულია **1565** წელს. ტიპით ეს ეც ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომელსაც **XVI** საუკუნისათვის დამახასიათებელი ფორმები აქვს. ეპოქის თავისებურ ნიშნებს ვხედავთ როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში, განსაკუთრებით თვალში გეცემათ ფასადების გაფორმება. ქვითა და აგურით ნაგები ეს შენობა თაღებითაა დამუშავებული, სადაც ფორმათა დაწერილმან-

ებაში ერთგვარად იგრძნობა ირანის სიახლოეს. ასევე, ირანული არქიტექტურის ზოგიერთი ელემენტის გამოვლენას ვხედავთ ნინოშვილის სამრეკლოში. იმავე XVI ს. აგებული ეს სამრეკლო მთლიანად აგურითაა ნაგები, მის ფასადებს თავისებურ იერს აძლევს ისრული ფორმის თაღები და რომბების სიმრავლე.

ქართლის შუაგულში, არაგვის ხეობაში მდებარე ციხე-დარბაზის – ანანურის ციტადელში მდგარი ტაძარი 1689 წლისა აგებული. ეს გუმბათოვანი ღიღი ტაძარი ქართული ქვის არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობაა. მისი ინტერიერი ნათელი და ვრცელია. თლილი ქვით შემოსილ ღასადებზე მდიდარი დეკორატიული მორთულობაა განლაგებული. კედლებზე ამოკვეთილი ჩუქურთმა მაღალი ოსტატობითაა შესრულებული.

#### ირინე დავრიშაშვილი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

**ფიქრები საქართველოს მისიაზე  
(გაგრძელება. დასაწყისი იხ. 18 და 20 წე.-ში)**

საქართველოს სამაგალითო ერად ქცევა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ჩვენსავე მეტამორფოზათან, ჩვენს სრულყოფასთან დასახული მიზნებისა და მასთან მისაახლებელი საშუალებების ღირსებასა და კათილშობილებასთან, მათი ღირებულების ზუსტ განსაზღვრასთან. უპირველეს ყოვლისა სწორად უნდა განისაზღვროს ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსა და მარადისობისადმი, მიმართება მსოფლიო და საკუთარი კულტურისადმი, ქართული ენისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებისადმი.

პირველი და უმთავრესი საკითხი, ესაა სამყაროსა და მარადისობისადმი ჩვენი მიმართება, დაყრდნობილი უსათუოდ სულის უკვდავების იდეას. მარადისობა თუ მართლაც მარადისობაა, ამსოფლიად მას მხოლოდ ადამიანის უკვდავი სული შეესატყვისება და თავად მარადისობისა და სულის უკვდავების საკითხიც არასოდეს წამოიჭრება, აღამიანის სული უკვდავი რომ არ იყოს, რაღაც მხოლოდ უკვდავებაში შეიძლება იშვას მარადისობისა და უკვდავების შესატყვის საკითხები.

შესაძლოა გვკითხონ: თუ საქმე ისედაც ნათელია, რა საჭიროა საკითხის ეგოლენ მწვავედ დაყენება? საქმეც იმაშია, რომ მრავლისა-თვის ბევრი რამ არ არის ნათელი. ბევრი ისე გავლის ცხოვრების

გზას, იშვიათად თუ დაფიქრდება მარადიულ საკითხებზე. ეს მომავალი გრებისადმი დამოკიდებულება გასტრონომიულ პრობლემებში არ იყო მატებული ერთი ამბიციებს ან სცილდება. ამგვარი ადამიანები ძირითადად სომატური ცხოვრებით ცხოვრობენ და სულის უკვდავებას ვინდა დაეძებს, სულის არსებობაზეც კი იშვიათად დაფიქრდებიან, რაღაც გონებრივი სიზარმაცე ინდიფურენტულს ხდის მათ მსგავსი საკითხებისადმი; სიკვდილს, მეხის გავარდნასავით რომ ეშინიათ, მხოლოდ ცხოვრებისეული ფაქტები თუ ახსენებენ, თორემ მასზე ფიქრს გაურბიან და ჯერ კიდევ მბეჭუტავ, გაულვივებელ მე-ს გარეგანი ცხოვრუბისა და თავდავიწყების ორმოტრიალში ძირავენ.

ის ადამიანები, სომატიურ დონეს რომ ასცილდენ, მაგრამ სულის უკვდავების იდეამდე ვერ ამაღლდნენ, ცდილობენ მარადიულ საკითხებთან მიახლებას, მყარი მორალური წარმოლგენების შექმნას და ცხოვრებაში მათ რეალიზებას, მაგრამ ამდენადაც გულწრფელი არ უნდა იყვნენ ისინი თავიანთ მისწრაფებაში, მარცხი გარდუვალია. მათი აზრით სამყაროს ბუნების მექანიკური კანონები განაგებენ, რომელთა ბატონობა ადამიანთა სულზედაც ვრცელდება და მასაც, როგორც სხვას ყველაფერს, წარმოქმნისა და დაშლის გარდუვალ პროცესს უმორჩილებენ. ამ ადამიანების ანალიზისა და სინთეზის უნარი ჯერ იმდენად არ სრულქმნილა, რომ ბუნების კანონთა პარმონიულობას, ფორმათა მრავალფეროვნებასა და მშვენიერებას, თითოეული პოპულაციისა, ჯიშისა, თუ მოვლენის განსაკუთრებულ დანიშნულებასა და აუცილებლობას პოპულაციათა, ჯიშთა თუ მოვლენათა ერთიან რგოლში განჭივრეტას,— გაოცებამდე და იმის აღიარებამდე მიეყვანა ისინი, რომ სამყარო რაღაც უზენაესი გონების ნააზრევია. მართლაც რა არის სამყარო, მთელი ბუნება, თუ არა გრანდიოზული ნააზრევი, სადაც ყოველივე იმდენად მჭიდროდაა ურთიერთობან დაკავშირებული, რომ ერთი დეტალის, ერთი სახეობის ამოვარდნაც კი ერთიანი რგოლიდან, საშინელ დისპარმონიას იწვევს. ნააზრევი კი წარმოუდგენელია ცოცხალი, შემომქმედი არსების გარეშე. მაშასადამე, სამყაროს შემომქმედი ჰყოლია; და თუ ადამიანები ბუნების მარადიულ კანონთა გამააზრებლისა და შემომქმედის არსებობაში რწმუნდებიან, შემომქმედის უკვდავებას, გარესამყაროში უკვდავი სულის არსებობასაც ირწმუნებენ, რაღაც ბუნების მარადიულ კანონებს მხოლოდ უკვდავი შემომქმედი შეიძლება ჰყავდეთ. სამყაროს სულის უკვდავება კი ადამიანის სულის უკვდავებასთან მიგვაახლებს.

უსასრულობის მომენტი ევოლუციის კანონში ცხადჰყოფს, რომ შეაწერ მოუღენალია ადამიანთა საუფლოთი თავდებოდეს საუფლოთა მარშრუტზე, როგორც ლი კიბე და თავისთავად მიუთითებს ადამიანთა საუფლოზე, როგორც დაბლა, ისე მაღლა მდგომი საუფლოების არსებობაზე.

მაგრამ თუ ადამიანი ვერ აღზევდა ბუნების კანონებზე, თუ ვერ იჩრმუნა სულის უკვდავება, არა მარტო დენ სულიერი სამყაროსადმი, დედამიწაზე ცხოვრების მიმართაც არ ექნება სწორი დამოკიდებულება. რა ფასი უნდა ჰქონდეს მისთვის გონიერი და მორალურ სრულყოფას, თუკი მის მიერ მოპოვებული სულიერი საუნჯე, სიკვდილის-თანავე მასთან ერთად უნდა განქარდეს? საიდან ექნება მას სწორი მიმართება ამსოფლად არსებული მარადიული ლირებულებებისადმი, თუკი საკუთარ მარადიულობას არ იჩრმუნებს იგი? მას შეუძლია თავის დაიმედება, რომ მის მაღალ ლირსებებს, საქმით რომ გამოხატა, მის სახელთან ერთად შთამომავლობა გაამარაღისებს. მაგრამ მისივე გაგებით შთამომავლობაც ხომ მოკვდავი სულის ადამიანებისაგან უნდა იყოს შემდგარი? გამოლის, მის მიერ მათ ხსოვნაში დატოვებული ლირსებანი, საქმენი, სახელიც და ავტორიტეტიც, სიკვდილისთანავე მათთან ერთად საპნის ბუშტივით განქარდება. მაგრამ მათთა შემდგომთა ხსოვნაში, დედამიწის მკვიდრთა ხსოვნაში ხომ სამუდამოდ დარჩება? – ამგვარადაც შეუძლია იფიქროს ადამიანმა. ათეული საუკუნეების მანძილზედაც რომ დარჩეს, ბოლოს წარიხოცება მაინც ხსოვნა მისი. „სულაც თუ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს, მაშინ ვინდა თქვას საჭმე მისი, ვინ სადღა იყოს?“ მაგრამ აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სოფლისათვის ბოლოს მოღებით, მოეღება თუ არ მოეღება ბოლო სამყაროსა და ადამიანის სულს. ილუზიაა თუ ვინმე ფიქრობს, რომ მომავალ თაობებში გაგრძელებული ხსოვნის ხანგრძლივობა, როთიმე შესცვლის სულის უკვდავების იდეას. წარსულის სიქველეთა ხსოვნა და სიქველის მთესცვლათა ავტორიტეტის ხანგრძლივობა მომავალ თაობებში იმ შემთხვევაში არ ჩჩება სუროვატად მარადისობისა, თუ კი იგი უკვდავ სულებზე ზემოქმედებს მხოლოდ, თორემ წინაპართა დათესილმა სიკეთემ რანაირად უნდა გამამდიდროს სულიერად, თუ სიკვდილის შემდეგ ალარ ვიარსებებ? რაღა დამრჩება, თუ კი მე ალ არ ვიქნები? თუკი სამყარო საკუთარ თავთან ერთად ერთი ხელით მართმევს იმას, რასაც მეორეთი მთავაზობს? აქვე ერთ მნიშვნელოვან, ამ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებულ, მოვლენას უნდა მივაჭიოთ ყურადღება.

ამჟამად ოფიციალობა დიდ ყურადღებას უთმობს მიცვალებულთა ხსოვნას, მათი საფლავების მოვლა-პატრიონობას. ამ თვალსაზრისით მთელიგ ლონისძიებებს მიმართავს იგი, ფართოდ ოპერირებს ვარესის მეოქებითაც. ეს მართლაც ზნეობრივი მოწოდებაა, რამდენადაც ზნეობრივი საქმეა წინაპართა და გარდაცვლილ მოყვასთა ხსოვნა. მაგრამ აქვე ამგვარი კითხვაც იშვის: როგორი განწყობით, როგორი აზრითა და გრძნობით უნდა მივდიოდეთ მახლობელ მიცვალებულთა საფლავებთან? მხოლოდ საფლავის ქვებიდან მტვერის გადასაწმენდად, ეპალ-ბარდების მოსაცილებლად, თუ უფრო ღრმა სარჩული უნდა ედოს საფლავების ჩვენს მსვლელობას? როგორი აზრი უნდა გაგვაჩნდეს ჩვენი მოქმედების მიმართ და, რაც მთავარია, თავად მიცვალებულთა შესახებ? მხოლოდ ჩინჩხად, არაორგანულ ბუნებად, ანუ მიწად და მინერალურ საუფლოდ ქცეულ არარაობად უნდა მიიღინოთ ისინი, თუ გარდაცვალების შემდგომაც ჩამოავარება, ცოცხალ არსებულ, უკვდავ სულებად, მარად არსებულ, წარუხოცელ ინდივიდუალობებად? მხოლოდ მათი ხსოვნის პატივსაცემად უნდა მივდიოდეთ მათ საფლავებზე, თუ თავად მათ პატივსაცემად?

ცხადია, გარდაცვლილი ახლობლების საფლავებთან მისევლისას ბევრი რამ გვახსენდება მათთან დაკავშირებით, ჩვენი მათთან ურთიერთობის მრავალი მომენტი, ერთად განვლილი და განცდილი ცხოვრების ეპიზოდები, მათი გამონათქვამები და მოქმედებანი და ბევრიც სხვა. საფლავი, ქუჩა თუ სახლი მიცვალებულისა, მსგავსად სახსოვარი ნივთისა, უთუოდ ამოატივტივებს თავად მიცვალებულის სახეს ჩვენს მესიერებაში, ჩვენს ფიქრებში. შემთხვევით როდი უთქვამს საოცარ პოეტს, ტერენტი გრანელს, ასევე საოცარი სიტყვები: „კემოთ საფლავებია და ზემოდან ფიქრები“. დიახ, ფიქრებს აღძრავენ საფლავები, როგორც ახლობელ მიცვალებულთა, ასევე საერთოდ გარდაცვლილთა შესახებ, ფიქრებს სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე, წუთისოფლისა და მარადიული საუფლოს ურთიერთდამოკიდებულებაზე. აქ კი, გაკვირვებას იწვევს სხვაობა აზრთა იმ ორგაზრ მდინარებას შორის, საფლავის ქვასთან, მიცვალებულთან დაკავშირებით რომ იშვის და ადამიანების ეგოლენ განსხვავებულ შინაგან წარმოაჩენს. მოვიყვან ორ მაგალითს:

ერთობ ნიკიერი რუსი კრიტიკოსი, მაღალი ზნეობის ადამიანი, დობროლიუბოვი მღვდლის ოჯახში დაბადა და ჩელიგიასთან იმგვარი დამოკიდებულება ჰქონდა, როგორიც შეიძლებოდა ჰქონოდა ჩელიგიური ტრადიციების მქონე ოჯახის შვილს. მისი რწმენა ოჯახურ ტრადი-

ციას ეყრდნობოდა: ალბათ დადიოდა წირვებზე ეპლესიებში, აფავჭუნდა ლოცვებს ადგომისას და ძილად მისვლის წინ და შემდეგ როგორც როდესაც მას არც თუ ხნიერი მამა გარდაეცვალა, რომელიც, როგორც თავად იხსენებს, ძალზე უყვარდა, რაღაც შესანიშნავი ბუნების აღა მიანი იყო, იგი ათეისტი გახდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მასში მომხდარი მსოფლმხედველობრივი გარდატეხისა გახლდათ შემდები აზრი: როგორ შეიძლებოდა ესოდენ კარგი ბუნების აღამიანი ღმერთს მოეკლა? ცხალია, ამ შემთხვევაში ღმერთი მას სამართლიანობისაგან არ განუცალკევებია, და რაღაც საყვარელი მამის სიკვდილთან დაკავშირებით ობიექტიურ სამყაროში სამართლიანობა ვერ პჰოვა, ღმერთის არსებობაც უარყო. ამგვარი კაცის გარდაცვალება მას რომ მხოლოდ უსამართლობით გამოწვეულ სასჯელად, ხოლო ღმერთის უსამართლო მსაჯულად და დამსჯელ ძალად წარმოედგინა, მაშინ იგი ღვთის არსებობის უარმყოფელი კი არ გახდებოდა, არამედ უსამართლო ღმერთის მონა, ან მოწინააღმდეგებ. მაგრამ რაღაც მის წარმოდგენაში ვერ თავსდებოდა ღმერთი და უსამართლობა, იგი მისი არსებობის უარმყოფელი, ანუ ათეისტი გახდა\*), რასაც უმაღლესი მოჩალის თვალსაზრისით თავად ღმერთის სიმპათიაც კი უნდა გამოეწვია. ყოველივე ამას, როგორც ვფიქრობ, კიდევ უფრო ღრმა მიზეზები გააჩნდა:

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში ღობროლიუბოვი მრავალთა მსგავსად კიდეც აღასრულებდა მართლმადიდებელი ქრისტიანის ტრადიციულ მოვალეობებს, იგი სერიოზულად არც კი დაფიქრებულა სიკვდილ-სიცოცხლის მარად მწვავე საკითხზე, მამის სიკვდილისთანავე მოულოდნელად რომ შეეჯახა. საერთოდ ბევრი არიდებს ცხოვრებაში თავს ამგვარ საკითხებზე ფიქრს, რომელთა წინაშეც, გვსურს თუ არ გვსურს, გარდუვალობა აყენებს ყველა ჩვენთაგანს. მიზეზი თავის

\* ) სულ სხვაა, როცა ეპლესის მსახურთა ამორალიზმის მიზეზით ხდებიან ათეისტები. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს უსუსურობა მათი ამგვარი ლოგიკისა: თუ ღმერთს ეგოდენ ზნედაცემული მსახურები ჰყავს, მაშასადამე იგი არ არსებობს. იმის გამო ხომ ვერ ვუარყოფთ ჰიგიენის დანიშნულებას, ან სან-ეპიდსადგურის არსებობას, თუ კი მისი თანამშრომლები პირს არ იბანენ?

არიცებისა ამ იდუმალებით მოცული მოვლენის, სიკვდილის, მომიაწერის შიშია. მაგრამ დობროლიუბოვს მშიშარას ვერ დავარქმეთ უკანონობას თრებით მამის სიკვდილის შემდეგ იგი არც გაქცევია ზემოსხვენებულ საკითხებზე ფიქრს. მან მხოლოდ იმიტომ ვერ ჰპოვა სამართლიანობა ობიექტურ სამყაროში და აქედან გამომდინარე ღვთის არსებობაც იმიტომ უარყო, რომ მანამდე ვერ იჩრმუნა ადამიანის სულის უკვდავება, უარყო უკვდავება მამამისის ინდივიდუალობისა და ეს უარყოფა, რაოდენ საკვირველადაც არ უნდა გვეჩვენოს იგი ერთობ მაღალ ზნეობის დობროლიუბოვისათვის, სწორედ ზნეობრივი მიზეზით იყო განპირობებული. დობროლიუბოვმა, რომელმაც დიდ უსამართლობად მიიჩნია გარდაცვალება ისეთი მაღალი ლირსების ადამიანისა, როგორც მამამისი გახსნათ, იჩრმუნა სიკვდილი თავად იმ მაღალი თვისებებისა, მარადისობის ნიშნით რომ არიან აღმეცდილნი, სულის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და მის უკვდავებას განაპირობებენ; ადამიანის სიკვდილისთანავე იჩრმუნა გაქრობა იმ ზნეობრივი ღირებულებებისა, რომელთა ხალხში დასამკვიდრებლადაც იღწვიოდა იგი საკუთარი შემოქმედებით, თავისი ხანძოელე სიცოცხლის მანძილზე. ზნეობრივი ღირებულებების მოყვარულს ინტუიცია და სულის სიფაქიზე არ ეყო იმისთვის, რათა ამ ღირებულებათა მარადიულობასთან ერთად ეგრძნო მათი სულისაგან განუყოფლობა და აქედან გამომდინარე, თავად ადამიანის სულის უკვდავება, რამაც ღმერთის უარყოფამდე მიიყვანა.

შოვიყვან საწინააღმდეგო მაგალითსაც. ჩვენს დროში ერთი ახალგაზრდისათვის, როგორც მრავლისათვის, ასევე გახსნათ საბოლოოდ გარკვეული სიკვდილ-სიცოცხლის, სულის უკვდავებისა თუ სხვა მსგავსი საკითხები, რადგან თავად ცხოვრებას მწვავედ არ დაუყენებია ისინი მის წინაშე. ეს ახალგაზრდა მღვდლის ოჯახში არ დაბადებული, არც წირვებს ესწორებოდა ეკლესი ებში და არც ლოცვები უსწავლებია მისთვის ვინერს. მისი ოჯახი ათესისტური არ გახსნათ და თუ ზოგიერთი წევრი ოჯახისა რელიგიისადმი გულგრილობას იჩენდა, თავისთვის სწამდა ღმერთი, რადგან კითხვა უყვარდა, მას წაკითხული უნდა ჰქონოდა ბევრი ისეთი რამ, რაც დობროლიუბოვსაც ეჭნებოდა წაკითხული. ყოველ შემთხვევაში, მას წაკითხული ჰქონდა სახარება, მისთვის ცნობილი გახსნათ აგრეთვე სცენა პამლეტის შეხვედრისა მამის აჩრდილთან, სცენები აქილევსის შეხვედრისა პატრიკლეს, ოდისევსისა აქილევსის, ენეოსისა ანჭიზეს, ენჭიდუსი გილგამეშის, ბრიუტუსისა იულიუს კეისრის აჩრდილთან, ზოგი ამ სოფლად,

ზოგიც ჰადესში მომხდარი, ზოგი სხეულში მყოფი ადამიანი ცუკრუ ზოგი შეხვედრაც მიცვალებულის ინიციატივით გამოწვეული. უმარტინოვა თუ ლიტერატურულ ეპიზოდებს, მძაფრი დრამატიზმისა სპირილუალური ზემოქმედების მიუხედავად, მაინც არ ძალედვათ იმგვარი ზემოქმედება მოქედინათ ახალგაზრდაზე, საბოლოოდ რომ გამოეტანა დასკვნები ზემოხსნებულ საკითხებზე, თუმცა კითხვის უამს, აღნიშნული ფაქტების ჩატარებაში ეჭვი არ შეუტანია. მაგრამ როდესაც მას ერთი უახლოესი ადამიანი გარდაეცვალა და ცხოვრებამ მწვავედ დააყენა მის წინაშე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, მასში ღობროლიუბივისაგან განსხვავებით საცვებით საწინააღმდეგო ძრები მოხდა.

გაოგნებული დადიოდა იგი, ლოდადქცეულ სახეზე უცვლიდა სველ ტილოს მიცვალებულს და ფიქრობდა: სად წავიდა ყოველივე ის, ერთი დღით ადრე სითბოსა და სირბილეს რომ ანიჭებდა ამ სახეს, სიხარულსა თუ ნაღველს გამოხატავდა მასზე, მოძრაობაში მოჰყავდა მთელი სხეული, მიმიკალ, პლასტიურ უსტებად და სიტყვებად გარდა ქმნილა მის განცდებსა და აზრებს, ან სად წავიდენ თავისთავად ის განცდები და აზრები, საოცარ სიტყვებად ან ქველ ქმედებებად გარდავლენილნი? საით წავიდნენ: ის სიკვარული, ის სინდისი, სიმართლისა და მშვენიერების გრძნობა, თავდადება და სიბრძნე, საკურთხევლის ცეცხლივით რომ ენთნენ მასში? ნუთუ სამუდამოდ გაქრნენ და გაცამტვერდნენ, ვითარუა ამ სხეულს უწერია გაცამტვერება? დაუშვებელია ამგვარი რამ, დაუშვებელია გაცამტვერება იმისა, რამაც ჩემს სხეულში სამუდამოდ კვალი დატოვა, გაცამტვერება იმისა, რამაც ჩემს გარეშეც ყოველივე ქვად და ლოდად იქცევა. იმიტომ არ იქცა ლოდად ეს სხეული, რომ სწორედ მან, რაც მასში ბინადრობდა, რაც მასში ენთო და იწვოდა, დაუტევა იგი? ბუნებაში თუ არაფერი არ იყარება, განა დასაშვებია დაკარგვა და გაქრობა იმისა, რაც უმთავრესზე უმთავრესია, ყველაფერზე მეტად აღმატებულია, მშვენიერებათ მშვენებას და შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს?

განა დასაშვებია დაკარგვა და გაცამტვერება ადამიანის ინდივიდუალობისა, რომელიც განუმეორებელია თოთოეულ ჩვენგანში. სხეულიდან განვიდა და არა გაცამტვერდა; განვიდა ფორმატმქმნელი, მის თვალებსა და მიმიკაში, მის უსტიკულაციაში და სიტყვებში, მის აზროვნებასა და მოქმედებაში ცეცხლიდ ჩამდგარი უკვდავი სული. განვიდა და როგორც ძველი სამოსი, ისე მოიცილა უკვე ფორმატმნი, დაბერებული და გამყიფებული სხეული, განვიდა, რათა აღისრუ-

ლოს ის, რაიც უნებლიერ არაერთგზის უნატრია ცხოვრებმა უკვე უნდა აღსრულებაც მხოლოდ უკვდავ სულს ძალუძს, აღისრულდა უკვე უნდა ერთდროულად ყველგან ყოფნისა, რაიც დროისა და სიერტის საზღვართა გადალახვის, დროისა და სიერტის გარეშე არსებობის ფარდია. სივრცე და დრო მხოლოდ განსაზღვრულ სხეულში მოქცეული ინდივიდუალობისათვის აჩსებობს, რომელიც ცდილობს მოძრაობით გააპათილოს ის არასრულფასოვნება, ის სინაკლებე, რასაც სიერტესთან მიმართებაში თავისი სიმცირის გამო განიცდის. განა მარტონდენ პრაქტიკულ მიზნებს ეფუძნება უსწრაფესი მანქანების თუ რაკეტების გამოყნება? იგი უთუოდ ქვეცნობიერი სწრაფვაა მოსპოს ის არასრულფასოვნებისა და ნაკლულობის შეგრძნება უსაზღვრო სივრცის წინაშე, რასაც ნამდებილად განიცდის საზღვრულ სხეულში მოქცეული ადამიანის სული, ვინაიდან მისი ბუნებიდან გამომდინარე სურვილი, კინდაც თვისება, ყოვლის აღსება და ერთდროულად ყველგან ყოფნა (თუ კი გაზი და სითბო მიისწრაფიან გაფართოებისაკენ, უსაგნო სულისაგან ეგ რა გასაკვირი უნდა იყოს.). მაგრამ მექანიკური საშუალებით მიღწეულ სისწრაფეს არ ძალუძს დროისა და სიერტის სამანთა გარღვევა, ადამიანის უჟამობაში გადაყვანა. დრო და სივრცე ისედაც პირ ბოთი ცნებებია, რომელთა საზომ ერთეულებს ადამიანი სიერტეში ციურ სხეულთა გადაადგილების და ლერძის გარშემო ბრუნვის მეობებით ადგენს. მათი ბორკილებიდან თავის დაღწევა უკვდავ სულს მხოლოდ სხეულიდან გასვლის შემდეგ ხელეწილება. თუ თბილისიდან მაღრიდამდე მანძილის დაფარვას სხვადასხვა საშუალებებით სხვადასხვა დრო სჭირდება, ამ დროთაგან თითოეულს ამ საშუალებათა მოძრაობის სისწრაფე განსაზღვრავს. მაგრამ მე თუ ამ მანძილს აღვავსებ, თუ იმოდენა ვარ, რომ ცალი ფეხი თბილისში მიღვას, ხოლო მეორე მაღრიდში, მაშინ სიერტის დასაფარი დროის განმსაზღვრელი მექანიკური სისწრაფე ზედმეტი ხდება, რადგან თბილისშიც და მაღრიდშიც ერთდროულად ვიმყოფები. და თუ კოსმოსის წელა გავხდები, ერთდროულად ყველგან ყოფი ვიქები მაშინ და დრო შესწყვეტს ჩემთვის არსებობას, რადგან ერთდროულად ყველგან ყოფისა და ყოვლის აღმასებისათვის იგი აღარ აჩსებობს. აღარ იაჩსებებს არც სიერტი, რადგან იგი ჩემს შიგნით მოექცევა. სიერტის კი მხოლოდ იმით გრძნობ, შენს გარეთ რომ იმყოფება იგი. მაშინ კი ვიღამ სოქვას შენი გარდაცვალება, რადგან თუ სიერტებმა დაგაბინადრეს, ყოველი უმიერი გაქრება შენთვის და უკვდავების ბინადრად გადაიქცევი.

ამ საიდუმლოს უკვდავი სულისას მთელის სილრმით ჩაწერდა განა-  
ჭრიონ ტაბიძისა და ნიკო სამადაშვილის პოეტური განიცავა შემოქმედ-  
სმიური მასშტაბების შესატყვის სტრუქტობით რომ ბობოქრობდა  
მათ შემოქმედებაში. სულის განუყოფელი თვისებები, სიბრძნეც და  
სიყვარულიც ხომ ყოვლის წვდომად და ყოვლის აღვესებად ისწრაფ-  
ვიან და ამიტომაც უზრუარია პოეტური ინტუიცია, ოდეს ღალად-  
ყოფს, რომ თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ. და თუ  
სიყვარული ამა სოფლად პროტესტია სხეულის მიერ ღილევში გამო-  
კეტილი უკვდავი სულებისა, ურთიერთისკენ მათ გამუდმებულ სწრაფ-  
ვაში რომ გამოიხატება, იმსოფლად, უკვე მარადისობასა და უსაზღ-  
ვრობაში მყოფ ყოვლისაღმვესებ სულთაოვის იგი მძაფრ, ურთიერთვა-  
ნმსჭვალავ ძალად იქცევა. ხოლო სიბრძნით დაუნჯებული მე  
ცნობიერება, დედამიწაზე აღამიანის ცხოვრების უამს ობიექტური  
სამყაროს და საკუთარი თავის შეცნობისას აზროვნების სუბიექტურ  
პროცესში რომ ყალიბდებოდა, აღარ აძლევს საუკუნო სოფლად ურთი-  
ერთისგანმსჭვალავ სულებს უპიროვნო შერწყმის / ვთქვათ როგორიცაა  
წყლის წვეთების შერწყმა ოკეანეში /, განუმეორებელ ინდივიდუალ-  
ობათა გაქარწყლების საშუალებას. დედამიწაზე ცხოვრების დანიშნუ-  
ლებაც ამაშია. ამიტომ, თუ უკმარობის გრძნობისა გამო ზოგჯერ  
სულის პატიმარმყოფელ ღილევად წარმოუდგება ხოლმე ადამიანის ფი-  
ზიკური სხეული კაცობრიულ გონებას, სხევა დროს იგი მშვენიერე-  
ბის გვირგვინს, ადამიანის სულის სამოქმედოდ შექმნილ ღვთის ტა-  
ძარს ხედავს მასში, და არც ცდება, რადგან სხეულში აღამიანის  
იზოლირების სუბიექტური მომენტი გარდაცვალებისშემდგომ სულიერ  
ყოფაში მე - ს შენარჩუნების კეშმარიტი საფუძველია.

აი, ის ორი თვალსაზრისი, სიკვდილის გარდუგალობის ფაქტორი  
რომ წარმოშობს განსხვავებული შინაგანი წყობის ადამიანებში.

ცხადია, სულის უკვდავების უარმყოფებს მათი მრწამსისათვის  
ერ დავანაშაულებთ, ისე ვით ერ დავადანაშაულებთ ადამიანს ინ-  
ტუიციისა და შინაგანი ხედვის უქმნლობისათვის, მაგრამ კეშმარიტ-  
ებიდან გადახრამ შეუძლებელია სახიფათო წყალქვეშა მეჩეჩები არ  
წარმოშვის საზოგადოების მორალური ცხოვრების მდინარებაში.  
მაგალითად აზრი „ადამიანის სული მოკვდავია“, ამგვარ გაგრძელებ-  
ას პოულობს: ეს თუ ასეა, მაშინ მისი განუყოფელი ნაწილი – სინდი-  
სიც მოკვდავია. მაშ, ზედმეტია საუბარი საკუთარი სინდისის წინა-  
შე პასუხისმგებლობის გრძნობაზე შემდგომად სიკვდილისა. თუკი სი-

ნდისი სულთან ერთად ისპობა, მსოფლიო სინდისი კი არ არსებობს, რადგან უარყოფილია განვების არსებობა, ხოლო ბუნების საერთოდ არ გააჩნია იგი, ცხადია, ამგვარ შემთხვევაში ეცემა ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, რამაც შეუძლებელია ნეგატიურად არ იმოქმედოს ადამიანთა ურთიერთობაზე. სინდისი ხომ სიმართლის ხმაა, სიმართლის განცდაა და თუკი იგი ჩემში დროებითია, სიკვდილის წინაშე უსუსურია, ხოლო გარე სამყაროში საერთოდ არ არსებობს, გამოდის, საერთოდ არ ყოფილა სიმართლე ქვეყნად. წინათ, რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის ხანაში, თუ ის დოგმატურად განწყობილი ადამიანები, ღმერთი შურისმგებელ და დამსჯელ ძალად რომ წარმოედგინათ მხოლოდ, მისი სახელით მოყვასთა მიმართ ათას-გვარ სისასტიკეს იჩენდნენ, არანაკლებ უსამართლობას ჩადიან დღეს იმის წყალობით, რომ ფიქრობენ: სული მოყვდავია, ღმერთი არ არსებობს, გამკითხავი არავინაა; გველაფერი ნებადართულია, რადგან სინდისი და მსოფლიო სამართალი ილუზია. მაშ უმჯობესია რაც შეიძლება მეტი სიამოვნება გამოვტაცოთ საწუთროს, სიკვდილამდე რაც შეიძლება მეტი მოვასწროთ. შედარებით ასატანი იქნებოდა მათი მოქმედება, მარტოოდენ სომატური ცხოვრებით რომ იფარგლებოდნენ ისინი, სიამაყის გრძნობის დასაკმაყოფილებლად და საკუთარი ამბიციების ცხოვრებაში გამოსახატავად ათასგვარ უსამართლობას რომ არ ჩადიოდნენ მოყვასთა მიმართ. მაგრამ მსოფლიო სიმართლისადმი სრული სიყრუის მიუხედავად, გაურკვეველი ქვეწნობიერების შიში ძევს მაინც ამ ადამიანებში, შიში, რომელსაც მძინარე სინდისის ექმ შეიძლება ეწოდოს, რადგან სინდისი გააზრების აბსტრაქტული ობიექტი როდია, არამედ აქტიური, ქმედითი ცენტრიდანული ძალა, ტრანსფორმირებული სახით მძინარე მღვმერებაშიც რომ გამოსცემს ექს, მაგრამ თუ გაიღვიძა, ველარაფერი შეაკავებს მის მფლობელ ადამიანს სიკეთისა და კეშმარიტების გზაზე მიმავალს. შედარებით მოაზროვნე ადამიანები, რომელნიც არ კადრულობენ სომატიურ ცხოვრებამდე ან ყოფით ბოროტმოქმედებამდე დაქვეითებას, მაგრამ სულის უკვდავების იდეამდე ვერ მაღლდებიან, საუბედუროდ ნიპილიზმისა და სკეპტიკიზმის ნესტრით იწერტებიან და ცინიზმის ფლუიდებს ავრცელებენ ირგვლივ. მათ შორის უფრო ფაქიზი გულისანიც კი ტრაგიკულად განიცდიან წუთისოფლის არარობას, მასში დაბადებულ მანკიერებებს და რაც მთავარია სიკვდილისთანავე მათთვის ძვირფასი ლირებულებების განადგურების აუცილებლობას მათი მრწამსისდა შესაბამისად.

მათ შესაძლოა საკუთარ თავზე არანაკლებად უყვარდეთ, მოყვაბანი თვისინი, მაგრამ ამასაც არ ძალუძს გამოუვალი მდლომოუწყისილნ, პესიმისტური განწყობილებიდან მათი გამოყენა, რაღაც კეშმარიტი აპტიმიზმის ერთადერთი რეალური საწინდარი მხოლოდ სულის უკვდავების იდეაა. მხოლოდ სულის უკვდავების რეალობა ანიჭებს ადამიანს და მის დედამიწაზე ცხოვრებას კეშმარიტ ღირებულებას. მხოლოდ მას ძალუძს ადამიანისათვის ძვირფასი ღირებულებების გამარალიულება. ამ იდეის დამკვიდრებით ენიჭება ადამიანს მოყვანისადმი მართებული დამოკიდებულების შესაძლებლობა, რაღაც სხვა ადამიანებიც თავიანთი ნამდვილი განზომილებით, თავიანთი უკვდავი ბუნებით წარმოჩინდებიან მის წინაშე. მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავებს დედამიწაზე ყოველი მოვლენა თუ საგანი მისთვის განკუთვნილ აღგილს, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი უმნიშვნელოსაგან უმთავრესის გამორჩევა და ადამიანის დანიშნულების მართებული გაგება. აქ გარკვეული უკუშმელებაც უნდა გავითვალისწინოთ. თუკი სულის უკვდავების რეალობა ანიჭებს მარალიულობას იმგვარ ღირებულებებს, როგორიცაა სიყვარული, სინდისი, სამართლიანობა, სიბრძნე, მშვენიერების გრძნობა და ა. შ., ამ ღირებულებათა ევოლუციას ადამიანში სულის უკვდავების იდეამდე მიჰყავს იგი.

მუდამ სცოდავლენენ წმინდა აზროვნებისა და ლოგიკის რეალური ღირებულების მიმართ ის ფილოსოფოსნი, რომელნიც აცხადებდნენ, რომ მათის მეოხებით ვერც ღვთისა და ვერც საგნის თავისთავად წვდომამდე და აღიარებამდე ვერ მივალთ და მხოლოდ რწმენის კომპეტენციას უტოვებდნენ ამ სფეროს სულის უკვდავების მისგან განუყოფელ საკითხთან ერთად. და არც გასაკვირია რია ეს ამბავი. აზროვნება სულის განუყოფელი თვითშემეცნებადი ნაწილია და თუ მის შესაძლებლობაში და აქედან გამომდინარე ღირებულებაშიც გვეპარება ეჭვი, ცხადია სულის ღირებულებაშიც უნდა შეგვეპაროს ეჭვი; ადამიანის სულის კეშმარიტი ღირებულება კი მისი უკვდავებით განისაზღვრება. ასე რომ ლოგიკა, აზროვნება, ინტუიცია ერთობ სანდო საშუალებაა იღუმალებათა უფსკრულების გასანათებლად. ისინი ყოველ ნაბიჯზე გვარწმუნებენ სულის უკვდავების იდეის სისწორეში. განა ხელოვნების ქმნილებათა მშვენიერებით აღფრთოვანებული არ ვამზობთ: ესა თუ ის ქმნილება იმიტომა მარალიული და უკვდავი, რომ მასში ბევრ ვენის ან მიქეანჯელოს ტიტანური სულია აღბეჭდილი? განა მათი სული, უკვდავება რომ მიანიჭა ქვასა და ბგერას, მათ ქმნილებებზე

უფრო უკვდავი და მარადიული არ უნდა იყოს? განა უკვდავყოფებული წყარო მის აღსაბეჭდზე მეტი არ არის? ამგვარად არ უკვდავყოფებული ბლეთ, თუკი ლოგიკა და სიმართლის გრძნობა გაგვაჩინია? ადამიანის შემოქმედებას მშვენიერების გარდა ხომ ამ მშვენიერების უკვდავყოფის სურვილი უდევს საფუძვლად? როგორც სულის უკვდავების იდეა, ასევე სურვილი შექმნილის უკვდავყოფისა, მხოლოდ უკვდავ სულში შეიძლება იშვას. სიყვარულის კეშმარიტი განცდაც მხოლოდ უკვდავი სულის თვისებაა. სიყვარული გინდაც ღვთისა, გინდაც მოყვასისა ამ განცდის დინამიურობით, სწრაფვის ობიექტისადმი შეუნელებელი კონცენტრაციით, სულის უკვდავებისათვის არ მიანიშნებს შინაგანი სიმართლის ხმას? განა ყველა დიდთა საქმეთა სტიმულს არ წარმოადგენს იგი? რადგან მგზნებარე სიყვარული წარმოუდგენელია თავ-ად ამ გრძნობის მარადიულობის რწმენისაგან მოწყვერით, მშირომ ერთდროულად მისით განმსჭვალული ინდივიდუალობის მარადიულობასაც უნდა ჰგულისხმობდეს იგი და სიყვარულის ობიექტის უკვდავებასაც, ამეთუ განაღმერთა მან იგი, მასთან მიმართება, მის-დამი დამოკიდებულება რელიგიად აქცია, რელიგიად, რომლის მიმდევა-რი თვით უპასუხო სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვასაც კი ბერნიერებად მიიჩნევს. დანტესა და პეტრორკას მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ ამგვარი სიყვარულისათვის, თვით საიქიოს კარიბჭეც კი არ წარმოადგენს დაბრკოლებას. კეშმარიტი სიყვარულით შეპყრობილი ინდი-ვიდუალობა არ დაუშვებს თავისი სწრაფვის ობიექტის განადგურების შესაძლებლობას, შემდგომად მისი სიკვდილისა. რწმენა მისი უკვდავებისა ცოტაა მისთვის და იგი ცდილობს რეალური კონტაქტის დამ-ყარებას ამა სოფლიდან წასულ სანუკვარ სულთან.

მოყვასის სიყვარული სინდისის, ყველანაირი სიქველის, გმირობის, თავგანწირვის, ერთგულების, თანაგრძნობის, მშვენიერების გრძნობისა და თვით სიბრძნის საწინადარი, ქრისტიანობის უპირველესი პირობაა და თავად ღვთის სიყვარულიც კი არ არის მის გარეშე სარწმუნო. მისგან და მხოლოდ მისით იწყება მართებული გზა რელიგიისა-კენ. როგორც ყველა ღირსებათა შემკრები, შემთხვევით არ დააყენა იგი რესთაველმა, ხოლო მანამდე პავლე მოციქულმა თვით სიბრძნეზე მაღლა, როცა თქვა: კველაფერი, მათ შორის სიბრძნეც გაპერება; დარჩება მხოლოდ სიყვარული. ვისაც ღმერთი კეშმარიტად უყვარს, მას არა მარტომდე სწამს იგი, არამედ რეალურად გრძნობს კიდეც მის არსებობას, რეალობას მასზე მაღლა მდგომი სულიერი არსებებისა.



მერის სისწაოფით განიცდის იგი, რომ ღმერთი ხედავს უმარტველეს არა მარტო დენ მის გამოვლენილ ქმედებებს, არამედ უფრო უფრო ქრებსაც და ზრახვებსაც. ამიტომაც ეცდება ჭეშმარიტად მოყვარული ღვთისა, თვით ფიქრებშიც კი არ დაუშვის რამე სიბილშე, სინდის-შელახული არ წარმოჩნდეს მის წინაშე როგორც ქმედებისას, ასევე განზრახვებში. ჭეშმარიტი მიჯნურიც უმაღლ სიკვდილს ამჯობინებს სატრიფოს წინაშე ღისასებაშელახულად წარმოჩნას, რადგან სინდისშე-ლახულ თავს ვერ შეკვადრებს მას. ასე იქცევა სიყვარული სიწმინ-დის წყაროდ და სინდისის ცეცხლის სანთელ-საკმევლიად.

მიჯნურობის ღვთაებიობას ხშირად პოეტური ინტუიცია გრძნობს ყველაზე მეტად. სიყვარულს მხდალიც კი ვაჟკაცად უქცევია, რომ არაფერი ვთქვათ მისი მიზეზით ჩაღენილ იმ საოცარ საქმეებზე, რი-თაც აღსასება მსოფლიო ისტორია, რისთვისაც ეგოლენ მჭევრად მეტ-ყველებენ მსოფლიო ღიტერატურის შედევრები. მიჯნურობის საფუძ-ველზე აღმოცენდა ევროპის რაინდული კულტურა. ის მაღალი ეთიკა, ანტიური კულტურის მონაპოვართან კავშირში ეეროპული ჰუმანიზმი რომ აღმოაცენა, მრგვალი მაგიდის, გრალის ძმობის და ტაძრელ რაინდთა წრეებში ჩაისახა. სწორედ მან გამოიწვია რომის იმპერიის დაცემის შემდეგ გერმანული ბაზბარისული ტომებისაგან ჩამოყალი-ბებული ეეროპული ქვეყნების გაკეთილშობილება. [რაინდობა ესაა გზა არა კანონიდან და დოგმიდან თავისუფლებისაკენ, არამედ თვითნებო-ბიდან თავისუფლებისაკენ.]

ეთოსი იგი ძალმომრეობას, მკგლელობ ასა და მუხანათობას, რაინდულ სიქველეს, სიმართლის ქომაგობას და სუსტია მფარველობას უპირისპი-რებდა, ფათერაკთა ძიების გზაზე ვაჟკაცობასა და სიკვდილის შიშის დაძლევაში აწრთობდა რაინდებს. რომის იმპერიის დამანგრეველი ენ-ერგიის ქრისტიანობასთან შერწყმას უნდა ეშვა როგორც ქლოდვიგი და კარლოს დიდი, ასევე არტურ მეფე, პასისფალი და ჰუგო პაენი, რათა რაინდთა ეზოტერული წრეებიდან გამომდინარე იმპულსების მუ-ოხებით, ეს ნახევრად ველური ენერგია თანდათან სიქველეთ და აზ-როვნებით ძალად გარდაექმნა, რადგან ვაჟკაცობის მსგავსად, სოქრა-ტეს თქმისა არ იყოს, სიბრძნეც / ფილოსოფია / სიკვდილისათვის მზა-დებაა მხოლოდ. ორივეს ერთი წყარო გააჩნია და კარლოს დიდის ხმალი ოდესსლაც ისევე იცავდა ევროპას არაბებისაგან, როგორც შე-მდგომში თომა აქვინელის კალამი არაბიზმისაგან. / უფრო მოვგიან-ებით გოეტემ და რუდოლფ შტაინერმა ზუსტი განსაზღვრითა და

კუთვნილ საზღვრებში მოქმედით ასევე შეასუსტეს არაბიზმის პენგვინიანი მეცნიერებაში./

გერმანულ-ნორმანდიულ ტომთავის დამახასიათებელი სამხედრო სულისკვეობის ატმოსფეროში, რაინდობა სინდისის გაღვივებისა და ყოფითი ქრისტიანული პრაქტიკის საუკეთესო საშუალება გახლდათ ასე, რომ უპირისპირდებოდა ინდულგენციებით, ანუ სინდისით ვაჭრობის ანტიქრისტიანულ პრაქტიკას, სინდისის ქენჯნით გამოწვეული კთარზისის ნაცვლად ცოდვათა შენდობის პაპისეულ სიგელთა ფულით შეძენას რომ ჰულისხმობდა და არაფრით განსხვავდებოდა სიტყვებისა-გან: „მე ოქვენ განთავისუფლებთ სინდისისაგან“, ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში რომ უთხრა პიტლერმა გერმანელებს. ვერა და ვერ მოვა კულტურის წინაშე რაინდობის დამსახურებასთან, დამსახურება არელიგიური კამათებით აღსასვე ლოგმატიზმისა. სწორედ რაინდული მოძრაობა გახლდათ საეტაპო ნაბიჯი ევროპის ჰუმანისტური კულტურისაკენ, მე - ს კულტურისაკენ, ანტიურბის და ქრისტიანობის, ფილოსოფიისა და არელიგიის მონაპოვართა შეწყვილებისაკენ მიმაგალ გზაზე. განა წარმოსადგენია ჰუმანისტური კულტურა ქალის ემანსიპაციის გარეშე? სწორედ ვაჟკაცობის უკეთილშობილესი ფორმა, რაინდობა გახლდათ საფუძველი ქალის ემანსიპაციისა ევროპაში. სწორედ რაინდულმა იდეალიზებამ ქალისა დახვეწია ურთიერთობანი დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. /იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც/. ბრძენი გოეტე ლრმად წვდება რაინდული ეპოქის არსეს, როცა მშვენიერი ელენე, შეშფოთებული იმით, რომ მენელაოსი მას მოჰკულავს პარისთან დაკავშირებული ისტორიის გამო, ტრიადან მოულოდნელად შუა საუკუნეების რაინდულ ეპოქაში გადაჰყავს, სადაც მას სიხარულითა და აღიზოთვანებით ევებებიან რაინდები /იხ. ფაუსტის **II** ტომი/. რაინდულ ინსტიტუტთან დაკავშირებულმა ამაღლებულმა სიყვარულმა განახლებული სული შთაბერა მშვენიერების გრძნობასაც. რაინდულ-ქრისტიანული კულტურის საფუძველზე მარტონდენ რაინდული პოეზია როდი აღმოცენებულა. თუ ლრმად ჩავუკვირდებით, რომანის უანრი ჯერ კიდევ აზიასა და ძველ საბერძნეთში რომ ჩაისახა, განსაკუთრებით რაინდულ კულტურას უნდა უმაღლოდეს თავის აღორძინებას. ქალის ემანსიპაციის ყოფითი მომენტი ყველაზე მძაფრად სწორედ რომანის უანრში აღიბეჭდა, როსი წინამძღვრებიც რაინდული ეპოქის იდეალებში უნდა ვეძიოთ. რომანის უანრს დასრულებული სახე მხოლოდ იქ უნდა მიეღო, სადაც

აზროვნებამ, ადამიანის თავისუფლების ამ უმთავრესმა საწინააღმდეგა, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რაც ისევ ზაფხულისათვის ზომითრის პერიოდთა წონასწორობის არეში უნდა მომზადარიყო, იმ გეოგრაფიულ არეში, ევროპული რაინდული კულტურა რომ ჩამოყალიბდა. ისე ვით ცხოვრებაში, ასევე რომანებში, „დაფინისა და ქლოედან“ დაწყებული, სიყვარული უმთავრესად გაზაფხულისა და ზაფხულში იშვის და ჩასახვის პროცესში, როგორც წესი, გამორიცხავს განსჯისმიერ და გონისმიერ მომენტს, რადგან იმუამად თითქმის ბრძანი იგი მიჯნურობის ობიექტის სულიერი მხარისადმი. შეუმჩნევლად შემოპარება ხოლმე იგი გაზაფხულისა და ზაფხულის შთაბეჭდილებებთან ერთად, გრძნობათა ორგანოების ინტენსიური ქმედების მეოხებით გარესამყაროსთან, მაკროკომისოსთან სამშვინველის ესთეტიკურ-ექსტატიური შერწყმისას, ცნობიერების დაბინდვისა და აზროვნების ინერტულობის მომენტში. და ვინაიდან მშვენიერება მშვენიერებასთან ჰარმონიაში ორგზის მშვენიერია, ამიტომ გაზაფხულისა ან ზაფხულის მშვენიერ ბუნებასთან მთლიანობაში მოსული მიჯნურობის ობიექტი ღრმად იბეჭდება ხოლმე წარმოსახვაში, ქვეცნობიერებაში იბუდებს და სურათ-ხატებად იწყებს აღმოცენებას. ასე იწყება სიყვარული. ბუნებასაც უცოდველი და მშვენიერია იგი ამ პერიოდში და ბუნებისმიერ საფეხურს ვერ ასცილდებოდა, უფრო მეტად სუბიექტური რომ არ იყოს და სატრანს ხატებას საკუთარ სულში აღმოცენებულ ქალის იდეალს არ უსადაგებდეს. მიჯნურობის გზაზე ესაა სიშმაგის, ანუ რწმენის ერთი, კვეთიანთათვის გაუგებარი.

სატრანს ნაკლოვანებებისადმი სიბრძმავე და გონების დაბინდვა ახასიათებს მას, რის ზუსტ ილუსტრირებას ახალგაზრდა პარსიფალისა და ტარიელის მაგალითები წარმოგვიღენენ. ასე, რომ ჩასახვის პროცესშივე სიყვარული მჭიდრო კავშირშია მშვენიერებასთან და ამიტომაცაა იგი გრძნობათა შორის უმშვენიერესი. აშკარაა მისი კავშირი წარმოსახვასთან, ხელოვების ამ უმთავრეს ელემენტთან. გავიხსენოთ მშვენიერების ქალღმერთის აფროდიტეს და ეროსის სიახლოვე ბერძნულ მითებში, გავიხსენოთ პიგმალიონის მითი, სადაც უმჭიდრეს კავშირშია მშვენიერება, ხელოვნება, სიყვარული და უკვდავება, დავუკვირდეთ მშვენიერების ქურუმთა, პოეტთა და ხელოვანთა ცხოვრებას, სიყვარულის როლს მათ შემოქმედებაში და ჩვენთვის ნათელი გახდებანტაზის არაჩვეულებრივი სიზუსტე მითოლოგიაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომრებში)

მერაბ ქოსტავა

მ ა რ ა დ ი უ ლ ი      ხ ს ო ვ ნ ა  
ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს

უპირველეს ყოვლისა სამძიმარს ვუცხადებთ ზურაბ ჭავჭავაძის კირისუფლებს. ღმერთმა ყველას მისცეს ძალა, რათა გადაეტანოთ მისი უდრიო, ტრაგიკული ამქვეყნიური გარდაცვალება.

სამი თვე გავიდა, რაც ზურაბი გარდაიცვალა და ძნელია არა მცოც დაჯერო, არამედ გაიფიქრო, რომ იგი ამქვეყანაზე ჩვენს შორის აღარ იმყოფება.

დიდი უბედურება დაატყდა თავს მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, ყველა ჭეშმარიტ ქართველს და სრულიად საქართველოს.

\*\*\*\*\*

ზურაბ ჭავჭავაძე დაიბადა 1953 წელს; იყო დაოჯახებული და ჰყავს სამი შვილი. დამთავრებული აქვს თბილისის უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტი. 1979 წლიდან 1981 წლამდე საპატიო არქოში მსახურობდა, იგი იყო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის პირადი მდივანი. 1981 წლიდან მეცნიერული თარგმნის კოლეგიის რედაქტორად მუშაობდა, ხოლო 1984 წლიდან იყო მწერლთა კავშირის მხატვრული თარგმნის კოლეგიაში, მეცნიერული ლიტერატურის განყოფილების გამგედ.

ზურაბმა 1986 წელს დაუსწრებულად ჩააბარა უნივერსიტეტის კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ჰიმნოგრაფია XII საუკუნეში.

ზურაბმ 1988 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი და ფაქტოურად – მისი ხელმძღვანელი. ის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი შენებული თავდადებული მებრძოლი, ამ ბრძოლაში დაიღუპა იგი ტრაგიკულად და მისმა სიკვდილმა დიდი ბურჯი გამოაცალა ამ მოძრაობას.

ზურაბ ჭავჭავაძის გაპატიოსნებული ცხედარი, მრავალთასმა ქართველმა, სიონის ტაძრიდან უკარელში, ჭავჭავაძიანთ ეკლესიაში გადასვენა და იქ, სახელმისამართ შორის, ეკლესიის შენობაში





დაასაფლავეს.

მარადიული ხსოვნა და არდავიწყება ჭავჭავაძეთა უნიკალური მუზეუმის კიდევ ერთ-ერთი ღიღი წარმომადგენლის, ზურაბისა ამსოფლად, ხოლო მისი განათლებული სული ღმერთმა, მარადიულ და ნათელ ზე-ციურ სამყაროში ამყოფოს უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ზაქარია ლაშქარაშვილი  
17, 03. 1990.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ვავლე ვაშაძის გამოსათხოვარი



მარცხნილან: დავით და ანე-მარი ვაშაძეები, პავლე ვაშაძე და ვიქტორ ნოზაძე სტუმრად ქალაქ იცემონები.

\*\*\*\*\*

ჩვენ პავლე,

იმ დროს, როდესაც შენს გაცივებულს სხეულს უცხოეთში, ჩვენს მეორე სამშობლოს, საფრანგეთის ცივ მიწას ვაბარებთ, ვინ იცის თუ იქ, მრავალი ზღვებისა და მთების გაღაღმა, ჩვენს პირველ სამშობლოში, რამდენ დედას, რამდენ დას, რამდენ მამას, რამდენ ძმას ყური საზარლად უწივლებთ, ტანში გასცრით, გააურეოლებთ.



ისინიც, ათროლებული ხელებით პირს დაიცავენ, რომ არ შეუძლებული საბედისწერო, ტრადიციული სიტყვა: შორს, შოორსო! ეს მარტი მარტი არ არიან მათვის საყვარელი, სათაყვანებელი სახური. სწორედ შორს არიან მათვის საყვარელი, სათაყვანებელი სახური. სწორედ შორს ეგულებათ მათი იმედის და ნუგეშის მატარებელი სახელები ვინ გადასახლებაში, ვინ პატიმრობაში, ვინ ლტოლვილობაში და კიდევ ვინ მთლად უნიშნოდ გამჭრალ-დაკარგულებში. ისინიც, აცრემლებული თვალებით მყინვარს მიაშრერდებიან, რომ იქ ამართულ ცოცხალ ძეგლს სოხოვონ შევება და მფარველობა. მაგრამ უცებ ერკვევიან, თავიანთი ცრემლების შერტვებათ, პატარა ქართველებად იქცევიან, იმ ქართველებათ, რომლებიც მათი დიდი ელჩის აკადემიური ჩხენკელის რწმუნებით, იმით არიან ქართველები რომ გულს არასოდეს არ იტეხენ, იმედს არასოდეს არ კარგავენ და ისინიც იმედიანად და გულიანად შემოსძახებენ: „დრო მოვა და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი, სიხარულად შეეცვლება დღევანდელი გ-----“. მათი დღევანდელი გასაჭირი კი ის არის, რომ დღემდე მტრის ჩექმა ბეკნის თბილისის ქუჩებს, რომ დღემდე ქართული კერა დათალხულია, ბალის აკვანი გაბზარულია, ქალის ლეჩაქი შელახულია და მთელი ერი დაპყრობილი და დაჩაგრულია. ო, ჯულაშვილი! და ყველა ჯივაშვილები! ო, პაპუნა და ყველა პაპულია ორჯონიკიძეები! წყეულიც არის, წყეულიც დარჩეს საუკუნით, სამუდამოთ თქვენი სახელები ქართვლის დედების ტკბილი ძუძუების გამწარების და შერტვენისათვის!

შენ კი, ჩენო პავლე, პატუკა, პანტელეიმონ, შენი სიყრმის მეგობრები, შენი ეკლიანი გზის თანამგზავრები და შენსავით დახვრეტას შემთხვევით გადარჩენილები როდი გეთხოვებით, არამედ გემშვიდობები და გეტყვი, დედაენაზე ყველაზე უფრო გულთბილ გამოოქმას: „ნახვამდის ჩენო პავლე“, რადგან გვაქვს ნათელი შეგნება, წმინდა რწმენა იმისა, რომ ჩქარა მოგეწვით და შენს გვერდით აქვე, სხვა დებსა და მებს შორის, დავიმარხებით, იმ დროს, როცა ჩენი სულები, იქ მაღლა ცაში ასულები, შეერთდებიან. მათ ექნებათ სრული, სამუდამო დრო და მოცალეობა, ბედიც და უბედობაც, ეთაყვანონ, ეტრიფიალონ ქართვლის დედების რწმენასა და სასოებას სიყვარულში, ყოველგვარ სიყვარულში: დედაშვილურში, მამაშვილურში, დაძმურში, ცოლქმრულში თუ ქალ-გაუურში, და, რაც მთავარია, საყოველთაო, საკაცობრიო, კაცო-კაცურ სიყვარულში: ძმობა, ერთობა, თანასწორობა და თავისუფლების გრძნობებში; სწორედ იმ ძალებში, რომლებსაც



შეუქმნიათ, სანთლებად, კელაპტრებივით ჩამოუქნიათ იქ აჭარულება  
ლო დიდ ჭირნახული, ლეგენდარულად, დედად ღვთისას ჭირული, დებული  
ლი, ისტორიულად, წმინდა ნინოების მიერ გაქრისტიანებული, დავით  
და კონსტანტინებისაგან ზღვა სისხლით დაცული, თამართა  
ნიჭითა და ეშხით გალამაზებული, გამშვენიერებული, ქეთევნების ტა-  
ნჯვითა და წამებით გაწმინდანებული, გასაეტაკებული, ხოლო შოთას,  
ილიას, აკაკის, ვაჟას, ნოესა და სხვათა მრავალთა სულმნათთა მიერ  
ერთ მთლიან სულიერ ფასკუნჯად ქცეული: ერი გულადი, პურადი,  
მტერთა დამცემი რისხვისა, დიდება ქვეყნად სა-----ს, ტურფა ივ-  
ერსა! ამ სიტყვებით მივესალმები, ვეთაყვანები, ვეამბორები ჩვენს  
უთვალავ წამებულთა და მოციქულთა ხსოვნას და ამ სიტყვებით და  
გრძნობებით ვაყოცებთ და მიუალერსებთ ღურუ მეგრელის „პატარა  
ქართველებს“, „კავკასიის მთების შვილებს“!

ამინ და კირიე ელეისონ!

*ADIEU ET AU REVOIR!*

### სიმონ ბლიაძე

15 დეკემბერი 1989 წელი

ლევილის ქრისტიანული ეკლესია

\*

პავლეს სახით კიდევ ერთი ახლობელი მიეფარა ჩვენი თვალსაწიერი-  
დან. როცა კაცი უეცრად გარდაიცვლება, იტყვიან, ბეღნიერი ყოფი-  
ლაო. ეს სწორი აზრია და ჩვენს პავლესაც სწორედ ასეთ ბოლო ხვ-  
და წილად. თითქოს ტანი უგრძნობდა, მთელი წლის განმავლობაში  
ის უწყვეტად მასპინძლობდა ოჯახის წევრებს თუ სხვა სამშობლო-  
დან სტუმრებულ თანამემამულებს. მისი ძმა ბ-ნი მიხეილი სულ ახ-  
ალი გაცილებული გვყავდა, რომ გვაცნობეს: პავლე ვაშაძე, ვეტობუ-  
სის მოლოდინში, ქუჩაში, უეცრად გულით გარდაიცვალა.

პავლემ ბოლომდე (ის 86 წლისა გახლდათ.) შეინარჩუნა უზაღო  
აზროვნება და მახსოვრობა. მისმა სიკელილმა გული ატინა, დაამწუ-  
ხრა ყველა მისი მეგობარი და ნაცნობი და ვინ არ იცნობდა ემიგ-  
რაციაში პევლე ვაშაძეს! უმისოდ თითქოს დაცალიერდა ლევილის  
ქართული მამული.

15 დეკემბერს, განსცენებულის წესის აგებასა და პანაშვიდს ად-  
გილი პქნიდა ლევილის ფრანგულ ეკლესიაში. აქვე მიმართეს გამოსა-  
მშვიდობებელი სიტყვებით სიყრმის მეგობარმა ბ-მა სიმონ ბლიაძემ  
და უნცროსმა ქმამ, დამსახურებულმა მსახიობმა, ბ-მა მიხეილმა.

ამ უკანასკნელმა სულის შემძვრელად დაიტირა ძმა, რა იქნება უზრუნველყოფა; მაგრამ იმავ დროს მთელი მისი დიდი ოჯახი, რომლის წევა უკავშიროების მსხვერპლი გახდენ განუკითხავ ბოროტების.

პავლეს სული, უმცველია, კმაყოფილი იქნებოდა, რკინის ქალამნები ჩაიცვეს და მაინც დაკრძალვაზე ჩამოვიდენ: ძმა მიშა, რომელიც უკვე ვახსენებ, ძმისშვილი თამაზი და მეორე ძმის შვილიშვილი შორენა, რომელიც მას შვილივით უყვარდა. პავლეს დაკრძალვას და ესწრო აგრეთვე იმ დროს პარიზში მყოფი, ცნობილი მომლერალი, ქალბატონი თამრიკო გვერდწითელი.

ბუნება აბობოქრდა. საოცარ ქარიშხალში და თავსხმა წვიმაში მივაბარეთ პავლეს ცხედარი ლევილის მიწას. თავიდან ფეხებამდე გალუმპულებმა მივაშურეთ „შატოს“ სალონს, სადაც ბ-ნ მიშასა და თამაზის მიერ, ქართულ წესზე, გაიმართა ისეთი ქელები, პავლეს რომ გაეხარდებოდა. რა თქმა უნდა, რომ შეისვა ქართული ღვინით არაერთი შესანიშნავი საღლეგრძელო, მაგრამ ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ განსაკუთრებით ქ-ნ დალი კმკელიძაბაშიძისას დაუფასებელ ღვაწლს, რომელმაც, აგაღმყოფ ბიძასთან სტუმრად მყოფმა, თითქმის მარტომ მოამზადა და გააწყო ეს სამაგალითო ჭირის სუფრა.

საუკუნო იყოს პავლე ვაშაძის ხსოვნა. ამინ!

გუშაგი

\*\*\*

### მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ :

**1989 წ. 3 დეკემბერს, ქ. გრენობლში (საფრანგეთი, იზერის დეპ.)**  
**84 წლის ასაკში გარდაიცვალა ბ-ნი აკაკი (ანდრე) ბარკალაია და**  
**7 დეკემბერს დაკრძალეს სოფელ სენ-ეან დე ბურნეის სასაფლაოზე.**

\*

მარტის პირველ რიცხვებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ხანგრძლივი მძიმე ავაღმყოფობის შემდეგ ბ-ნი კარლო შატბერაშვილი.

**23 მარტს ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა ბ-ნი მიხეილ (მიშა) მიმინოშვილი და 29 მარტს ღასაფლავდა ლევილის სასაფლაოზე.**

\*

და თანაგრძობას ვუცხადებთ მათ ჭირისუფლებს.



გუშაგის ფონდი და 1989 წლის ანგარიში

შემოწირულებები

კოტიკ როსი	468	ანონიმი გ.ფ.რ. -დან	600
ნიკოლოზ თოფურია	300	მელიტონ ულენტი	200
აკაკი რამიშვილი	150	თათრახან ანთაძე	200
შალვა ხანანაშვილი	200	იროდიონ ბეგიაშვილი	500
მიშა გოგორიშვილი	2.000	გოგი კოშავილი	300
რუბენ გვეტაძე	250	დიმიტრი გოგიშვილი	147
მიშა თარაშვილი	300	ათანდო ფარჯანაძე	1.000
მირიან მელუა	300	ირაკლი ოთხმეზური	160
მეგობარი ოდენკურიდან			500
შალვა ცინცაძე - 20 დოლარი			118
ემილია და გიორგი მორალიშვილები - 100 დოლარი -			515
ანონიმი ამ. შ. შტ. - დან			522
შალვა თევზაძე - 100 შვედური კრონი - ..			93
პეტრე ხვედელიძე : თამარ საბახტარიშვილი-მუსხელიშვილის,			
პავლე ვაშაძის და კარლო შატბერაშვილის			
მოსახსენებლად -			1.542
ლადო რუხაძე: გიორგი ტურიაშვილის და ალიოშა კილუ-			
რაძის მოსახსენებლად -			700
ვიქტორ და შოთა ინაშვილები: თბილისის ცხრა აპრილის ხოცვა-			
ულეტის მსხვერპლთა სადიდებლად და მოსახსენე-			
ბლად - 500			

შემოწირულებები

11.565

\*\*\*

მერაბ კოსტავას ფონდი: ბ-ნ ალექსანდრე მანველიშვილის წიგნების გაყიდვიდან მ. კ. ფონდში ჩაიღიცხა 550 ფრანკი.  
გუშაგი № 19-ში შემოწირულებათა ჯამი იყო 5.770 ფრანკი.  
ამრიგად, ამჟამად განსვენებულ მერაბის ფონდში ირიცხება: 6.320 ფრ.

\*\*\*

შეცდომის გასწორება: ამის წინა მე-20 ნომერში ბ-ნ ლადო რუხაძის შემოწირულებისას შეცდომით დაბეჭდილია ლადო ჭურლულაძის მოსახსენებლად, უნდა იყოს: ლადო ჭურლულაშვილის ...  
განსვენებულ ლადო ჭურლულაშვილს ჩევნც კარგად ვიცნობდით და ღრმა პატივისცემით თავს ვხრით მისი ხსოვნის წინაშე. რედ.

## გასული წლის ანგარიში



შემოსავალი გამოცხადებული:

გასავალი გამოცხადებული

№ 18 -ში	9.153 ფრანკი	11.379 ფრ.
№ 19 -ში	6.033 ,,	19.256 ,,
№ 20 -ში	14.928 ,,	16.039 ,,

**30.114 ,, 46.674 ,,**

როგორც ვხედავთ, გასულ წელში შემოწირულებათა ჯმმა შეადგინა **30.114 ფრ. ფრ.** დანახარჯმა კი – **46.674 ფრ. ფრ.**, ამრიგად ჩვენი სალაროს დანაკლისმა შეადგინა: **16.560 ფრანკი.** იგი დამტარ 1988 წლის დანაკლისს **16.342 ფრანკს,** რომელიც გამოცხადებულია გუშაგის 18 ნომერში და, მაშასადამე, 1989 წლის ბოლოსთვის გუშაგის სალაროს ვალად ედვა **32.902 ფრანკი** და ვაცხადებთ განგაშა !!!

\*\*\*            \*\*\*            \*\*\*            \*\*\*            \*\*\*            \*\*\*

აკ. რამიშვილის „პარტია“ და მისდამი უნდობლობა

წელს, 13 მარტის გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნდა „ქართველი ემიგრანტების და მათი შთამომავლების“ განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „1921 წლიდან დამოკიდებული, როდესაც წითელმა არმიამ დამოუკიდებელ საქართველოს მოუხდინა ოკუპაცია, პირველად ეწყობა (ნაწილობრივ) თავისუფალი არჩევნები“ (ხაზგასმი გუშაგისაა.) „ოპოზიციის ჩვეულა ჯგუფი იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; მაგრამ მათ შორის, დღევანდველ არჩევნებისათვის, ყველაზე ეფექტური შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც ამ მიზნისათვის ხმარობს პარლამენტარულ და დემოკრატიულ საშუალებებს: ჩვენის აზრით ეს გახლავთ საქართველოს სახალხო ფრონტი, რომელიც არის უპარტიონ დაჯგუფება“. ამის შემდეგ მოდის მოკლე დასაბუთება და სია (38 კაცის) განცხადებაზე ხელის მომწერლებისა. როგორც განცხადების მოლობია ნათევამი, ამ განცხადების ტექსტი და სია ბ-ნ აკაცი რამიშვილს გაუგზავნია ლონდონიდან ბ-ნ მერაბ მამარდაშვილისათვის.

ამ განცხადებამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია მამულიშვილთა იმ წრეებში, რომლებიც გორბაჩოვისეულ საბჭოთა არჩევნებს

ბოიკოტს უცხადებენ და მოითხოვენ კეშმარიტად დემოკრატიულ-ფინანსურულ-ეკონომიკურ ჩართულობის გადასაცემაზე. ჩვენ გვეონია, რომ ის დიდად არ ასიამოვნებდა — მცირებულ სახლ- ხალხო ფრონტის ხელმძღვანელობას, რაღაც საქ. სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენციამ, ა. წ. 18 მარტს, დაადგინა მიმართოს საჭ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, შემდეგი მოთხოვნით:

ა) დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს საქ. სსრ უზენაესი საბჭოს საგან-  
გებო სესია, რათა გააუქმოს საქართველოში კომუნისტური პარტიის  
არსებობის სტატუსი, დაფიქსირებული საქ. სსრ კონსტიტუციაში.

ბ) საქართველოში არჩევნები ჩატარდეს მხოლოდ მრავალპარტიული სისტემით, რისთვისაც საჭიროა 25 მარტს დანიშნული არჩევნების გაუქმება და ახლი არჩევნების დანიშვნა უმოკლეს შესაძლებელ აში (არა უგვიანეს საში თვისა).

8) საარჩევნო კომისიები შეიქმნას საქართველოში ოსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლების პარიტეტული მონაწილეობით. რესუბლიკის ახლადშექმნილმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაატაროს რეგისტრაციაში არჩევნების მონაწილე ორგანიზაციები. განცხადებას ხელს აწერენ: თავ - რენა. ნათაძე და მდ - ნი მ. კვაჭაძე.

საქ. სსრ უზენაეს საბჭოს რიგარეშე სესია მართლაც იქნა მოწვევ-  
ული ოც მარტს, რომელმაც არჩევნები 25 მარტიდან ოქტომბერში  
ან ნოემბერში გადაიტანა და მრავალპარტიული დემოკრატიული არ-  
ჩევნების სისტემაც მიიღო (ყველა ზემოთ ქმულის შესახებ იხილეთ:  
22 მარტის „ახალგაზრდა ივერიელი“ და იგივე თარიღის გაზ. „კომუ-  
ნისტი“).

ექიმ ა. აბაშვილის მარცხიან ინიციატივის შესახებ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, შემდეგი კომენტარი გავაკეთოთ:

ყველას აქვთ უფლება, თავისი აზრი ხმამაღლა, საჯაროდ გამოთქვას, მხარი დაუჭიროს თუ უნდობლობა გამოუტადოს ნებისმიერ პარტიასა და მიმღინარეობას, ეს უდავოა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ასევე უდავოა, რომ ბ-ნ რამდენიმელსა და მის ხელისმომწერლებს სრული უფლება ჰქონდათ მათი მხარდაჭერა გამოეცადებიათ საქ. სახალხო ფრონტისადმი (რომელიც, სხვათა შორის, ლირსეულ მოძრაობად მიგვაჩნია, ვარნა აღრე მის საარჩევნო სტრატეგიას მე პირადად არ ვიზიარებდი.), მაგრამ გასაკიცხია ის, რომ მან, ჯერ ერთი, დასავლეთ ევროპაში გაზრდილმა და დაბერებულმა, ირწმუნა და სხვებსაც აჯერებს, რომ საბჭოთა გორბაზოვისე-

ული არჩევნები დღემდე თავისუფალი, (ნაწილობრივ) თავისუფლებული და ამ არჩევნებით საქართველოს შეუძლია დამოუკიდებლობის გონის! და მეორეც, ცილი დასწამა სხვა პარტიებსა და ორგანიზაციებს, რომელებიც ბოიკოტს უცხადებენ ამ არჩევნებს, ვითომც ისინი იყვნენ პარლამენტარიზმის მოწინააღმდეგებნი, საშიში რევოლუციონერები, მომხრენი შეიარაღებული შეტაკებისა და სხვა.

გასული წლის 8 დეკემბრის თარიღით ბ-ნა ა. აბაშიშვილმა ფოსტით დააგზავნა ინგლისურად და ფრანგულად შედგენილი ტექსტი, რომელ-შიც შემდეგნაირად იყო დასაბუთებული „განცხადებაზე“ ხელის მოწერა:

„ქართველები ყველა ერთად არიან დამოუკიდებლობის სურვილში, მაგრამ განხეთქილება მათ შორის იმაშია, თუ როგორ მიაღწიონ მას. პერესტროიკის მომხრეებს სურთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, ხოლო პერესტროიკის მოწინააღმდეგებნი მის ბოიკოტს მოითხოვენ. სტუდენტთა უმრავლესობა მიყვება ამ რადიკალურ ხაზს, უარს ამბობს უსმინოს უფროსებს, რომელიც არჩევს უფრო დაკვირვებულ მოქცევას— პერესტროიკის გზით საფეხურებრივ ევოლუციას. ეს ნერგული სტუდენტობა, რომელიც ისტერიულად განწყობილ ბრძოს გარე-მოცვაში იმყოფება, უჯერის რადიკალურ მოწოდებებს, გადმოსრული-ლებს ქუჩებში ექსტრემისტების მიერ და მიჰყვება მათ. ისინი მომხრე არიან შეტაკებისა და რევოლუციის და მოელიან, რომ იმპერია დაემხობა“. აღნაშნავს რა, რომ ეს გზა დამღლებელია, ის განაგრძობს: „მათ ერთი პარტია კი არა აქვთ, არამედ ოცი, თუ მეტი არა, რომელთაც ერთი და იგივე პროგრამა აქვთ. ეს მხოლოდ ერთით აისნება: თითოეული ლიდერი შეკყრობილია ამბიციებით, სხვებს უჯიბ-რება, რომ პირველი იყოს საქართველოს განთავისუფლებაში. პასუხი ცხადია: თითოეულ მათგანს შეუძლია, მისი უპასუხისმგებლობით, უბე-დურება დაატეხოს თავზე საქართველოსა და მის მოსახლეობას ...“

ამ მის ბრალდებებში ზვიად გამსახურდიას გამონათქემებსაც იმ-ოწმებს გბს -ს კორესპონდენტთან: „შეუძლებელია საქართველომ მიაღწიოს დამოუკიდებლობას საბჭოთა სისტემაში, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, მოხდება მეორე არევოლუცია, საბჭოთა კავშირი დაშლება... და მაშინ ჩვენც მოვიპოვებთ ჩვენს დამოუკიდებლობას... შესაძლებელია სისხლიც დაიღვაროს ...“ და მისტერ უილერსაც მეტი არ უნდა, რომ გამსახურდია და მისი თანამებრძოლნი საშიშ ექსტრემისტებად შერაცხოს და როგორც მის წერილიდან ვხედავთ, ბ-ნ ამიშვილ-

იც უყოფანოდ იზიარებს მის აზრებს. და თანამოაზრებიც უჭირავნია ზოგიერთ „თავადთა“ თუ რიგით ობივატელთა შოთა წევრი და ვითვალეთ მათი რიცხვი და სულ 38 პიროვნებაა. „ქართული ემიგრაცია და მისი შთამომავლობა“ თუმცა ჩვენ არ აღვიჩიცხავს, მაგრამ ათასს რომ ბევრით გადააჭარბებს, ეს უვერებელია და ამიტომ ის უნდობლობა და კუთხის სწავლების გაკვეთილი, რომელიც საქ. ერ. განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის III რეზოლუციაშია გამოთქმული, ეხებათ მხოლოდ რამიშვილის განცხადებაზე ხელის მომწერლებს და არა მთელ ემიგრაციას.

ჩვენ რომ პირადად არ ვიცნობდეთ ბ-ნ ა. რამიშვილს, მის მოწერაში ეჭვი შეგვიძლოდა, მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ ის მოწამელულია, ერთსა და იმავე დროს, შენილბული მოარული ხმებისა და ოფიციალური ინფორმაციების წყალობით, რომლებიც დასაბამს მოსკოვში ღებულობენ. იმ გაუბატონებისათვის, რომლებიც დასავლეთის საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, რუსეთის იმპერიაში გორბაჩივის გარეშე არ არსებობენ სხვა სერიოზული ძალები, რომელთაც შეეძლოთ უზრუნველყონ თავისუფლებაცა და მშვიდობაც. მცირე ერთა დამოუკიდებლობის საკითხი მათ არც კი აინტერესებთ. ეს მათთვის სინონიმია ბალკანიზაციის, ეთნიური და რასიული ომებისა თუ ხოცვაულურისა. ამიტომაც ისინი სულ ადვილად იჯერებენ მოსკოვში შეთითხნილ ამბებს: ქართველი პატრიოტების რასიზმზე, სტალინიზმზე თუ ფაშიზმზე. ამიტომაცა აუცილებლად საჭირო, რომ საჭართველოს პქნილებს მისი დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო. ისეთი, რომელიც შეძლებს დაუბრკოლებლივ გადმოლახოს რკინის ფარდა და ღროულად მოიტანოს დასავლეთში მართალი ამბავი.

### ვინ არის დემოკრატი?

ეს კითხვა დაკავშირებულია ბ-ნ რამიშვილის პოზიციასთან, მაგრამ მის გარდა ბევრ სხვასაც შეეხება, როგორც აქ დასავლეთში, ისე იქ ჩვენს სამშობლოში. ჩვენ განვმარტავთ ჩვენ პოზიციას და, რა თქმა უნდა, არავინ არაა ვალდებული, რომ ის გაიზიაროს.

როგორც ზევით აღინიშნა, ისინი, ვინც ბოიკოტს უცხადებენ საბჭოთა არჩევნებს, მიჩნეული არიან ნეო-სტალინელებად, ექსტრემისტებად, არაღემოქრატებად, ხოლო ისინი, რომლებიც აქტიურობდენ სტალინ-ხრუშჩივ-ბრეჟენევურ საარჩევნო მასკარადებში და დღესაც პირველები არიან გორბაჩივის პერესტროიკაში, ისინი ითვლებიან დემო-

კრატიზმისა და პარლამენტარიზმის მოციქულებად? განა ეჭაყუშვილი  
ბია, რომ ზეიად გამსახურდია და აწ განსვენებული მერაბ კულტურული  
რომლებმაც ოცი წლის წინად ააფრიალეს პიროვნული და ეროვნული  
თავისუფლების დროშა და განიცადეს ენით აუწერელი დევნა-შევიწ-  
როება, ახლა უეცრად ამ მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მო-  
წინააღმდეგთა ბანაკის წინამდლოლებად იქცევა?! განა წარმოსადგე-  
ნია, რომ გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თამრიკო ჩხეიძე, თენ-  
გიშ და ედუარდ გუდავები და ბევრი სხვა მათი თანამებრძოლები,  
რომლებიც სრულიად ახალგაზრდები უშიშრად შეებენ საბჭოთა ტირა-  
ნიას, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა და რომელთა უანგარო თავ-  
დადებასაც უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენი ერის გამოფხიზლებას, დღეს  
ექსტრემისტებად გამხდარიყვენ, ისეთ ექსტრემისტებად, რომელთაც  
ამოძრავებთ მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდება?!  
რა თქმა უნდა, რომ ეს შეუძლებელია და არც მართალი არ არის!  
მაგრამ დეზინფორმაცია რისი დეზინფორმაციაა თუ მან გულუბრყვი-  
ლოთა აზროვნება არ აამღვრია.

სწორედ ამ ფენომენთან გვაქვს საქმე ბ-ნ ა. რამიშვილისა და მი-  
სი განცხადების ხელის მომწერლების შემთხვევაში. ჩვენ არ გვიკ-  
ვირს, რომ საბჭოთა დეზინფორმაციის მსხვერპლი გახდენ ნათავადა-  
რთა „შთამომავლები“, რომლებმაც არც რესთაველის ენა იციან და არც  
დღევანდელი საქართველოს ჭირვარამი, მაგრამ სწორედ გასაოცარი  
და დაუჯრებელია, რომ ამ „განცხადების“ ხელის მომწერლებში მო-  
სხვენებული არიან ისეთი პირებიც, როგორიც არიან ბ-ნები გივი კო-  
ბახიძე და კარლო ინასარიძე, რომლებიც მრავალი წლების განმავლო-  
ბაში ხელმძღვანელობდნენ, პირველი „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქტ-  
იას და მეორე კი-მიუნენის რადიო „თავისუფლების“ ქართულ რედა-  
ქტიას. ბ-ნ კარლო ინასარიძეს შეცდომაც კი არ ეპატიება, მას სო-  
სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსისა და ორგანიზატორის  
ამბიციებიც აქვს (ჩვენ, წინააღმდეგ ზოგიერთებისა, დასაგმობად არ  
მიგვაჩნია ამბიციის ქონება, როცა მას გააჩნია საფუძველი,) და სულ  
ცოტა ხნის წინად ამ პარტიის მის მიერ შედგენილი პროგრამის  
პროექტიც გამოიკვეყნა უურნალ „ჩვენ დროშაში“, ის საქართველოს  
დამოუკიდებელი რესუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომი-  
სიის წევრია, ლევილის ბიბლიოტეკის დაარსების ინიციატორი და  
სხვა... ასე რომ მასზე არ შეიძლება ითქვას: მოვლენათა კურსში არ  
არის.

ამ ორ უკანასკნელ წელიწადში მართლაც ბევრი პოლიტიკური პარტია თუ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია შექმნის ჩევრს სამშობლოში. აქ მთავარი ისაა ჩვენი საკითხისათვის, ორმა არცერთ მათგანს პროგრამაში არა აქვს, რევოლუციური მეთოდებით დასახული მიზნების მიღწევა და პრაქტიკაშიაც არცერთი მათგანი არ მიმართავს ძალადობის ჩაიმე საშუალებას, ტერორიზმზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სახელმწიფო ტერორის მსხვერპლნი თვითონ არიან ისინი.

მათ არ გააჩნიათ ლეგალური არსებობა. მათი იდეებისა და აზრების გასავრცელებლად და მასების დასარაზმავად არ გააჩნიათ არც პრესა, არც რადიო, არც ტელევიზია, ამიტომ ისინი იძულებული არიან ხშირად მიმართონ საპროტესტო მსვლელობებს ქუჩებში და მიტინგებს. მაგრამ მიტინგები, დემონსტრაციები და გაფიცვები ხომ დემოკრატიის აღიარებული და საყოველთაო საშუალებებია? მაში როგორ მოხდა, რომ ჩვენში ვინც ამ გზას ადგია, ანტიდემოკრატადაა გამოცხადებული?! ამავე დროს, ეს პატრიოტული მოძრაობები ამდენიხანი ბოიკოტს უწეხადებდნენ საბჭოთა არჩევნებს, რადგანაც იყო იყო ერთ-პარტიული და, მაშასადამე, არა დემოკრატიული ისინი მართები იყენებ, ხოლო სახალხო ფრონტის და რუსთაველის საზოგადოების მონაწილება მასში, ჩემი რწმენით, იყო არამორალური და ეროვნულადაც მავნე, რადგანაც მას შეცდომაში შეყავდა ქართველი ხალხი. საბეჭნიეროთ, სწორედ იმ პატრიოტული ძალების თავდადების წყალობით, ის არჩევნების ფიქცია გაუქმდა და თუ გორბაჩივმა დაუშვა (რაც წინასწარ გარანტირებული არ არის. კიდევ ბრძოლაა საჭირო.), მაშინ იქნება ნამდვილად მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვილაპარაკოთ, თუ ვინაა პარლამენტარიზმის მიმდევარი და ვინ რევოლუციონერი.

აქ ერთი საკითხიც უნდა დაისვას თავისი სიგრძე სიგანით. ეს გახსავთ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ზოგიერთებს მისაბაძად მიაჩნიათ ბალტიისპირეთლების ეროვნული ბრძოლის გზა და საქართველოშიაც უეჭველად ასეთივე თარგით უნდათ პოლიტიკური მოქმედება. მათ ავიწყდებათ, რომ კავკასიის საერთოდ და კერძოდ საქართველოს გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობა სრულიად განსხვავდება, მაგალითად, ლიტვისაგან.

ჩვენი ეროვნული მთავრობა, ემიგრაციის პარტიები და პარტიათა დაჯგუფებები, ომის შემდეგ, ეროვნული საბჭო და ეროვნული პოლიტიკის ცენტრი კარეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ, რომ ეროვნული

თვითგამორკვევის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი მიუწვდომელი ყოფილიყო საქართველოზე, ქართველ ხალხზე. ისინი ამბობენ, რომ საქართველომ თავი გამოირკვია **1918**

წლის **26** მაისს, როცა მან გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ცნობილი იყო უმთავრეს სახელმწიფოთა და თვით საბჭოთა რესეთის მთავრობისაგან.

**1921** წლის თებერვალ-მარტიდან მოყოლებული საქართველო ანექსირებული ქვეყანაა საბჭოთა რესეთის სამხედრო ძალების მიერ, ქართველ ხალხს არასოდეს არ აუღია ხელი მის სუვერენულ უფლებებზე და იგი ავტომატიურად უნდა აღსდგეს მაშინვე, როგორც კი ძალა დობა, ანექსია და ოკუპაცია მოისამბა. ეს პოლიტიკური აზრი აჭინომად იყო მიღებული ემიგრაციაში, თუმცა მას სწამდა, რომ ნამდვილ დემოკრატიულ არჩევნებში ქართველი ხალხი მასიურად და მოუკიდებლობას აირჩივდა. ქართველი ხალხის განწყობილებაში დღეს უფრო ნათლად ჩანს ეს მისწაფება, მაგრამ ჩვენ მაინც მორალურად უფლება არ გვაქვს, ქედი მოვიხაროთ ძალმომრეობის წინაშე და ხელახლა დავიწყოთ მათხოვრობა ქართველი ერის ეროვნული გამორკვევისათვის. ხოლო იმ ხალხს, იმ მამაც მამულიშვილებს, რომლებიც სწორედ ამ გზას ადგიან, ჩვენ ზურგიდან მახვილს კი არ უნდა ვცემდეთ, არამედ უნდა ვამხნევებდეთ და ვაღფრთოვანებდეთ.

### ა ხ ა ლ ი ე ტ ა პ ი

ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის ახალ, მაღალ საფეხურზე ადის. ადგილი აქვს დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს. ცხრა მარტს მოწვეული იქნა საქ. უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ა) საბჭ. კავშირის პრეზიდენტის პოსტი და მის შემოღებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები შეუთავსებელია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობასთან. ბ) **1921** წ. თებერვალში საბჭოთა რესეთის მთავრობამ დაარღვია მის მიერვე **1920** წლის 7 მაისს საქ. რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულება, მოახდინა მისი ჯარებით საქართველოს დაპყრობა, ოკუპაცია და ანექსია გ) მის შემდეგ ქართველი ხალხის სახელით დადებული ყველა ხელშეკრულება ბათოლად გამოცხადდეს, დ) კერძოდ ბათოლია **1922** წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება, რომ-

ლის ძალით შეიქმნა სსრ კავშირი, და ბოლოს, ე) ის ცემონიუზეც საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას, დაიწყოს მოლაპარატურა — საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენის მიზნით. (იხ. 10 მარტი ის გაზეთი „კომუნისტი“)

20 მარტს კვლავ შეიკრიბა საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც 1. შესაბამისა სსრკ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები სა, ცვლილებები შეიტანა რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამის პარაგრაფებში, კერძოდ, მე-6 მუხლი, რომელიც კომპარტიას ანიჭებდა ხელისუფლების მონოპოლიას, ასე შეიცვალა: „საქართველოს კომუნისტური პარტია, სხვა პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე პროფკაფშირული, ახალგაზრდული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მასობრივი მოძრაობები სახალხო დეპუტატთა საბჭოებში არჩეული თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და სხვა ფორმებით თანაბარ საფუძველზე მონაწილეობენ სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში“.

2. საქართველოში განზრახული არჩევნების შესახებ:

„საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბორების არჩევნები გადატანილ იქნეს 1990 წლის ოქტომბერ—ნოემბერში. შესაბამისად გაგრძელდეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევისა და ადგილობრივი საბორების მე-20 მოწვევის დეპუტატთა რწმუნების ვადა.“

ამჩინად, საბჭოთა ოფიციალური კანონებისა და წესწყობილების ფარგლებში, საბჭოთა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენა, და შემოღებულია შმართველობის და სამმართველო ორგანოების არჩევნების მრავალპარტიული დემოკრატიული წესი. აწი მთავარია თუ როგორ გატარდებიან ცხოვრებაში, და რაც მთავარია, რა პასუხს გასცემს ბატონი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩივი, რომლის ხელშიაც გახლავთ თავმოყრილი რუსეთის უკანასკნელი იმპერიის მთელი ძალა—უფლება!

ამავე დროს, პარალელურად მიმდინარეობდა ეროვნული-განთავისუფლების ძალების მწყობრად დარაზმების პროცესი. 13 - 15 მარტს თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნულ — განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანვებო კონფერენცია,

რომლის ინიციატორები იყვნენ: საქ. ეროვნული დამოუკიდებელობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მონარქის ტურნირის მერაბ კოსტავას საზოგადოება და თეთრი გიორგის კავშირის კონფერენცია მიჰყავდათ ზვიად გამსახურდიას, ირაკლი წერეთელს და თენიზ სიგუას, კონფერენციაში მონარქის ლობდენ საქართველოში არსებული ყველა ეროვნულ-პლიტიკური პარტია თუ ორგანიზაცია, საზოგადოებრივი გაერთიანებები და სხვადასხვა დარგის 185 წარმოება-დაწესებულებისა და საქ. ყველა რეგიონიდან ჩამოსული წარმომადგენელი. საგანგებო კონფერენცია გახსნა ზვიად გამსახურდიამ. შესავალი სიტყვით გამოვიდა ირაკლი წერეთელი. მოხსენებებითა და სიტყვებით გამოვიდენ: ირაკლი ბათიაშვილი, თემურაზ ქორიძე, გიორგი ჭანტურია, ნოდარ ნათაძე, ელგუჯა წიკლაური, თენგიზ სიგუა, რომან გოცირიძე, ვახტანგ ტალახაძე, შოთა ნადირაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, თემურაზ სუმბათაშვილი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნოდარ წულეისკირი, გიორგი თვალავაძე, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ შარმანაშვილი, დავით ზარდიაშვილი, გიორგი მარჯანიშვილი, თედო პაატაშვილი, ავთანდილ იმანძე, ზურაბ ევანია, გურამ მუჩაძე, აკაკი ასათიანი და სხვები. იყო აზრთა გაცლა-გამოცლა და ცხარე კამათი განხილული მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ. ხმათა გადამწყვეტი უმრავლესობით კონფერენციამ დაადგინა, რომ იურიდიული პირის სრაობსის მეონე ოფიციალური ორგანო, რომელიც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების პირდაპირი გამომხატველი, შეიძლება იყოს მხოლოდ საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრით არჩეული გარდამაზალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება.

კონფერენციამ პარიტეტულ საწყისებზე აირჩია ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქ. ერ. განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინირებული ხელმძღვანელობის ცენტრი, რომელიც მოიწვევს საყოველთა ეროვნულ ყრილობას და გარდამავალი კოალიციური ხელისუფლების საყოველთა დემოკრატიულ არჩევნებს. (დაწვრილებით კონფერენციის მსვლელობის დადგენილებებისა და რეზოლუციების შესახებ იხ. გამ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 17 მარტი 1990.) ახლო მომავალი ვებ-გვერდებს, ეროვნული ფორუმი ჯამართლებს თუ არა იმედობს.

ადგილი ჰქონდა აგრეთვე ერთ მნიშვნელოვან მოვლენას. 20  
მარტს ქალაქ შავნაბადაში გაიმართა საქ. კომკავშირის რიგგარე-  
შე ყრილობა. მოვლოდენ რომ ეს ფორუმი დაშლილი და გამოატადებ-

და ამ ორგანიზაციას. ყრილობაზე პოლიტიკური მოხსენებული ფუფულებია საქ. ალკე ცენტ. კომიტეტის პირველმა მდივანმა სესიუშ-გოგიშეტრდებ. ეროვნული ფორუმის სახელით შეკრებილ მიმართეს ირაკლი წერეთელმა და ირაკლი კაკაბაძემ: ყრილობას სიტყვით მიმართა საქ. კპ.ც.კ. პირველმა მდივანმა, საქ. სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუ-მის თავ - რემ გივი გუმბარიძემ. შეღეგებს ჩვენამდე არ მოუღწევია. გფიქრობთ, რომ იგი უშედეგოთ დასრულდა და საბოლოოდ იგი ორად გაიყოფა.

სამაგიეროდ, ადგილი ჰქონდა საინტერესო ინიციატივას, სწორედ თუ მარტს პირველად გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მაგიგრად გამოვიდა „ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ი ვ ე რ ი ე ლ ი“. ჩვენამდე მოღწეულ ორი ნომრის მიხედვით თუ განვსჯით, ეს არ არის ზედაპირული ფე-რის ცვლა, არამედ ღრმა თვისობრივი გარდაქმნა, რომელსაც მიზნად დაუსახავს სიმართლისა და მშობელი ერის სამსახური. ღმერთმა ქნას, რომ არ ვცდებოდთ!

ამრიგად, ორივე საქართველო – ოფიციალური საბჭოთა და ეროვნული ოპოზიცია, თავთავის მხარეზე დარაზმული, მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. ბრძოლა ეროვნული განთა-ვისუფლებისათვის ასულია ახალ დონეზე, ღმერთმა ინებოს: იგი იყო დამამთავრებელი.

გიორგი წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ქართველობის დღე

ქალბატონი თამარ დრაგაძე ლონდონიდან გვატყობინებს, რომ იქ უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის მცოდნეობის ინსტიტუ-ტში ოთხ მაისს გაიმართება, ყოველწლიური, რიგით მესამე, „ქართველოლოგის დღე“. მასში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქართველოთი დაინტერესებულმა ყველა პირმა. ამისთვის საჭიროა, რომ ქვე-მოდ მითითებულ მისამართით დროულად გაიგზავნოს საგნის სათაური და მოქლე შინაარსი, რომ თავის დროზე იქნეს შეტანილი პროგრამა-ში. წინა დღით სამ მაისს დაგემილია აგრეთვე საქართველოს არქეოლოგიის დღის მოწყობა, რაც, ვფიქრობთ, დღიდ ინტერესს გამოიწვევს. საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოველით ბევრ ცნობილ სწავლულსა თუ მეცნიერს. ქართველოლოგის დღის წარმატებით ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ ახლო და

შუა აღმოსავლეთის შემსწავლელი ცენტრი და მარქორი უკრაინული  
ფონდი. ერთი სიტყვით, ეს იქნება ძალიან საინტერესო პირზე მომსახურება.

**მისამართი:** Dr T. Dragadze, c/o SOAS; Thorntree street,  
Russell Square, LONDON WC1H 0XG

\*\*\*                    \*\*\*                    \*\*\*

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დ ა წ ი გ ნ ე ბ ი

ჩვენ ძალიან მცირელა ადგილი გვრჩება, მაგრამ არ შეიძლება არ  
აღვნიშნოთ ჩვენი მაღლიერება მხატვარ გია ბულაძისა და მხატვარ-  
მოქანდაკე გიმერი დარჩიასადმი, რომლებიც პროფესიულ მივლინება-  
ში იმყოფებოდენ პარიზში. ბ-ნმა გია ბულაძემ შესანიშნავი სურა-  
თი უძლვნა ჩვენს ეკლესიას, რომლის სიუცხვიც ჩვენი ლამაზი სამშო-  
ბლოს პერიუდია, ფოკუსში პატარა კოხტა ქართული ეკლესით.  
ბ-ნი გიმერი საყველურობდა, რომ იგი არ მოამარავს ძერწვისათვის  
საჭირო მასალით. სამაგიეროდ მან შესანიშნავი ავანგარდისტული  
ფერმწერის უნარიც გამოიჩინა. ორივე ხელოვანის ნამუშევარი, ფრა-  
ნგები რომ იტყვიან, პატარა პურებივით იყიდებოდა. ორივე გულია  
მამულიშვილი იყო და ბევრი მეგობრებიც გაიჩინა პარიზელ ქართვე-  
ლებში. ჩვენ მათ ვუსურვებთ შემდეგ წარმატებებს.

\*\*\*

**ალექსანდრე მანველიშვილი:** „ნარკვევები და წერილები“

არ გაიკვირვოთ! დიახ, ეს ისევ ბ-ნი ალ მანველიშვილია, რომელ-  
მაც კიდევ ერთი ახალი სქელტანიანი (370 გვ.) გამოსცა საკუთარი  
დანაზოგებით. ამ წიგნში ავტორს ნაირ-ნაირი სტატია, ნარკვევი თუ  
თარგმანი შეუტანია, რომლებიც სხვადასხვა დროს დაუწერია, მაგრა-  
მ ჯერ არსად გამოუცია. აქ მას მოგონებებიც აქვს. ბ-ნი ალექსა-  
ნდრე მნიშველოვანი წევრი იყო ჩვენი ძევლი ემიგრაციის, ბევრს  
იცნობდა ახლო ურთიერთობით და, ვთქვრობთ, რომ მის მოგონებებს  
დიდი ღირებულება ექნება განსაკუთრებით ჩვენი სამშობლოსათვის,  
რომელიც აღმართ ერთ დროს საფუძვლიანად შეისწავლის მისი ეროვნუ-  
ლი ემიგრაციის ისტორიას, მის ავ-კარგს. მხოლოდ მწერალსა და მო-  
ღვაწეს ვუსურვებთ კიდევ მრავალ წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

\*\*\*

**გიორგი ტოგონიძე:** „ლტოლვილობის ცრემლები“

ჩვენმა დამსახურებულმა პოეტმა, ბ-მა გიორგი ტოგონიძემ ახლახან  
ფრანგულ ენაზე გამოსცა 90 გვერდიან ლამაზად გაფორმებული მეორე



მსოფლიო ომის დროინდელი, მის მიერ ერთ ფრანგულ სკრიფტში „ახო-  
ვებების დროს თავს გადამხდარი ამბები, ურთიერთობები, უძილებები,  
მოგონებებს თან ახლავს ალბათ მის მიერვე თარგმნილი მისი რამდე-  
ნიმე ლექსი. უცხოელის პირობაზე, წიგნი გამართული ენით არის  
შესრულებული, საინტერესო და ჩამაფიქრებელი საკითხავია და უდა-  
ვოდ ქებისა და მაღლობის ღირსია.

\*\*\*\*\*

### შ ი ნ ა ა რ ს ი

- |      |   |                      |
|------|---|----------------------|
| 2.   | აღარ მოტუვდება  | მოწინავე             |
| 5.   | საქართველოს გასაჭირი                                    | ზურაბ ნარსია         |
| 10.  | როგორ დავტოვე საქართველო                                | თემო კახელი          |
| 14.  | ერ. განმათავისუფლებელი საზოგადოებები                    |                      |
|      | და მათი ლიდერები: „სახალხო ფრონტი“ –                    |                      |
|      | ნოდარ ნათაძე; „რუსთაველის საზ – ბა“ – აკაკი ბაქრაძე     |                      |
| 41.  | გავაგებინოთ სიმართლე მსოფლიოს –                         | ანზორ ერქომაიშვილი   |
| 43.  | ოქტომბერი საქართველოში –                                | ვახტანგ გურგენიძე    |
| 55.  | „საბჭ. საქართველო 1989 წელს“ –                          | ლადო ბაბიშვილი       |
| 62.  | საქ. საინფორმაციო სააგენტო – „მაცნე“                    |                      |
| 68.  | თბილისის ცხრა აპრილი სსრკ სახ. დეპუტატთა II ყრილობაზე   |                      |
| 69.  | გივი გუმბარიძის გამოსვლა ყრილობაზე.                     |                      |
| 74.  | ლიგაჩოვ–შევარდნაძის უცნაური შეკამათება                  |                      |
| 78.  | ჩვენი ქრონიკა – 1989.                                   | ეთერი წერეთელი       |
| 83.  | უჟამო – უამი  | ირაკლი ოთხმეზური     |
| 85.  | პრეზიდენტი და პოეზია – ბ-ნი ფრანსუა მიტერანი            |                      |
|      | ლექსები: თინა ჩიქვანი, ისაკ მეგრელიშვილი, გივი შაორელი, |                      |
|      | მარინე ხუციშვილი.                                       |                      |
| 93.  | ქრისტიანები (ტრილოგია)                                  | – გიორგი ჭანტურია    |
| 107. | ქართული ხუროთმოძღვრება –                                | ირინე დავრიშაშვილი   |
| 116. | ფიქტები საქართველოს მისიაზე –                           | მერაბ კოსტავა        |
| 131. | ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნა –                               | ზაქარია ლაშვარაშვილი |
| 132. | პავლე ვაშაძის გამოსახოვარი –                            | სიმონ ბლიაძე         |
| 136. | გუშაგის ფონდი და 1989 წლის ანგარიში                     |                      |
| 137. | ა. რამიშვილის „პარტია“ და მისდამი უნდობლობა – გ. წ.     |                      |
| 146. | ქართველობის დღე ლონდონში; ადამიანები და წიგნები         |                      |



# GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE  
( POLITIQUE - LITTERATURE - MÉMOIRES )

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS  
75019 PARIS

\*\*\*\*\*  
EDITION HORS COMMERCE